თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვახტანგ ჯაოშვილი

მოსახლეობის გეოგრაფია

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო
სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ
დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1983

91 (C)
26.89 (2)
308
Ჯ 237

სახელმძღვანელოში განხილულია მსოფლიოს, სსრ კავშირისა და საქართველოს მოსახლეობის გეოგრაფიის ძირითადი საკითხები — მოსახლეობის დინამიკა, სტრუქტურა, ტერიტორიული განლაგება, შრომითი რესურსები და მიგრაციის საკითხები. მეორე ნაწილი ეძღვნება განსახლების დახასიათებას. განხილულია მოსახლეობის ტერიტორიული ორგანიზაცია, საქალაქო და სასოფლო განსახლება, თანამედროვე ურბანიზაციის პრობლემები. წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისათვის და მოსახლეობის გეოგრაფიით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი რ. გაჩეჩილაძე

რეცენზენტები: ა. რონდელი, ვ. ნეიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983

Д $\frac{20900}{М608(06)-83}$

ავტორისაგან

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის უმნიშვნელოვანეს სოციალურ-დემოგრაფიულ მოვლენათა შორის საყოველთაო ყურადღებას იმსახურებს ჩვენი პლანეტის მოსახლეობის უჩვეულოდ სწრაფი ზრდა. ადამიანთა საზოგადოების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ჩვენ დროში პირველად მოხდა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობის გაორკეცება; 1945 წელს დედამიწის მცხოვრებთა რიცხვი არ აღემატებოდა 2200 მლნ., ხოლო 1981 წელს იგი შეადგენდა 4450 მლნ. ასეთმა „დემოგრაფიულმა აფეთქებამ" ბევრად გაზარდა ინტერესი მოსახლეობის შესწავლისადმი.

თუმცა ყველა დროის გეოგრაფები დაინტერესებულნი იყვნენ ცნობებით მოსახლეობის შესახებ, მაგრამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით გაფართოვდა დედამიწის მცხოვრებთა გეოგრაფიული შესწავლის მასშტაბები, გაძლიერდა მეცნიერული კვლევა ამ სფეროში, რასაც შედეგად მოჰყვა ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის ერთ-ერთი განშტოების — მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს გ ე ო გ რ ა ფ ი ი ს ჩამოყალიბება. შესწავლის საგნის დიდმა მნიშვნელობამ და მცირე ხნის განმავლობაში ფართოდ გაშლილმა კვლევითმა მუშაობამ მოსახლეობის გეოგრაფიას, როგორც ახალ სამეცნიერო დისციპლინას, საყოველთაო აღიარება მოუპოვა.

კარგა ხანია სსრ კავშირში და საზღვარგარეთაც მოსახლეობის გეოგრაფია დამოუკიდებელი კურსის სახით შეტანილია უმაღლესი სასწავლებლების გეოგრაფიულ სპეციალობათა სასწავლო გეგმებში.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის გეოგრაფიის კურსს რიგი წლების მანძილზე ეუფლებიან ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტები, დღემდე ქართულ ენაზე არ გექონდა საგნის სახელმძღვანელო, რაც სერიოზულ დაბრკოლებას უქმნიდა ამ სამეცნიერო დისციპლინის შესწავლას.

წინამდებარე სახელმძღვანელო პირველი ცდაა — მშობლიურ ენაზე მიაწოდოს ქართველ სტუდენტობას ძირითადი ცოდნა მოსახლეობის გეოგრაფიაში. წიგნზე მუშაობისას ავტორი ცდილობდა გაეშუქებინა პირველ ყოვლისა მოსახლეობის გეოგრაფიის ძირითადი ცნე-

ბები და კანონზომიერებანი, მიმოხილელა მსოფლიოს, სსრ კავშირისა და საქართველოს მოსახლეობის დინამიკა, სტრუქტურა და ტერიტორიული ორგანიზაცია. წიგნში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი მოსახლეობის გეოგრაფიაზე მოქმედი ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების განხილვას, აგრეთვე საქალაქო და სასოფლო განსახლების ძირითადი საკითხების შესწავლას.

სახელმძღვანელო შედგენილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოსახლეობის გეოგრაფიის სასწავლო კურსის პროგრამის შესაბამისად. რადგან წიგნი პირველი ცდაა ამ სპეციალობაში ორიგინალური ქართული სახელმძღვანელოს შედგენისა, შესაძლოა იგი არ იყოს უნაკლო. ავტორი მადლობის გრძნობით მიიღებს ყველა საქმიან შენიშვნას და გაითვალისწინებს მათ.

თავი პირველი

მოსახლეობის გეოგრაფიის საგანი და ამოცანები

მოსახლეობა მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ერთობლიობაა, გამოსახული რთული და მრავალფეროვანი ურთიერთობით, რაც საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოქმნის სოციალური კავშირის ამა თუ იმ სახეს. მოსახლეობის რაოდენობა და შემადგენლობა, საქმიანობა და ცხოვრების პირობები, ტერიტორიის დასახლებულობა და განსახლების ფორმები — იმ საკითხებს განეკუთვნებიან, რომელთა გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარება. ეს გასაგებიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანი მთავარი საწარმოო ძალაა, ყოველგვარი მატერიალური და სულიერი დოვლათის შემქმნელია. არ არსებობს წარმოება ადამიანის გარეშე, ისევე როგორც ცივილიზებული კაცობრიობა — წარმოების გარეშე. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოსახლეობა არა მარტო ქმნის ყოველგვარ დოვლათს, არამედ მოიხმარს კიდევაც მას. სხვანაირად რომ ვთქვათ, წარმოება და მოხმარება ორი მხარეა ერთიანი პროცესისა, რომლის მთავარი შემოქმედია ადამიანი თავისი საწარმოო ჩვევებით. ამასთან დაკავშირებით მოსახლეობა განიხილება როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია. ამიტომ შეუძლებელია მოსახლეობის შესწავლის გარეშე გავერკვეთ ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ძირითად საკითხებში, მეურნეობის განვითარებასა და ტერიტორიულ განლაგებაში.

აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა მოსახლეობის გეოგრაფიის ჩასახვა და განვითარება ეკონომიკური გეოგრაფიის წიაღში. კვლევის ობიექტის დიდმა მნიშვნელობამ გამოიწვია მოსახლეობის გეოგრაფიის სწრაფი აღმავლობა და შედარებით მოკლე ხნის მანძილზე მის მიერ გარკვეული ავტონომიის მოპოვება სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა ციკლში. ამავე დროს მოსახლეობის გეოგრაფიის განვითარება დაკავშირებულია ჩვენი საუკუნის შუა წლებიდან მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის უაღრესად მაღალ ტემპებთან და დემოგრა-

ფიული პროცესების გადაქცევასთან ერთ-ერთ მწვავე, გლობალურ პრობლემად. საკმარისია აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, სულ რაღაც 35 წლის მანძილზე, ჩვენი პლანეტის მოსახლეობა გაორკეცდა და 1980 წლისათვის მიაღწია 4,4 მლრდ. ადამიანს. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მსოფლიოს მოსახლეობას არასოდეს არ ჰქონია მატების ასეთი მაღალი ტემპი და რაოდენობრივი მაჩვენებელი.

მოსახლეობის როგორც მთავარი საწარმოო ძალის განხილვისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის კავშირურთიერთობას სხვა საწარმოო ძალებთან, — მათ შორის ბუნებრივ საწარმოო ძალებთან. თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ადამიანი მუდმივ ურთიერთობაშია ბუნებასთან: იყენებს მიწას, წყალს, ჰაერს და ბუნების სხვა კომპონენტებს. მას არ შეუძლია არსებობა ბუნების გარეშე. უფრო მეტიც, როგორც ბიოლოგიური არსება, იგი ბუნების ნაწილია. ამავე დროს, როგორც მოაზროვნე არსება, ადამიანი საზოგადოების წევრია და გარკვეულ სოციალურ გარემოში ცხოვრობს. ასეთი გარემოს ფორმირება ხდება, ერთი მხრივ, ბუნების და, მეორე მხრივ, საზოგადოების კანონების ზემოქმედების შედეგად. ამ გზით ყალიბდება ადამიანის ცხოვრების კონკრეტული პირობები. თუ საზოგადოების ჩასახვისა და განვითარების საწყის ეტაპებზე ბუნებრივი გარემო გადამწყვეტ გავლენას ახდენდა ადამიანის მდგომარეობაზე, შემდგომში, ცივილიზაციის საყოველთაო განვითარებისა და საწარმოო ძალების დაჩქარებული აღმავლობის შედეგად შექმნილი სოციალ-ეკონომიკური ვითარება უკვე განმსაზღვრელ როლს ასრულებს მოსახლეობის ცხოვრების პირობების ჩამოყალიბებაში.

ბუნებრივ საწარმოო ძალებთან ერთად ადამიანი წარმოების პროცესში იყენებს თავის მიერვე შექმნილ შრომის იარაღებს, მრავალფეროვან მატერიალურ საგნებს, რომელთა საშუალებითაც ახორციელებს კავშირს ბუნების ძალებთან და თვით ადამიანებთან. ასე მყარდება საწარმოო ურთიერთობანი, რომლებსაც, საწარმოო ძალების განვითარების მიღწეულ დონესთან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ცხოვრების პირობების შექმნაში, გარკვეული სოციალური ყოფის ფორმირებაში. კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ვითარებაში ადამიანი აწარმოებს არსებობის საშუალებებს და ეს მუდმივი, უწყვეტი პროცესი ამავე დროს წარმოადგენს თვით მოსახლეობის კვლავწარმოებას, მის მუდმივ რაოდენობრივ და თვისებრივ განახლებას. მოსახლეობის კვლავწარმოება მთელი საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესის შემადგენელი ნაწილია და განპირობებულია როგორც ბუნებრივი (ბიოლოგიური), ისე სოციალ-ეკონომიკური კანონზომიერებებით.

ის გარემოება, რომ ადამიანი წარმოების პროცესში ქმნის ყოველგვარ მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მის შრომას, განსაზღვრავს მის გადამწყვეტ როლს წარმოებაში და უპირველეს ადგილს საწარმოო ძალებს შორის. ადამიანი შრომის პროცესში გამოდის როგორც ყველაზე აქტიური, შემოქმედი ძალა. თვით ურთულესი მანქანები, ავტომატურად მოქმედი დანადგარები და მათ მიერ შესრულებული სხვადასხვა სახის ოპერაციები შექმნილი და პროგრამირებულია ადამიანის შრომის შედეგად. ადამიანის გადამწყვეტ მნიშვნელობას წარმოების პროცესში არაერთხელ აღნიშნავდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები, ანიჭებდნენ რა უდიდეს როლს შრომით რესურსებს. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „მთელი კაცობრიობის პირველი საწარმოო ძალაა მუშა, მშრომელი"[1].

არსებობის საშუალებათა წარმოება ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომლის გარეშეც შეუძლებელია მოსახლეობის კელავწარმოება, ამიტომ საბოლოოდ წარმოების წესი და მისგან გამომდინარე სოციალურ-ეკონომიკური კანონზომიერებანი განსაზღვრავენ ცვლილებებს მოსახლეობის რაოდენობასა ღა შემადგენლობაში, ანუ გარკვეული დემოგრაფიული სიტუაციის ჩამოყალიბებაში, აგრეთვე მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებასა და განსახლების ფორმებში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მოსახლეობის გეოგრაფიის დამახასიათებელი ნიშნების ჩამოყალიბებაში სოციალურ-ეკონომიკურ კანონზომიერებებისათვის პრიმატის მინიჭება სრულიადაც არ ნიშნავს ბიოლოგიური, ისტორიული და ფსიქოლოგიური კანონების ან ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს უგულებელყოფას. საერთოდ, მოსახლეობის განვითარების ესა თუ ის სფერო განიცდის მეტად მრავალი ნაირსახოვანი ფაქტორის გავლენით წარმოქმნილი რთული და ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართებაში მყოფი მოელენების ზემოქმედებას, რის გამოც მოსახლეობა წარმოგვიდგება არა მარტო ეკონომიკური გეოგრაფიის, არამედ რიგი სხვა მეცნიერების კვლევის ობიექტადაც. თითოეულ ამ მეცნიერებას თავისი კონკრეტული ამოცანები და კვლევის მეთოდები აქვს დასახული. ჩვენთვის პირველ რიგში საინტერესოა განისაზღვროს მოსახლეობის გეოგრაფიის საგანი და მეთოდი, მისი კავშირი სხვა მომიჯნავე მეცნიერებებთან.

მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს გ ე ო გ რ ა ფ ი ა ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი გ ე ო გ რ ა ფ ი ი ს გ ა ნ შ ტ ო ე ბ ა ა და შ ე ი ს წ ა ვ ლ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს ს ი მ ყ ო ფ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ს ტ რ უ ქ-

---

[1] В. И. Ленин. Полное собрание сочинений. Том 38, стр. 359.

ტ ურ ი ს, გ ა ნ ლ ა გ ე ბ ი ს დ ა ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა-
ც ი ი ს კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ე ბ ე ბ ს. მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ს ი გ ი ი ხ ი-
ლ ა ვ ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს კ ვ ლ ა ვ წ ა რ მ ო ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს-
შ ი, იმ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში, რომელიც ყალიბდება საზოგადოებრივი განვითარების მოცემულ ეტაპზე. ამ განსაზღვრის არსი ეკუთვნის ცნობილ საბჭოთა ეკონომისტ-გეოგრაფს — პროფ. ვ. ვ. პოკშიშევსკის[2], რომელიც ყურადღებას ამახვილებს მოსახლეობის გეოგრაფიის სივრცობრივ და ისტორიულ-გენეტიკურ ასპექტებზე, აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ საბჭოური მოსახლეობის გეოგრაფია შეისწავლის არა ადამიან-ინდივიდს, არამედ მოსახლეობას, როგორც სოციალურად ორგანიზებულ ადამიანთა ერთობლიობას.

მოსახლეობის გეოგრაფიის ზემოთ მოტანილ განსაზღვრაში ხმარებული ტერმინი „მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა" მეტად ტევადია და ნაგულისხმებია მისი ფართო გაგებით. იგი მოიცავს მრავალნაირი დემოგრაფიული ხასიათის რაოდენობრივ და თვისებრივ მოვლენებს. მოსახლეობისათვის დამახასიათებელია თაობათა მუდმივი ცვლა, სხვადასხვა დემოგრაფიული მაჩვენებლების—შობადობის, სიკვდილიანობის, ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურის, მექანიკური გადაადგილების (მიგრაციის) დინამიზმი. მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა, მისი ძირითადი ნიშნების და მათზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი. ასეთი ფაქტორები მრავალრიცხოვანია და ისინი სხვადასხვა მასშტაბითა და მიმართულებით მოქმედებენ მოსახლეობის რაოდენობაზე. არანაკლებ ანგარიშგასაწევია თვით დინამიკის სივრცობრივი და დროითი ასპექტები. ამ მხრივ სხვადასხვა რეგიონები (კონტინენტები, ქვეყნები, რაიონები და ა. შ.) და ისტორიული ეპოქები მეტად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, დიდ დიაპაზონში რხევადობს მათი დემოგრაფიული მაჩვენებლები, რომლებიც თავის მხრივ იმყოფებიან მჭიდრო ურთიერთკავშირში და უკუგავლენას ახდენენ მათზე მოქმედ სხვა სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებზე.

მცხოვრებთა ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ ი გ ა ნ ლ ა გ ე ბ ა მოსახლეობის გეოგრაფიის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია. რამდენად გამოყენებულია ესა თუ ის ტერიტორია დასახლებისათვის, ამის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს მოსახლეობის სიმჭიდროვე. ეს გაშუალებული მაჩვენებელი დასახლებულობის ზოგად სახეს ასახავს, მაგრამ სიმჭიდროვე შეიძლება დიდ ფარგლებში იცვლებოდეს მოცემული ტერიტორიის ცალკეულ ნაწილებში, რადგან იგი განიცდის ბუნებრივი და

---

[2] В. В. Покшишевский, География населения СССР. Экономико-географические очерки. М., «Просвещение», 1971, стр. 8.

სოციალ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენას. თვით ტ ე რ ი ტ ო რ ი ი ს ვ ა რ გ ი ს ი ა ნ ო ბ ა დ ა ს ა ხ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად გულისხმობს ბუნებრივ-გეოგრაფიულ ნიშნებს, ისტორიული კატეგორიაა. სხვადასხვა ისტორიულ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში ერთი და იგივე ტერიტორია ერთნაირად როდი გამოიყენება საცხოვრებელ ადგილად. ბუნების კომპონენტების მრავალფეროვნება ვლინდება რელიეფის, ჰავის, წყლის რესურსების, ნიადაგ-მცენარეული საფარის ნაირსახოვან ურთიერთშეთანაწყობაში, რომელთაგან ადამიანი დასახლებისათვის ირჩევს ყველაზე უფრო ხელშემწყობ პირობებს, მაგრამ ასეთი არჩევანი თავისთავად შეზღუდულია, რადგან მიმდინარეობს კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში. მოსახლეობის ტერიტორიული განლაგების როგორც ბუნებრივ-გეოგრაფიული, ისე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებით ხდებოდა დასახლების ძირითადი არეალების წარმოქმნა და მათი შემდგომი გარდაქმნები.

მოსახლეობის განლაგება გულისხმობს აგრეთვე მის ტ ე რ ი ტ ო რ ი ულ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ს, ანუ განაწილებას გარკვეულ დასახლებულ პუნქტებში, რომლებიც თავისი სიდიდით, გარეგანი სახით (მორფოლოგიით), დანიშნულებით (ფუნქციით) მრავალფეროვანია; მაო ერთობლიობას ეწოდება გ ა ნ ს ა ხ ლ ე ბ ა. თითოეული დასახლებული პუნქტისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის მეურნეობრივ დანიშნულებას (ძირითად ფუნქციას) ანუ მის მონაწილეობას შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში. სხვადასხვა დანიშნულების დასახლებული პუნქტების წარმოქმნა ხდება შრომის ტერიტორიული დანაწილების შედეგად. რაც უფრო მაღალ დონეზე დგას საწარმოო ძალები, მით უფრო განვითარებულია განსახლება, ეს კი კონკრეტულ ასახვას პოულობს დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობაში, ადამიანის ცხოვრების ხელშემწყობ პირობებში. თავისი დანიშნულებისა და მორფოლოგიის მიხედვით განსახლება ორ ძირითად ფორმად წარმოგვიდგება — საქალაქო და სასოფლო განსახლებად, რომელთა დახასიათება მოცემულია წიგნის მეორე ნაწილში.

* * *

მოსახლეობის გეოგრაფია, ისევე როგორც სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებანი, ემყარება მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძვლებს. პირველ რიგში აქ იგულისხმება დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ზოგადი კანონების გამოყენება, რომლებიც მოსახლეობის ამა თუ იმ მხარის შეცნობაში გვიწევენ დახმარებას. შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობა ის ფენომენია, რომლის მაგა-

ლითზეც ყველაზე ნათლად ვლინდება მარქსისტულ-დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითადი კანონების ობიექტური ხასიათი.

პირველ ყოვლისა, აუცილებელია ჩამოვაყალიბოთ მოსახლეობის გეოგრაფიის ძირითადი კანონები, რომლებიც არსებობენ ობიექტურად, ატარებენ საყოველთაო ხასიათს და საზოგადოების განვითარების სფეროში არიან მოქცეული. აქ საჭიროა გავიხსენოთ, რომ ისტორიული მატერიალიზმი განასხვავებს კანონების სამ ჯგუფს: ა) ზოგადსოციოლოგიური, რომლებიც მოქმედებენ კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე; ბ) რამდენიმე სოციალ-ეკონომიკური ფორმაციისათვის დამახასიათებელი; გ) ერთი სოციალ-ეკონომიკურ წყობისათვის დამახასიათებელი[3].

ზოგადსოციოლოგიურ კანონად უნდა ვაღიაროთ მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს მ ა რ ა დ ი უ ლ ი გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ა, მ ი ს ი თ ა ნ დ ა თ ა ნ ო ბ ი თ ი რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ ი და თ ვ ი ს ებ რ ი ვ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა. ადამიანის არსებობის მთელ ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ ჩვენი შორეული წინაპრები არ გამოირჩეოდნენ სიმრავლით. რამდენიმე ათასი წლის წინ დედამიწის მოსახლეობა თანდათან იზრდებოდა, მაგრამ მეტად ნელი ტემპებით. საწარმოო ძალების თანდათანობით დაჩქარებულმა განვითარებამ და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებამ უდიდესი გავლენა მოახდინა მოსახლეობის განვითარებაზე. ამ მხრივ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თუ პირველყოფილი-თემური წყობილების დროს მოსახლეობის მატება მინიმალური იყო, კაპიტალიზმის ეპოქაში მსოფლიოს მოსახლეობის ზრდამ თავის მაქსიმუმს მიაღწია. დიდად შეიცვალა მოსახლეობის შემადგენლობაც—ეთნიკური, სოციალური, პროფესიული და ა. შ.

იმის გამო, რომ ადამიანების რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებანი მუდმივ კავშირშია სხვა სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებთან, მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს ა რ ა თ ა ნ ა ბ რ ა დ დ რ ო ს ა და ს ი ვ რ ც ე ში. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე მოსახლეობის რაოდენობა თუმცა ინარჩუნებდა ზრდის ტენდენციას, მაგრამ იყო ცალკეული პერიოდები, როცა მატებას ადგილი არ ჰქონდა და მცხოვრებთა რიცხვი მცირდებოდა კიდეც. შიმშილი, სხვადასხვა ეპიდემიური ხასიათის დაავადებანი, ბუნების სტიქიური ძალები, თავდასხმები და ომები სხვადასხვა ეპოქაში დროდადრო დიდ მსხვერპლს იწვევდნენ მოსახლეობაში. ეს მოვლენები ერთდროულად ან ერთნაირი სიძლიერით არ იჩენდა თავს მსოფლიოს

---

3 Марксистско-ленинская теория народонаселения. «Мысль», М., 1974, стр. 20.

ყველა ნაწილში, ამიტომ მათი შედეგიც განსხვაევებული იყო რეგიონების მიხედვით. გეოგრაფიული გარემო ერთგვაროვანი არაა ჩვენი პლანეტის ყველა კონტინენტზე და ყველა ბუნებრივ სარტყელში. ეს გარემოებაც დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე და მაშასადამე მოსახლეობის რაოდენობრივ და თვისებრივ მხარეებზე. კაცობრიობის განვითარების ადრინდელ ეტაპზე ბუნების ძალების გავლენა ბევრად უფრო ძლიერი იყო, მაგრამ ამჟამადაც არ შეიძლება მათი უგულებელყოფა, განსაკუთრებით — რეგიონალურ სხვაობათა წარმოქმნაში.

მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ გ ა ნ ლ ა გ ე ბ ა ს და ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ს, ა ნ უ გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა ს ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ს ა ხ ი ს დ ა ს ა ხ ლ ე ბ ულ პ უ ნ ქ ტ ებ ში, გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ს გ ა რ კ ვ ე უ ლ ი ი ს ტ ო რ ი უ ლ ი და ს ა მ ე ო ბ ნ ე ო პ ი რ ო ბ ებ ი. ეს ზოგადი კანონი მოსახლეობის გეოგრაფიისა ძალაში რჩება ყველა სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის დროს და წარმოქმნის განსახლების გარკვეულ სურათს. საბჭოთა მეცნიერმა ვ. გ. დავიდოვიჩმა იგივე კანონი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „განსახლება დამოკიდებულია წარმოების წესზე და ზედნაშენზე, მისი ფორმირება ხდება წარმოების, ადამიანების ეკონომიკური ურთიერთობის, პოლიტიკის, კულტურის, ყოფა-ცხოვრების შესაბამისად. განსახლების ცვლილება ხდება წარმოების წესის განმსაზღვრელი ზემოქმედების შედეგად“[4]. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი ცვლილებები დაკავშირებულია წარმოების ტერიტორიულ განლაგებასთან და გამოისახება იმაში, რომ წ ა რ მ ო ე ბ ა ი ზ ი დ ა ვ ს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ს, პირველ ყოვლისა მის შრომისუნარიან ნაწილს და რადგან წარმოება მუდმივი განვითარების პროცესშია, მისი სივრცობრივი განლაგება მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. კერძოდ, ამასთანაა დაკავშირებული თანამედროვე ურბანიზაცია მისთვის დამახასიათებელი ქალაქების დაჩქარებული ზრდით.

დასახელებულ ზოგად კანონებს განეკუთვნება ზემოთ ჩვენ მიერ უკვე განხილული ძირითადი ეკონომიკური ნიშანი მოსახლეობისა — მისი აღიარება მ თ ა ვ ა რ ს ა წ ა რ მ ო ო ძ ა ლ ა დ. მოსახლეობის ყველა ზოგად კანონს აქვს თავისი კონკრეტული გამოვლინებანი გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის პირობებში. თითოეული ფორმაციისათვის დამახასიათებელი წარმოების წესი მოსახლეობის კანონებსა და კანონზომიერებებს ანიჭებს გარკვეულ ეკონომიკურ შინაარსს, ამიტომ ასეთ კანონებს, რომლებიც დამახასიათებელია ერ-

---

[4] В. Г. Давидович. Расселение в промышленных узлах. М., 1960, стр. 15.

თი ან რამდენიმე სოციალ-ეკონომიკური ფორმაციისათვის, მოსახლეობის ეკონომიკურ კანონებს ეუწოდებთ, რადგან ისინი მოცემული ფორმაციის ძირითადი ეკონომიკური კანონებიდან გამომდინარეობენ. კ. მარქსი წერდა: „ყოველ ისტორიულად განსაკუთრებულ წარმოების წესს სინამდვილეში ახასიათებს თავისი განსაკუთრებული ხალხთმოსახლეობის კანონები, რომლებსაც ისტორიული ხასიათი აქვთ"[5].

კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის კ. მარქსი მოსახლეობის ძირითად ეკონომიკურ კანონად თვლიდა ფარდობითი ჭარბი მოსახლეობის წარმოქმნას. კაპიტალის დაგროვების და წარმოების ტექნიკური შეიარაღების ზრდის პარალელურად კაპიტალისტს აღარ ჭირდება მუშახელის ნაწილი და ითხოვს მას წარმოებიდან. ამ გზით წარმოიშვა ბურჟუაზიულ ქვეყნებში ქრონიკული უმუშევრობა. წარმოების კაპიტალისტური წესისათვის თუმცა დამახასიათებელია მრეწველობის სარეზერვო არმიის ჩასახვა და ზრდა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს მოსახლეობის აბსოლუტურ სიჭარბეს. მუშახელის ფარდობითი სიჭარბე იმას ნიშნავს, რომ წარმოების კაპიტალისტურ წესს არ შეუძლია უზრუნველყოს სამუშაო ძალის სრული დასაქმება. ეს მოვლენა განსაკუთრებით ძლიერდება ეკონომიკური კრიზისების დროს, როცა კიდევ უფრო შეზღუდული ხდება შრომის გამოყენების სფერო და იზრდება უმუშევრობა.

წარმოების სოციალისტური წესისათვის დამახასიათებელი მოსახლეობის ეკონომიკური კანონი გამოიხატება შემდეგში: შრომითი რესურსების სრული დასაქმება და მათი რაციონალური გამოყენება, რაც გარანტირებულია გეგმიანი მეურნეობის განვითარების მაღალი ტემპებით. მართალია, მანქანური შრომის დანერგვა სოციალიზმის პირობებშიაც ათავისუფლებს მუშახელის ნაწილს დასაქმების სხვადასხვა სფეროდან, მაგრამ წარმოების სწრაფი აღმავლობა, არსებულ საწარმოთა გაფართოება და ახალი ობიექტების მშენებლობა როგორც საწარმოო, ისე არასაწარმოო დარგებში იწვევს შრომის გამოყენების სფეროს მუდმივ გაფართოებას, მის თვისებრივ გადახალისებას. ეს გარემოება უზრუნველყოფს შრომითი რესურსების სულ უფრო ფართო მასშტაბით ჩაბმას საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში. წარმოების სოციალისტური წესისათვის არ არის დამახასიათებელი უმუშევრობა და მასთან დაკავშირებული ფარდობითი ჭარბი მოსახლეობის წარმოქმნა.

გარკვეულ საზოგადოებრივ ფორმაციაში მოქმედი მოსახლეობის ეკონომიკური კანონი უდიდეს როლს ასრულებს ცხოვრების პირობე-

---

[5] К. Маркс, Ф. Энгельс. Сочинения, издание 2-е, том 23, стр. 646.

ბის შექმნაში და თვით ადამიანების გამრავლებაში, მაგრამ ის არ არის ერთადერთი განმსაზღვრელი დემოგრაფიული სიტუაციისა. მოსახლეობის გამრავლებაზე მოქმედი ფაქტორები მეტად მრავალრიცხოვანია და განეკუთვნებიან როგორც ბუნებრივ-გეოგრაფიულ, ისე სოციალურ-ფსიქოლოგიურ სფეროს. მათი ურთიერთკავშირი და გავლენა მოსახლეობის გამრავლებაზე იმდენად რთულია, რომ არაიშვიათად ერთნაირი დემოგრაფიული სიტუაცია ყალიბდება განსხვავებული ხასიათის პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემების ვითარებაში. ამის მაგალითს იძლევა შობადობისა და სიკვდილიანობის მსგავსი მაჩვენებლები რიგ სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყანაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივ მოვლენათა გადამწყვეტი გავლენა მოსახლეობის გამრავლებაზე არ არის აღიარებული ბურჟუაზიულ მეცნიერებაში. XVIII საუკუნის მიწურულში ინგლისელმა ეკონომისტმა, მღვდელმა თომას მალთუსმა წამოაყენა თეორია, რომ ადამიანების გამრავლება უფრო სწრაფი ტემპით ხდება, ვიდრე არსებობის საშუალებებისა, კერძოდ, სურსათის წარმოების ზრდა, რის შედეგადაც გარდუვალია შიმშილი და სიღატაკე. ასეთი მოსაზრების დასაბუთების მიზნით მალთუსი ადამიანებს აიგივებდა ყოველგვარ ცოცხალ არსებასთან, რომლებსაც აქვთ მუდმივი მისწრაფება გამრავლდნენ უფრო სწრაფად, ვიდრე ეს დასაშვებია მათ განკარგულებაში არსებული საკვების ოდენობით, ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ ადამიანი მოაზროვნე არსებაა და მის მოქმედებაში ინსტინქტთან ერთად მონაწილეობს გონიერება, განსჯა.

მალთუსი თვლიდა, რომ მოსახლეობის გამრავლებას განსაზღვრავს არა სოციალურ-ეკონომიკური პირობები, არამედ ბუნების მარადიული კანონები. „ბუნების მოვლენები — წერდა იგი — ექვემდებარებიან უცვლელ კანონებს, და ჩვენ არა გვაქვს არავითარი უფლება ვიფიქროთ, რომ მას შემდეგ, რაც მსოფლიო არსებობს, მოსახლეობის მართვის კანონებმა განიცადეს რაიმე ცვლილება"[6]. მალთუსის მტკიცებით, მოსახლეობის გაორკეცებისათვის საკმარისია 25 წელი, თუ გამრავლება ხელოვნურად არ შეფერხდა; აქედან აკეთებს დასკვნას, რომ მოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესიით, ხოლო არსებობის საშუალებანი — არითმეტიკული პროგრესიით. სურსათის წარმოების გადიდების შესაძლებლობანი მალთუსს მეტად შეზღუდულად მიაჩნდა, რადგან იშველიებდა ეგრეთ წოდებულ ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების „კანონს". მალთუსის მტკიცებით, კიდევაც რომ შეიძლებოდეს სურსათის წარმოების ზრდა, ასეთი ცდა უნაყოფო იქნებოდა, რადგან სურსათის წარმოების გადიდება კიდევ

---

[6] Мальтус. Опыт о законе народонаселения, СПб., 1868, т. I. стр. 469.

უფრო გაზრდის მის მოხმარებას. ამიტომ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში კი არ ხედავდა ის გამოსავალს, არამედ, — მოსახლეობის ზრდის შემცირებაში, რისთვისაც მოითხოვდა შობადობის შეზღუდვას.

მალთუსის რეაქციული თეორიის მკაცრი კრიტიკა მოგვცეს მარქსიზმის კლასიკოსებმა. ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ, თუ მალთუსს დავუჯერებთ, ქვეყნად შიმშილი და სიღატაკე მშრომელთა ექსპლუატაციის შედეგი კი არ არის, არამედ მოსახლეობის სწრაფი ზრდის გამო ხდება. მალთუსის მტკიცების საწინააღმდეგოდ ფ. ენგელსმა ცხადყო, რომ ადგილი არა აქვს მიწის ნაყოფიერების კლებას; ადამიანის განკარგულებაში მყოფი საწარმოო ძალები, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაჩქარებულ ზრდას. XIX—XX საუკუნეების სინამდვილემ სავსებით დაადასტურა მალთუსის მტკიცებათა უნიადაგობა. მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის შუა წლებიდან მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ტემპი ბევრად დაჩქარდა, სურსათის წარმოების ზრდა მაინც წინ უსწრებს მსოფლიოს მოსახლეობის მატებას.

ჩვენი დროის ნეომალთუსიანელები კიდევ უფრო შორს წავიდნენ და არ ჯერდებიან შობადობის შეზღუდვას, მოითხოვენ — არც მეტი არც ნაკლები — მოსახლეობის არსებული რაოდენობის შემცირებას. ინგლისელი დემოგრაფი ფ. ოსბორნი 1950 წელს გამოცემულ წიგნში წერდა — კარგი იქნება, თუ ევროპის მოსახლეობა 50 მლნ. კაცამდე შემცირდებაო. ნეომალთუსიანური პოზიციებიდან მოითხოვენ მოსახლეობის პრობლემის გადაჭრას: უ. ფოგტი, გ. ბუტული. ე. პენდელი და სხვანი.

ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის საკითხებში არასწორი პოზიცია უკავიათ „ა ნ ტ რ ო პ ო გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ს კ ო ლ ი ს“ წარმომადგენლებს. ყველაზე დასრულებული სახით ეს მიმართულება ჩამოაყალიბა გერმანელმა მეცნიერმა ფრიდრიხ რატცელმა, რომელიც მოღვაწეობდა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში. იგი ცდილობდა გაერკვია ბუნების გავლენა „ადამიანის სულზე და სხეულზე“. გამოდიოდა რა XVIII საუკუნის ფილოსოფოსების და სოციოლოგების (შ. მონტესკიე, ჟ. ბიუფონი და სხვ.) მოსაზრებებიდან ბუნების გადამწყვეტი გავლენის შესახებ ადამიანზე, ფ. რატცელი გეოგრაფიულ გარემოს ანიჭებდა უპირველეს ადგილს საზოგადოების განვითარებაში. ბუნების კანონების გადამწყვეტ გავლენას ფ. რატცელი ხედავდა სახელმწიფოს შექმნაშიც. ამა თუ იმ ტერიტორიის გეოგრაფიული თავისებურებანი მას მიაჩნდა უმნიშვნელოვანეს ფაქტორად სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ადა-

მიანთა საზოგადოების ერთი საფეხურიდან მეორე საფეხურზე გადასვლას ანტროპოგეოგრაფები საფუძვლად უდებენ ადამიანების სიმჭიდროვეს. ამასთან დაკავშირებით რატცელს ის დასკვნა გამოჰქონდა, რომ მაქსიმალური სიმჭიდროვის შექმნა ზღუდავს ქვეყნის განვითარებას და შემდგომი წინსვლისათვის საჭიროა ახალი ტერიტორიები, წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებრივმა განვითარებამ შეიძლება დეგრადაცია განიცადოსო. ანტროპოგეოგრაფიის ეს მცდარი შეხედულებანი გამოიყენეს ცრუ მეცნიერების — „გეოპოლიტიკის" მამამთავრებმა, პირველ ყოვლისა ფაშიზმის იდეოლოგებმა, და ამის საფუძველზე ასაბუთებდნენ გერმანიის მიერ ახალი მიწების დაპყრობის რეაქციულ გეგმებს.

მოსახლეობის შესწავლაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „ადამიანის გეოგრაფიის" ფრანგულ სკოლას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა გეოგრაფმა ვიდალ დე ლა ბლაშმა. ამ სკოლის წარმომადგენლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ადამიანის და ბუნების ურთიერთკავშირს, ადამიანის შეგუებას გარემოსთან, მაგრამ უგულებელყოფენ მოსახლეობას, როგორც ერთიან სოციალურ ორგანიზმს, წარმოგვიდგენენ ადამიანს მისი საწარმოო ურთიერთკავშირისაგან განყენებულად. „ადამიანის გეოგრაფიის" სკოლამ საკმაოდ დიდი გავლენა მოიპოვა საზღვარგარეთის გეოგრაფიულ წრეებში, რაშიაც გარკვეული როლი შეასრულა იმ გარემოებამ, რომ ამ სკოლის წარმომადგენელთა მიერ მიმზიდველად დაწერილი გამოკვლევები დიდი ინტერესით იკითხება.

მოსახლეობის გეოგრაფია არ არის იზოლირებული თავის მომიჯნავე მეცნიერებათაგან. პირველ ყოვლისა მას მჭიდრო კავშირი აქვს სხვა გეოგრაფიულ მეცნიერებებთან — ფიზიკურ და ეკონომიკურ გეოგრაფიასთან. ასეთი კავშირი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მოსახლეობის განვითარება განიცდის მთელი რიგი ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების გავლენას. თვით გავლენის მექანიზმი რომ შევისწავლოთ, აუცილებელია ვიცოდეთ დასახელებულ მოვლენათა ხასიათი, მათი ძირითადი თავისებურებანი. ადგილიდან ადგილზე ბუნებრივი პირობები დიდ ცვლილებებს განიცდიან, ასეთივე დინამიზმით ხასიათდებიან სოციალურ-ეკონომიკური ანუ საზოგადოებრივი მოვლენებიც. ბუნების კომპონენტები მოსახლეობის განლაგებაზე მოქმედებენ როგორც უშუალოდ, ისე წარმოების საშუალებით; წარმოება თავის მხრივ მჭიდრო კავშირშია გეოგრაფიულ გარემოსთან. ეს ურთიერთგანპირობებული, რთული

პირდაპირი და უკუკავშირები მით უფრო ღრმად იქნება შესწავლილი, რაც უფრო სრული წარმოდგენა გვექნება მათ წარმომქმნელ ელემენტებზე. მხოლოდ ამ გზით შეეძლებთ დავადგინოთ მოსახლეობის გეოგრაფიის ობიექტურად არსებული კანონზომიერებანი და მყარ მეცნიერულ საფუძველზე დავაყენოთ მოსახლეობის კომპლექსური კვლევა.

იმასთან დაკავშირებით, რომ მოსახლეობის გეოგრაფია მნიშვნელოვან ადგილს უთმობს მოვლენების გენეზისს, აუცილებელია მისი კავშირი ისტორიულ გეოგრაფიასთან. მსოფლიოს ცალკე კონტინენტების და მათი ნაწილების დასახლება, ადამიანის მიერ ახალი არეალების ათვისება და თანამედროვე იოკუმენის (დასახლებული ტერიტორიის) ჩამოყალიბება ხდებოდა ათასეული წლების მანძილზე მიმდინარე დიდი მიგრაციული პროცესების შედეგად. ისტორიული წარსულის ესა და სხვა ამგვარი მოვლენა გარკვეული საზოგადოებრივი ფორმაციის ვითარებაში წარმოქმნიდა მოსახლეობის განვითარების კონკრეტულ პირობებს, რაც საბოლოოდ თავისებურ წანამძღვრად გვეელინება მოსახლეობის გეოგრაფიის დღევანდელი სურათის ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, თავისთავად დიდ ინტერესს შეადგენს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მოსახლეობის გეოგრაფიის სურათის აღდგენა. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი მეცნიერი სწავლობს მოსახლეობის ისტორიულ გეოგრაფიას[7].

დემოგრაფია მეცნიერების ის დარგია, რომლის მონაცემებს ფართოდ იყენებს მოსახლეობის გეოგრაფია. რაოდენობრივი ცვლილებანი მოსახლეობაში მჭიდრო კავშირშია მის სტრუქტურულ ცვლილებებთან. ერთსაც და მეორესაც პირველ რიგში დემოგრაფია შეისწავლის, მაგრამ იმავე საკითხებით არანაკლებადაა დაინტერესებული მოსახლეობის გეოგრაფია. მათი შესწავლისას მეცნიერების ამ ორი დარგის ინტერესები მნიშვნელოვანწილად ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ მოსახლეობის გეოგრაფიაში უფრო მკვეთრადაა გამოსახული პრობლემებისადმი კომპლექსური მიდგომა და ტერიტორიული ასპექტები, იმ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გახსნა, რომელიც არსებობს ერთი მხრივ მოსახლეობის დინამიკასა და სტრუქტურას, ხოლო მეორე მხრივ—ბუნებრივ-გეოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს შორის.

თუმცა მოსახლეობის გეოგრაფია იყენებს დემოგრაფიული სტატისტიკის რიცხობრივ მონაცემებს, მაგრამ არცთუ იშვიათად საჭიროებს საკუთარი გზით მოპოვებულ მასალებსაც, განსა-

---

7 В. В. Покшишевский, География населения СССР. Экономико-географические очерки. М., «Просвещение», 1971, стр. 20.

კუთრებით, როცა საქმე ეხება მსხვილმასშტაბიან გამოკვლევებს. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანი როლი შეუძლიათ შეასრულონ ცალკეულ უწყება-დაწესებულებასა და საწარმოებში მიღებულმა მონაცემებმა, ექსპედიციებში მოპოვებულმა მასალებმა და სხვ. მოსახლეობის გეოგრაფიის რიგი პრობლემის შესწავლისას საჭირო ხდება ფაქტობრივი მასალის გამოყენება არა მარტო თვით მოსახლეობის შესახებ, არამედ იმ ბუნებრივი და სამეურნეო მოვლენების შესახებაც, რომლებიც პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით დაკავშირებული არიან მოსახლეობის რაოდენობასა და შედგენილობასთან, მის გადაადგილებასთან და ტერიტორიულ ორგანიზაციასთან.

მოსახლეობის გეოგრაფია დიდ ადგილს უთმობს შრომითი რესურსების შესწავლას, რაც განაპირობებს მის კავშირს შ რ ო მ ის ე კ ო ნ ო მ ი კ ა ს თ ა ნ. საწარმოო ფუნქციას უშუალოდ ასრულებენ შრომითი რესურსები ანუ ის კონტაქტები, რომლებიც ჩაბმულნი არიან მეურნეობის დარგებში ან პოტენციურად შეიძლება გამოყენებულ იქნენ საზოგადოებრივ შრომაში. შრომის ეკონომიკა ყურადღებას უთმობს შრომითი რესურსების ეფექტიან გამოყენებას, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებას. ამავე საკითხებისადმი დიდ ინტერესს იჩენს მოსახლეობის გეოგრაფია. ცვლილებანი შრომითი რესურსების რაოდენობასა და შემადგენლობაში ბევრნაირად უკავშირდება მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას, განათლების დონეს, მიგრაციულ პროცესებს და რიგ სხვა მოვლენას, რომლებსაც იკვლევს მოსახლეობის გეოგრაფია. მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს შრომითი კონტინგენტების პროფესიული შემადგენლობის და სახალხო მეურნეობის დარგებში მათი განაწილების კვლევას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ფიზიკური და გონებრივი შრომის დაახლოება და ცოცხალი შრომის ნაცვლად განივთებული შრომის დანერგვა საზოგადოებრივ წარმოებაში, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან.

ე თ ნ ო გ რ ა ფ ი ა და ე თ ნ ო გ ე ო გ რ ა ფ ი ა შეისწავლიან ბევრ ისეთ საკითხს, რომელიც წარმოადგენს აგრეთვე მოსახლეობის გეოგრაფიის კვლევის ობიექტს. ასეთ საკითხებს განეკუთვნება მოსახლეობის ცხოვრების პირობები, კერძოდ, საცხოვრებელი სახლის და დასახლებული პუნქტის ტიპები, ტრადიციულად დამკვიდრებული საწარმოო ჩვევები და კულტურული ცხოვრების დონე, ქალის უფლებრივი მდგომარეობა სხვადასხვა ხალხებში, ეროვნული შემადგენლობა და ეროვნული ტრადიციები, ასიმილაციისა და კონსოლიდაციის პროცესები, სოციალური ყოფის თავისებურებანი და სხვ. რა თქმა უნდა, არის ბევრი ისეთი საკითხიც, რომელსაც შეისწავლის ეთნოგრაფია, მაგრამ არ შედის მოსახლეობის გეოგრაფიის კვლევის სფერო-

ში (მაგალითად, ზოგიერთი რიტუალი ოჯახში, წარსულის ცალკეული გადმონაშთები ყოველდღიურ ყოფაში, ჩაცმულობაში და ა. შ.).

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესწავლისას ყურადღებას იქცევს ანთროპოლოგიის მონაცემები. მეცნიერების ამ დარგის ცნობები ბევრ საინტერესო მასალას შოიცავს რასების წარმოშობისა და განვითარების თვალსაზრისით, ადამიანის ბუნებასთან შეგუებისა და თანამედროვე ეკოლოგიის საკითხებში გარკვევისათვის.

დიდი ადგილი უკავია მოსახლეობის გეოგრაფიაში განსახლების საკითხებს. მათი შესწავლა მჭიდრო კავშირშია ქალაქად და სოფლად გაშლილ მშენებლობასთან. ასეთი მშენებლობა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში მეტად ფართო მასშტაბით წარმოებს და მოწოდებულია გადაწყვიტოს მრავალი ეკონომიკური და სოციალური პრობლემა. ამის შედეგად განსახლება განიცდის უდიდეს ცვლილებებს, რამაც ახალი მოთხოვნები წაუყენა კვლევით მუშაობას ამ სფეროში და გამოიწვია კავშირის გაძლიერება მოსახლეობის გეოგრაფიასა და ქალაქმშენებლობას შორის. ქალაქების შიგადაგევმარება გადამწყვეტ გავლენას ახდენს მათ მორფოლოგიურ სტრუქტურაზე, მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე, მთელი საქალაქო ორგანიზმის ფუნქციონირებაზე. მოსახლეობის გეოგრაფია მოწოდებულია შეისწავლოს ის დადებითი და უარყოფითი მოვლენები, რომლებიც თან სდევს დაჩქარებულ ურბანიზაციას, თავისი გამოკვლევებით ხელი შეუწყოს საქალაქო და სასოფლო განსახლების პროგრესული ფორმების დანერგვას.

მოსახლეობის გეოგრაფიის მომიჯნავე მეცნიერებათა შორის საპატიო ადგილი უკავია კონკრეტულ სოციოლოგიას და სამედიცინო გეოგრაფიას. სოციოლოგიურ გამოკვლევათა შედეგები საინტერესო მასალებს იძლევა მოსახლეობის გამრავლების, მიგრაციული პროცესების და სხვა ანალოგიური საკითხების ფსიქოლოგიური ფაქტორების დასადგენად. ანკეტური გამოკითხვა წარმოდგენას გვაძლევს დემოგრაფიული ქცევის პირად მოტივებზე, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მექანიზმზე. ამავე საკითხებზე მოსახლეობის გეოგრაფია იყენებს სამედიცინო გეოგრაფიის კვლევის შედეგებს. ცალკეულ დაავადებათა ტერიტორიული გავრცელება არცთუ იშვიათად ბუნებრივ პირობებთანაა დაკავშირებული და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შობადობისა და სიკვდილიანობის ნორმების რეგიონულ სხვაობათა წარმოქმნაზე. როგორც კონკრეტული სოციოლოგია, ისე სამედიცინო გეოგრაფია თავის მხრივ ფართოდ იყენებენ მოსახლეობის გეოგრაფიული კვლევის შედეგებს, რაც უფლებას გვაძლევს ვაღიაროთ ამ მეცნიერებათა შორის არსებული მჭიდრო ურთიერთკავშირი.

დაბოლოს, აღსანიშნავია მოსახლეობის გეოგრაფიის კავშირი გამოყენებითი მეცნიერების დარგებთან და პირველ რიგში რაიონულ დაგეგმარებასთან. გარკვეული გაგებით რაიონული დაგეგმარება — ეს კონსტრუქციული ეკონომიკური გეოგრაფიაა; მის მთავარ ღერძს წარმოადგენს ცალკეული რეგიონების მოსახლეობის საქმიანობისა და ტერიტორიული ორგანიზაციის მომავლის გეგმები. რაიონულ დაგეგმარებაში გათვალისწინებულია რეგიონის ბუნებრივი საწარმოო ძალების რაციონალური გამოყენება, ასევე მოსახლეობის, როგორც მთავარი საწარმოო ძალის, რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილებები, საწარმოო და არასაწარმოო სფეროს თითოეული დარგის პერსპექტიული განვითარება, საქალაქო და სასოფლო განსახლების რეკონსტრუქცია. ამ გაანგარიშებებში რაიონული დაგეგმარება ფართოდ იყენებს მოსახლეობის გეოგრაფიის მონაცემებს.

*

მოსახლეობის გეოგრაფიის კვლევის მეთოდები დაფუძნებულია მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიაზე, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ზოგად კანონებზე. ამავე დროს კვლევის მეთოდები უნდა პასუხობდნენ მოსახლეობის გეოგრაფიის მიერ დასახულ მიზნებსა და ამოცანებს, უზრუნველყოფდნენ მოვლენათა დამახასიათებელი ნიშნების გამოვლენას, იმ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას, რომელიც არსებობს მოსახლეობის გეოგრაფიასა და სხვა საზოგადოებრივ მოვლენათა შორის.

მოსახლეობის მრავალი ნიშნის დადგენაში ფართოდ გამოიყენება რაოდენობრივი ანალიზის მეთოდი. რაოდენობრივ მონაცემებს პირველ რიგში აღნუსხავენ სტატისტიკური ორგანოები. მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მაჩვენებლების დადგენა ხდება როგორც მიმდინარე სტატისტიკის, ისე პერიოდული აღწერების შედეგად. ყველა დასახლებული პუნქტის მიხედვით წარმოებს ადამიანის დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების (განქორწინების), საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის თითოეული ფაქტის რეგისტრაცია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ მსრივ მოსახლეობის საყოველთაო აღწერები, რაც პერიოდულად ხორციელდება დაახლოებით ათ წელიწადში ერთხელ. ასეთი აღწერით გამოვლინდება თითოეული ადამიანის დემოგრაფიული მონაცემები: სქესი, წლოვანება, ეროვნება, სოციალური მდგომარეობა, განათლება, პროფესია, საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობა და ა. შ. შემდგომ ეს მონაცემები ჯგუფდება და რაოდენობითი მაჩვენებლების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მოვლენათა დინამიკა ანუ ცვლილებანი დროში;

იმავე რაოდენობითი მაჩვენებლების ანალიზს მივყავართ მოსახლეობის თვისებრივი ნიშნების გახსნამდე.

ფართოდ გამოიყენება მოსახლეობის გეოგრაფიული შესწავლისას ექსპედიციების მეთოდი, როდესაც მკვლევარი უშუალოდ ადგილზე ეცნობა საცხოვრებელი პუნქტების განლაგებას, მათ ფუნქციურ და მორფოლოგიურ ტიპებს, მცხოვრებთა საქმიანობას, ტერიტორიის დასახლებულობას და მრავალ სხვა საკითხს. ექსპედიციების ჩატარება შესაძლებელს ხდის კონტაქტი დამყარდეს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან. ასეთი კონტაქტები (საუბრები) და მატერიალური ობიექტების ვიზუალური გაცნობა საშუალებას მოგვცემს ბევრ ისეთ საკითხს გავეცნოთ, რომელთა შესწავლა მარტო სტატისტიკური მონაცემებით არ მოხერხდება. ექსპედიციების შედეგად გროვდება საინტერესო პირველადი მასალა, შემდეგ ხდება მისი კამერალური დამუშავება.

როგორც სტატისტიკური, ისე საექსპედიციო მასალების კამერალური დამუშავება გულისხმობს აგრეთვე ტოპოგრაფიული რუკების გამოყენებას. იმისდა შესაბამისად, თუ რა ტერიტორიას მოიცავს გამოკვლევა, შეიძლება ვისარგებლოთ სხვადასხვა მასშტაბის რუკებით; რაც უფრო მცირეა საკვლევი ტერიტორია, მით უფრო მსხვილმასშტაბიანი რუკების გამოყენებაა მიზანშეწონილი. განსაკუთრებით სასარგებლოა ტოპოგრაფიული რუკების გამოყენება განსახლების ფორმებისა და ტიპების დადგენისას. გამოკვლევის ტექსტზე მუშაობისას კარგ ეფექტს იძლევა შედარებების მეთოდი. ანალოგიური მოვლენების ან რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების შედარება შეიძლება განხორციელდეს როგორც დროში (პროცესის დინამიურობის გასახსნელად), ისე სივრცეში, — როცა საქმე ეხება რეგიონულ სხვაობათა დადგენას. როდესაც ერთმანეთს ვადარებთ სხვადასხვა მაჩვენებელს ან დამახასიათებელ ნიშნებს, აუცილებელია რომ მასალა იყოს შესადარისი, ესე იგი ჰქონდეთ ტოლფასოვანი მახასიათებლები.

მოსახლეობის გეოგრაფიის თითოეული საკითხის შესწავლა ითვალისწინებს მოვლენათა ლოგიკური კავშირის გახსნას, მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობის გამოვლენას. რაც უფრო რთული და მრავალფეროვანია მოსახლეობის განვითარების პროცესი გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ერთობლიობაში, მით უფრო აუცილებელი ხდება შიგაკავშირების გახსნა, რათა დავადგინოთ ობიექტურად მოქმედი კანონზომიერებანი. მოვლენათა შეცნობის პროცესში მკვლევარი სარგებლობს როგორც ინდუქციის (კერძო ფაქტებიდან განზოგადებაზე გადასვლა), ისე დედუქციის მეთოდით (ზოგადი დებულებებიდან კერძო დასკვნების გამოტანა). რთული საკითხების გახსნისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოვლენათა სისტემურ

ა ნ ა ლ ი ზ ს, რაც გულისხმობს ურთიერთგანპირობებულ მოვლენათა დეტალურ ანალიზს შემდგომი სინთეზის განხორციელებით და ისეთი დასკვნების მიღებას, რომელიც ითვალისწინებს მთლიანად პროცესის განზოგადებულ ხასიათს. სისტემური ანალიზი მოიცავს აგრეთვე მათემატიკური მოდელების გამოყენებას.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოსახლეობის გეოგრაფიულ შესწავლაში კ ა რ ტ ო გ რ ა ფ ი უ ლ მ ე თ ო დ ებ ს, აგრეთვე სხვადასხვა მოვლენების გრაფიკულ გამოსახვას. ფართოდაა გავრცელებული კარტოგრაფიული ხერხებით მოსახლეობის სიმჭიდროვის გამოსახვა, სხვადასხვა სიდიდისა და ფუნქციური დანიშნულების დასახლებული პუნქტების ჩვენება. კარტოსქემებით შეიძლება აისახოს ბევრნაირი დემოგრაფიული მაჩვენებელი, აგრეთვე მოსახლეობის განათლების დონე, ჯანმრთელობის დაცვის ქსელი და ინფრასტრუქტურის ბევრი სხვა დარგი.

*

თუმცა მოსახლეობის გეოგრაფია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, ჩვენ დროში ჩამოყალიბდა, მაგრამ მოსახლეობის შესწავლით გეოგრაფები ძველთაგანვე იყვნენ დაინტერესებული. ცნობებს ამა თუ იმ ქვეყნის მცხოვრებთა შესახებ ჩვენ ვხედებით მრავალ გეოგრაფიულ ნაწარმოებში. შედარებით სისტემატური ხასიათი მიიღო ასეთი ცნობების გამოქვეყნებამ XVIII—XIX საუკუნეებში, როდესაც ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ-გეოგრაფიული აღწერილობანი მეცნიერულ საფუძველზე იქმნებოდა. XVIII ს. პირველ ნახევარში სხვადასხვა მონაცემები მაშინდელი რუსეთის მოსახლეობის შესახებ გამოაქვეყნა ცნობილმა გეოგრაფმა და ისტორიკოსმა ვ. ნ. ტატიშჩევმა. იმავე საუკუნის შუა ხანებს განეკუთვნება დიდი რუსი მეცნიერის მ. ვ. ლომონოსოვის გეოგრაფიული შრომები, რომლებიც ეკონომიკური გეოგრაფიის ცალკეულ ასპექტებს შეეხებიან და მათ შორის მოსახლეობის რიგ საკითხსაც ნათელს ფენენ.

გიულდენშტედტმა კავკასიაში მოგზაურობისას შეაგროვა და შემდეგ გამოსცა ზოგიერთი ცნობები XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოს მოსახლეობაზე.

XIX ს. მოსახლეობის შესწავლას მიუძღვნეს თავისი გამოკვლევები რუსმა მეცნიერებმა კ. ი. არსენიევმა, პ. პ. სემიონოვ-ტიან-შანსკიმ, ა. ი. ვოეიკოვმა, აგრეთვე მრავალმა ეკონომისტმა, ისტორიკოსმა, სტატისტიკოსმა, ეთნოგრაფმა, მედიკმა. მათ შრომებში მოტანილია ბევრი საინტერესო გეოგრაფიული და დემოგრაფიული ცნობა მაშინდელი რუსეთის მოსახლეობის შესახებ, მაგრამ ყველა ეს გამოკვლევა უპირა-

ტესად აღწერილობითი ხასიათისაა და მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს მოსახლეობის გეოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, მიზნებსა და ამოცანებს. ამ მხრივ გამოირჩევა ბ. პ. სემიონოვ-ტიან-შანსკის შრომა „ევროპული რუსეთის ქალაქი და სოფელი", რომელიც 1910 წელს გამოიცა და ეყრდნობა რუსეთის მოსახლეობის 1897 წლის პირველი საყოველთაო აღწერის მასალებს. ამ წიგნში საკმაოდ სრულადაა განხილული საქალაქო და სასოფლო განსახლების საკითხები, მაგრამ მთლიანად ნაშრომი ატარებს დასავლეთევროპული ანთროპოგეოგრაფიის სკოლის ზეგავლენის ნიშნებს.

უკვე საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბ. პ. სემიონოვ-ტიან-შანსკის შეადგინა მოსახლეობის სიმჭიდროვის მსხვილმასშტაბიანი რუკები ძის ბიერვე შემუშავებული მეთოდის საფუძველზე.

რუსეთის მოსახლეობის რიგ საკითხს დიდი ყურადღება დაუთმო ვ. ი. ლენინმა თავის კლასიკურ ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", რომელიც XIX ს. მიწურულში გამოქვეყნდა. ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საგლეხო რეფორმის შემდეგ გაძლიერებულ მიგრაციულ პროცესებს და მათ მიიჩნევდა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთ გამოვლინებად. ამავე დროს იგი ამხილებდა მეფის მთავრობის რუსიფიკატორულ პოლიტიკას, როდესაც კავკასიაში არსებული თავისუფალი მიწის ნაკვეთებზე ადგილობრივ უმიწაწყლო გლეხებს კი არ ასახლებდნენ, არამედ ამ მიწებს რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან ჩამოსახლებულებს ურიგებდნენ. დიდ ყურადღებას უთმობდა ვ. ი. ლენინი XIX ს. მეორე ნახევარში ქალაქების დაჩქარებულ ზრდას და მრეწველობის განვითარების შედეგად მოსახლეობის საქმიანობაში მომხდარ ცვლილებებს, რაც კაპიტალიზმის აღმავლობით იყო გამოწვეული.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი ორი ათეული წლის მანძილზე ეკონომიკურ-გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომებში მოსახლეობის საკითხები ჯერ კიდევ არ იყო შესაბამისად გაშუქებული. საბჭოთა ეკონომიკურ-გეოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი ნ. ნ. ბ ა რ ა ნ ს კ ი სამართლიანად წერდა უფრო მოგვიანებით, რომ აღნიშნულ პერიოდში, აკრიტიკებდნენ რა წინანდელ ანტროპოგეოგრაფიულ შეხედულებებს, სანაცვლოდ მოსახლეობის მეცნიერული შესწავლის დარგში ახალი არაფერი შექმნილა და, საერთოდ, „ადამიანი დაივიწყეს".

თუმცა 1930-იან წლებში გაჩნდა ცალკეული შრომები ქალაქების შესახებ, მაგრამ მოსახლეობის გეოგრაფიის დამოუკიდებელი განვითარება სსრ კავშირში მაინც ჩვენი საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება. ამ მხრივ დიდი დამსახურება მიუძღვით: ნ. ნ. ბარანსკის, რ. მ. კაბოს, ე. ვ. პოკშიშევსკის, ნ. ი. ლიალიკოვს, ი. გ. საუშკინს, ო. ა. კონსტანტინოვს. მათ გამოაქვეყნეს საინტერესო შრომები მოსახლეობის გეოგრა-

ფიაში და ბევრად გააფართოვეს ამ მეცნიერების მიერ შესწავლილი საკითხების წრე; საფუძველი ჩაუყარეს მოსახლეობის გეოგრაფიული კვლევის მეთოდებს და გააღვიძეს ინტერესი მოსახლეობისა და განსახლების საკითხებისადმი.

უკვე 50-იანი წლებიდან მოსახლეობის შესწავლაში ჩაება ეკონომისტ-გეოგრაფების მნიშვნელოვანი კადრები. სწრაფად ფართოვდებოდა გამოქვეყნებული შრომების თემატიკა, გამოიკვეთა კავშირი მომიჯნავე მეცნიერებებთან, გაძლიერდა შესრულებული შრომების გამოყენებითი მნიშვნელობა. 60-იანი წლებიდან, 5—6 წელიწადში ერთხელ იმართება საკავშირო სამეცნიერო თათბირები მოსახლეობის გეოგრაფიაში. 1962—1979 წლებში გაიმართა ოთხი ასეთი თათბირი, რომლებმაც არა მარტო განიხილეს მრავალი მოხსენება, არამედ ხელი შეუწყეს ამ სფეროში მეცნიერული შრომების გამოქვეყნებას; თითოეულ თათბირს წინ უძღოდა სტატიების კრებულების გამოცემა.

საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის კომპლექსურ გეოგრაფიულ გამოკვლევებთან ერთად, დიდი ადგილი დაიკავა მოსახლეობის ცალკეულ პრობლემებისადმი მიძღვნილმა მონოგრაფიებმა; შეიქმნა თავისებური სპეციალიზაცია კვლევის ამ სფეროში. მოსახლეობის გეოგრაფიული შესწავლის ზოგად თეორიულ საკითხებს არაერთი შრომა მიუძღვნა ვ. ვ. პოკშიშევსკიმ, ქალაქების გეოგრაფიის დარგში ცნობილია ვ. გ. დავიდოვიჩის და ო. ა. კონსტანტინოვის გამოკვლევები, სასოფლო განსახლების შესწავლას ეძღვნება ს. ა. კოვალიოვის შრომები. მნიშვნელოვანი შრომა გასწიეს მოსახლეობის გეოგრაფიის განვითარებაში საბჭოთა გეოგრაფებმა — ა. ა. მინცმა, გ. მ. ლაპომ, ვ. ვ. ვორობიოვმა. ბ. ს. ხორევმა, ნ. ი. ბლაჟკომ, ვ. ი. პერევედენცევმა, ს. ი. ბრუკმა და სხვებმა.

სისტემატურად ფართოვდება მოსახლეობის გეოგრაფიის კვლევის სფერო. სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება მიექცა მოსახლეობის ცხოვრების დონისა და მომსახურების საკითხების შესწავლას, ეთნოგეოგრაფიულ კვლევას. მოსახლეობის გეოგრაფია გადაიქცა საბჭოთა ეკონომიკური გეოგრაფიის სწრაფად განვითარებად განშტოებად.

თავი მეორე

მოსახლეობის რიცხოვნობა და კვლავწარმოება

ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ მოსახლეობის ერთ-ერთი ზოგადი კანონია მისი მარადიული განახლება, თაობათა მუდმივი ცვლა. ამ კანონის მოქმედება პირველ ყოვლისა ადამიანთა რიცხოვნობის ცვლილებებში გამოისახება. მოსახლეობის გეოგრაფიის ამოცანაა შეისწავლოს ეს ცვლილებანი, შეიცნოს ის მოვლენები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსახლეობის კვლავწარმოებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის დაბადება ან გარდაცვალება თავისთავად ბიოლოგიური მოვლენაა და მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ამსახველია, ამ ფიზიოლოგიური ფაქტების ერთობლიობა არ შეიძლება შეცნობილ იქნეს სოციალურ-ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ მოვლენებისაგან განყენებულად. გარკვეული დროის მანძილზე ამა თუ იმ ტერიტორიაზე დაბადებულთა ან გარდაცვლილთა რაოდენობა არ წარმოადგენს მარტო ფიზიოლოგიურ მოვლენათა უბრალო ჯამს, არამედ მნიშვნელოვანი სოციალური პროცესია და ამდენად საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლის სფეროშია მოქცეული.

თუ მსოფლიოს მოსახლეობას მთლიანად განვიხილავთ, მისი რიცხოვნობის ცვალებადობა, ცხადია, დამოკიდებული იქნება ბუნებრივ მოძრაობაზე, ანუ გარკვეულ დროში დაბადებულთა და გარდაცვლილთა შორის რაოდენობრივ სხვაობაზე. ცალკეული ქვეყნების ან კონტინენტების მოსახლეობის რიცხოვნობაზე კი, ბუნებრივ მოძრაობასთან ერთად, მნიშვნელოვანი გავლენა შეუძლია მოახდინოს მცხოვრებთა ტერიტორიულმა გადაადგილებამ, ანუ მიგრაციულმა პროცესებმა.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შემადგენელი ელემენტებია ადამიანის დაბადება და გარდაცვალება. ამ მოვლენათა რაოდენო-

ბრივი მაჩვენებლები შობადობის და სიკვდილიანობის კოეფიციენტებია და გამოისახება პრომილებში (‰). ყოველ ათას მცხოვრებზე ერთი წლის მანძილზე დაბადებული ბავშვების რაოდენობას ვუწოდებთ შობადობის კოეფიციენტს, ხოლო გარდაცვლილთა რაოდენობას — სიკვდილიანობის კოეფიციენტს. ორ დასახელებულ დემოგრაფიულ მაჩვენებელს შორის სხვაობას ეწოდება მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი.

თანამედროვე მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში წარმოებს ადამიანის დაბადების ან გარდაცვალების თითოეული ფაქტის რეგისტრაცია. მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვა ახდენს აგრეთვე ქორწინების, განქორწინების და მცხოვრებთა ტერიტორიული გადაადგილების ფიქსირებას. თითქმის ყველა ქვეყანაში ხორციელდება მოსახლეობის პერიოდული საყოველთაო აღწერები. ამის შედეგად, აგრეთვე შერჩევითი დემოგრაფიული გამოკვლევების გზით ხდება მრავალი დემოგრაფიული მაჩვენებლის დადგენა. მთელი ეს სტატისტიკური მასალა საშუალებას იძლევა გავერკვეთ არა მარტო მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაში, არამედ სხვა სოციალურ-დემოგრაფიულ მოვლენებშიც.

იმის გამო, რომ ბიოლოგიური და საზოგადოებრივი ფაქტორები სხვადასხვა მასშტაბითა და მიმართულებით ახდენენ გავლენას დემოგრაფიული სიტუაციის ჩამოყალიბებაზე, პირველ რიგში კი შობადობასა და სიკვდილიანობაზე, მიზანშეწონილია ბუნებრივი მოძრაობის ეს უმნიშვნელოვანესი ელემენტები ცალ-ცალკე განვიხილოთ.

შობადობა. შობადობაზე მოქმედი ფაქტორების მრავალფეროვნება მეტად ართულებს მის კანონზომიერებათა დადგენას. როგორც ზოგადი კანონზომიერება, შეიძლება აღინიშნოს, რომ საწარმოო ძალების განვითარების პარალელურად შობადობის კოეფიციენტი ამჟღავნებს შემცირების ტენდენციას. ასეთი სურათი წარმოგვიდგება, თუ თვალს გადაავლებთ საუკუნეების მანძილზე გლობალური მასშტაბით დემოგრაფიული პროცესების მსვლელობას, მაგრამ თითოეულ ქვეყანაში შექმნილი საზოგადოებრივი ცხოვრების დამახასიათებელი ნიშნები, ეთნიკური თავისებურებები, კონკრეტული ისტორიული ვითარება ამ დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე მოქმედი მრავალფეროვანი ფაქტორების ისეთ ურთიერთშეთანაწყობას წარმოქმნის, რომ შობადობის სრულიად განსხვავებული ვარიანტები ყალიბდება.

შობადობაზე მოქმედი ფაქტორები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: ბუნებრივ-ბიოლოგიური და სოციალურ-საზოგადოებრივი. ბიოლოგიური ფაქტორების განხილვა ჩვენი შესწავლის საგანს არ წარმოადგენს და აქ მხოლოდ შემდეგს აღვნიშ-

ნავთ. ნორმალურ პირობებში ქალი ბავშვს აჩენს 16—17 წლიდან 45—50 წლამდე. ამ ხნის მანძილზე ჯანმრთელი ქალის ფიზიოლოგიური მონაცემები შესაძლებელს ხდის იმშობიაროს საშუალოდ 10—12-ჯერ. როდესაც არ გამოიყენება ხელოვნური რეგულირება, ბავშვების გაჩენა უახლოვდება დასახელებულ ფიზიოლოგიურ ნორმას და ასეთ შემთხვევაში შობადობის კოეფიციენტი შეადგენს 50‰-ს, შესაძლოა 60‰-საც. ეს შობადობის მაქსიმალური ნორმაა და უახლოეს წარსულში იგი დამახასიათებელი იყო აფრიკის ზოგიერთი ხალხისათვის, შეინიშნებოდა მსოფლიოს სხვა კონტინენტებზეც. იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე დიდად შემცირდა სიკვდილიანობა და ამან გამოიწვია მკვეთრი ცვლილებები მცხოვრებთა ასაკობრივ სტრუქტურაში, მოსახლეობის ყველაზე სწრაფადმზარდ ქვეყნებშიც კი ამჟამად შობადობის კოეფიციენტი არ აღემატება 40—45‰-ს.

ბიოლოგიურ ფაქტორებს როცა ვეხებით, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქალს ან მამაკაცს შეიძლება ჰქონდეს ისეთი გადახრები ნორმალური ფიზიოლოგიური მდგომარეობიდან, რომლებიც გამორიცხავენ შვილის გაჩენის შესაძლებლობას. ზოგ შემთხვევაში ასეთი დარღვევები ორგანიზმში დროებითია და გარკვეული მკურნალობის შემდეგ ადამიანს აღუდგება შვილის გაჩენის უნარი, ზოგჯერ კი მეუღლეთა წყვილი უშვილოა. ასეთი მოვლენა არც ისე იშვიათია და შეადგენს ქორწინებათა საერთო რიცხვის 5—10%-ს, ამიტომ ფიზიოლოგიური მდგომარეობით გამოწვეული უშვილობა რჩება შობადობაზე გავლენის მომხდენ ერთ-ერთ საყურადღებო ფაქტორად.

ბევრად უფრო მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ფაქტორები, რომელთა გავლენა შობადობაზე ხდება სხვადასხვა მასშტაბით და ოჯახში შვილების გაჩენის ზოგჯერ შემაფერხებელ, ზოგჯერ კი წამახალისებელ მომენტად გვევლინება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალის უფლებრივ მდგომარეობას ოჯახში. თუ ქალის ემანსიპაცია სრულადაა განხორციელებული და მისი უფლებრივი მდგომარეობა რეალურად გათანაბრებულია მამაკაცის მდგომარეობასთან, მას ეძლევა შესაძლებლობა გადამწყვეტი როლი შეასრულოს შვილების რაოდენობის დადგენაში. სრულუფლებიან ქალს შეუძლია მეუღლესთან შეთანხმებით იმდენი შვილი გააჩინოს, რამდენიც მათ მიაჩნიათ მიზანშეწონილად, ანუ მოახდინონ შობადობის ხელოვნური რეგულირება. ასეთ შესაძლებლობებს მოკლებულია ქალი იმ საზოგადოებაში, სადაც მის ადგილს შემოზღუდავენ მხოლოდ შვილების გაჩენით და აღზრდით. ბევრ ქვეყანაში ქალის უფლებრივი გათანაბრება მამაკაცთან რეალურად ჯერ კი-

დევ არაა მიღწეული. საქმე მარტო იურიდიული კანონების მიღება კი არ არის, არამედ იმ დაბრკოლებათა დაძლევაა, რომლებსაც ქმნიან ქალის უუფლებობის გადმონაშთები სხვადასხვა ხალხში — რელიგიური დოგმები, მემკვიდრეობით მიღებული ტრადიციები და ა. შ. ეჭვს არ იწვევს შემდეგი კანონზომიერება: რაც უფრო სრულუფლებიანია ქალი, მით უფრო მეტია შობადობის ხელოვნური რეგულირების შესაძლებლობანი.

ძნიშვნელოვანი ფაქტორია მოსახლეობის კულტურული დონე. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში შეინიშნებოდა, რომ კულტურულად უფრო დაწინაურებულ რომაელებში გავრცელებული იყო მცირეშვილიანობა, ხოლო გერმანელთა ტომებში, რომლებიც განვითარების ბევრად უფრო დაბალ დონეზე იყვნენ, — მრავალშვილიანობა[1]. უახლესი სოციოლოგიური გამოკვლევებით და სტატისტიკური ანალიზით დასტურდება, რომ კულტურის განვითარება ხელს არ უწყობს მრავალშვილიანობას. განათლების საყოველთაოდ გავრცელების პარალელურად იზრდება ადამიანების მოთხოვნილება ცხოვრების კომფორტზე. კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შემაფერხებელ გარემოებად იქცევა შვილების გაჩენაში. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია უმაღლესი განათლებისაკენ მისწრაფება. იმისათვის, რომ ახალგაზრდამ დაამთავროს უმაღლესი სასწავლებელი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გახდეს კვალიფიციური სპეციალისტი, იგი ხშირად ოჯახს ქმნის არა 17—18 წლის ასაკში, როგორც ეს წინათ იყო, არამედ 25—30 წლის ასაკში. ასეთ შემთხვევაში ქალისათვის მცირდება ფერტილისის (ნაყოფიერების) პერიოდი (ასაკის პერიოდი, როდესაც ქალს შეუძლია გააჩინოს ბავშვი). ეს გარემოება საბოლოოდ ამცირებს შობადობის კოეფიციენტს. ამრიგად, კულტურის განვითარება ხელს უწყობს დაგვიანებული ქორწინების გავრცელებას. ეს უკანასკნელი მოვლენა ძლიერდება აგრეთვე მიგრაციული პროცესების შედეგად. ახალ საცხოვრებელ ადგილას ადამიანს ჭირდება არცთუ მცირე დრო ადაპტაციისათვის გარკვეული მატერიალური მდგომარეობის შექმნისათვის, საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში დამკვიდრებისათვის. ბევრი ახალგაზრდა ყველა ამ საკითხის გადაჭრის შემდეგ ქმნის ოჯახს.

დემოგრაფიულ ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით მტკიცებას, რომ მატერიალური ცხოვრების დონე უკუპროპორციულია შობადობის დონისა, ანუ რაც უფრო ღარიბია ოჯახი, მით უფრო მეტია ოჯახში ბავშვების რაოდენობა. ეს

[1] Тацит Корнелий. Германия. Сочинения, т. 2, СПб, 1887, стр. 152.

დებულება მოითხოვს დაზუსტებას. პარადოქსული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ სიღარიბეა უშუალო მიზეზი ოჯახის მრავალშვილიანობისა. საქმე ისაა, რომ უმეტეს შემთხვევაში ღარიბ ოჯახში დაბალია განათლების დონე, ამის გამო მშობლები დიდ მოთხოვნებს არ უყენებენ შვილების აღზრდას და არც შობადობის ხელოვნურ რეგულირებას ახორციელებენ. ასე რომ, აქაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ადამიანის კულტურას ენიჭება. სიღარიბის როლი იმაში გამოისახება, რომ იგი ხშირად მიზეზი ხდება კულტურული ჩამორჩენილობისა. ამავე დროს მასიურად შეიძლება შეხვდეთ ხელმოკლე ინტელიგენტის ოჯახს, რომელიც არ გამოირჩევა მრავალშვილიანობით.

შობადობის სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანია ურბანიზაცია ანუ თანამედროვე ქალაქების სულ უფრო მზარდი როლი ცხოვრების ყველა სფეროში. აღსანიშნავია ურბანიზაციის შობადობაზე გავლენის მექანიზმის სირთულე. მოსახლეობის დიდი რაოდენობით თავმოყრა ქალაქებში განაპირობებს შობადობის შემცირებას იმის გამო, რომ ქალაქური ცხოვრების წესისათვის თავისთავად დამახასიათებელია მცირეშვილიანობა. თანამედროვე ქალაქებში, განსაკუთრებით მსხვილ ქალაქებში, მუდმივად ფართოვდება შრომის გამოყენების სფერო. ეს გარემოება ხელს უწყობს ქალების ფართოდ ჩაბმას საზოგადოებრივ შრომაში. ასეთ ვითარებაში ქალი თავს არიდებს მრავალშვილიანობას და, როგორც წესი, ერთი ან ორი შვილის გაჩენით კმაყოფილდება. ეს გარემოება უფრო მკვეთრადაა გამოსახული იმ ოჯახებში, სადაც ბავშვის აღზრდაში არ მონაწილეობს ბებია ან საზოგადოებრივი საქმიანობისაგან თავისუფალი ოჯახის სხვა წევრი. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ქალაქად ბავშვის აღზრდა უფრო მეტ ყურადღებას და დროს მოითხოვს მშობლებისაგან.

არანაკლებ საყურადღებოა ურბანიზაციის არაპირდაპირი გავლენა შობადობაზე. ჯერ ერთი, ურბანიზაცია დიდად აჩქარებს მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას; მეორეც, იგი ხელს უწყობს მიგრაციული პროცესების ფართოდ გავრცელებას, პირველ რიგში — სოფლიდან ქალაქისაკენ მოსახლეობის გაძლიერებულ დენას. ურბანიზაციით გამოწვეული ორივე ეს მოვლენა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამცირებს შობადობის კოეფიციენტს. სოფლიდან ქალაქად მოსახლეობის მასობრივ გადასვლას, შობადობაზე გავლენის თვალსაზრისით, ის უარყოფითი შედეგიც ახლავს, რომ მიგრანტთა შორის ჭარბობს ახალგაზრდობა და სოფლად მკვეთრად მცირდება იმ ასაკობრივი ჯგუფების ხვედრითი წონა, რომლებზედაც მოდის მოსახლეობის ბუნებრივი გამრავლება. ეს გარემოება კი სოფლად ამცირებს შობადობის კოეფიციენტს. ამ მხრივ საინტერესოა

შემდეგი ფაქტი: ტრადიციულად სოფელში უფრო მაღალი იყო შობადობა, ვიდრე ქალაქში, უკანასკნელი 10—15 წლის მანძილზე კი ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, რომლებისთვისაც დამახასიათებელია გაძლიერებული მიგრაცია, არცთუ იშვიათად ქალაქი შობადობის ნორმით უსწრებს სოფელს.

მეტად უარყოფითია შობადობაზე ომების გავლენა. ომის წლებში შობადობის კოეფიციენტი მკვეთრად ეცემა არა მარტო იმის გამო, რომ შამაკაცები ფრონტზე მიდიან და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი იღუპება, რის შედეგადაც ოჯახი იშლება, არამედ იმის გამოც, რომ მკვეთრად ირღვევა მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა: ომისა და მის მომდევნო ხანგრძლივ პერიოდში ქალები ბევრად მეტია მამაკაცებზე და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მოკლებულია ოჯახის შექმნის შესაძლებლობას. ამ მხრივ მეტად მძიმე იყო მეორე მსოფლიო ომის შედეგები, ომის მიზეზით საბჭოთა კავშირში და ევროპის სხვა ქვეყნებში აღარ შექმნილა მრავალი მილიონი პოტენციური ოჯახი, რის გამოც მსოფლიოში არ დაიბადა ათეული მილიონობით ბავშვი.

შობადობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს რელიგიური რწმენა და მისი გავლენით დამკვიდრებული ტრადიციები. მსოფლიოს ისეთი უდიდესი რელიგიები, როგორიცაა ინდუიზმი, ისლამი, კათოლიციზმი, ყოველმხრივ ხელს უწყობს ოჯახში მრავალშვილიანობას. ამ მხრივ უფრო ნაკლებ აქტივობას იჩენენ ბუდიზმი და ქრისტიანობის ზოგიერთი მიმართულება (მაგალითად, მართლმადიდებლობა), მაგრამ ზოგადად რელიგიური რწმენა მხარს უჭერს შთამომავლობის გაგრძელებას. განსაკუთრებით გამოკვეთილად ჩანს ისლამის როლი მრავალშვილიანობის მხარდაჭერაში. შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ ამჟამად იმ ქვეყნებში, სადაც ისლამია გავრცელებული, მეტად მაღალ დონეზეა შობადობა. აქვე უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ ხალხებში რელიგიის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმნიშვნელოა და ასევე სუსტია მისი გავლენა შობადობაზე[2]. მაგრამ რელიგიის ხელშეწყობით დამკვიდრებული ტრადიციები ზოგჯერ შესამჩნევ როლს ასრულებს ოჯახის შექმნასა და მრავალშვილიანობის შენარჩუნებაში.

შობადობაზე მოქმედი ტრადიციები მარტო რელიგიური რწმენის გავლენით არ შექმნილა. ისინი სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების ჯგუფს მიეკუთვნებიან და ზოგიერთი ხალხის ეროვნულ ნიშანსაც წარმოადგენენ. ბევრი ტრადიცია ჯერ კიდევ პირ-

---

2 В. Н. Козлов. Динамика численности народов. «Наука», М., 1969, стр. 148—162.

ველყოფილი საზოგადოებიდან იღებს საწყისებს. მრავალშვილიანობას და დიდ ოჯახს ციეილიზაციის ადრეულ საფეხურებზე ჩაეყარა საფუძველი. მაგრამ ცხოვრების მძიმე პირობების გამო მაშინ მეტად მაღალი იყო სიკვდილიანობა და შთამომავლობის შენარჩუნების ინსტინქტი მშობლებს კარნახობდა ბავშვების დიდი რაოდენობით გაჩენას. სიკვდილიანობა ბავშვებს შორის უახლოეს წარსულშიაც მაღალ დონეზე იყო და ეს გარემოება ოჯახს აიძულებდა ბევრი შვილი ჰყოლოდა, რადგან რამდენიმეს მაინც გაზრდიდა. ამრიგად, მ ა ღ ა ლ ი ს ი კ ვ დ ი ლ ი ა ნ ო ბ ა თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ მ ა ღ ა ლ ი შ ო ბ ა დ ო ბ ი ს ძ ი ზ ე ზ ა დ გ ვ ე ვ ლ ი ნ ე ბ ა. აქედან ის დასკვნაც შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ ბავშვთა შორის დაბალი სიკვდილიანობის ვითარებაში სუსტდება მიდრეკილება მრავალშვილიანობისაკენ. და მართლაც, ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში უკანასკნელი ათეული წლების დემოგრაფიული სტატისტიკა ნათლად ადასტურებს ამ გარემოებას.

განქორწინებას ანუ ოჯახის დაშლას თან ახლავს ბევრი უარყოფითი სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენა: მცირდება ბავშვების გაჩენის შესაძლებლობა, რთულდება დედის, როგორც აღმზრდელის მოვალეობა, რაც ზოგჯერ აფერხებს მოზარდის მორალურ სრულყოფას. განქორწინება გახშირდა ურბანიზაციის განვითარების პარალელურად, განსაკუთრებით მაღალ დონეს აღწევს იგი დიდ ქალაქებში, სადაც ყოველ 100 ქორწინებაზე მოდის 35—37 განქორწინება.

სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ს კ ო ლ ა მ დ ე ლ ი ს ა ბ ა ვ შ ვ ო დ ა წ ე ს ებ უ ლ ებ ებ ი თ უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ა ს. როდესაც ოჯახში არ არის სხვა დამხმარე აღმზრდელი, მცირეწლოვანი შვილის დედას მაშინ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომაში, თუ ის სარგებლობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მომსახურებით. ასეთი დაწესებულებების სიმცირე ხშირად გვევლინება შობადობის შემზღუდველ ფაქტორად. მნიშვნელობა აქვს არა მარტო აღნიშნული დაწესებულებების რაოდენობას, არამედ იმასაც, თუ რა დონეზეა იქ ბავშვების აღზრდა, მათი მოვლა-პატრონობა.

შობადობაზე მოქმედი დასახელებული ფაქტორები, როგორც საზოგადოებრივი მოვლენები, თავის მხრივ განპირობებულნი არიან ს ა წ ა რ მ ო ო ძ ა ლ ე ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს დ ო ნ ი თ და ა რ ს ებ უ ლ ი ს ა წ ა რ მ ო ო უ რ თ ი ე რ თ ო ბ ე ბ ი თ. იმის გამო, რომ ხშირად შობადობაზე ერთდროულად გავლენას ახდენს ფაქტორების მთელი ჯგუფი, ზემოქმედების შედეგი შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ცალკე აღებული რომელიმე ფაქტორის ხასიათს. ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ზოგჯერ ერთ რომელიმე ფაქტორს ენი-

ჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა, ხოლო დანარჩენთა მონაწილეობა დემოგრაფიული სიტუაციის ჩამოყალიბებაში არ შეიმჩნევა ან მეტად სუსტადაა გამოსახული. ამავე დროს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ დადგენილ დ ე მ ო გ რ ა ფ ი უ ლ პ ო ლ ი-ტ ი კ ა ს, რის შედეგადაც შეიძლება განხორციელდეს შობადობის რეგულირება ქვეყნის მასშტაბით.

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობის დაჩქარებულმა ზრდამ და ამ მაჩვენებლის დიდმა სხვაობებმა კონტინენტებისა და ქვეყნების მიხედვით ბევრად გაზარდა სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევა დემოგრაფიული პროცესების რეგულირებაში. ბევრ განვითარებად ქვეყანაში (ინდოეთი, სიაეთი, ინდონეზია, ბანგლადეში, ფილიპინები და სხვა) მოსახლეობის მეტად მაღალი ბუნებრივი მატების შედეგად მრავალი მწვავე პრობლემა წარმოიშვა და ხელისუფლების ორგანოები იძულებულნი გახდნენ განეხორციელებინათ შობადობის შემზღუდველი ბევრი ხელოვნური ღონისძიება. ამ ქვეყნებში ნებადართულია ბავშვის ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატების გამოყენება, პროპაგანდას უწევენ მცირეშვილიანი ოჯახების არსებობას. ჩინეთში აკრძალულია ოჯახის შექმნა ქალებისათვის 25 წლამდე, კაცებისათვის კი 30 წლამდე. დიამეტრალურად საწინააღმდეგო დემოგრაფიულ პოლიტიკას ახორციელებენ ინდუსტრიულად განვითარებულ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (საფრანგეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია), აგრეთვე საბჭოთა კავშირში. კერძოდ ჩვენს ქვეყანაში დაწესებულია მატერიალური დახმარება იმ ოჯახებისათვის, სადაც ჰყავთ 3 და მეტი შვილი, ათი შვილის გაზრდის შემთხვევაში ქალს ენიჭება „გმირი დედის“ საპატიო წოდება და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ არაერთ განვითარებად ქვეყანაში შემოღებულია შობადობის შემზღუდველი ღონისძიებანი, მთლიანად ამ ქვეყნებში (რომლებშიც ცხოვრობს დაახლოებით მსოფლიოს მთელი მოსახლეობის 4/5) ჯერჯერობით შობადობა კვლავ მაღალ დონეზეა და ეს უმნიშვნელოვანესი დემოგრაფიული მაჩვენებელი საშუალოდ მთელ მსოფლიოში ამჟღავნებს ნელი ტემპით შემცირების ტენდენციას. 1965 წელს საშუალოდ მსოფლიოში ყოველ 1000 მცხოვრებზე იბადებოდა 34 ბავშვი, 1974 წელს კი 30 ბავშვი.

სიკვდილიანობა. შობადობასთან ერთად მოსახლეობის კვლავწარმოებაში დიდ როლს ასრულებს სიკვდილიანობა, რომელიც ასევე დაკავშირებულია ბუნებრივ-ბიოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან. აღსანიშნავია, რომ სიკვდილიანობა კიდევ უფრო მჭიდრო კავშირშია ბუნებრივ პირობებთან, ვიდრე შობადობა.

ბუნებრივი გარემო, კერძოდ, მისი ძირითადი კომპონენტები— რელიეფი, კლიმატი, წყალი, ნიადაგები ქმნიან გარკვეულ პირობებს,

რითაც ხელს უწყობენ ან გამორიცხავენ ადამიანის ცხოვრებას ამა თუ იმ ტერიტორიაზე. დედამიწაზე არის ისეთი ადგილები, სადაც ადამიანს არ შეუძლია მუდმივად იცხოვროს და იშრომოს ანუ შექმნას არსებობის ნორმალური პირობები. ასეთ ადგილებს მიეკუთვნება ანტარქტიდის ერცელი კონტინენტი, უდაბნოები, მაღალი მთები და რიგი სხვა რაიონი. არის ისეთი ადგილებიც, სადაც ექსტრემალური ბუნებრივი პირობებია და დასახლება მეტად მეჩხერია (ტუნდრა, ტაიგა, ნახევრად უდაბნოები).

მთელ რიგ ადგილებში ბუნებრივი გარემო ხელს უწყობს სხვადასხვა დაავადებათა გავრცელებას და მიზეზია მაღალი სიკვდილიანობისა. ასეთია, მაგალითად, მალარიის გადამტანი კოღოს, ბუზი ცე-ცეს გავრცელების არეალები ან ისეთი ტერიტორიები, სადაც წყლისა და ნიადაგის ქიმიური შემადგენლობა იწვევს რომელიმე სახის დაავადების გავრცელებას. მაგალითად, ზოგან წყალი არ შეიცავს ადამიანის ორგანიზმისათვის საჭირო იოდს, რაც იწვევს ბაზედოვის დაავადებას (ჩიყვი). ასეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი სვანეთის ერთ-ერთ კუთხეში; იქ გაიყვანეს ნორმალური შემადგენლობის წყალი და დაავადება გაქრა.

ბევრ ადგილას ცხოვრების პირობები ნორმალურია, მაგრამ დროდადრო მეორდება ბუნების სტიქიური მოვლენები (მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, ქარიშხალი და სხვ.), რომლებიც მნიშვნელოვან მსხვერპლს იწვევენ მოსახლეობაში.

საწარმოო ძალების განვითარების პარალელურად ბუნებრივი ფაქტორების გავლენა სიკვდილიანობაზე თანდათან სუსტდება და ბევრი ისეთი ტერიტორია, რომელიც უახლოეს წარსულში ნაკლებად ხელსაყრელი იყო ცხოვრებისათვის ამჟამად აღარ ითვლება ჯანმრთელობისათვის საშიშ ადგილად. ასეთ რეგიონებს მიეკუთვნება უახლოეს წარსულში მალარიის ფართოდ გავრცელების ზონები. რამდენიმე ათეული წლის წინათ მალარია მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული დაავადება იყო და, გარდა იმისა, რომ ყოველწლიურად მილიონობით ადამიანის სიკვდილს იწვევდა, ამ დაავადების შედეგად ასეული მილიონობით სამუშაო დღე იკარგებოდა; იგი ბევრად ამცირებდა ავრეთვე შობადობის მაჩვენებელს. მალარიის გადამტანი კოღოს წინააღმდეგ ეფექტური საშუალებების გამოყენებამ მკვეთრად შეამცირა მისი გავრცელება. მალარია, ისევე როგორც ტუბერკულოზი უპირატესად მოსახლეობის ღარიბ ფენებშია გავრცელებული. ცხოვრების პირობების, პირველ რიგში კვებისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებამ დიდი როლი შეასრულა ბევრ დაავადებათა, მათ შორის მალარიისა და ტუბერკულოზის მკვეთრად შემცირებაში.

სიკვდილიანობაზე გავლენას ახდენენ ფიზიოლოგიური ფაქტორები—მემკვიდრეობა, სქესობრივ-ასაკობრივი და ანთროპოლოგიური თავისებურებანი.

სხვადასხვა რასის ადამიანები შეგუებულნი არიან გარკვეულ გარემოსთან და ამჟღავნებენ ამა თუ იმ დაავადებასთან მეტ ან ნაკლებ გამძლეობას. ახალ ბუნებრივ გარემოში მოხვედრისას ადამიანი ძნელად იტანს აკლიმატიზაციას და ვერ უძლებს ზოგიერთ ავადმყოფობას. მთელი რიგი დაავადება ადამიანს გადაეცემა მემკვიდრეობით და ხშირად ხდება ადრეული სიკვდილის მიზეზი. ფიზიოლოგიური ფაქტორის ერთ-ერთი გამოვლინებაა ზოგიერთი სენის გავრცელება უპირატესად ქალებს ან კაცებს შორის. მაგალითად, ავთვისებიანი სიმსივნეები უფრო ხშირად ქალებს შორის გვხვდება, მაშინ როდესაც გულ-სისხლძარღვების დაავადებით უპირატესად მამაკაცები იღუპებიან. სიკვდილიანობა დიდ ცვლილებას განიცდის ადამიანის ასაკთან დაკავშირებით. სიკვდილიანობა მაღალია ერთ წლამდე ასაკის ბავშვებში, შემდეგ თანდათან მცირდება და მინიმალურია 4—16 წლის მოზარდებში. სრულწლოვან ასაკში შესვლის შემდეგ სიკვდილიანობა თანდათან მატულობს და უმაღლეს ნორმას აღწევს ხანდაზმულობაში. ადამიანი კვდება ფიზიოლოგიურად დაბერების შედეგად, მაგრამ იშვიათად აღწევს ასეთ მდგომარეობამდე და, ჩვეულებრივ, რომელიმე ავადმყოფობით ან ნაძალადევი სიკვდილით იღუპება. ასაკობრივი სტრუქტურის კავშირი სიკვდილიანობასთან იმაშიც მჟღავნდება, რომ მთელი რიგი ინფექციური დაავადებანი გვხვდება უპირატესად ბავშვებს შორის, ხოლო გულ-სისხლძარღვების დაავადება — ხანდაზმულთა შორის.

სიკვდილიანობის კოეფიციენტი განვითარებულ ქვეყნებში ქალებს შორის უფრო დაბალია მამაკაცებთან შედარებით. გარდა ფიზიოლოგიური თავისებურებებისა, სიკვდილიანობას მამაკაცებს შორის ზრდის საწარმოო ტრავმატიზმი, ავარიები, პროფესიული დაავადებანი; ანგარიშგასაწევია ისიც, რომ კაცები უფრო ხშირად შრომობენ მავნე საწარმოებში. ბევრ ქვეყანაში და მათ შორის სსრ კავშირში აკრძალულია ქალის შრომის გამოყენება მიწისქვეშა სამუშაოებში. ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 4—8 წლით აღემატება მამაკაცების ანალოგიურ მაჩვენებელს და ბევრ ქვეყანაში აღწევს 70—74 წელს, მამაკაცებისათვის კი 70 წელზე ნაკლებია.

რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, აქ, როგორც წესი, ქალებს შორის უფრო მაღალია სიკვდილიანობა, რაც აიხსნება ქალისადმი ნაკლები ყურადღებით, ადრეული ქორწინებით, ხშირი მშობიარობით და რიგი სხვა მიზეზით. ამის შედეგად განვითარებად ქვეყნებ-

ში მამაკაცების რაოდენობა ზოგჯერ მეტია, ვიდრე ქალებისა, უფრო ხშირად კი ორივე სქესის მოსახლეობა დაახლოებით თანაბარია.

სიკვდილიანობის გაზრდაში ძველთაგანვე დიდი ადგილი უკავია ო მ ე ბ ს, რომლებიც მსხვერპლს იწვევენ არა მარტო ბრძოლებში მონაწილეთა შორის, არამედ იმ ტერიტორიების მოსახლეობაშიც, სადაც მიმდინარეობს საომარი მოქმედება. ომები წარმოებდა ისტორიის ყველა ეტაპზე და არც თუ იშვიათად ცალკეული ხალხების გადაშენების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო. განსაკუთრებით გამოირჩეოდა დიდი მსხვერპლით პირველი და მეორე მსოფლიო ომები. პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა დაახლოებით 9, 5 მლნ. ადამიანი (მხოლოდ ბრძოლებში), მეორე მსოფლიო ომში კი არანაკლები 40 მლნ.; მარტო საბჭოთა კავშირმა დაკარგა ამ ომში 20 მლნ-ზე მეტი ადამიანი.

მიუხედავად იმისა, რომ ომები, საწარმოო ტრავმატიზმი, სტიქიური ან სხვა სახის უბედურებანი დიდ მსხვერპლს იწვევენ მოსახლეობაში, სიკვდილიანობის მთავარი მიზეზი მაინც ბ ე ვ რ ნ ა ი რ ი სახის დ ა ვ ა დ ე ბ ა ნ ი ა. ჩვენი საუკუნის შუა წლებამდე და უფრო ადრინდელ ეპოქებში მალარიასთან და ტუბერკულოზთან ერთად ფართოდ იყო გავრცელებული ისეთი საშიში დაავადებანი, როგორიცაა შავი ჭირი, ქოლერა, ბავშვთა ინფექციები, რომლებიც ეპიდემიურ ხასიათს ღებულობდნენ და უდიდეს მსხვერპლს იწვევდნენ მოსახლეობაში. უძველესი დროიდანაა გავრცელებული შავი ჭირი, ყვავილი, კეთრი, ტუბერკულოზი, ვენერიული სნეულებანი და რიგი სხვა დაავადება. ყვავილით დაავადება ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულის ეგვიპტურ პაპირუსებში მოიხსენიება. ინტერესმოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ ეს საშიში დაავადება მედიცინის მიღწევათა შედეგად ამჟამად მთლიანად ლიკვიდირებულია; ჩვენ პლანეტაზე ყვავილით დაავადების უკანასკნელი შემთხვევა იყო აფრიკაში 1977 წელს.

განსაკუთრებით დიდ მსხვერპლს იწვევდა მოსახლეობაში გადამდები ავადმყოფობანი — შავი ჭირი, სხვადასხვა სახის ტიფი. მაგალითად XIV საუკუნეში შავი ჭირით დაიღუპა ევროპის მოსახლეობის მესამედზე მეტი. გასული საუკუნის ბოლოს და ჩვენი საუკუნის პირველი ოთხი ათეული წლის მანძილზე მხოლოდ ინდოეთში შავი ჭირისაგან გარდაიცვალა 12, 5 მლნ. ადამიანი. ეს საშიში დაავადება ამჟამადაც არ არის ლიკვიდირებული ზოგიერთ ქვეყნებში, თუმცა მისი გავრცელება მკვეთრად შემცირდა. აღსანიშნავია, რომ გადამდებ ავადმყოფობათა ეპიდემიები ხშირად იფეთქებს ხოლმე ომიანობის დროს. 1918 წელს ევროპასა და აზიაში დიდი მსხვერპლი გამოიწვია გრიპის ერთ-ერთმა სახეობამ — „ისპანკამ". ორივე მსოფლიო ომის

წლებში ბევრ ქვეყანაში გავრცელდა პარტახტიანი ტიფი,რომელიც ადამიანის თანამგზავრი პარაზიტი სწერის (ტილის) საშუალებით გადადის.

უკანასკნელ დრომდე დიდი იყო სიკვდილიანობა ბავშვებს შორის, განსაკუთრებით ბევრი ბავშვი იღუპებოდა ერთ წლამდე ასაკში. 1892—1897 წლების მონაცემებით, რუსეთში ყოველი ათასი ახალშობილიდან ერთი წლის ასაკს ვერ აღწევდა 278. კიდევ უფრო მაღალი იყო ეს მაჩვენებელი ბევრ სხვა ქვეყანაში. ზოგ სახელმწიფოში ბავშვების ნახევარი იღუპებოდა 5 წლის ასაკამდე. ამჟამად განვითარებულ ქვეყნებში ერთ წლამდე იღუპება ყოველი ათასიდან არა უმეტესი 20—40 ბავშვისა. 1972 წელს ეს მაჩვენებელი სსრ კავშირში საშუალოდ 24-ს უდრიდა.

დიდ გავლენას ახდენენ სიკვდილიანობაზე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, პირველ რიგში ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე, შრომის პირობები. მატერიალური უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ელემენტებია კვება, საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის უზრუნველყოფას სურსათით. შიმშილისა და ცუდი კვების გამო უძველესი დროიდან დღემდე იღუპებიან ადამიანები. გარდა იმისა, რომ ხშირად შიმშილი უშუალო მიზეზია სიკვდილისა, იგი ხელს უწყობს სხვადასხვა ავადმყოფობათა გავრცელებას. მთელ რიგ ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის ტემპები წინ უსწრებს სურსათის წარმოების ზრდას, რის შედეგადაც მცირდება კვების რაციონი. თუ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში საშუალოდ ერთ ადამიანზე მოიხმარენ 3000 კალორია კვების პროდუქტებს, ზოგ ჩამორჩენილ ქვეყანაში ამის ნახევარიც არ მოიხმარება; თვით ქვეყნების შიგნითაც სურსათი არ ნაწილდება თანაბრად. განვითარებად ქვეყნებში ჯერ კიდევ არაა აღმოფხვრილი შიმშილი და მის მიერ გამოწვეული სიკვდილიანობა.

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე სიკვდილიანობის მკვეთრად შემცირებაში უდიდესი როლი შეასრულა საწარმოო ძალების სწრაფმა აღმავლობამ. ამჟამად მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ერთ-ერთი თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ შედარებით მოკლე ისტორიულ მონაკვეთში ინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის მეტად მნიშვნელოვანი სიახლენი წარმოებისა და მომსახურების სფეროში. ეს გარემოება მთლიანად შეეხება ჯანმრთელობის დაცვის ძირეულ გადახალისებას. მედიცინაში ფართოდ გამოიყენება ახალი, ეფექტური პრეპარატები (სულფამიდები, ანტიბიოტიკები), მოისპო საშიშ დაავადებათა კერები. პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ფართოდ გამოყენებამ (აცრები, ვაქცინაცია) შესაძლებელი გახადა მთელი რიგი ეპიდემიური ხასიათის დაავა-

დებათა თითქმის სრული ლიკვიდაცია ან მკვეთრად შემცირება. ასეთ ღონისძიებათა სისტემამ მთავარი როლი შეასრულა სიკვდილიანობის კოეფიციენტის შემცირებაში და ჩვენი პლანეტის მოსახლეობის დაჩქარებულ ზრდაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. თუ ომის წინა პერიოდში განვითარებად ქვეყნებში სიკვდილიანობის საერთო კოეფიციენტი შეადგენდა 20—25‰-ს, 50-იანი წლების მიწურულში ის უკვე შემცირდა 12—16‰-მდე. 1938 წლიდან 1972 წლამდე სიკვდილიანობის კოეფიციენტი სსრ კავშირში შემცირდა 17,4‰-დან 8,4‰-მდე ანუ ორჯერ და კიდევ უფრო მეტად[3]. დაახლოებით ასეთივე მსვლელობა ახასიათებს სიკვდილიანობის კოეფიციენტს ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სიკვდილიანობის შემცირებამ განვითარებულ ქვეყნებში გამოიწვია ხანდაზმულთა ხვედრითი წონის გაზრდა მთელ მოსახლეობაში. ამის გამო უკანასკნელ ხანებში რამდენადმე გაიზარდა სიკვდილიანობის კოეფიციენტი და ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში მიაღწია 10—12‰-ს.

სიკვდილიანობის შემცირება ევროპის ქვეყნებში მიმდინარეობდა საკმაოდ შესამჩნევი ტემპებით XIX საუკუნის მანძილზე და მეოცე საუკუნის პირველ ნახევარშიც (გლობალისს შეადგენდა ომიანობის წლები), მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება მთლიანად გლობალური მასშტაბით განხორციელდა ჩვენი საუკუნის შუა წლებში, როდესაც შედარებით იაფი საშუალებების გამოყენებამ მკვეთრად შეკვეცა რიგი დაავადების გავრცელება და გამოიწვია მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში სიკვდილიანობის განახევრება. ამჟამად ეს მაჩვენებელი გარკვეულ მინიმუმამდეა დასული და მსოფლიოში საშუალოდ შეადგენს 12 პრომილეს. მისი მნიშვნელოვანი შემცირება უახლოეს მომავალში მოსალოდნელი არაა. მიუხედავად იმისა, რომ რიგი საშიში დაავადება ლიკვიდირებულია ან შეზღუდულია მათ მიერ მოსახლეობის ჯანმრთელობისადმი მიყენებული ზიანი, ბევრი ავადმყოფობისა და სხვადასხვა მიზეზის გამო ადამიანების სიცოცხლე ხშირად ვერ აღწევს ფიზიოლოგიურ სიბერემდე. ჯერ კიდევ დიდ მსხვერპლს იწვევს მოსახლეობაში ისეთი დაავადებანი, როგორიცაა გულ-სისხლძარღვთა გადაგვარება და ავთვისებიანი სიმსივნეები. ამ დაავადებათა დაძლევა მომავალში, როგორც ჩანს, შეადგენს იმ „რეზერვს", რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს სიკვდილიანობის კოეფიციენტი და გაზარდოს ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა.

---

3 Народонаселение стран мира. Справочник под редакцией Б. Ц. Урланиса, «Статистика», М., 1974, стр. 133—134.

როგორც შობადობის, ისე სიკვდილიანობის მოკლე მიმოხილვა გვიჩვენებს, თუ რამდენად მრავალფეროვანია მათზე მოქმედი ფაქტორები. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ ფაქტორებს შორის დამყარებულ ურთიერთშეთანაწყობას, რის შედეგადაც ყალიბდება მოსახლეობის კვლავწარმოების კონკრეტული ვითარება ანუ იქმნება შესაბამისი დ ე მ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ს ი ტ უ ა ც ი ა მისთვის დამახასიათებელი ძირითადი მაჩვენებლებით. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ხელსაყრელია დემოგრაფიული სიტუაცია მცხოვრებთა რიცხოვნობის მატებისათვის, შეიძლება ადგილი ჰქონდეს გარკვეული ისტორიული მონაკვეთის ფარგლებში მოსახლეობის გ ა ფ ა რ თ ო ე ბ უ ლ ა ნ მ ა რ ტ ი ვ კ ვ ლ ა ვ წ ა რ მ ო ე ბ ა ს, ან დ ე პ ო პ უ ლ ა ც ი ა ს ვაფართოებული კვლავწარმოება ნიშნავს ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრებთა რიცხოვნობის ზრდას ბუნებრივი მატების გზით. მარტივი კვლავწარმოებაა მაშინ, როდესაც მოსახლეობის რიცხოვნობა არ იცვლება, ანუ შობადობის და სიკვდილიანობის კოეფიციენტები თანაბარია; დეპოპულაციის დროს კი შობადობა ნაკლებია სიკვდილიანობაზე და მოსახლეობის რაოდენობა კლებულობს.

გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების გავლენით ჩამოყალიბებული დემოგრაფიული სიტუაცია თავის მხრივ უკუგავლენას ახდენს აღნიშნულ ფაქტორებზე. ასე მაგალითად, მოსახლეობის რაოდენობის სწრაფმა მატებამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული სიძნელეები მუშახელის სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფაში და წარმოქმნას უმუშევრობა. საერთოდ წარმოების ზრდის ტემპები ბევრად უნდა უსწრებდეს წინ მოსახლეობის ზრდის ტემპებს, რომ დაკმაყოფილდეს ადამიანის სწრაფადმზარდი მოთხოვნილებანი არსებობის საშუალებებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება ცხოვრების პირობების გაუარესებას, რაც თავის მხრივ შეაფერხებს საზოგადოებრივ პროგრესს და გააუარესებს დემოგრაფიულ სიტუაციას. ასეთი მჭიდრო ურთიერთკავშირი დემოგრაფიულ სიტუაციასა და სხვა საზოგადოებრივ მოვლენათა შორის იწვევს მნიშვნელოვან ნახტომებს მოსახლეობის ზრდის ტემპებში და ხშირად აუცილებელს ხდის სახელმწიფოს მიერ დემოგრაფიული პროცესების რეგულირებას. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ქვეყნის საზოგადოებრივი (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული) ვითარება, შეიძლება ხელი შეეწყოს მოსახლეობის ზრდის დაჩქარებას ან შენელებას.

სახელმწიფოს ჩარევა დემოგრაფიული პროცესების რეგულირებაში უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში საკმაოდ გახშირდა, მაგრამ ყოველთვის არ იძლევა სასურველ შედეგს, რადგან არსებული

ტრადიციები, რელიგიური რწმენა, კულტურული დონე, ქალის მდგომარეობა საზოგადოებაში, აგრეთვე ზოგადი სოციალ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო ზოგჯეო ქვეყანაში ქმნის ოჯახის რეგულირების არახელსაყრელ სიტუაციას. გახსაკუთრებით გაძნელებულია შობადობის შემცირების ღონისძიებანი სუსტად გახვითარებულ ქვეყნებში, ისევე როგორც ძალად განსახორციელებელი გახდგა შობადობის წახალისება მეურნეობრივად და კულტურულად დაწინაურებულ სახელმწიფოებში. ჩვეულებრივ, როცა სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი უნდათ უჩვენონ, ასახელებენ საფრანგეთის და იაპონიის მაგალითებს მეორე ასოფლიო ომის ოოდეგხო წლებში, როდესაც პირველძი განხორციელდა შობადობის წამახალისებელი ღონისძიებანი, ხოლო მეორეში—ამ დემოგრაფიული მაჩვენებლის შემზღუდველი ზომები. ორივე შემთხვევაში მიზანს მიაღწიეს: საფრანგეთში შობადობა გაიზარდა 1946—1955 წლებში 12—13‰-დან 18—20‰-მდე, ხოლო იაპონიაში, პირიქით, — შობადობა შემცირდა 25—30‰-დან 16—17‰-მდე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ იაპონიაში შობადობის შემცირება სტაბილური გამოდგა, ხოლო საფრანგეთში ეს კოეფიციენტი კვლავ შემცირდა 60-იან წლებში და ამჟამად ორივე ქვეყანაში ბოსახლეობის კვლავწარმოება ტიპიურია განვითარებული ქვეყნებისათვის. შედარებით დაბალი შობადობის პირობებში ბუნებრივი ნამატი უდრის 5—10‰-ს. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, როო საფრანგეთის და იაპონიის ომის შემდგომი პერიოდის დემოგრაფიული სიტუაციის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა არა ამ სახელმწიფოთა მიერ განხორციელებულმა შობადობის მარეგულირებელმა ღონისძიებებმა, არამედ იმ ზოგადმა სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, რომელიც დამახასიათებელია ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისათვის, კერძოდ—ქალების ფართოდ ჩაბმამ საზოგადოებრივ შრომაში, ურბანიზაციამ, გაძლიერებულმა მიგრაციამ სოფლიდან ქალაქში და სხვა ანალოგიურმა მოვლენებმა. რაც შეეხება მოსახლეობის კვლავწარმოების ხელოვნურ რეგულირებას, საწარმოო ძალების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ასეთ რეგულირებას შეუძლია მხოლოდ დამატებითი მნიშვნელობა ჰქონდეს სასურველი დემოგრაფიული სიტუაციის შექმნაში.

ამასთან დაკავშირებით უკანასკნელ ხანებში აღიარება ჰპოვა მოსახლეობის ზრდის რეგულირების უფრო ფართოდ გამიზნულმა პროგრამამ. იგი მოიცავს ისეთ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც პირდაპირი და არაპირდაპირი გზით გავლენას ახდენს მოსახლეობის ზრდის ტემპებზე. ასეთი პროგრამა ხ ა ლ ხ თ მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ ი ს სახელითაა ცნობილი და მეტ-ნაკლები სისრულით ხორციელდება მსოფლიოს სახელმწიფოებში. იგი მოიცავს მეურნეობის

განვითარების, კულტურის ამაღლების, ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების, სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებათა მთელ სისტემას. განსაკუთრებით მწვავედ დგას ეს პრობლემა განვითარებად ქვეყნებში, სადაც მეტად მაღალი შობადობა ზღუდავს სოციალური და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობას, წარმოქმნის დიდ სიძნელეებს მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საქმეში.

როგორ იცვლებოდა დედამიწის მოსახლეობა უკანასკნელი 2000 წლის მანძილზე? მართალია, XVIII—XIX საუკუნემდე მოსახლეობის სტატისტიკური აღწერები არ წარმოებდა, მაგრამ სხვადასხვა არაპირდაპირი მონაცემების საფუძველზე მაინც შესაძლებელი გახდა შორეული წარსულისათვის მოსახლეობის რაოდენობის მიახლოებით განსაზღვრა.

ცხრილი 1

მოსახლეობის დინამიკა მსოფლიოს ძირითადი რეგიონების მიხედვით (მლნ.)[4]

წლები	სსრ კავშირი (რუსეთი)	საზღვარგარეთი ევროპა	საზღვარგარეთი აზია	აფრიკა	ამერიკა	ავსტრალია და ოკეანეთი	მთელი მსოფლიო
ჩვენ წელთაღ. დასაწყისი	5	35	155	30	4	1	230
1000	10	43	195	40	15	1,5	305
1500	15	75	260	60	27	2,5	440
1800	50	160	620	90	30	2	952
1900	130	295	950	130	145	6	1656
1930	176	356	1072	157	244	10	2015
1950	180	392	1355	217	328	12	2484
1960	214	425	1645	270	412	16	2982
1970	243	462	2056	344	511	19	3635

უახლესი მონაცემებით მსოფლიოს მოსახლეობა 1980 წლისათვის შეადგენდა 4400 მლნ. კაცს.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან 1980 წლამდე ჩვენი პლანეტის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის თავისებურებათა დასადგენად შეგვიძლია გამოვყოთ ხუთი პერიოდი, რომლებიც დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი ხანგრძლივობით და დედამიწის მცხოვრებთა მატების ტემპებით.

---

[4] Народонаселение стран мира. Справочник. «Статистика», 1974, стр. 19, табл. 12.

В. И. Козлов. Динамика численности народов. «Наука», 1969, табл. 12.

პირველი პერიოდი მოიცავს 15 საუკუნეს და ძირითადად ფეოდალიზმის ეპოქას ემთხვევა. მისთვის დამახასიათებელია მოსახლეობის მეტად ნელი ტემპით ზრდა, რაც სავსებით შეესაბამება ამ პერიოდში საწარმოო ძალების განვითარების დაბალ დონეს. საშუალოდ ყოველწლიურად მსოფლიოს მოსახლეობას ემატებოდა მხოლოდ 140 ათასი კაცი. როგორც შობადობის, ისე სიკვდილიანობის კოეფიციენტის სიდიდე 55—60 პრომილეს უახლოვდებოდა. განსხვავება მათ შორის სრულიად უმნიშვნელო იყო, ცალკეულ წლებში კი ადგილი ჰქონდა დედამიწის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის შემცირებას. ფართოდ იყო გავრცელებული სხვადასხვა სახის ეპიდემიური ხასიათის დაავადებანი, რომლებიც დიდ მსხვერპლს იწვევდნენ; მეტად მაღალ დონეზე იდგა სიკვდილიანობა ბავშვებს შორის. დიდი იყო მოსახლეობის დანაკლისი აგრეთვე გამანადგურებელი ომების შედეგად. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროპისა და აზიის მოსახლეობის დანაკლისი არაბების შემოსევის შედეგად. ასევე ბევრი მსხვერპლი გამოიწვია ჯვაროსნულმა ომებმა და მონღოლ-თათართა გამანადგურებელმა ლაშქრობებმა XIII—XV საუკუნეებში.

მეორე პერიოდი გრძელდება XVI—XVIII საუკუნეების ნაძილზე. იგი მოიცავს გვიანი ფეოდალიზმის ეპოქას და ევროპაში კაპიტალიზმის დასაწყის ხანას. მისთვის დამახასიათებელია მოსახლეობის ნელი ტემპით ზრდა. სამი საუკუნის განმავლობაში საშუალოდ ყოველწლიურად პლანეტის მოსახლეობას ემატებოდა 1.707 ათასი კაცი, ანუ 12-ჯერ მეტი, ვიდრე წინა პერიოდში. ამ პერიოდში ოდნავ შემცირდა შობადობის და სიკვდილიანობის კოეფიციენტები; განსხვავება მათ აბსოლუტურ გამოსახულებაში თუმცა რამდენადმე გაიზარდა, მაგრამ არ აღემატებოდა 2—3 პრომილეს. კვლავ მაღალ დონეზე იყო სიკვდილიანობა ბავშვებში, აგრეთვე ეპიდემიური დაავადებებით გამოწვეული მსხვერპლი. დიდი ზიანი მიაყენა მოსახლეობას თურქების შემოსევებმა ჩრდილოეთ აფრიკაში, ევროპასა და აზიაში. ევროპის წამყვან სახელმწიფოებში (ინგლისი, საფრანგეთი) კაპიტალიზმის ჩასახვამ და საქალაქო ცხოვრების განვითარებამ, აგრეთვე ამერიკის კოლონიზაციამ მნიშვნელოვნად დააჩქარა მოსახლეობის მატება XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან. შესამჩნევი ძვრები მოხდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების საქმეში და ზოგადად კულტურის აღმავლობაში, რამაც გამოიწვია სიკვდილიანობის ოანდათან შემცირება.

მესამე პერიოდი XIX საუკუნეს მოიცავს და ემთხვევა კაპიტალიზმის განვითარებას ევროპაში, ამერიკაში და ნაწილობრივ სხვა კონტინენტებზეც. ეს იყო საწარმოო ძალების საკმაოდ მძლავრი

აღმავლობის პერიოდი, როდესაც მანქანურმა შრომამ თანდათან გამოდევნა ხელით შრომა და ეგრეთ წოდებული სამრეწველო რევოლუცია სწრაფად გავრცელდა პირველ ყოვლისა ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. მთელი რიგი პროგრესული საწყისები დაინერგა ეკონომიკისა და კულტურის ყველა სფეროში, რის შედეგადაც ბევრად გაუმჯობესდა მოსახლეობის ცხოვრების პირობები, მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა პირველ რიგში ქალაქების მცხოვრებთა სამედიცინო მომსახურებაში. ამ პროგრესულ მოვლენებს არ შეიძლება არ გამოეწვია სიკვდილიანობის შემდგომი შემცირება, რასაც ჰოჰყვა ბუნებრივი მატების თანდათან ზრდა. მთლიანად მესამე პერიოდში ადგილი ჰქონდა მსოფლიოს მოსახლეობის ზომიერ ზრდას. სხვაობამ შობადობის და სიკვდილიანობის კოეფიციენტებს შორის მიაღწია 5—10 პრომილეს; საშუალოდ ყოველწლიურად მსოფლიოს მოსახლეობას ეჰატეჰოდა 7.040 ათასი მცხოვრები, ანუ 4-ჯერ და კიდევ უფრო მეტი, ვიდრე მეორე პერიოდში. ამ პერიოდში შედარებით ნაკლები იყო არა მარტო სხვადასხვა დაავადებებით გამოწვეული მსხვერპლი, არამედ ომებში დაღუპულთა რაოდენობაც, თუმცა ნაპოლეონის ომები და რიგი სხვა ბრძოლები ჯერ კიდევ იწვევდა გარკვეულ მსხვერპლს.

მეოთხე პერიოდს შეადგენს ჩვენი საუკუნის პირველი ნახევარი. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა ორ მსოფლიო ომს (1914—1918 წ. წ. და 1939—1945 წ.წ.) და მთელ რიგ ქვეყნებში სანოქალაქო ომებს (რუსეთი, ჩინეთი, ესპანეთი), რომლებშაც დიდი მსხვერპლი გამოიწვიეს, მთლიანად 1900—1950 წლები ჰაისც აღინიშნა მსოფლიოს მოსახლეობის დაჩქარებული ზრდით. 50 წლის მანძილზე საშუალოდ ყოველწლიურად მცხოვრებთა საერთო ნამატი შეადგენდა 16.560 ათასს ანუ 2,3-ჯერ მეტს, ვიდრე XIX საუკუნის მანძილზე. ევროპისა და ამერიკის განვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვნად შემცირდა შობადობის კოეფიციენტი, მაგრამ კიდევ უფრო სწრაფად მცირდებოდა სიკვდილიანობა, რის შედეგადაც შესამჩნევად გაიზარდა მათ შორის სხვაობა; ბუნებრივი მატების კოეფიციენტმა საშუალოდ მსოფლიოში მიაღწია 10—15 პრომილეს. ამ პერიოდში შეიქმნა ეფექტური პრეპარატები — პიომიცინები, რომლებიც წარმატებით გამოიყენება ადამიანის ორგანიზმში ანთებითი პროცესების ჩასაქრობად. მანამდე ფართოდ გავრცელებულ რიგ დაავადებათა (მალარია, პარტახტიანი ტიფი და სხვ.) გადამტანი მწერების წინააღმდეგ დაიწყო იაფფასიანი ქიმიური ნაერთების გამოყენება (ДДТ და სხვ.). განვითარებულ ქვეყნებში აცრები და სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებანი გადაიქცა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ ელემენტად.



ნახ. 1. მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა 1500—1982 წლებში.

მეხუთე პერიოდს შეადგენს 1950—1980 წლები, რომელსაც არცთუ უსაფუძვლოდ „დემოგრაფიული აფეთქების" ხანა უწოდეს, რადგან მოსახლეობა მეტად დაჩქარებული ტემპით იზრდება. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში მსოფლიოს მოსახლეობის საშუალო წლიურმა ნამატმა რეკორდულ ციფრს მიაღწია, შეადგინა რა 64 მლნ. კაცი. ეს მაჩვენებელი თითქმის 4-ჯერ აღემატება წინა პერიოდის ანალოგიურ მონაცემს და 9-ჯერ მეტია XIX საუკუნის საშუალო წლიურ ნამატზე. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ის პროგრესული ელემენტები, რომლებიც წინა პერიოდში ჩაისახა, ჩვენი საუკუნის შუა წლებიდან სწრაფად გავრცელდა მსოფლიოს ყველა რეგიონში და მინიმუმამდე შეამცირა სიკვდილიანობის საშუალო კოეფიციენტი; ეს უკანასკნელი ამჟამად არ აღემატება 12—13‰-ს. რამდენადმე შემცირდა შობადობის კოეფიციენტი, მაგრამ ბუნებრივი მატება საშუალოდ მთელ მსოფლიოში კვლავ მაღალ დონეზეა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ შობადობის შემცირება 60-იანი წლების დასაწყისიდან მკვეთრად გამოისახა განვითარებულ ქვეყნებში და ათიოდე წლის მანძილზე ეს მაჩვენებელი განახევრდა: თუ 1950-იან წლებში სსრ კავშირში, ევროპის მეტწილ ქვეყნებში და ჩრდილოეთ ამერიკაში (აშშ და კანადა) ბუნებრივი მატების კოე-

ფიციენტი საშუალოდ შეადგენდა 15—18‰, 1970-იან წლებში იგი არ აღემატებოდა 8—9‰-ს. 1970-იანი წლებიდან განვითარებად ქვეყნებშიც შემცირდა ბუნებრივი მატების კოეფიციენტი, მაგრამ მცირე მოცულობით —24—25 პრომილედან 22—23 პრომილემდე. ასე რომ, მსოფლიოში ამჟამად მოსახლეობის მატება დაახლოებით 18—20‰ შეადგენს. მოსახლეობის მატების ეს ტემპი იმდენად მაღალია, რომ ჩვენი პლანეტის მცხოვრებთა გაორკეცებისათვის საკმარისია 35—40 წელი. ასეთი გაორკეცება მართლაც განხორციელდა 1945—1980 წლებში. თუ რამდენად დაჩქარდა მოსახლეობის ზრდის ტემპები, ჩანს შემდეგი მონაცემებიდან.

მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის საშუალო წლიური ტემპები:

1650 წ.—1750 წ.	0.3 %
1750—1850 წ.	0,45
1850—1900 წ.	0.65
1900—1940 წ.	1,0
1958 წ.—1978 წ.	2,0

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან დედამიწის მოსახლეობის პირველ გაორკეცებას დასჭირდა დაახლოებით 1500 წელი, ამჟამად კი 40 წელიც საკმარისია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მაშინდელი გაორკეცების შედეგად მსოფლიოს შეემატა 200—250 მლნ. ადამიანი, ახლანდელი გაორკეცება კი ნიშნავს პლანეტის მცხოვრებთა გაზრდას ოთხ მილიარდზე მეტი ადამიანით. ამჟამად ჩვენ პლანეტაზე ცხოვრობს ათჯერ მეტი ადამიანი, ვიდრე ცხოვრობდა ხუთი საუკუნის წინათ. ეს მონაცემები მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად დაჩქარდა მოსახლეობის მატება უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე და განსაკუთრებით ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში.

მოსახლეობის ზრდა ცვალებადია არა მარტო დროში, არამედ სივრცეშიც. ზოგად წარმოდგენას ამის შესახებ გვაძლევს ცხრილი 1, საიდანაც ჩანს, რომ მსოფლიოს მსხვილ რეგიონებში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებები. ამ მხრივ საყურადღებოა XIX—XX საუკუნეებში მომხდარი ძვრები (იხ. ცხ. 2)

170 წლის მანძილზე (1800—1970 წწ.) ყველაზე ნელა იზრდებოდა ევროპის მოსახლეობა, ყველაზე დაჩქარებულად — ამერიკის მოსახლეობა. ასეთი სხვაობა იმით იყო განპირობებული, რომ XIX საუკუნის დასაწყისისათვის ევროპის ქვეყნების უმეტესი ნაწილი კარგად იყო დასახლებული და საკმაოდ მაღალი ბუნებრივი მატების შედეგად სიმჭიდროვეც სწრაფად იზრდებოდა, ამერიკა კი ამ დროისათვის ჯერ კიდევ სუსტი დასახლებით გამოირჩეოდა. ამასთან დაკავშირებით ინტენსიურად მიმდინარეობდა ევროპიდან ამერიკაში მოსახლეობის



ნახ. 2. „დემოგრაფიული აფეთქება“ (აგესის მიხედვით)
a—ჩრდილოეთი ამერიკა, b—ლათინური ამერიკა, c—ევროპა და ოკეანეთი, d—აფრიკა, e—სსრ კავშირი, f—ინდოეთი, g—ჩინეთი, h—დანარჩენი აზია.

ცხრილი 2

მოსახლეობის გამრავლება მსოფლიოს ძირითად რეგიონებში 1800—1970 წლებში

რეგიონები (კონტინენტები)	რამდენჯერ გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა		
	1800—1970 წლებში (170 წელი)	1900—1970 წლებში (70 წელი)	1950—1970 წლებში (20 წელი)
სსრ კავშირი	4,86-ჯერ	1,87-ჯერ	1,35-ჯერ
საზღვარგარეთი			
ევროპა	2,89 „	1,57 „	1,18 „
აზია	3,31 „	2,16 „	1,52 „
აფრიკა	3,82 „	2,64 „	1,59 „
ამერიკა	17,03 „	3,52 „	1,56 „
ავსტრალია და ოკეანეთი	9,50 „	3,17 „	1,58 „
მთელი მსოფლიო	3,82 „	2,20 „	1,46 „

გადასვლა, რის შედეგადაც ამერიკის კონტინენტზე მოსახლეობის მატების ტემპი 6-ჯერ აღემატებოდა ევროპის საშუალო ანალოგიურ მაჩვენებელს. იმავე პერიოდში ევროპელ იმიგრანტებს მნიშვნელოვანი

რაოდენობით იზიდავდა აგრეთვე ავსტრალია და წყნარი ოკეანის კუნძულები, რომლებმაც ამერიკის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავეს მოსახლეობის ზრდის ტემპებით. მოსახლეობა მიდიოდა დასახელებულ რეგიონებში აგრეთვე აფრიკიდან და აზიიდან, მაგრამ უფრო შეზღუდული რაოდენობით.

დედამიწის კონტინენტების მოსახლეობის სხვადასხვა ტემპებით მატებაში მიგრაციული პროცესები დიდ როლს ასრულებდნენ XX საუკუნის შუა წლებამდე, მაგრამ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე გადამწყვეტი მნიშვნელობა მოიპოვა ბუნებრივმა მოძრაობამ, რადგან წარმოიქმნა დიდი სხვაობანი უმთავრესად შობადობის მაჩვენებლებში. გარკვეული სხვაობა არსებობს აგრეთვე სიკვდილიანობაში, რის შედეგადაც მოსახლეობის ზრდის ტემპები ერთგვაროვანი არ არის მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

შობადობის და სიკვდილიანობის კოეფიციენტების დიდმა სივრცობრივმა ცვლილებებმა მოსახლეობის კვლავწარმოების სრულიად სხვადასხვაგვარი სურათი წარმოქმნეს ჩვენი პლანეტის ცალკეულ ნაწილებში. მეტად თუ ნაკლებად მსგავსი დემოგრაფიული მაჩვენებლების მიხედვით მსოფლიოს ქვეყნები შეგვიძლია სამ ძირითად ჯგუფად დავყოთ.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ეგრეთ წოდებული განვითარებადი ქვეყნები, რომელთა უმრავლესობა რამდენიმე ათეული წლის წინათ განთავისუფლდა კოლონიური და ნახევრადკოლონიური მდგომარეობიდან და არ გამოირჩევა საერწელო წარმოების მაღალი დონით. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან საზღვარგარეთის აზიის (იაპონიის გამოკლებით), აფრიკის და ლათინური ამერიკის სახელმწიფოები, რომლებშიაც ცხოვრობს დაახლოებით ბსოფლიოს მოსახლეობის 80%. ურბანიზაციის დონე აქ შედარებით დაბალია და მოსახლეობის მეტი ნაწილი სოფლის მეურნეობაშია ჩაბმული. განვითარებად ქვეყნებში შობადობის კოეფიციენტი საშუალოდ 32—38 პრომილეს ფარგლებში რხევადობს და მიუხედავად უკანასკნელ წლებში დასახული შემცირების ტენდენციისა, მაინც მაღალ დონეზეა; სიკვდილიანობა 12—14 პრომილეს შეადგენს, ხოლო მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი — 20—25 პრომილეს. ამ საშუალო მაჩვენებლებიდან მნიშვნელოვანი გადახრები შეიმჩნევა ცალკეულ განვითარებად ქვეყნებში. აფრიკის სახელმწიფოებში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გამოკლებით) უფრო მაღალია როგორც შობადობა, ისე სიკვდილიანობა, ვიდრე დანარჩენ რეგიონებში. ასე მაგალითად, ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოებში შობადობა 50 პრომილეს აღწევს, სიკვდილიანობა კი 20—25 პრომილეს. მაგრამ სხვაობა ამ ორ კოეფიციენტს შო-



ნახ. 3. მოსახლეობის ბუნებრივი მატება მსოფლიოს რეგიონებში (1970—1978 წლების საშუალო მაჩვენებლები).

რის, ანუ ბუნებრივი მატება არ არის უფრო მაღალი აფრიკაში, ვიდრე სამხრეთ აზიაში და მითუმეტეს, ლათინურ ამერიკაში, რადგან აფრიკის იმ ქვეყნებში, სადაც მაღალ დონეზეა შობადობა ჯერ კიდევ ღიდია სიკვდილიანობა (განსაკუთრებით ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოებში), ამიტომ მოსახლეობის საშუალოწლიური მატებით აფრიკის ქვეყნები წინ არ უსწრებენ დანარჩენ განვითარებად სახელმწიფოებს.

მეტად სწრაფი ბუნებრივი ზრდის შედეგად განვითარებადი ქვეყნების მეტ ნაწილში მოსახლეობის გაორკეცება ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა დაახლოებით 25—30 წლის განმავლობაში. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რამდენად გართულებულია ამ ქვეყნებში მოსახლეობის უზრუნველყოფა არსებობის საშუალებებით ღა, პირველ რიგში, კვების პროდუქტებით. მოსახლეობის სწრაფი ზრდა მნიშვნელოვნად აფერხებს მრეწველობის განვითარებას, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, რადგან ეროვნული შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც უნდა მოხმარდეს წარმოების ძირითადი საშუალებების ზრდას და შრომითი რესურსების დასაქმებისათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მეტად უმნიშვნელოა.

ძალზე დაბალია თვით ეროვნული შემოსავლის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე. ყოველივე ამის გამო განვითარებად ქვეყნებში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი შიმშილი და სიღატაკე. ბევრ ასეთ ქვეყანაში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცუდად იკვებება და შიმშილის შედეგად ხშირია ადამიანის დაღუპვა.

მ ე ო რ ე ჯ გ უ ფ ს შ ე ა დ გ ე ნ ს ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ა დ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი, სადაც მატერიალური წარმოების სფეროში წამყვანია მრეწველობა და ზოგადად საწარმოო ძალების განვითარება მაღალ დონეზე დგას. ამ ქვეყნებს მიეკუთვნება სსრ კავშირი, ევროპის სახელმწიფოების მეტი ნაწილი, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, იაპონია და ავსტრალია. მათთვის დამახასიათებელია შ ო ბ ა დ ო ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ო დ ო ნ ე — 14—18 პრომილე და სიკვდილიანობის დაბალი ნორმა — 8—11 პრომილე, ბუნებრივი მატება კი შეადგენს 5—10 პრომილეს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი საუკუნის 60-იან წლებამდე ამ ქვეყნებში შობადობა მაღალი იყო და შეადგენდა 20—25 პრომილეს, მაგრამ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე, ეს უმნიშვნელოვანესი დემოგრაფიული მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა. ამავე დროს რამდენადმე გადიდდა სიკვდილიანობა, რადგან სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდის შედეგად ამაღლდა ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა, ამ

ასაკში კი ბევრად მაღალია სიკვდილიანობა. ასეთ ცვლილებათა შედეგად ამჟამად ბუნებრივი მატება ამ ქვეყნებში საშუალოდ ორჯერ უფრო დაბალია 50-იან წლებთან შედარებით და 2,5-ჯერ დაბალი, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში.

იმასთან დაკავშირებით, რომ განვითარებულ ქვეყნებში მრავალჯერ მაღალია ეროვნული შემოსავალი საშუალოდ მოსახლეობის ერთ სულზე, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში და ამავე დროს მოსახლეობის მატების ტემპები არ არის დიდი, აქ არ დგას მოსახლეობის ზრდის შემცირების საკითხი. პირიქით, ბევრ ასეთ ქვეყანაში ხორციელდება შობადობის წახალისებელი ღონისძიებები, რათა თავიდან აიცილონ დეპოპულაციის პროცესი. მიუხედავად ამისა, შობადობა მაინც თანდათან მცირდება და ევროპის ზოგ სახელმწიფოში მოსახლეობის საშუალოწლიური ზრდა 3—5 პრომილეს არ აღემატება.

ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი ს მ ე ს ა მ ე ჯ გ უ ფ ი ყველაზე მცირერიცხოვანია. აქ შედის ევროპის სახელმწიფოები: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, დიდი ბრიტანეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ავსტრია, შვეიცია, დანია, ლუქსემბურგი. ორი უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე ამ ქვეყნებში იმდენად დაჩქარებული ტემპით მცირდებოდა შობადობა, რომ ამჟამად ყოველწლიურად დაბადებულთა რიცხვი ნაკლებია გარდაცვლილთა რიცხვზე, ზოგჯერ კი ეს კოეფიციენტები თანაბარია. აბრიგად, ქვეყნების მესამე ჯგუფში მიმდინარეობს დეპოპულაციის პროცესი, უკეთეს შემთხვევაში კი ადგილი აქვს ეგრეთ წოდებულ ნულოვან ზრდას, ანუ მოსახლეობის რაოდენობა ერთ დონეზეა.

როგორც ზემოთ მოტანილი მონაცემები გვიჩვენებენ, მსოფლიოს მოსახლეობა ჯერ კიდევ სწრაფად იზრდება, მაგრამ უკვე დაისახა ზრდის ტემპების შენელება. საინტერესოა გვქონდეს ზოგადი წარმოდგენა, თუ როგორ შეიცვლება ჩვენი პლანეტის მოსახლეობის რიცხოვნობა უახლოესი ათეული წლების მანძილზე, მაგალითად, ჩვენი საუკუნის ბოლოსათვის. მოსახლეობის პროგნოზი, ისევე როგორც სხვა სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა, საკმაოდ რთულია და არც თუ ისე ხშირად მართლდება. მიუხედავად ამისა, არსებული დემოგრაფიული სიტუაციის ანალიზი და მასზე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინება შესაძლებელს ხდის მიახლოებით განისაზღვროს მოსახლეობის რაოდენობა XXI საუკუნის დასაწყისისთვის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტების გაანგარიშებით უახლოესი ორი ათეული წლის მანძილზე მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ტემპი, მართალია, თანდათან შენელდება, მაგრამ ჯერჯერობით მაინც მაღალი იქნება და XX საუკუნის დასასრულს ჩვენს პლანეტაზე იცხოვრებს 5,5—6 მლრდ. ადამიანი. რა თქმა უნდა, ზრდა მსოფლიოს სხვადასხვა

რეგიონში ერთნაირი არ იქნება. ბევრად გადიდდება განვითარებადი ქვეყნების ხვედრითი წონა მსოფლიოს მოსახლეობაში, რადგან ამ ქვეყნებში კვლავაც უფრო მაღალ დონეზე იქნება ბუნებრივი მატება უახლოესი ათეული წლების მანძილზე. უნდა მოველოდეთ, რომ ბევრ განვითარებულ ქვეყანაში გაგრძელდება მოსახლეობის მატების შემდგომი შემცირება და ზოგი მათგანი სულოვან ზრდაზე გადავა, რის შედეგადაც ისინი აღმოჩნდებიან ქვეყნების მესამე ჯგუფში.



ნახ. 4. ძირითადი რეგიონების ხვედრითი წონა მსოფლიოს მოსახლეობაში.

იმის გამო, რომ დემოგრაფიულ პროცესებს ახასიათებს ნახტომისებური განვითარება, გამორიცხული არ არის ზოგიერთი სახელმწიფოს დაბრუნება მესამედან მეორე ჯგუფში, მაგრამ მთლიანად უთუოდ გაძლიერდება მოსახლეობის ნულოვან ზრდაზე გადასვლის ზოგადი გლობალური ტენდენცია. მოსახლეობის ზრდის შენელების მთავარ ფაქტორად განვითარებად ქვეყნებში კვლავ დარჩება საწარმოო ძალების შემდგომი აღმავლობა, რასაც მოჰყვება მნიშვნელოვანი ძვრები სოციალური ცხოვრების მრავალ სფეროში, კერძოდ, ქალის უფლებრივი გათანაბრება მამაკაცებთან, მოსახლეობის კულტურული განვითარება, ურბანიზაციის პროცესის გაღრმავება, ქალების სულ უფრო ფართოდ ჩაბმა საზოგადოებრივ შრომაში და სხვა ისეთი საზოგადოებრივი მოვლენები, რომლებიც შობადობის შემცირების ფაქტორებს განეკუთვნებიან. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთ მთავარ ამოცანად რჩება ეგრეთ წოდებულ „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში მეურ-

ნეობრივი და კულტურული განვითარების დაჩქარება, რაც თავის მხრივ შეანელებს მოსახლეობის ზრდის ტემპებს.

მოსახლეობის კვლავწარმოება სსრ კავშირში

მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა რუსეთში ჩატარდა 1897 წელს, მანამდე კი მოსახლეობის რაოდენობის დადგენა ხდებოდა ეგრეთ წოდებული „რევიზიების" გზით, რომელიც დაიწყო პეტრე პირველის დროს და პერიოდულად ხორციელდებოდა დაახლოებით 15 წელიწადში ერთხელ. ამ მასალებზე დაყრდნობით და სხვა მონაცემების გამოყენებით საბჭოთა პერიოდში განხორციელდა რამდენიმე ცდა მოსახლეობის რაოდენობის დინამიკის დადგენისა X—XIX საუკუნეების განმავლობაში. მოსახლეობის გეოგრაფიის ცნობილი მკვლევარი ვ. ვ. პოკშიშევსკი[5] აღნიშნულ საუკუნეებში რუსეთის მოსახლეობის დინამიკას სსრ კავშირის დღევანდელ საზღვრებში შემდეგნაირად წარმოგვიდგენს: 1000 წელი — 13 მლნ., 1400 წ. — 17 მლნ., 1700 წ. — 25 მლნ., 1800 წ. — 45 მლნ., 1900 წ. — 130 მლნ.

XX საუკუნეში სსრ კავშირის მოსახლეობის დინამიკა მოვყავს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოთვლით და შესაბამის წლებში ჩატარებული მოსახლეობის აღწერებზე დაყრდნობით (დღევანდელ საზღვრებში):

1913 წ.	— 159,2 მლნ.	1959 წ.	— 208,8 მლნ.
1940	— 194,1	1970	— 241,7
1951 „	— 181.6 „	1979	— 262,1 „

როგორც ვხედავთ, 1951 წელს სსრ კავშირში 12,5 მლნ. ადამიანით ნაკლები ცხოვრობდა 1940 წელთან შედარებით, რაც მოლიანად აიხსნება დიდი სამამულო ომით გამოწვეული მსხვერპლით. მცირე დანაკარგები როდი განიცადა აგრეთვე მოსახლეობამ პირველი მსოფლიო ომის და სამოქალაქო ომის წლებში. მაღალი იყო მოსახლეობის მატების ტემპები 1921—1940 წლებში. ომის შემდგომ პერიოდში მოსახლეობის დაჩქარებულ ზრდას ადგილი ჰქონდა 50-იან წლებში; საშუალოწლიური მატება 10 წლის მანძილზე შეადგენდა 1,6%-ს. ანალოგიური მაჩვენებელი 60-იან წლებში შემცირდა 1,3%-მდე, ხოლო 70-იან წლებში — 0,9%-მდე. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დინამიკა საბჭოთა პერიოდში დამოკიდებულია ბუნებრივ ზრდაზე და ომებით გამოწვეულ დანაკარგებზე; გარე მიგრაციული პროცესები უმნიშვნელო გავლენას ახდენენ მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებებზე.

---

[5] В. В. Покшишевский. География населения СССР. Экономико-географические очерки. «Просвещение». М., 1971, стр. 30.

ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საბჭოთა კავშირშიაც მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა დიდ ცვლილებებს განიცდის დროსა და სივრცეში. ჩვენ საშუალება გვაქვს თვალი გავადევნოთ რუსეთში და სსრ კავშირში ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების დინამიკას საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში.

ცხრილი 3

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა რუსეთსა და სსრ კავშირში 1861—1976 წლებში

წლები	ყოველ 1000 მცხოვრებზე		
	დაიბადა	გარდაიცვალა	ბუნებრივი მატება
1861	49,5	35,4	14,1
1913	45,5	29,1	16,4
1926	44,0	20,3	23,7
1940	31,2	18,0	13,2
1950	26,7	9,7	17,0
1960	24,9	7,1	17,8
1970	17,4	8,2	9,2
1976	18,4	9,5	8,9

115 წლის მანძილზე (1861—1976 წ. წ.) შობადობა შემცირდა 2,7-ჯერ, სიკვდილიანობა კი 3,7-ჯერ. როგორც ვხედავთ, ორივე დემოგრაფიულმა მაჩვენებელმა მკვეთრი ცვლილება განიცადა. განსაკუთრებით აღსანიშნავია შობადობის შემცირება ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში და იმავე წლებიდან სიკვდილიანობის რამდენადმე გადიდება (ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, რომ უკანასკნელი გარემოება გამოწვეულია ხანდაზმული ასაკის მცხოვრებთა ხვედრითი წონის გადიდებით). ამ ცვლილებათა შედეგად მოსახლეობის ბუნებრივი კლავწარმოება 1960—1976 წლებში ორჯერ შემცირდა. აღსანიშნავია, რომ სხვა ფაქტორებთან ერთად ეს მოვლენა განაპირობა აგრეთვე მეორე მსოფლიო ომმა, რადგან 60-იან წლებში შობადობა უპირატესად მოდიოდა იმ მშობლებზე, რომლებიც დაიბადნენ ომისა და მის მომდევნო წლებში, ამიტომ მათი ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში „ნორმაზე" ბევრად ნაკლებია. ომი დროებით მოქმედი ფაქტორია, მაგრამ მისი ეკო დემოგრაფიულ პროცესებში მშვიდობის დამყარების შემდეგაც მეორდება შესუსტებული ძალით 20—25-წლიანი ინტერვალით. ომის უარყოფითი გავლენა შესუსტდა 70-იან წლებში და შობადობა 1976 წელს ერთი პუნქტით მეტი იყო 1970 წელთან შედარებით (იხ. ცხრ. 3). სსრ კავშირის თანამედროვე დემოგრაფიული სიტუაცია შეესაბამება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების დონეს და საშუალო მონაცემებით დაახლოებით ისეთივეა, როგორც სხვა განვითარებულ სახელმწიფოებში.

მეტად დიდ ფარგლებში განიცდის ტერიტორიულ (სივრცობრივ) ცვლილებებს დემოგრაფიული სიტუაცია ჩვენს ქვეყანაში. სსრ კავშირი მრავალეროვანი სახელმწიფოა და თითოეული ერი ინარჩუნებს თავის ტრადიციებს სოციალური ყოფის სხვადასხვა სფეროში, მათ შორის დემოგრაფიულ ქცევაშიც. ოჯახში ქალის მდგომარეობაზე და მრავალშვილიანობაზე რელიგიური რწმენის გადმონაშთებიც მოქმედებენ. ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ ურბანიზებულობის დონე სხვადასხვაგვარია ქვეყნის შიგნით და ქალის შრომაც არ არის გამოყენებული ერთნაირი ინტენსივობით ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. ამ გარემოებათა და რიგი სხვა ფაქტორის გავლენით წარმოიქმნა მოსახლეობის ბუნებრივი მატების სხვაობანი მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, რაც ნათლად ჩანს მე-4 ცხრილიდან.

ცხრილი 4

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა მოკავშირე რესპუბლიკებში

მოკავშირე რესპუბლიკები	1960 წელი			1976 წელი		
	ყოველ 1000 მცხოვრებზე			ყოველ 1000 მცხოვრებზე		
	დაიბადა	გარდაიცვალა	ბუნებრივი მატება	დაიბადა	გარდაიცვალა	ბუნებრივი მატება
სსრ კავშირი	24,9	7,1	17,8	18,4	9,5	8,9
რსფსრ	23,2	7,4	15,8	15,9	10,0	5,9
უკრაინის სსრ	20,5	6,9	13,6	15,2	10,2	5,0
ბელორუსიის სსრ	24,4	6,6	17,8	15,7	8,8	6,9
უზბეკეთის სსრ	39,8	6,0	33,8	35,3	7,1	28,2
ყაზახეთის სსრ	37,2	6,6	30,6	24,3	7,2	17,1
საქართველოს სსრ	24,7	6,5	18,2	18,2	7,8	10,4
აზერბაიჯანის სსრ	42,6	6,7	35,9	25,7	6,6	19,1
ლიტვის სსრ	22,5	7.8	14,7	15,7	9,6	6,1
მოლდავეთის სსრ	29,3	6,4	22,9	20,6	9,0	11,6
ლატვიის სსრ	16,7	10,0	6,7	13,8	12,1	1,7
ყირგიზეთის სსრ	36,9	6,1	30,8	31,3	8,2	23,1
ტაჯიკეთის სსრ	33,5	5,1	28,4	38,2	8,5	29,7
სომხეთის სსრ	40,1	6,8	33,3	22,7	5,5	17,2
თურქმენეთის სსრ	42,4	6,5	35,9	34,7	7,7	27,0
ესტონეთის სსრ	16,6	10,5	6,1	15,1	12,0	3,1

მეოთხე ცხრილი გვიჩვენებს, თუ რა დიდი სხვაობები არსებობს მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაში. შუა აზიის რესპუბლიკები გამოირჩევიან მოსახლეობის მეტად დაჩქარებული ზრდით. მათზე ბევრად ნაკლებია, მაგრამ მაინც მაღალ დონეზეა მოსახლეობის ბუნებრივი მატება აზერბაიჯანში, სომხეთსა და ყაზახეთში. საშუალო საკავშირო დონესთან ახლოს დგანან მოლდავეთი და საქართველო, ხოლო რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, ბელორუსია და

ბალტიისპირეთის რესპუბლიკები ბევრად ჩამორჩებიან მოსახლეობის ბუნებრივი მატებით დანარჩენ რესპუბლიკებს. 16 წლის მანძილზე (1960—1976 წწ.) მოსახლეობის ბუნებრივი მატება შემცირდა ყველა რესპუბლიკაში (ერთადერთი გამონაკლისია ტაჯიკეთი); მაგრამ შემცირება ბევრად უფრო მკვეთრად გამოისახა იმ რესპუბლიკებში, სადაც უფრო მაღალია ურბანიზებულობის დონე; ეს რეგიონები 50-იან წლებშიც ბევრად ჩამორჩებოდნენ შობადობის დონით შუა აზიის რესპუბლიკებს. ამის შედეგად კიდევ უფრო გაღრმავდა სხვაობა მოსახლეობის ბუნებრივ მატებაში ქვეყნის ცალკეულ რეგიონებს შორის: შუა აზიის რესპუბლიკებში მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპები 4—5-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში.

საქართველოს მოსახლეობის დინამიკა მრავალი საუკუნის მანძილზე მძიმე ისტორიულ ვითარებაში მიმდინარეობდა. XII—XIII საუკუნეებში, როდესაც ფეოდალური საქართველო განვითარების მაღალ დონეზე იდგა, მისი მოსახლეობა, სპეციალისტების გამოთვლით, რამდენიმე მილიონს შეადგენდა. XIII საუკუნის მეორე მეოთხედიდან დაწყებული, გარე აგრესიული ძალების მუდმივი შემოსევების გამო მოსახლეობის რაოდენობა თანდათან მცირდება, რის შედეგადაც ბევრი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია თითქმის მთლიანად დაიცალა მოსახლეობისაგან. XIX საუკუნის დასაწყისში, რუსეთთან შეერთების წინ, საქართველოს მოსახლეობა (დღევანდელ საზღვრებში) მიახლოებითი გამოთვლით არ აღემატებოდა 800 ათას კაცს. ამის შემდეგ მოსახლეობის რაოდენობა თანდათან მატულობდა როგორც ბუნებრივი გამრავლების გზით, ისე რუსეთის შიგა პროვინციებიდან და თურქეთიდან გადმოსახლებულთა ხარჯზე.

XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში (1800—1864 წწ.) მოსახლეობის ზრდის საშუალო წლიური ტემპი საქართველოში შეადგენდა 0,6%-ს. რეფორმის შემდგომ პერიოდში (1865—1920 წწ.), ანუ კაპიტალიზმის ეპოქაში, მოსახლეობის ზრდის ტემპი დაჩქარდა, შეადგენდა რა საშუალოდ ყოველწლიურად 1,23%-ს. XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისისათვის ეს ზრდა არც თუ მცირეა, მაგრამ მოსახლეობის მატებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა გარედან მოსულ მიგრანტებს. გამონაკლისს შეადგენენ მენშევიკების მმართველობის წლები (1917—1921 წწ.), როცა საქართველოდან წასულთა რაოდენობა მეტი იყო მოსულთა რაოდენობაზე. მიუხედავად ამისა, ბუნებრივი მატებაც არ იდგა დაბალ დონეზე. გასული საუკუნის მეორე ნახევარში ეს მაჩვენებელი 11—12 პრომილეს შეადგენდა. ყურადღებას იქცევს იმ დროისათვის სიკვდილიანობის შედარებით დაბალი დონე (16—20 პრომილე).



ნახ. 5. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა 1800—1982 წლებში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წელს (1921 წ.) საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 2,4 მლნ. კაცს. მეტად მაღალი იყო მოსახლეობის ზრდის ტემპები 1921—1941 წლებში; ორი ათეული წლის მანძილზე რესპუბლიკის მცხოვრებთა საშუალოწლიური ნამატი 2 პროცენტს აღემატებოდა. ამ პერიოდში ინტენსიურ ბუნებრივ მატებასთან ერთად კვლავ გრძელდებოდა მოსახლეობის გარედან მოსვლა. დიდი სამამულო ომის ბრძოლებში საქართველომ დაკარგა 300 ათასი კაცი. ომისა და მის მომდევნო რამდენიმე წლის მანძილზე მკვეთრად დაეცა შობადობა, ხოლო 50-იანი წლების დასაწყისიდან კვლავ მაღალ დონეზე იყო მოსახლეობის ბუნებრივი მატება. 60-იან წლებში, ისევე როგორც მთლიანად სსრ კავშირში, საქართველოშიც დაიწყო მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირება, რის შედეგადაც 1960 წელთან შედარებით 1979 წლისათვის ეს მაჩვენებელი განახევრდა. ამავე დროს შეიცვალა გარე მიგრაციული პროცესების სალდო: 1957 წლიდან ყოველწლიურად რესპუბლიკიდან წასულთა რიცხვი მეტია, ვიდრე მოსულთა რიცხვი. ორივე ამ მოვლენამ მნიშვნელოვნად შეანელა საქართველოს მოსახლეობის ზრდის ტემპები.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა

წელი	(ათასობით)
1897	1919,4
1913	2600,4
1921	2410,5
1926	2677,2

1939	3540,0
1959	4044,0
1970	4686,4
1979	5014,8



ნახ. 6. სსრ კავშირის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ლატვიის მოსახლეობის ბუნებრივი მატება 1950—1980 წლებში.

საბჭოთა პერიოდში საქართველოს მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე საშუალოდ სსრ კავშირის მოსახლეობა. 1913 წელს საქართველოს ხვედრითი წონა რუსეთის მოსახლეობაში შეადგენდა 1,63%-ს, ხოლო 1979 წელს საქართველოში ცხოვრობდა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 1,91%. გარდა იმისა, რომ საქართველოში რამდენადმე უფრო მაღალია მოსახლეობის ბუნებრივი მატება (იხ. ცხრ. 4), რესპუბლიკის მცხოვრებთა უფრო დაჩქარებულ ზრდაზე დიდი გავლენა მოახდინა მოსახლეობის გარედან მოსვლამ. თუ 1957 წლამდე მოსახლეობის საერთო რაოდენობის ზრდა წინ უსწრებდა ბუნებრივ მატებას, უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე შებრუნებული მდგომარეობაა, რაც აიხსნება გარე მიგრაციის დადებითი სალდოს შეცვლით უარყოფითი სალდოთი.

თავი მესამე

მოსახლეობის სტრუქტურა

მოსახლეობის შემადგენლობა არ არის ერთგვაროვანი. ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სქესით და ასაკით, ეროვნული კუთვნილებით და სოციალური მდგომარეობით, განათლების დონით და პროფესიით, შრომითი საქმიანობით და ა. შ. თუ მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა ასახავს რაოდენობრივ ცვლილებებს, მისი შემადგენლობის შესწავლა წარმოდგენას გვაძლევს თვისებრივ მხარეზე, რასაც არა მარტო შემეცნებითი, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ქალებისა და მამაკაცების რიცხობრივ შეთანაწყობაზე დამოკიდებულია ოჯახის შექმნის შესაძლებლობა, ეს კი თავის მხრივ გავლენას ახდენს მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე. ასაკობრივი შემადგენლობა გვიჩვენებს შრომისუნარიანი კონტინგენტების, აგრეთვე სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა რაოდენობას და ფართოდ გამოიყენება ეკონომიკისა და კულტურის დარგების დაგეგმვისას. კვალიფიციური კადრების არსებობა თავისთავად წარმოების აღმავლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა; მოსახლეობის განათლების დონეზე და პროფესიულ შემადგენლობაზე ბევრადაა დამოკიდებული სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპები და მიმართულება.

მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა

მოსახლეობის სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურა ყალიბდება შობადობისა და სიკვდილიანობის უშუალო გავლენით. ცალკეული რეგიონების და ქვეყნების მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ შემადგენლობაზე ზემოქმედებას ახდენენ აგრეთვე მიგრაციული პროცესები და ომები. სხვა თანაბარი პირობების დროს, ახალგაზრდა ასაკის კონტინგენტების ხვედრითი წონა მეტი იქნება იმ ქვეყნებში, სადაც უფრო მაღალია ბუნებრივი მატება.

მამაკაცების უფრო მაღალი სიკვდილიანობის დროს ეცემა მათი ხვედრითი წონა სქესობრივ სტრუქტურაში და — პირიქით. მიგრაციის შედეგად მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიძლება მოხდეს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაში იმისდა მიხედვით, თუ რა ასაკის და სქესის მოსახლეობა იცვლის საცხოვრებელ ადგილს; ცვლილებები ხდება როგორც მიგრანტთა გამოსვლის, ისე მათი დამკვიდრების ადგილებში. ომის ზეგავლენით, გარდა იმისა, რომ მცირდება ძაძაკაცების აბსოლუტური და ფარდობითი რაოდენობა, იცვლება ასაკობრივი სტრუქტურაც, ჯერ ერთი, 18—50 წლის მამაკაცებში დიდი მსხვერპლის გამო და, მეორეც, ომის წლებში შობადობის კლების შედეგად, რაც იწვევს ამ პერიოდში დაბადებულთა ხვედრითი წონის შემცირებას.

მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის კავშირი სტრუქტურულ ცვლილებებთან არ ამოიწურება მარტო დასახელებული მოვლენებით. სქესობრივი და ასაკობრივი შემადგენლობა უკუგავლენას ახდენს შობადობასა და სიკვდილიანობაზე. ქალებსა და მამაკაცებს შორის ოპტიმალური რაოდენობრივი შეთანაწყობა ხელს უწყობს ბუნებრივ მატებას, ხანდაზმულთა მაღალი ხვედრითი წონა კი იწვევს სიკვდილიანობის კოეფიციენტის ამაღლებას.

ახალშობილთა შორის რამდენადმე ჭარბობს ვაჟები. ყოველ 100 დაბადებულ გოგონაზე მოდის 104—106 ვაჟი. განვითარებულ ქვეყნებში ქალებთან შედარებით უფრო მაღალია სიკვდილიანობა ვაჟებს შორის, . რის გამოც დაახლოებით 18—20 წლის ასაკში თანაბრდება ორივე სქესის მოსახლეობის რაოდენობა, ხოლო შემდგომში კაცების რიცხვი უფრო სწრაფად კლებულობს ვიდრე ქალებისა; ბევრად ჭარბობს ქალების რაოდენობა ხანდაზმულთა შორის, განსაკუთრებით ომის მომდევნო პერიოდში. განვითარებადი ქვეყნების უმეტეს ნაწილში ქალებთან შედარებით უფრო ნაკლებია სიკვდილიანობა კაცებს შორის, ამიტომ ისინი ქალებზე მეტი არიან. ქალები აქ ხშირად მძიმე სამუშაოებს ასრულებენ, დიდია აგრეთვე მათ შორის მსხვერპლი მშობიარობის დროს, რადგან ბევრად ხშირია ბავშვების გაჩენის შემთხვევები და სასურველ დონეზე არაა მშობიარობის სამედიცინო მომსახურება; ბევრ ქვეყანაში რელიგიური დოგმების ზეგავლენით ჯერ კიდევ არაა აღმოფხვრილი მშობიარე ქალის მიმართ უზრუნველი დამოკიდებულება.

განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში დასახელებული ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენციის გამო, მთლიანად მსოფლიოში საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა, თუმცა ცალკეულ ქვეყნებში გადახრები მნიშვნელოვანია.

ცხრილი 5

მოსახლეობის სქესობრივი შედგენილობა მსოფლიოს ძირითად რეგიონებში

რეგიონები	ფარღობა 1960-იანი წლების ბოლოს (პროცენტობით)[1]	
	კაცები	ქალები
სსრ კავშირი	46,6	53,4
საზღვარგარეთის ევროპა .	48,4	51,6
საზღვარგარეთის აზია	51,3	48,7
აფრიკა . .	50,0	50,0
ამერიკა	49,6	50,4
ავსტრალია და ოკეანეთი .	50,1	49,9
საშუალოდ მთელი მსოფლიო .	50,2	49,8

როგორც ცხრილიდან ჩანს, სსრ კავშირში ყველაზე დიდია სხვაობა კაცებისა და ქალების რაოდენობაში, რაც აიხსნება განვლილ ომებში მამაკაცების დანაკლისით. კონტრასტული მაჩვენებლებით გამოირჩევიან აზია და ევროპა. 60-იანი წლების ბოლოს საზღვარგარეთ აზიაში 50 მლნ-ით მეტი იყო მამაკაცი, ვიდრე ქალი, საზღვარგარეთ ევროპაში კი ქალები ჭარბობდნენ მამაკაცებს 15 მლნ-ით. 1979 წლის აღწერით სსრ კავშირში ქალები 17,8 მლნ-ით მეტი იყო მამაკაცებთან შედარებით. ეს სხვაობა უფროსი ასაკისა და ხანდაზმული ქალების ხარჯზეა წარმოქმნილი და, რაც უფრო ვშორდებით მეორე მსოფლიო ომს, მით უფრო მცირდება. საქართველოშიაც მნიშვნელოვანია განსხვავება კაცებისა და ქალების რაოდენობაში. 1979 წელს ქალები შეადგენდნენ რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 53%-ს და დაახლოებით 300 ათასით მეტი იყვნენ, ვიდრე კაცები. როგორც მთლიანად სსრ კავშირში, ისე საქართველოში ქალების სიჭარბე უფრო მეტია ქალაქად, ვიდრე სოფლად. საყურადღებოა, რომ საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკებში, სადაც მაღალია ბუნებრივი მატება, ბევრად ნაკლებია დისპროპორცია სქესებს შორის, რადგან დიდია ახალგაზრდა ასაკის მქონეთა ხვედრითი წონა, ამ ასაკში კი სხვაობა ვაჟების და ქალების რაოდენობაში მინიმალურია.

არცთუ იშვიათად ცალკეული დასახლებული პუნქტების მოსახლეობის სქესობრივ სტრუქტურაზე გავლენას ახდენს წარმოების ხასიათი. ასე მაგალითად, მოპოვებითი მრეწველობის ცენტრებში, როგორც წესი, ჭარბობს მამაკაცები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი შახტებ-

[1] Народонаселение стран мира. Справочник. «Статистика», 1974, стр. 225. ცნობები სსრ კავშირის მოსახლეობაზე 1979 წლისაა (იხ. Население СССР по данным Всесоюзной переписи населения 1979 года, Политиздат, Москва, 1980, стр. 16).

ში ან მაღაროებში შრომობს. იმ ქალაქებში კი, სადაც მსუბუქ მრეწველობას უკავია წამყვანი ადგილი, მეტია ქალები; მათი შრომა ფართოდ გამოიყენება სამკერვალო, საქსოვ-სატრიკოტაჟო და სხვა მონათესავე სახის საწარმოებში.

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შესწავლისას, ჩვეულებრივ გამოყოფენ სამ ასაკობრივ ჯგუფს: შრომისუნარიან ასაკამდელ ბავშვებს და მოზარდებს (0—14 წლები), შრომისუნარიანი ასაკისას (15—60 წლები)[2] და ამ ასაკს გადაცილებულთ (60 წლისა და უხნესი). მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონსა და ქვეყანაში, იმისდა მიხედვით, თუ როგორია შობადობის და სიკვდილიანობის კოეფიციენტები, შეთანაწყობა დასახელებულ ასაკობრივ ჯგუფებს შორის მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის; გარკვეული კორექტივები შეაქვთ აგრეთვე მიგრაციულ პროცესებს და ომებს, მაგრამ გადამწყვეტი როლი მაინც ბუნებრივ მოძრაობას ენიჭება. ქვეყნებში, სადაც დაბალი შობადობა და დაბალი სიკვდილიანობაა, შედარებით მცირეა ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა და შესაბამისად დიდია ხანდაზმულთა ფარდობითი რაოდენობა. რაც შეეხება შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას, მისი ხვედრითი წონა ამ ქვეყნებში საკმაოდ მაღალია. ასეთი ასაკობრივი სტრუქტურა დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისათვის. მათგან განსხვავებით, განვითარებად ქვეყნებში დიდია ახალგაზრდა ასაკის მქონეთა ხვედრითი წონა და მცირეა ხანდაზმულთა ფარდობითი მაჩვენებელი; შედარებით დაბალია ამ ქვეყნებში აგრეთვე შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა. ასეთი ასაკობრივი სტრუქტურა განვითარებად ქვეყნებში შედეგია მაღალი შობადობისა და საშუალოზე უფრო დიდი სიკვდილიანობისა, რის შედეგადაც აქ შედარებით მცირეა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: როდესაც მაღალი შობადობა ათეული წლების მანძილზე გრძელდება, 0—14 ასაკის მოზარდები თანდათან გადადიან შრომისუნარიან ასაკში და მაღლდება ამ ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა. საერთოდ განსხვავება განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ქვეყნების მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში უფრო დიდია ბავშვებისა და ხანდაზმულთა ასაკობრივ ჯგუფებში, ვიდრე შრომისუნარიან ასაკებში, რაც ჩანს მეექვსე ცხრილიდან.

მაშინ, როდესაც აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში 0—14 წლის ბავშვებისა და მოზარდების ხვედრითი წონა 43%-ს შეადგენს, ევრო-

---

[2] შრომისუნარიანი ასაკის ქვედა და ზედა ზღვარი სხვადასხვა ქვეყანაში ერთნაირი არ არის. მაგალითად, სსრ კავშირში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას ეკუთვნიან კაცები 16-დან 60 წლამდე, ქალები — 16-დან 55 წლამდე.

პის ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი 25%-ს არ აღემატება, ანუ განსხვავება შეადგენს 18 პუნქტს, ხოლო 15—50 წლის მოსახლეობაში ანალოგიური სხვაობა მხოლოდ 8 პუნქტია.

ცხრილი 6

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა მსოფლიოს ძირითად რეგიონებში 1900-იანი წლების ბოლოს (პროცენტობით)[3]

რეგიონები	0—14 წლის	15—59 წლის	60 წლის და უხნესი
სსრ კავშირი	29	59	12
საზღვარგარეთის ევროპა	25	59	16
საზღვარგარეთის აზია	42	53	5
აფრიკა . . .	43	52	5
აშშ და კანადა .	29	57	14
ლათინური ამერიკა .	43	51	6
ავსტრალია და ოკეანეთი . .	31	58	11
საშუალოდ მთელი მსოფლიო	37	55	8

როგორც სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლები, ასაკობრივი შემადგენლობაც დიდ ცვლილებებს განიცდის. შობადობის შემცირების პარალელურად თანდათან მცირდება ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა, სიკვდილიანობის შემცირებას კი თან მოსდევს ხანდაზმულთა ხვედრითი წონის გადიდება. იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკებში მოსახლეობის კვლავწარმოება ერთნაირი არ არის, დიდი სხვაობები შეიმჩნევა აგრეთვე ასაკობრივ შემადგენლობაში. დამახასიათებელია ამ მხრივ რესპუბლიკები დაბალი, საშუალო და მაღალი შობადობით.

ცხრილი 7

ესტონეთის, საქართველოს და თურქმენეთის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა 1970 წელს[4] (პროცენტობით)

რესპუბლიკები	0—14 წლის	15—59 წლის	60 წლის და უხნესი	შობადობის კოეფიციენტი პროჰილებში
ესტონეთის სსრ .	22,1	61,1	16,8	15,8
საქართველოს სსრ .	30,6	57,5	11,9	19,2
თურქმენეთის სსრ . .	44,9	47,9	7,2	35,2
საშუალოდ სსრ კავშირი .	29,0	59,2	11,8	17,4
საშუალოდ მსოფლიო	37,0	55,0	8,0	33,8

[3] Народонаселение стран мира. Справочник. «Статистика», 1974, стр. 204.
[4] იქვე, გვ. 66, 205, 206.

მეშვიდე ცხრილი ნათლად გვიჩვენებს, რომ მოზარდების ხვედრითი წონა მოსახლეობაში პირდაპირ პროპორციულია შობადობის კოეფიციენტისა, ხოლო ხანდაზმულთა ხვედრითი წონა უკუპროპორციულია ამ კოეფიციენტისა. ცხრილიდან ისიც ჩანს, რომ საქართველოს სსრ ახლოს დგას საშუალო საკავშირო მაჩვენებელთან როგორც შობადობის კოეფიციენტის სიდიდით, ისე მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურით. ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთა ასეთი ასაკობრივი სტრუქტურა და, ზოგადად, ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები ასახავენ მოსახლეობის კვლავწარმოების იმ ტიპს, რომელიც დამახასიათებელია ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებული ქვეყნებისათვის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1970—1979 წლებში საქართველოში შობადობის კოეფიციენტის თანდათან კლებამ გამოიწვია 0—14 წლის ასაკობრივი ჯგუფის ხვედრითი წონის შემცირება აღნიშნულ პერიოდში 30,6%-დან 26%-მდე. იმავე პერიოდში გაიზარდა უფროსი ასაკისა და ხანდაზმულთა აბსოლუტური და ფარდობითი რაოდენობა.

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურების ერთმანეთთან შედარება გვიჩვენებს მათ შორის არსებულ სხვაობებს. მთავარი განსხვავება ის არის, რომ ქალაქად უფრო მაღალია შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა, რადგან სოფლიდან ქალაქისაკენ გაძლიერებული მიგრაციის დროს მიგრანტთა მეტი ნაწილი ამ ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება. უკანასკნელ დრომდე, სოფლად უფრო მაღალი შობადობის გამო, აქ მეტი იყო მოზარდების ხვედრითი წონა, ვიდრე ქალაქად. ამჟამად კი ასეთი სხვაობა განვითარებულ ქვეყნებში თითქმის აღარ არსებობს; ახალგაზრდობის ლტოლვამ სოფლიდან ქალაქად მნიშვნელოვნად შეამცირა შობადობის კოეფიციენტი სოფლის მოსახლეობაში და ამასთან ერთად მოზარდების ხვედრითი წონაც.

იმასთან დაკავშირებით, რომ განვითარებად ქვეყნებში მეტად მაღალია მოზარდების ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში, გაიზარდა ეგრეთ წოდებული „დემოგრაფიული დატვირთვა“ ანუ მოსახლეობის შრომისუნარიანი კონტინგენტების კმაყოფაზე მყოფთა რაოდენობა. 1970 წლის მონაცემებით საზღვარგარეთი ევროპის ქვეყნებში საშუალოდ 15—59 წლის ასაკის ყოველ ათას მცხოვრებზე მოდიოდა 0—14 წლის და 60 წელზე უხნესი ასაკის 707 მცხოვრები. აფრიკაში კი 937. დაახლოებით ასეთივე სურათი იქნება თუ ერთმანეთს შეეადარებთ განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების „დემოგრაფიულ დატვირთვას“. ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს განვითარებადი ქვეყნების ხალხთმოსახლეობის პრობლემას, რადგან შრომისუნარიანებზე მოდის ბევრად მეტი კმაყოფაზე მყოფნი, ვიდრე განვითარებულ ქვეყ-

ნებში. მთავარი სიძნელე კი ის არის, რომ განვითარებად ქვეყნებში საწარმოო ძალების განვითარების დაბალი დონე ვერ უზრუნველყოფს შრომითი კონტინგენტების სრულ დასაქმებას, მათ ჩაბმას მაღალნაყოფიერ შრომაში. ორივე ეს გარემოება დიდად აფერხებს ეკონომიკურ წინსვლას, თითქმის შეუძლებელს ხდის დაჩქარდეს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

სიკვდილიანობის კოეფიციენტის საყოველთაო შემცირებამ, აგრეთვე 60-იანი წლების დასაწყისიდან განვითარებულ ქვეყნებში შობადობის მნიშვნელოვანმა შემცირებამ გამოიწვია მოსახლეობაში ხანდაზმულთა ხვედრითი წონის გადიდება. ამ მოვლენას დემოგრაფიაში უწოდეს მოსახლეობის „დაბერების" პროცესი. მარტო 20 წლის განმავლობაში — 1950—1970 წ. წ. დიდი ბრიტანეთის მოსახლეობაში 60 წლის და უხნესი ასაკის კონტინგენტების ხვედრითი წონა გადიდდა 7,2%-დან 18,5%-მდე. შესაბამისი მაჩვენებლები ამერიკის შეერთებულ შტატებში შეადგენენ 4,1% და 14,1%, საფრანგეთში — 10,1% და 18,8%, შვეიცარიაში — 7,8% და 19,3% და ა. შ. ანალოგიური ხასიათის ცვლილებები მოხდა ევროპის ქვეყნების უმეტეს ნაწილში და სხვა განვითარებულ რეგიონებშიც. სსრ კავშირში შედარებით უფრო ნელა იზრდება ხანდაზმულთა ხვედრითი წონა. 1926 წლიდან 1970 წლამდე ეს მაჩვენებელი ჩვენს ქვეყანაში გადიდდა 6,7%-დან 11,8%-მდე.

მოსახლეობის „დაბერების" პროცესი უფრო სუსტადაა გამოსახული განვითარებად ქვეყნებში, რადგან ჯერჯერობით იქ მაღალ დონეზეა შობადობა. ხანდაზმულთა ხვედრითი წონის გადიდება ამ ქვეყნებში კიდევ უფრო ამძიმებს ისედაც რთულ დემოგრაფიულ სიტუაციას; მოხუცების სახელმწიფოს კმაყოფაზე აყვანა მძიმე ტვირთად აწვება სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკას.

განვითარებად ქვეყნებში ხანდაზმულთა ხვედრითი წონის გაზრდით გამოწვეული სიძნელეები არ იძლევა იმის საფუძველს, რომ უარყოფითად შეეფასოთ მთლიანად მოსახლეობის „დაბერების" პროცესი. ჯერ-ერთი, ეს პროცესი ნიშნავს სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდას ანუ ადამიანები უფრო ნაკლებად იღუპებიან ახალგაზრდა ან საშუალო ასაკში, რაც თავისთავად უაღრესად პროგრესული მოვლენაა. საკმარისია ითქვას, რომ განვითარებულ ქვეყნებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 70—75 წელს შეადგენს, წინათ კი 35—40 წელს არ აღემატებოდა. მეორეც, ადამიანის შრომისუნარიანი ასაკის პერიოდი გადიდდა 20—25 წლიდან 40—45 წლამდე, რის შედეგადაც ბევრად გაიზარდა შრომითი რესურსების მიერ მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა შექმნის პოტენციური შესაძლებლობანი. მესამეც, სამედიცინო მომსახურების ახლებურად დაყენებამ, შრომის პი-

რობების გარდაქმნამ და, ზოგადად, ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებამ გამოიწვია დაბერების, როგორც ფიზიოლოგიური მოვლენის, გადანაცვლება უფრო ხანდაზმულ ასაკებში. 60—70 წლის ადამიანები ამჟამად ცხოვრების ნორმალურ პირობებში ინარჩუნებენ შრომის უნარს და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი აქტიურად მონაწილეობს საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

სოციალური შემადგენლობა

მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა უშუალო კავშირშია პოლიტიკურ-ეკონომიკურ წყობასთან ანუ საწარმოო ძალების განვითარების დონესთან და წარმოების გაბატონებულ წესთან. ადამიანის სოციალურ მდგომარეობას განაპირობებს მისი დამოკიდებულება წარმოების საშუალებებთან. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვის საკუთრებაშია წარმოების ძირითადი საშუალებანი — მიწა და წიაღისეული, ფაბრიკები და ქარხნები, ტრანსპორტი და ა. შ. ამ მხრივ მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნები; თავისებური სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური წყობა ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს. ამასთან დაკავშირებით ქვეყნების აღნიშნული სამი ჯგუფის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესახებ მოკლე ცნობებს მოვიტანთ ცალ-ცალკე.

სოციალისტურ ქვეყნებში განხორციელდა ძირეული გარდაქმნები ეკონომიკაში. წარმოების ძირითად საშუალებებზე დაწესებულია საზოგადოებრივი საკუთრება, რაც გამორიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას. ამის შედეგად აღარ არსებობს ბურჟუაზიული კლასები, ანუ მოსახლეობის ის ფენა, რომელიც წინათ ფლობდა წარმოების საშუალებებს. სამრეწველო წარმოების აღმავლობამ გამოიწვია მუშებისა და მათი ოჯახის წევრების აბსოლუტური და ფარდობითი ოდენობის დაჩქარებული ზრდა. მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტში და მეურნეობის სხვა დარგებში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ დანერგვას თან ახლავს მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლება, მთელი რიგი ახალი სპეციალობების წარმოქმნა. შეიცვალა თვით სამუშაოს ხასიათი. შრომის მთელი რიგი ისეთი პროცესები, რომლებიც წინათ ადამიანის ფიზიკური ენერგიის გამოყენებით სრულდებოდა, ამჟამად მანქანების საშუალებით ხორციელდება, რის შედეგადაც მეურნეობის მრავალ დარგში საწარმოო პროცესებში მძიმე, მომქანცველი შრომის ნაცვლად, მუშაკი აღნიშნული პროცესების მართვას აწარმოებს. ამან მოითხოვა მომუშავის კვალიფიკაციისა და შრომის კულტურის ამაღლება.

ახალ ვითარებაში მუშათა კლასი ზოგადი კულტურითა და კვალიფიკაციით განვითარების მაღალ დონეზე იმყოფება.

სოციალისტურ ქვეყნებში განხორციელებული სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის შედეგად მკვეთრად გაიზარდა მუშებისა და მათი ოჯახის წევრების ხვედრითი წონა. მარტო 1950—1969 წლებში ბულგარეთში მუშების ხვედრითი წონა მომუშავეთა საერთო რაოდენობაში გადიდდა 11,1%-დან 31,4%-მდე, უნგრეთში შესაბამისად — 16,9% და 34,4%, მონღოლეთში — 8,3% და 16,2%, ჩეხოსლოვაკიაში — 27,9% და 42%. საბჭოთა კავშირში ოცი წლის მანძილზე (1950—1970 წ. წ) მუშების ხვედრითი წონა გაიზარდა 22,5%-დან 37,3%-დე.

წარმოების მძლავრმა აღმავლობამ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ვითარებაში მოითხოვა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები მეურნეობისა და კულტურის ყველა სფეროში. გაიზარდა გონებრივი შრომის როლი როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ წარმოებაში. ამის შედეგად სისტემატურად ფართოვდება საქმიანობის სხვადასხვა დარგში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონეთა რიცხვი, სწრაფად იზრდება სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში დასაქმებულთა რაოდენობა. სსრ კავშირში 1976 წელს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების რიცხვი შეადგენდა 24 მლნ., ხოლო მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა 1253,5 ათასს. ანალოგიურ მოვლენას აქვს ადგილი სხვა სოციალისტურ ქვეყნებშიც.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი შედეგია ფიზიკური და გონებრივი შრომის თანდათან დაახლოება; ხშირ შემთხვევაში ძნელია მათ შორის ზღვარის გავლება. ბევრი სახეობის საქმიანობა მხოლოდ პირობითად შეიძლება ჩაითვალოს ფიზიკურ შრომად, რადგან მომუშავე მართავს რთულ დანადგარებს, ახორციელებს წარმოების პროცესის კონტროლს და ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს უთავსებს ფიზიკური და გონებრივი შრომის ელემენტებს. ბევრი სპეციალობა შრომის ორი სახეობის შერწყმას განასახიერებს.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ფართოდ ინერგება სოფლის მეურნეობაში. წარმოების ამ დარგშიც საყოველთაო გამოყენებას პოულობს გაუმჯობესებული ტექნიკა და ტექნოლოგია, ხორციელდება მელიორაცია და ქიმიზაცია. წვრილი გლეხური მეურნეობების ადგილი დაიკავა მსხვილმა კოლექტიურმა და სახელმწიფო მეურნეობებმა. დიდმნიშვნელოვან ძვრებს თან მოჰყვა სოფლის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გარდაქმნა. წინანდელი გლეხის ადგილი სოფლად დაიკავა კოლმეურნემ და საბჭოთა მეურნეობის მუშამ. სასოფლო-სამე-

ურნეო წარმოებასთან ერთად სოფლად ჩაისახა სამრეწველო საწარმოები, შეიქმნა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და კულტურის დაწესებულებები, მომსახურების სფეროს მთელი რიგი სხვა ობიექტები. აღნიშნულმა ძვრებმა გამოიწვია სოფლად ინტელიგენციის ფენის წარმოქმნა. ყოველწლიურად მცირდება კოლმეურნეთა აბსოლუტური და ფარდობითი რაოდენობა სოფლად და იზრდება მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი.

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში გაელენიან ფენას შეადგენს მსხვილი და საშუალო ბურჟუაზია, რომლის ხვედრითი წონა მოსახლეობაში არ აღემატება 3—4%-ს. მის ხელშია ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება. ყველაზე მრავალრიცხოვანია მუშათა კლასი. მუშები შეადგენენ ამ ქვეყნებში თვითმოქმედი მოსახლეობის დაახლოებით 75—80%-ს. მუშების დაახლოებით 2/5 ფაბრიკა-ქარხნებში შრომობს. თანდათან მცირდება კაპიტალისტურ ქვეყნებში ფიზიკურ შრომაში მონაწილეთა ხვედრითი წონა. იზრდება ისეთ დარგებში მომუშავეთა აბსოლუტური და ფარდობითი რიცხვი, როგორიცაა ბანკები და სხვა საფინანსო დაწესებულებები, ვაჭრობა და მომსახურების სხვა სფერო; იზრდება მოსამსახურეთა ხვედრითი წონა მატერიალური წარმოების სფეროშიც. მოსამსახურეებისა და არაფიზიკურ შრომაში ჩაბმულთა ხვედრითი წონა ეგრეთ წოდებულ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში 20 წლის მანძილზე (1950—1970 წ. წ) გადიდდა 37,5%-იდან 48,3%-მდე. მეტად ფართო ხასიათი მიიღო წვრილი ფერმერებისა და გლეხების გაღატაკებამ და მათმა გადასვლამ მუშების ან ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის კატეგორიაში; მკვეთრად მცირდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დაქირავებული მუშების რაოდენობა და წარმოების ამ სფეროში მომუშავეთა საერთო რიცხვი.

მოსახლეობის 5—15% მიეკუთვნება ქალაქის წვრილ ბურჟუაზიას, რომელსაც შეადგენენ წვრილი ვაჭრები, ხელოსნები, პატარა საწარმოების და სახელოსნოების მფლობელები. მათი ძირითადი ნაწილი საკუთარი შრომით ცხოვრობს; ბევრი მათგანი ჩაბმულია მომსახურების სფეროში. ფერმერებისა და გლეხებისაგან განსხვავებით, წვრილი ბურჟუაზიის რიცხვი და ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში თითქმის არ მცირდება, ზოგ ქვეყანაში იზრდება კიდევაც, რაც გამოწვეულია მოსახლეობის მომსახურების სისტემატური გაფართოებით.

სწრაფად იზრდება საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის, ადმინისტრაციული ორგანოების და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა რაოდენობა. ცალკეულ ქვეყნებში მათი ხვედრითი წონა მომუშავე მოსახლეობის 6—8%-ს შეადგენს. ასევე დაჩქარებული ზრდის ტენდენ-

ცია ახასიათებს მოსწავლე ახალგაზრდობის, განსაკუთრებით სტუდენტების რაოდენობას.

განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მწვავე სოციალური პრობლემაა უმუშევრობა. ბევრ ქვეყანაში მუშახელის 5—10 % ვერ შოულობს სამუშაოს და მძიმე ეკონომიკურ პირობებში იმყოფება. უმუშევართა რიცხვი კიდევ უფრო იზრდება ეკონომიკური კრიზისების დროს, რაც საკმაოდ ხშირ მოვლენად იქცა კაპიტალისტურ სამყაროში.

განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ გლეხები და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია. იმისდა შესაბამისად, თუ რა დონეზეა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, გლეხები შეადგენენ მოსახლეობის 20-დან 70%-მდე. სოფლის მოსახლეობის მეტ ნაწილს ძალზე მცირე მიწის ნაკვეთები გააჩნია და სიღატაკისათვის თავი ვერ დაუღწევია. ნაწილი გლეხებისა მოსახლეობის შეძლებულ ფენას ემსახურება და სოფლის პროლეტარიატს წარმოქმნის. ცხოვრების მეტად მძიმე პირობების გამო გლეხები დიდი რაოდენობით მიდიან ქალაქად. უმეტეს შემთხვევაში ქალაქი ვერ ითვისებს მოზღვავებულ არაკვალიფიციურ მუშახელს და ძლიერდება უმუშევრობა.

საკმაოდ სწრაფად იზრდება მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობა განვითარებად ქვეყნებში. დაქირავებულ შრომაში ჩაბმულია მომუშავე მოსახლეობის დაახლოებით 1/3; მათგან 25—30% მუშაობს მრეწველობაში, ტრანსპორტსა და მშენებლობაში; 30—35 % მომსახურების სფეროშია ჩაბმული, ხოლო 40—45 % — სოფლის მეურნეობაში.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 10—12%-ს შეადგენს ქალაქების წვრილი ბურჟუაზია. წვრილი ვაჭრების, ხელოსნებისა და მომსახურების სფეროში დასაქმებული პატარა საწარმოთა მფლობელების ეკონომიკური მდგომარეობა დიდად არ განსხვავდება დაქირავებული მუშების მდგომარეობისაგან.

ცალკეული განვითარებადი ქვეყნები მოსახლეობის სოციალური სტრუქტურით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითად, ლათინური ამერიკის ქვეყნებში უფრო მაღალია სამრეწველო წარმოებაში ჩაბმული მუშახელის ხვედრითი წონა, ვიდრე აფრიკასა და სამხრეთ აზიის ქვეყნებში. აფრიკისა და აზიის ბევრ ქვეყანაში მრავალრიცხოვანია აგრარული „ჭარბი" მოსახლეობა ცხოვრების მეტად დაბალი დონით.

განათლების დონე

მოსახლეობის თვისებრივი მხარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია განათლების დონე. განათლება ფართო ცნებაა და გული-

სხმობს ადამიანის მიერ ცოდნის, აგრეთვე მისი პრაქტიკაში გამოყენების ჩვევების დაუფლებას. ცოდნის შეძენა ხანგრძლივი პროცესია და მოითხოვს დიდ დროს. ჩვეულებრივ, სწავლა იწყება ბავშვობაში და გრძელდება მრავალი წლის მანძილზე. თანამედროვე ცივილიზაციის ერთ-ერთი ნიშანია ცოდნის ფართოდ გავრცელება, რის გარეშეც შეუძლებელია მიღწეულ იქნეს სოციალური პროგრესი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ზოგად, ისე პროფესიულ განათლებას. ზოგადი განათლება ჭირდება ყველა პროფესიის ადამიანს, რათა უფრო მიზანშეწონილად და რაციონალურად წარმართოს თავისი პრაქტიკული მოღვაწეობა. პროფესიული განათლება ადამიანს აძლევს სხვადასხვა სპეციალურ ცოდნას გარკვეული შრომითი ჩვევების დაუფლებისათვის. განათლებას ყოფენ დაბალ, საშუალო და უმაღლეს საფეხურებად. პირველი ორი საფეხურის განათლება შეიძლება იყოს ზოგადიც და პროფესიულიც, უმაღლესი საფეხური კი აუცილებლად გულისხმობს პროფესიულ მომზადებას.

განათლების პირველი საწყისი ეტაპია უწიგნურობის დაძლევა ანუ წერა-კითხვის დაუფლება[5]. ამ მაჩვენებლით და სხვადასხვა საფეხურის განათლების მქონეთა რაოდენობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამა თუ იმ ქვეყანაში მიღწეული განათლების დონის შესახებ. ისე როგორც სხვა სტრუქტურული მაჩვენებლების მიხედვით, განათლების დონითაც დიდი განსხვავებანი არსებობს მსოფლიოს ხალხებს შორის. განათლების საყოველთაო გავრცელება მოითხოვს სკოლების ფართო ქსელის შექმნას, შესაბამის კვალიფიციურ კადრებს და სერიოზულ მატერიალურ დანახარჯებს, ამის შესაძლებლობა კი ყველა ქვეყანას არა აქვს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ამ მხრივ ის ქვეყნები, სადაც საწარმოო ძალების დონე დაბალია, პირველ რიგში ეგრეთ წოდებული განვითარებადი ქვეყნები. ამ ქვეყნებს არ გააჩნიათ შესაბამისი სასკოლო ქსელი განათლების საყოველთაო გავრცელებისათვის, მეტად დაბალია წერა-კითხვის მცოდნეთა ხვედრითი რაოდენობა.

წერა-კითხვის გავრცელების დასადგენად საზღვარგარეთის ქვეყნებში იყენებენ შემდეგ წესს: განსაზღვრავენ წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობას 15 წელზე უფროსი მთელი მოსახლეობის მიმართ და ამ მაჩვენებელს გამოსახავენ პროცენტებში. წერა-კითხვის გავრცელების დონის მიხედვით მსოფლიოს ქვეყნები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: I — წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა 15 წელზე უხნეს მოსახლეობაში არ აღემატება 10%-ს, II — ეს მაჩვენებელი

---

5 უწიგნურად არ ითვლება ის, ვისაც შეუძლია კითხვა, მარტივი წინადადების დაწერა და წაკითხულის შინაარსის გაგება.

რხევადობს 10-დან 40%-ს შუა და III — წერა-კითხვის უცოდინარია 40%-ზე მეტი მოსახლეობა.

ევროპის ქვეყნების უმრავლესობა, მათ შორის სსრ კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და არგენტინა განეკუთვნებიან პირველი ჯგუფის ქვეყნებს; აქვე შედის მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა. მეორე ჯგუფის ქვეყნებში შედის ევროპისა და აზიის ცალკეული ქვეყნები (საბერძნეთი, ესპანეთი, ალბანეთი, ისრაელი, სამხრეთ კორეა, ფილიპინები, შრი-ლანკა, ტაილანდი და სხვა) და ამერიკის ქვეყნების უმეტესი ნაწილი (მექსიკა, პანამა, ბრაზილია, კოლუმბია, პარაგვაი, პერუ, ჩილე და სხვ.). მესამე ჯგუფს ეკუთვნიან აზიის ქვეყნების უმეტესი ნაწილი, აფრიკის ქვეყნები მთლიანად და ამერიკის ზოგი სახელმწიფო; განსაკუთრებით მაღალია წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი აფრიკის უმეტეს ნაწილში (80—90%). აზიის ქვეყნებში — ინდოეთში, ინდონეზიაში, ირანში, ერაყში, სირიაში, პაკისტანში, ბანგლადეშში მოსახლეობის 60—70% წერა-კითხვის უცოდინარია. ეს გარემოება ბევრად აფერხებს მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემების გადაწყვეტას განვითარებად ქვეყნებში, ანელებს ეკონომიკური განვითარების ტემპებს. ამიტომაა, რომ იმ ქვეყნებში, რომლებიც სოციალისტური განვითარების გზას დაადგნენ, ენერგიული ზომები ხორციელდება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის (ვიეტნამი, კამპუჩია, ანგოლა, ეთიოპია).

რევოლუციამდელ რუსეთში წერა-კითხვა ნაკლებად იყო გავრცელებული. 1897 წელს რუსეთის 9 წელზე უხნეს მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინართა ხვედრითი წონა შეადგენდა 76%-ს. ეს მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალი იყო ქალებს შორის და უდრიდა 87,6%-ს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ენერგიული ღონისძიებანი განხორციელდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. უკვე 1926 წლის დამლევს ქვეყნის 9 წელზე უფროსი მოსახლეობის ნახევარზე მეტი ფლობდა წერა-კითხვას, ხოლო 1939 წლისათვის ეს მაჩვენებელი გადიდდა 81,2%-მდე. კარგა ხანია ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა უწიგნურობის სრული ლიკვიდაცია. 1979 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის მონაცემებით 9—49 წლის მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარები შეადგენდნენ მხოლოდ 0,2%-ს (მათი უმრავლესობა ფიზიკური ან გონებრივი ნაკლის მქონენი იყვნენ).

სასკოლო განათლების გავრცელების შესახებ წარმოდგენას გვაძლევს მოსწავლეთა ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში. ეს მაჩვენებელიც საკმაოდ განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებში. სასკოლო განათლების გავრცელებაში დიდ სიძნელეებს განიცდიან განვითარე-

ბადი ქვეყნები, სადაც მდგომარეობას ამ მხრივ კიდევ უფრო ართულებს მოსახლეობის მაღალი ბუნებრივი მატება. ზოგადი განათლების პირველი და მეორე საფეხურის სკოლებში მოსწავლეთა ხვედრითი წონა ქვეყნების მეტ ნაწილში მერყეობს 5-დან 25%-მდე. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი აქვთ სოციალისტურ ქვეყნებს და. ინდუსტრიულად განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს; კერძოდ, ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში საშუალო სკოლის ფარგლებში საყოველთაო განათლებაა გავრცელებული; დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევა აზიის და აფრიკის სახელმწიფოების უმეტესი ნაწილი.

სსრ კავშირში ზოგადი განათლების სკოლების მოსწავლეები შეადგენენ დაახლოებით მთელი მოსახლეობის მეხუთედს, მაგრამ სხვადასხვა სახეობის სწავლებაში ჩაბმულია მთელი მოსახლეობის მესამედზე მეტი. დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდობის პროფესიულ სწავლებას, მათ შორის უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების მომზადებას. საბჭოთა სახელმწიფო დიდ სახსრებს ხარჯავს მოსახლეობის განათლების საქმეზე. 1939-დან 1979 წლამდე სსრ კავშირში სრული და არასრული საშუალო და უმაღლესი განათლების მქონეთა რიცხვი 10 წელზე უხნეს ყოველ 1000 მცხოვრებზე გაიზარდა 108-დან 638-მდე, მათ შორის უმაღლესი განათლების მქონეთა რიცხვი გადიდდა 8-დან 68-მდე. უმაღლესი და საშუალო განათლების მქონეთა რიცხვი 1970—1979 წლებში გაიზარდა 82%-ით და ამ პერიოდის ბოლოს შეადგენდა 86,6 მლნ-ს. ეს ცვლილება ნიშნავს არა მარტო მოსახლეობის ზოგადი განათლების მკვეთრად ამაღლებას, არამედ უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების მომზადებაში უდიდეს მიღწევასაც. ასეთ კადრებს ეკუთვნიან ინჟინრები, ექიმები, აგრონომები, ეკონომისტები, გეოგრაფები, იურისტები, მრავალი სპეციალობის პედაგოგები და მეცნიერი მუშაკები, რომელთა არსებობა თავისთავად დიდ პოტენციურ ძალას წარმოადგენს და მეურნეობის და კულტურის განვითარების კარგ წანამძღვრებს ქმნის. ამ მხრივ სსრ კავშირი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მთელ მსოფლიოში.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში განათლების დონე დიდად დაუახლოვდა ერთმანეთს, ჯერ კიდევ შეიმჩნევა სხვაობა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაში განათლების გავრცელების მხრივ, განსხვავებულია აგრეთვე ეს მაჩვენებელი კაცებსა და ქალებს შორის. ასე მაგალითად, უმაღლესი და საშუალო განათლების მქონეთა რიცხვი (10 წელზე უხნეს მოსახლეობაში) ყოველ 1000 მამაკაცზე ეშადგენს 685-ს, ხოლო ქალებს შორის — 597-ს; ქალაქის მოსახლეობაში (ორივე სქესის) — 723-ს, სოფლის მოსახლეობაში — 492-ს. უმაღლესი და საშუალო განათლების მქონეთა ხვედრითი მაჩვე-

ნებლები განსხვავებულია აგრეთვე სსრ კავშირის ცალკეულ რესპუბ-ლიკებში, მაგრამ არსად არ ჩამოდის ეს მაჩვენებელი 550-ზე დაბლა. სხვაობანი რესპუბლიკებს შორის ძირითადად წარმოქმნილია უფრო-სი ასაკის მოსახლეობის ხარჯზე, რადგან ამ კონტინგენტებს ჯერ კიდევ არ ეხებოდა კანონი საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლე-ბის შესახებ.

წერა-კითხვის ცოდნა და განათლება მაღალ დონეზე დგას საქარ-თველოში. საბჭოთა ხელისუფლების პირველსაეე წლებში რესპუბ-ლიკაში დიდი მუშაობა გაჩაღდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვი-დაციისათვის, რის შედეგადაც 9—49 წლის მოსახლეობის 53% უკვე ფლობდა წერა-კითხვას 1926 წლის ბოლოს. პრაქტიკულად უწიგნურო-ბა საქართველოს მოსახლეობაში აღარ არსებობდა 1959 წლისათვის. 1979 წლის აღწერით წერა-კითხვას ფლობდა 9—49 წლის მოსახლეო-ბის 99,93%. იმავე წლისათვის, 10 წელზე უხნესი მოსახლეობიდან ყოველ 1000 მცხოვრებზე 698-ს ჰქონდა საშუალო და უმაღლესი განა-თლება; მათ შორის 595-ს — საშუალო, 103-ს — უმაღლესი განათლე-ბა. აღსანიშნავია, რომ მაღალი მაჩვენებლები განათლების სფეროში საქართველოში უფრო ადრე იქნა მიღწეული, ვიდრე სხვა რესპუბ-ლიკებში. უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე კი ამ მაჩვენებლით საბჭოთა რესპუბლიკები ბევრად დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

თავი მეოთხე

რასობრივ-ეთნიკური შემადგენლობა

რასები და ეთნიკური პროცესები

ყველაზე მსხვილ ანთროპოლოგიურ დაჯგუფებებს წარმოადგენენ რასები. ადამიანების მიკუთვნებას ამა თუ იმ რასისადმი საფუძვლად უდევს შემდეგი გარეგანი ნიშნები: კანის ფერი, ტუჩებისა და ცხვირის ფორმა, თვალების ჭრილი, თმის ფერი და ფორმა, თავის ქალის მოყვანილობა, ღაწვების ამობურთულობა და სხვ. ეს ბიოლოგიური ნიშნები გენების საშუალებით გადაეცემა ადამიანს წინაპრებისაგან და საკმაოდ მდგრადია; ისინი იმ შემთხვევაში განიცდიან ცვლილებას, როცა მშობლები სხვადასხვა რასას ეკუთვნიან. აღნიშნული ნიშნების მიხედვით უკანასკნელ დრომდე მსოფლიოში გამოჰყოფდნენ სამ ძირითად რასას, რომლებსაც დიდ რასებსაც უწოდებდნენ: ევროპოიდულს, მონგოლოიდურს და ეკვატორიალურს ანუ ნეგროიდულ-ავსტრალოიდურს. ამჟამად უფრო მიღებულია ეკვატორიალური რასის გაყოფა ორ რასად — ნეგროიდულ და ავსტრალოიდურ რასებად. არსებობს აგრეთვე განშტოებანი დიდ რასებს შიგნით და გარდამავალი ანუ შერეული ანთროპოლოგიური ფორმები, წარმოქმნილი სხვადასხვა რასის ადამიანთა შერწყმის შედეგად. თითოეულ რასას და მათ შორის გარდამავალ ფორმებს აქვს გავრცელების გარკვეული არეალები, თუმცა დიდი მიგრაციული პროცესების შედეგად ცალკეულ კონტინენტებსა და ქვეყნებში ცხოვრობს სხვადასხვა რასის მოსახლეობაც.

განსხვავებული გარეგანი ნიშნები არ იძლევა იმის საფუძველს, რომ რასები განვასხვავოთ ერთმანეთისაგან გონებრივი მონაცემებით, როგორც ამას ცდილობენ რასიზმის მიმდევარი ცრუმეცნიერები. თანაბარ სოციალურ-კულტურულ ვითარებაში თავისი ინტელექტით სხვადასხვა რასის ადამიანები არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასევე სხვაობანი რასების გარეგან ნიშნებში არ უარყოფს ადამიანის წარმოშობას ერთი ბიოლოგიური წინაპრისაგან, გარკვეულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე. ადამიანის წარმოშობის ყველაზე უფრო შესაძლე-

ბელ ასეთ არეალად მეცნიერები მიიჩნევენ ევროპის, აზიისა და აფრიკის კონტინენტების შესაყარზე მდებარე ტერიტორიას, რომელიც ესაზღვრება ხმელთაშუა ზღვას. უძველეს დროში აქედან უნდა მომხდარიყო მოსახლეობის თანდათანობითი განსახლება სამივე დასახელებულ კონტინენტზე, შემდეგ კი სხვა კონტინენტებსა და კუნძულებზეც. ადამიანის წარმოშობის გეოგრაფიული არეალის ეს მონოცენტრული კონცეფცია ამჟამად აღიარებულია პალეოანტროპოლოგთა უმეტესი ნაწილის მიერ. თუმცა არსებობს პოლიცენტრული თეორიაც, რომლის მიხედვით ადამიანის წარმოშობა ხდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში, მაგრამ ამ თეორიას ბევრად უფრო ნაკლები მიმდევარი ჰყავს.

ევროპოიდული რასისათვის დამახასიათებელია კანის მოთეთრო ან შედარებით მუქი ფერი, ვიწრო და ამოწეული ცხვირი, თვალის ოვალური ჭრილი, შედარებით თხელი ტუჩები, საშუალო და საშუალოზე მაღალი ტანი, სახეზე და ტანზე ძამაკაცებს თმა აქვთ ზომიერად ხშირი, ღაწვები არა აქვთ ამოწეული. ევროპოიდული დიდი რასა და მისი განშტოებები ყველაზე მეტადაა გავრცელებული ჩვენ პლანეტაზე. ამ რასაში გამოყოფენ ჩრდილოეთ და სამხრეთ განშტოებებს, აგრეთვე ორივე ქვერასის შენარევს. პირველ მათგანს ჩრდილოეთ ევროპის ხალხები ეკუთვნიან; ბევრად ხალხმრავალია სამხრეთი განშტოება, მას შეადგენენ სამხრეთ ევროპის, ჩრდილოეთ აფრიკის, სამხრეთ-დასავლეთ აზიის, ჩრდილოეთ ინდოეთის და ამიერკავკასიის ხალხები. ამავე განშტოებას აკუთვნებენ ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ევროპული წარმოშობის ხალხებს. საკმაოდ მრავალრიცხოვანია სამხრეთ და ჩრდილოეთ განშტოების შენარევი: ფრანგები, ინგლისელები, გერმანელები, სლავები, ჩრდილოეთ ამერიკის ევროპოიდული მოსახლეობა.

მონგოლოიდური რასის ხალხებს კანის ფერი მოყვითალო აქვთ, შედარებით პატარა ცხვირი, უპირატესად ტანდაბალი არიან, თვალების ჭრილი — ვიწრო, კაცებს სახეზე და ტანზე თმა სუსტად აქვთ განვითარებული, განსაკუთრებული ნიშანია ამოწეული ღაწვები და ფართო სახე. გამოჰყოფენ მონგოლოიდური რასის ორ განშტოებას — აზიურსა და ამერიკულს. აზიური შტო ბევრად უფრო მრავალრიცხოვანია. მას განეკუთვნებიან ჩინელები, იაპონელები, ციმბირის მკვიდრი ტომები, ინდოჩინეთის ხალხები. ამერიკული განშტოებაა ინდიელები, რომლებიც მრავალი საუკუნის წინათ აზიიდან გადასახლდნენ ამერიკის კონტინენტზე ალასკის გავლით. მნიშვნელოვანია მონგოლოიდური რასისა და ორი დანარჩენი რასის შენარევები. შუა აზიის ხალხების მეტი ნაწილი მონგოლოიდური და ევროპოიდული

რასების, ხოლო ინდონეზიის ხალხები — მონგოლოიდური და ავსტრალოიდური რასის ოკეანეთის შტოსი.

ნეგროიდული რასის ხალხებს ახასიათებს კანის მოშავო-მოყავისფრო ფერი, ფართო ცხვირი, სქელი ტუჩები, შავი და ხშირი ხუჭუჭა თმა, მოგრძო ფორმის თავი, ზომიერად ამოწეული ღაწვები. ეს რასა მოსახლეობის რიცხოვნობით ორ პირველ რასაზე ბევრად ნაკლებია. მას ეკუთვნის აფრიკელი და ამერიკელი ზანგები. ამავე რასაში შედიან აფრიკის სამხრეთში მცხოვრები ბუშმენები და ჰოტენტოტები, რომლებსაც მოყვითალო ფერის კანი აქვთ და ამ ჯგრეულ მონგოლოიდურ რასას ემსგავსებიან. ცენტრალური აფრიკის მეტად დაბალი ტანის ზანგები პიგმეების სახელით არიან ცნობილი.

ავსტრალოიდური რასის ხალხები ემსგავსებიან ნეგროიდულ რასას, მაგრამ უფრო ნაკლებად შავი არიან. ისინი გამოირჩევიან ტალღისებური თმით თავზე, ხშირი თმით სახეზე და ტანზე (მამაკაცები). ამ რასას ეკუთვნიან ავსტრალიის და ოკეანეთის აბორიგენები. ავსტრალოიდური რასის განსაკუთრებულ ქვეჯგუფში გამოჰყოფენ ვედებსა და აინებს. ვედები ოკეანეთის ხალხებს განეკუთვნებიან და ცხოვრობენ კუნძულ ცეილონზე, ხოლო აინები რასობრივად ავსტრალიელების მონათესავე ხალხია, წინათ ისინი იაპონიის კუნძულებზე ცხოვრობდნენ და თავისებური ანთროპოლოგიური ნიშნები შესძინეს თანამედროვე იაპონელებს.

გარდამავალი ფორმის რასები წარმოიქმნენ დიდი რასების ერთმანეთთან შერევის შედეგად. შერევა ხდებოდა უპირატესად დიდი რასების მოსაზღვრე არეალებში სხვადასხვა გარემოებით გამოწვეული მიგრაციების გზით. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბდნენ გარდამავალი ტიპის რასები ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ აფრიკაში, სადაც ეთიოპელები და სომალის მოსახლეობა ევროპოიდული და ნეგროიდული რასების შერევით წარმოიქმნენ. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხები — ვიეტნამელები, სიამელები (ტაილანდელები), კამპუჩიელები და ფილიპინელები მონგოლოიდური და ავსტრალოიდური რასების ნარევს წარმოადგენენ, მაგრამ ჭარბობს მონგოლოიდური ელემენტები, ამიტომ მათ სამხრეთ მონგოლოიდებსაც უწოდებენ. XVII—XIX საუკუნეებში არიან წარმოქმნილი ლათინური ამერიკის ქვეყნებში ეგრეთ წოდებული მეტისები — ინდიელებისა და ევროპელების ნარევი, ჩრდილოეთ ამერიკაში — მულატები, ევროპელებისა და ზანგების შერევის შედეგად.

არსებობს მსოფლიოს მოსახლეობის მიახლოებითი გამოთვლა ძირითადი რასების მიხედვით 1980-იანი წლების დასაწყისისათვის[1]:

[1] С. И. Брук. Население мира. Этнодемографический справочник. «Наука», М., 1981, стр. 182—184.

ევროპოიდული რასა — 1858 მლნ. კაცი (მსოფლიოს მოსახლეობის 43,6%), მონგოლოიდური რასა — 813,8 მლნ. (19,1%), ზანგოიდური — 281,4 მლნ. (6,6%), ავსტრალოიდური — 11,5 მლნ. (0,3%). მსოფლიოს მოსახლეობის 30,4% მიეკუთვნება სხვადასხვა რასების გარდამავალ და შერეულ ფორმებს. რასებს შორის ასეთი შეთანაწყობა მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, რადგან დიდი სხვაობები არსებობს სხვადასხვა ხალხების ბუნებრივ მატებაში და გრძელდება შერევა ცალკეულ რასებს შორის.

თუ რასები ბიოლოგიური ნიშნებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მოსახლეობის ეთნიკურ დაჯგუფებებს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები უდევს საფუძველად. ისტორიული განვითარების კონკრეტულმა პირობებმა წარმოქმნეს ადამიანების ეთნიკური ერთობანი — ტომები, ტომთა კავშირები, ხალხები, ერები. თითოეული ასეთი ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სალაპარაკო ენას და ტერიტორიულ მთლიანობას, რაც ადამიანებს ერთმანეთს შორის უშუალო ურთიერთობის შესაძლებლობას აძლევდა.

სალაპარაკო ენის ჩასახვა მოხდა ადამიანთა საზოგადოების განვითარების საწყის ეტაპებზე — ველურობის ეპოქაში. მაშინდელი ენა ძალზე პრიმიტიული იყო თავისი გრამატიკული წყობითაც და სიტყვების შემადგენლობითაც, მაგრამ გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანებისათვის ის ურთიერთკავშირის მეტად ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა. თითოეულ ტომს ჰქონდა თავისი პრიმიტიული ენა, რომლის საშუალებითაც მტკიცდებოდა კავშირი ტომის შიგნით. შრომის იარაღების გაუმჯობესება, მიწათმოქმედების ჩასახვა და, ზოგადად, საწარმოო ძალების თანდათანობითი წინსვლა ამავე დროს ნიშნავდა ენის განვითარებას, მისი ფუნქციების გაფართოებას. ურთიერთკავშირის ფუნქციასთან ერთად ენას გაუჩნდა ახალი დანიშნულება; მან დიდი როლი შეასრულა ადამიანის სულიერი კულტურის ჩამოყალიბებაში. განსაკუთრებით გაიზარდა ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში ენის როლი დამწერლობის შემოღების შედეგად. მართალია, დამწერლობის პრიმიტიული ნიშნები უფრო ადრინდელ ეპოქებშიც იყო ცნობილი, მაგრამ ნამდვილი დამწერლობითი ენების შექმნა დაკავშირებულია სახელმწიფოების ჩასახვასთან. ენის განვითარების უმაღლეს ეტაპად შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთიანი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება. ეს პროცესი გულისხმობს მხატვრული ლიტერატურის, მეცნიერების და კულტურის სხვა დარგების განვითარების გარკვეულ დონეს, რაც ისტორიულად უკავშირდება კაპიტალიზმის ეპოქას, საქალაქო ცხოვრების დაწინაურებას, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის და მთლიანად ქვე-



ნახ. 7. მსოფლიოს მოსახლეობის რასობრივი შემადგენლობა

I — ზანგოიდური რასა: 1 — ზანგები; 2 — ბუშმენები და ჰოტენტოტები.

II — ევროპოიდული რასა: 3 — ჩრდილოეთი განშტოება; 4 — გარდამავალი და შუაევროპული ტიპები; — სამხრეთი განშტოება.

III — მონგოლოიდური რასა: 6 — ამერიკელი ინდიელები; 7 — ესკიმოსები და პალეოაზიელები; 8 — ჩრდილოეთაზიური განშტოება; 9 — აღმოსავლეთაზიური განშტოება.



IV — ავსტრალოიდური რასა: 10 — ავსტრალიელები, პაპუასები, ვედები.
V — გარდამავალი ანუ შუალედური ტიპები, წარმოქმნილი შემდეგი რასების შერევით: 11 — ზანგოიდურის და ევროპოიდულის; 12 — ევროპოიდულის და მონგოლოიდურის; 13 — მონგოლოიდურის და ავსტრალოიდურის; 14 — პოლინეზიელები; 15 — დაუსახლებელი ტერიტორიები.

ენის ეკონომიკის აღმავლობას. ცხოვრების ყველა სფეროში პროგრესის დაჩქარება, ადამიანის ინტელექტუალური განვითარება, ეთნიკური თვითშეგნების ჩამოყალიბება წარმოუდგენელია დედაენის დაუფლების გარეშე. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ვ. ი. კოზლოვის შემდეგ აზრს: „ახლოლდ დედაენას, შეთვისებულსა და განვითარებულს ღელის ძუძუსთან ერთად, შეუძლია გამოიქვას ადამიანის სულიერი ცხოვრების უნატიფესი გრძნობები, საშუალება მისცეს ადამიანებს ერთმანეთის გაუგონ ნახევრადგამოთქმული სიტყვითაც კი"[2]

ზოგ შემთხვევაში ერთ ენაზე შეიძლება ლაპარაკობდეს ორი ან რამდენიმე ხალხი, მაგალითად, ესპანური წარმოადგენს დედაენას თვით ესპანელების და ლათინური ამერიკის მთელი რიგი ხალხისთვის, მაგრამ ეს არ უარყოფს ენის ერთობას, როგორც ეთნიკური დაჯგუფების ერთ-ერთ ნიშანს, რადგან ამ შემთხვევაშიც ენა ერთიანი რჩება თითოეული ხალხის შიგნით. ზოგჯერ კი ერთი ერის ცალკეული ნაწილები შესაძლოა სხვადასხვა ენაზე ან მკვეთრად განსხვავებულ დიალექტზე ლაპარაკობდნენ. ასეთ შემთხვევაში არსებობს ერთიანი ლიტერატურული ენა, რომელიც საერთოა მთელი ხალხისათვის. მაგალითად, საქართველოში არსებობს მეგრული და სვანური სალაპარაკო ენები, მაგრამ ქართული ლიტერატურული ენა ერთიანია მთელი ქართველი ხალხისათვის, მათ შორის მეგრელებისა და სვანებისათვის. ანალოგიური მდგომარეობაა საფრანგეთში, სადაც არსებობს ფრანგულის მონათესავე პროვანსული, ელზასური, ბრეტანული ენები, მაგრამ სალიტერატურო ენა ყველასათვის ფრანგულია.

მსოფლიოში ამჟამად ორი ათასზე მეტი ენაა გავრცელებული, მაგრამ უმეტესობა მხოლოდ სალაპარაკო ენაა — დამწერლობის გარეშე. ხშირად ძნელია, განასხვაო დამოუკიდებელი ენა დიალექტისაგან. ზოგჯერ დამოუკიდებელი ენები უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს სიტყვების ფონდით, ვიდრე ერთი ენის ორი დიალექტი. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ ენაზე სულ რამდენიმე ასეული (შესაძლოა რამდენიმე ათეულიც) კაცი ლაპარაკობს, ზოგიერთზე კი რამდენიმე ასეული მილიონი (მაგალითად, ჩინურზე, ინგლისურზე). მიუხედავად ამისა, ყველა შემთხვევაში ენა იყო და რჩება ადამიანთა შორის ურთიერთობის და კულტურის განვითარების მთავარ იარაღად, განმსაზღვრელ ეთნიკურ ნიშნად.

ბევრი ენა ახლოსაა ერთმანეთთან თავისი გენეზისური ნიშნებით. ამ გარემოებამ საშუალება მისცა ლინგვისტებს მოეხდინათ ენების „ოჯახებად" დაყოფა. არსებობს ენების 14 ოჯახი და გარდა ამისა ენების მთელი ჯგუფი, რომლებიც არ მიეკუთვნებიან გარკვეულ

---

[2] В. И. Козлов. დასახელებული ნაშრომი, გვ. 26.

ოჯახს. ამჟამად მსოფლიოში ყველაზე უფრო გავრცელებულია შემდეგი ათი ენა: ჩინური, ინგლისური, ესპანური, ჰინდი (ურდუსთან ერთად)[3], რუსული, იაპონური, არაბული, გერმანული, პორტუგალური, ფრანგული. ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხები შეადგენენ მსოფლიოს მთელი მოსახლეობის დაახლოებით 60%-ს.

ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს ტ ე რ ი ტ ო რ ი ა. ამა თუ იმ „რანგის" ეთნიკური ერთობა ყალიბდება გარკვეულ ტერიტორიაზე, რომლის ფარგლებშიაც ხორციელდება სხვადასხვა სახის ურთიერთკავშირი ეთნიკური ერთობის შიგნით. რაც უფრო ხელსაყრელია ტერიტორია ასეთი კავშირურთიერთობის დამყარებისათვის, მით უფრო მჭიდროა ეთნიკური ერთობა სხვა თანაბარი პირობების ვითარებაში. განსაკუთრებით მკაფიოდ იყო გამოსახული ტერიტორიის როლი საწარმოო ძალების განვითარების ადრინდელ ეტაპებზე, როცა კავშირურთიერთობის სატრანსპორტო საშუალებანი დაბალ ტექნიკურ დონეზე იდგა. ასეთ ვითარებაში ძნელად მისადგომი მთაგრეხილები ხშირად ქმნიან ზღუდეებს ცალკეულ ეთნიკურ ერთობათა შორის. ბუნებრივია, რომ მიუვალ მთებს შორის მოქცეულ პატარა, იზოლირებულ ტერიტორიაზე მცირერიცხოვანი ეთნიკური ერთობა ყალიბდებოდა. ამის საუკეთესო მაგალითია კავკასიის მთიანი ზონის ვიწრო ხეობებში გაფანტული უამრავი ეთნიკური ერთობანი, რომელთაგან თითოეული არ გამოირჩევა ხალხმრავლობით (ჩაჩნები, ლეკები, ლაკები, ინგუშები, ყაბარდოელები, ბალყარელები და სხვ.). ხშირად ერთ ტერიტორიაზე ცხოვრობს რამდენიმე ეთნიკური ერთობის მოსახლეობა. ასეთი „შეჭრა" ერთი ეთნიკური ერთობის მოსახლეობისა მეორე ეთნიკური ერთობის ტერიტორიაზე მიგრაციული პროცესების შედეგია და ფართოდ გავრცელდა კაპიტალიზმის ეპოქაში. წარსულში ადგილი ჰქონდა აგრეთვე მთელი ხალხების გადანაცვლებას ახალ ტერიტორიაზე. მაგალითად, დღევანდელი უნგრელები (მადიარები) შუა საუკუნეებში გადასახლდნენ ურალსა და ვოლგას შორის მდებარე ადგილებიდან დღევანდელ ტერიტორიაზე. ბევრად უფრო ადრინდელ ეპოქაში მოხდა ინდიელების გადასვლა აზიიდან ამერიკის კონტინენტზე. ეთნიკური ერთობის საზღვრები შეიძლება ემთხვეოდეს ან არ ემთხვეოდეს სახელმწიფოს პოლიტიკურ საზღვრებს.

ეთნიკური ერთობის ყველაზე ადრინდელი წარმონაქმნი იყო ტ ო მ ი, რომელიც ჯერ კიდევ პირველყოფილი საზოგადოების ველურო-

---

3 ჰინდის ახლომდგომი ენაა ურდუ, რომელიც მისგან განსხვავდება ძირითადად დამწერლობით (იყენებს არაბულ შრიფტს ნაცვლად ინდური დამწერლობისა) და ნაწილობრივ — ლექსიკით.

ბის სტადიაში ჩაისახა. ტომის წევრები ერთი წინაპრის შთამომავლად მიიჩნევდნენ თავისთავს და ამასთან დაკავშირებით მათ უკვე ჰქონდათ ეთნიკური თვითშეგნების საწყისები ანუ სიახლოვის. გრძნობა თავისი ტომის ადამიანისადმი. ასეთი სიახლოვის დამკვიდრების პირობას წარმოადგენდა ერთიანი პრიმიტიული ენა და ტერიტორია, რაც მათ უქმნიდა ყოველდღიური ურთიერთკავშირის შესაძლებლობას. ტომის წევრებისათვის ურთიერთკავშირი აუცილებელი იყო გაერთიანებული ძალებით არსებობის საშუალებების შესაქმნელად, ბუნების სტიქიური ძალებისა და გარეშე მტრებისაგან დაცვისათვის. გარკვეულ ადათ-წესებზე დამყარებული ტომის ცხოვრება ნელი ნაბიჯით მიიწევდა წინ. უაღრესად დაბალი იყო მოსახლეობის მატების ტემპები.

ეთნიკური განვითარების ახალ საფეხურს წარმოადგენდა ტომების კავშირი, რომელიც სახელმწიფოთა წარმოქმნის წინა ეტაპად უნდა მივიჩნიოთ. იგი შეიქმნა მონათესაეე და ერთმანეთის მეზობლად მცხოვრები ტომების გაერთიანებით. მათ შორის ეკონომიკური კავშირის დამყარება ქმნიდა სამხედრო-პოლიტიკური ძალაუფლების დაწესების წანამძღვრებს. ტომთა კავშირის განმტკიცებაში კვლავ დიდ როლს ასრულებდა ტერიტორიის ერთიანობა და მთელი კავშირისათვის საერთო ენის შექმნა. ასეთ ენად გადაიქცეოდა უფრო დაწინაურებული და ხალხმრავალი ტომის ენა, რომელიც დასაწყისში ტომებს შორის ურთიერთობის იარაღი იყო, შემდგომი განვითარების შედეგად კი კავშირის საერთო ენად იქცა. ცალკეული ტომების პრიმიტიული ენები ან სრულიად ქრებოდა, ან კავშირის საერთო ენის თავისებურ დიალექტად გვევლინებოდა. ტომთა კავშირის შექმნა პირველყოფილი საზოგადოების განვითარების ახალ ეტაპს — ბარბაროსობის ხანას განეკუთვნება.

ეთნიკური განვითარების შემდგომი ეტაპია ხალხების წარმოქმნა. ამ პროცესის სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ საფუძველს წარმოადგენდა: ეთნიკური თვითშეგნების გაძლიერება, საწარმოო ძალების განვითარება, კერძოდ, შრომის შემდგომი დანაწილება (როგორც საწარმოო პროცესების შიგნით, ისე სივრცობრივად), საზოგადოების დაყოფა კლასებად და სახელმწიფოების ჩასახვა. ხალხების ჩამოყალიბების პროცესი ისტორიულად ემთხვევა მონათფლობელობის დამკვიდრებას და ბევრ შემთხვევაში ფეოდალიზმის და კაპიტალიზმის ეპოქებშიაც გრძელდება. ცხადია, ტომებთან შედარებით ხალხი ბევრად უფრო მეტ ადამიანებს აერთიანებს, მისი განსახლების არეალიც უფრო ვრცელ ტერიტორიას მოიცავს. მაგრამ ამ მხრივაც დიდ სიჭრელეს აქვს ადგილი. იმ ორი ათას ხალხს შორის, რომლებსაც ამჟა-

მად დედამიწაზე ითვლიან, არიან ხალხები სულ რამდენიმე ასეული ადამიანის შემადგენლობით და ხალხები ასობით მილიონი ადამიანით.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე მსოფლიოში დაახლოებით იმდენივე ხალხია, რამდენიც ენაა. ეს შემთხვევითი გარემოებით არაა გამოწვეული. ენა ამჟამადაც ხალხის მთავარი განმსაზღვრელი ნიშანია. რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როცა ერთ ხალხს რამდენიმე ენა აქვს ან რამდენიმე ხალხი ერთ ენაზე ლაპარაკობს. მაგრამ ასეთი შემთხვევა არც ისე ხშირია, ისინი ერთმანეთს „აწონასწორებენ" და საბოლოოდ ხალხებისა და ენების რაოდენობა დაახლოებით თანაბარია.

ხალხების წარმოქმნის პროცესი საკმაოდ სანგრძლივი ღა რთულია. მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია მონათესავე ტომების ან ტომთა კავშირების ურთიერთდაახლოება და შერევა ანუ კ ო ნ ს ო ლ ი დ ა ც ი ა. მეზობლად განლაგებულ მონათესავე ეთნიკურ ჯგუფებს ხშირად აქვთ ბევრი მსგავსი ნიშანი ზნე-ჩვეულებაში, კულტურაში, შრომის ჩვევებში, მეურნეობის გაძღოლაში და, რაც მთავარია, სალაპარაკო ენაში. ეს მსგავსებანი აახლოებს ადამიანებს, ხელს უწყობს ერთნაირი ქცევის, ერთიანი ენის და კულტურის ჩამოყალიბებას, აძლიერებს ეკონომიკურ კავშირურთიერთობას. ასეთ ვითარებაში თანდათან ხდება ნიველირება ადრინდელი განმასხვავებელი ნიშნებისა და ყალიბდება უფრო მსხვილი ეთნიკური ერთობა. კონსოლიდაციის პროცესი სხვადასხვა ინტენსივობითა და მასშტაბით უძველესი დროიდან აღინიშნება, მაგრამ რაც უფრო მაღალი ტემპებით ვითარდებოდა საწარმოო ძალები, მით უფრო დაჩქარებით მიმდინარეობდა იგი. ბევრ ქვეყანაში ცალკეული ეთნიკური ჯგუფების კონსოლიდაცია ჯერაც არაა დამთავრებული.

მონათესავე ქართველური ტომების კონსოლიდაციის ხანგრძლივი პროცესის შედეგად წარმოიქმნა ქართველი ხალხი მრავალი საუკუნის წინათ. კონსოლიდაციის პროცესი ბევრად დააჩქარა ერთიანი რელიგიის — ქრისტიანობის გავრცელებამ მეოთხე საუკუნის დასაწყისში და, განსაკუთრებით, — ქართული დამწერლობის შემოღებამ. ქართული სამეფო-სამთავროების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება მეათე საუკუნეში უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური აქტი იყო ქართველი ხალხის კონსოლიდაციის ისტორიაში.

კონსოლიდაციისაგან განსხვავებით, ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა ნიშნავს რომელიმე ეთნიკური ერთობის მიერ სხვა ეთნიკური ერთობის შთანთქმას, შეწოვას. ჩვეულებრივ, განვითარების უფრო მაღალ დონეზე მდგომი და მრავალრიცხოვანი ხალხი შეიწოვს უფრო სუსტად განვითარებულ და მცირერიცხოვან ხალხს მთლიანად ან მის ნაწილს. ასეთი გზით ხდება რომელიმე ხალხის უფრო სწრაფი რაოდენობრივი ზრდა და ზოგ შემთხვევაში მცირე ხალხების სრული გაქრობა. ასიმილაციის

პროცესი ერთნაირად არ მიმდინარეობს სხვადასხვა პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებაში. როდესაც სახელმწიფოში ერთი რომელიმე ხალხის ძალაუფლებაა დაწესებული, ხშირად გამოიყენება იძულებითი ღონისძიებანი ამავე ქვეყანაში მცხოვრები სხვა ხალხების შთანთქმა-შეწოვისათვის. ამნაირ პოლიტიკას ახორციელებს, მაგალითად, აშშ ხელისუფლება ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის — ინდიელების მიმართ როდესაც ყოველმხრივ აფერხებს მათი ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარებას.

არცთუ იშვიათად ასიმილაცია მიმდინარეობს ძალდატანების გარეშეც. ეს პროცესი საკმაოდ ძლიერია ქალაქებში, სადაც ბევრ შემთხვევაში ჭრელია მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და გავრცელებულია შერეული ქორწინებანი, როცა მეუღლეები ეკუთვნიან ორ განსხვავებულ ხალხს. ასეთ ოჯახში ბავშვები შეიძლება გადავიდნენ დედის ეროვნებაზე. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეთნიკური თვითშეგნების ჩამოყალიბებაში სკოლას. რა ენაზეც ახალგაზრდა ამთავრებს საშუალო სკოლას, უმეტეს შემთხვევაში ის ენა რჩება მისთვის დედა-ენად; თავისი ზოგადი კულტურითაც სკოლის კურსდამთავრებული უკვე ახლოს დგას იმ ხალხის სულიერ ცხოვრებასთან, ეის ენაზეც აღიარებს მშობლიურად. უმეტეს შემთხვევაში ამ გზით წარიმართება ნებაყოფლობითი ასიმილაციის პროცესი.

ეთნიკური ერთობის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს ე რ ი. მისი წარმოქმნა დაკავშირებულია ეროვნული თვითშეგნების საყოველთაოდ გავრცელებასთან, იმ დიდ სოციალურ-ეკონომიკურ ძვრებთან, რომლებიც მიმდინარეობს სხვადასხვა ხალხებში მეურნეობისა და კულტურის დაჩქარებული წინსვლის ვითარებაში. ასეთი გარდატეხა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ისტორიულად ემთხვევა კაპიტალიზმის ეპოქას. ფეოდალური კარჩაკეტილობის დაძლევამ, მანქანური შრომის დანერგვამ და საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის გაჩენამ, ტრანსპორტის ახალმა სახეობებმა დიდი ბიძგი მისცა მთელ რიგ ხალხებში შიგაკავშირების გაძლიერებას, ერთმანეთს დაუახლოვა წინათ გათიშული ქვეყნის ნაწილები. დაჩქარდა ამავე დროს კულტურის აღმავლობა, დამკვიდრდა ერთიანი ლიტერატურული ენა; ქალაქები გადაიქცა ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ცენტრებად. ყოველივე ეს ნიშნავდა ეთნიკური თვითშეგნების ახალ ეტაპზე გადასვლას და საბოლოოდ — ერის ჩამოყალიბებას. წინანდელი ეპოქების ეთნიკურ ერთობათაგან განსხვავებით, ერის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე კ ო ნ ო მ ი კ ი ს და კ ულ ტ უ რ ი ს ა ღ მ ა ვ ლ ო ბ ა ს. არ შეიძლება ერი წარმოიქ-

მნას კარგად განვითარებული მეურნეობისა და განათლების საყოველთაოდ გავრცელების გარეშე, რადგან ეროვნული თვითშეგნება ნიშნავს ზოგადი და ეროვნული კულტურის დაუფლებას, თავისი ხალხის ისტორიის ცოდნას, პატრიოტიზმის გრძნობის გაღვივებას და ბუნებრივად ცხოვრების მატერიალური პირობების გაუმჯობესებას. ამრიგად, ერისა რსებობისა უცილებელ პირობას წარმოადგენს ენის, ტერიტორიის, ეკონომიკისა და კულტურის ერთობა. ასეთი ერთობის ჩამოყალიბება ხდება ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარების გარკვეულ ეტაპზე. კერძოდ, ერების წარმოქმნა დაიწყო XIX საუკუნეში და გრძელდება ჩვენს ეპოქაში.

მართალია, ყველა სახეობის ეთნიკურ ერთობას რამდენიმე ნიშანი ახასიათებს, მაგრამ როცა გვინდა ხალხები და ეროვნებანი დავადგინოთ, განვსაზღვროთ მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები, მთავარ ნიშნად ენობრივ სხვაობას ვიყენებთ, რადგან ენა ყველაზე უფრო გამოკვეთილად გვიჩვენებს ეთნიკური ერთობის საზღვრებს. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ დედაენის დადგენა ხდება მოსახლეობის აღწერის დროს, რაც საშუალებას გვაძლევს ვიხელმძღვანელოთ საიმედო სტატისტიკური მონაცემებით. ასეთ მონაცემებზე დაყრდნობით არსებობს საკმაოდ მიახლოებული ცნობები მსოფლიოს ხალხთა განაწილებისა ენების ოჯახებისა და ჯგუფების მიხედვით (იხ. ცხრ. 8).

იმასთან დაკავშირებით, რომ სხვადასხვა ეთნიკურ დაჯგუფებებს განვითარება უხდებოდათ სრულიად განსხვავებულ სოციალ-ეკონომიკურ პირობებში, დიდი სიჭრელე არსებობს ხალხების რიცხოვნებაში. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკურ დაჯგუფებათა დადგენა მეტად რთული საქმეა. თანამედროვე ეპოქაში ჯერ კიდევ არსებობენ ცალკე ტომები, ხოლო ბევრი ხალხი არ განვითარებულა ერის მდგომარეობამდე. ამიტომ მსოფლიოს მოსახლეობის დაყოფა ეთნიკურ დაჯგუფებებად არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად ზუსტი. ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ მთელ რიგ ხალხში არსებობს ეთნოგრაფიული ჯგუფები ანუ მოსახლეობის ისეთი ნაწილები, რომლებსაც აქვთ ენის საკმაოდ განსხვავებული დიალექტი, კულტურისა და ყოფის განსხვავებული ნიშნები და ყოველთვის არ ხერხდება მოსახლეობის ასეთი ნაწილის მიკუთვნება ეთნიკური თუ ეთნოგრაფიული ჯგუფისადმი. მიუხედავად ასეთი პირობითობისა, დადგენილია, რომ მსოფლიოს მოსახლეობის 95%-ს შეადგენს დაახლოებით 200 ხალხი, რომელთაგან თითოეული ითვლის ერთ მილიონზე მეტ ადამიანს. დანარჩენი 5% მოსახლეობისა მოდის 1800 ხალხზე; თითოეული მათგანი მოიცავს 1 მლნ. ადამიანზე ნაკლებს; ხოლო ზოგიერთი რამდენიმე ასეულ კაცსაც კი არ შეადგენს.

ხალხების რაოდენობა უმთავრესი ენების ოჯახებისა და ჯგუფების მიხედვით (1967 წ.)[4]

ენების ოჯახი და ჯგუფი	მოსახლეობის რაოდენობა (მლნ. კაცი)	განსახლების ძირითადი ქვეყნები
ინდოევროპული ოჯახი	1597,8	
მ. შ.: სლავური ჯგუფი	257,0	სსრ კავშირი, ცენტრალური ევროპის ქვეყნები
გერმანული „	385,3	გდრ, გფრ, აშშ, დიდი ბრიტანეთი, სკანდინავიის ქვეყნები
რომანული „	391,2	იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, ლათინური ამერიკა, პორტუგალია, რუმინეთი
ირანული „	49,7	ირანი, ავღანეთი
ინდური „	486,2	ინდოეთი, ბანგლადეში, პაკისტანი
კავკასიური ოჯახი	5,6	კავკასია
მ. შ. ქართველური ჯგუფი	3,3	საქართველო
სემიტურ-ქამიტური ოჯახი	136,8	არაბული ქვეყნები, ეთიოპია
ბანტუს ოჯახი	83,1	აფრიკა
ურალის ოჯახი	23,5	სსრ კავშირი, ფინეთი, უნგრეთი
ალტაის ოჯახი	76,0	
მ. შ. თურქული ჯგუფის	69,4	თურქეთი, სსრ კავშირი
კორეელები	25,0	კორეა, ჩინეთი
იაპონელები	100,0	იაპონია
ჩინურ-ტიბეტური ოჯახი	785,2	ჩინეთი, ბირმა, სინგაპური
ვიეტნამურ-მონტური ენები	31,5	ვიეტნამი
დრავიდული ოჯახი	131,0	ინდოეთი, შრი-ლანკა
ავსტრონეზიური ოჯახი	153,4	ინდონეზია, ფილიპინები
ინდიელების ენები	25,0	ამერიკა

სსრ კავშირის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული, რუსეთის სახელმწიფოს საზღვრები თანდათან ფართოვდებოდა. ქვეყნის შემადგენლობაში შევიდა ურალსა და ვოლგას შუა მცხოვრები ხალხები, ციმბირისა და შორეულ აღმოსავლეთის ვრცელი ტერიტორიები აქაური ჩრდილოეთის ხალხებით, შემდეგ—ჩრდილოეთ კავკასია, ბალტიისპირეთი, ამიერკავკასია და შუა აზია. ყველა ეს ტერიტორია იმ დროისათვის მეტად თუ ნაკლებად დასახლებული იყო სხვადასხვა ხალხებით; ისინი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ და ქვეყნის განაპირა მხარეების აბორიგენულ (ადგილობრივ მკვიდრ) მოსახლეობას შეადგენდნენ. თანდათან ფართოვდებოდა აღმოსავლეთით და სამხრეთით თვით რუსების, აგრეთვე უკრაინელებისა და ბელორუსების განსახლების არეალი; იქმნებოდა ახალი დასახლებანი შემოერთებულ

[4] Народонаселение стран мира. «Статистика», М., 1974, стр. 317—319.

ტერიტორიებზე. ამ გზით წარმოიქმნა მსოფლიოს ერთ-ერთი მრავალეროვანი სახელმწიფო დღევანდელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ახალი სოციალისტური სახელმწიფოს ეროვნულ პოლიტიკას საფუძვლად დაედო ხალხების თანასწორუფლებიანობა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. შესაბამისად განხორციელდა ეროვნული მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შექმნა, შედარებით მცირერიცხოვანი ხალხებისათვის კი დაარსდა ავტონომიური ოლქები და ოკრუგები. ამჟამად საბჭოთა კავშირში შედის 15 მოკავშირე და 20 ავტონომიური რესპუბლიკა, აგრეთვე 8 ავტონომიური ოლქი და 10 ეროვნული ოკრუგი. ყველა ამ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულს საფუძვლად უდევს ერთა თვითგამორკვევის პრინციპი. სსრ კავშირი თანამედროვე მსოფლიოს პირველი სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოა, სადაც ასზე მეტი ეროვნების ხალხი ცხოვრობს ერთ ძმურ ოჯახად. ხალხთა თანასწორუფლებიანობის ვითარებაში განხორციელდა უდიდესი პროგრესული გარდაქმნები საბჭოთა კავშირში, შეიქმნა თითოეულ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში ეროვნული ეკონომიკა და კულტურა. ურთიერთდახმარება და მეგობრული კავშირი ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის აახლოებს მათ ერთმანეთთან, ხელს უწყობს თითოეული ერის წინსვლას და ამავე დროს წარმოქმნის საბჭოთა ხალხის ბევრ საერთო დამახასიათებელ ნიშანს.

მრავალეროვანია არა მთლიანად საბჭოთა სახელმწიფო, არამედ თითოეული მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკა. განსაკუთრებით გამოირჩევიან მოსახლეობის ეროვნული სიჭრელით კარგად განვითარებული ქალაქები, სადაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი დარგები, განვითარდა კულტურა და მომსახურების სფერო. ამან გამოიწვია სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობის მიზიდვა ქვეყნის მრავალი კუთხიდან. ამჟამად ძნელია გამოინახოს საბჭოთა ქვეყნის ისეთი დასახლებული მხარე, სადაც არ იქნება ერთმანეთთან შერეული სხვადასხვა ხალხის მცხოვრებნი. მართალია, თითოეული ძირითადი ეროვნების ხალხს აქვს სსრ კავშირში კომპაქტური განსახლების უმთავრესი არეალი და ამის შესაბამისად შექმნილია ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულები (რესპუბლიკები, ოლქები, ოკრუგები), მაგრამ მეტად თუ ნაკლებად მრავალრიცხოვანი ხალხის გარკვეული ნაწილი გაფანტულია სხვა რესპუბლიკებისა და ოლქების ქალაქებსა და სოფლებში. ასე მაგალითად, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ფარგლებში, 1979 წ. მოსახლეობის საკავშირო აღწერის თანახმად, თავმოყრილია საბჭოთა კავშირში მცხოვრები რუსების 82,6%, დანარჩენი კი გაფანტულია სხვა

მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტად თავის რესპუბლიკაში თავმოყრილი არიან ქართველები — 96,1%. ანალოგიური მონაცემები უკრაინელებისათვის შეადგენს 86,1%-ს. აზერბაიჯანელებისათვის — 86,0%-ს, სომხებისათვის — 65,7% და ა. შ. არიან სხვა ქვეყნებიდან მოსული ისეთი ეროვნებანიც, რომელთა წინაპრები ჩასახლდნენ ჯერ კიდევ მეფის რუსეთის სხვადასხვა მხარეში გაფანტულად, ამიტომ მათთვის შეუძლებელი იყო შექმნილიყო მოკავშირე ან ავტონომიური ერთეულები. მათ რიცხვს ეკუთვნიან პოლონელები, გერმანელები, ებრაელები, რომლებიც ცხოვრობენ უპირატესად ქალაქებში. ამა თუ იმ ხალხის კომპაქტურად თუ გაფანტულად განსახლება განპირობებულია იმ ისტორიული მოვლენებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ ხალხის ცხოვრებაში საუკუნეების მანძილზე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ მხრივ აგრეთვე თანამედროვე მიგრაციული პროცესები.

საბჭოთა კავშირში მცხოვრები ასზე მეტი ეროვნების ხალხები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი რიცხოვნობით. არიან ხალხები, რომლებიც მილიონობით ადამიანს ითვლიან, ზოგიერთი ხალხი კი რამდენიმე ასეული მცხოვრებისაგან შედგება. იმ ხალხების რაოდენობა, რომელთაგან თითოეულის რიცხოვნობა ერთ მლნ. ადამიანს აღემატება, შეადგენს 22-ს. მათზე მოდის სსრ კავშირის მთელი მოსახლეობის 96,1%, დანარჩენი 80-ზე მეტი ეროვნების ხალხზე კი 3,9%.

მეხუთე ცხრილიდან ჩანს, თუ რამდენად არათანაბრად იზრდებოდა ოცი წლის მანძილზე სსრ კავშირის ცალკეული ხალხების რაოდენობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია უზბეკების, ტაჯიკების, თურქმენების, ყირგიზების, აზერბაიჯანელებისა და ყაზახების მატების მეტად მაღალი ტემპები. ამ ხალხებიდან პირველი სამის რიცხოვნობა ორჯერ და კიდევ მეტად გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ 1959 — 1979 წლებში მათი ბუნებრივი გამრავლების საშუალოწლიური ტემპი 3,5%-ზე მეტი იყო, ეს კი მსოფლიოს მოსახლეობის საშუალო ანალოგიურ მაჩვენებელს თითქმის ორჯერ აღემატება. მატების ტემპებით ბევრად არ ჩამორჩებიან მათ ყირგიზები, აზერბაიჯანელები და ყაზახები. საშუალო საკავშირო მაჩვენებლებზე მეტი აქვთ მოსახლეობის ზრდის ტემპები სომხებს, ბაშკირებს, მოლდაველებს, ქართველებს და თათრებს. მატების საშუალო ტემპებს უახლოვდებიან ლიტველები, რუსები, ბელორუსები, ჩუვაშები, გერმანელები, ხოლო შედარებით დაბალი ზრდა ახასიათებს ლატვიელებს, ესტონელებს და უკრაინელებს. აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი მატებით უკრაინელები დაახლოებით იმავე დონეზე არიან, როგორც რუსები და ბელორუსები, მაგრამ, როგორც ჩანს, უკრაინელების ნაწილი განიცდის ასიმილაციას რუსებ-

ცხრილი 9

სსრ კავშირის იმ ხალხების რიცხოვნობის დინამიკა, რომლებიც ერთ მილიონზე მეტ მცხოვრებს ითვლიან[5]

ეროვნება	მოსახლეობის რაოდენობა (ათასობით)		ხვედრ. წონა სსრკ-ის მთელ მოსახლეობაში (პროცენტობით)		ძოსახლეობის რაოდენობა 1979 წელს 1959 წლის მიმართ (პროცენტობით)
	1959 წ.	1979 წ.	1959 წ.	1979 წ.	
რუსები	114113,6	137397,0	54,6	52,4	120,4
უკრაინელები	37252,9	42347,0	17,8	16,2	113,7
უზბეკები	6015,4	12456,0	2,9	4,8	207,0
ბელორუსები	7913,5	9463,0	3,8	3,6	119,6
ყაზახები	3621,6	6556,0	1,7	2,5	181,0
თათრები	4967,7	6317,0	2,4	2,4	127,2
აზერბაიჯანელები	2939,7	5477,0	1,4	2,1	186,3
სომხები	2786,9	4151,0	1,3	1,6	148,2
ქართველები	2692,0	3571,0	1,3	1,4	132,7
მოლდაველები	2214,1	2968,0	1,1	1,1	134,0
ტაჯიკები	1396,9	2898,0	0,7	1,1	207,4
ლიტველები	2326,1	2851,0	1,1	1,1	122,6
თურქმენები	1001,6	2028,0	0,5	0,8	202,5
გერმანელები	1619,7	1936,0	0,8	0,7	119,5
ყირგიზები	968,7	1906,0	0,5	0,7	196,8
ებრაელები	2267,8	1811,0	1,1	0,7	79,9
ჩუვაშები	1469,7	1751,0	0,7	0,7	119,1
ლატვიელები	1399,5	1439,0	0,7	0,5	102,8
ბაშკირები	989,0	1371,0	0,5	0,5	138,6
მორდველები	1285,1	1192,0	0,6	0,4	92,8
პოლონელები	1380,2	1151,0	0,7	0,4	83,4
ესტონელები	988,6	1020,0	0,5	0,4	103,2
სსრკ მთლიანად	208800,0	262085,0	100,0	100,0	125,5

თან. ასევე რუსებთან ასიმილაციის შედეგია მორდველების აბსოლუტური რაოდენობის შემცირება; ებრაელებისა და პოლონელების რიცხოვნობა შემცირდა მათი ნაწილის ემიგრაციის გამო.

რაც შეეხება დანარჩენ ეროვნებებს, რომელთაგან თითოეულის რიცხოვნობა ერთ მილიონზე ნაკლებია, მათი საერთო რაოდენობა იზრდება უფრო დაჩქარებულად, ვიდრე დასახელებული 22 ეროვნების ხალხებისა (ერთად აღებული), რის შედეგადაც შედარებით მცირერიცხოვანი ერების ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში რამდენადმე ამაღლდა 1959—1979 წლებში (3,3%-დან 3,9%-მდე). ამ ხალხებიდან ბევრი ცხოვრობს ერთმანეთის მეზობლად და ისტორიულად ახლო ურთიერთკავშირი აქვთ დამყარებული. ამით აიხსნება ზოგიერთ ავტონომიურ რესპუბლიკაში ორ და უფრო მეტ ეროვნებათა

[5] Итоги Всесоюзной переписи населения 1959 года. Сводный том. Госстатиздат. М., 1962, табл. 53; Население СССР по данным Всесоюзной переписи населения 1979 года. Политиздат, М., 1980, стр. 23—24.

არსებობა. ასეთია, მაგალითად, დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელშიაც 30-მდე ეროვნების ხალხი ცხოვრობს, მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი არიან ავარელები, ლეკები, დარგები, ყუმუხები. ჩაჩნები და ინგუშებიც ერთ ავტონომიურ რესპუბლიკაში არიან გაერთიანებული. ჩრდილოეთის ხალხებიდან ნენცები განსახლებულნი არიან საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის და ციმბირის ჩრდილოეთ რაიონებში და სამ ეროვნულ ოკრუგს წარმოქმნიან.

ყველაზე დიდ ეთნიკურ დაჯგუფებას ქმნიან სსრ კავშირში სლავები. მათ ეკუთვნიან რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, რომლებიც ძირითადად განსახლებული არიან შესაბამის მოკავშირე რესპუბლიკებში (რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ). სლავებს ეკუთვნიან აგრეთვე პოლონელები, ჩეხები, სლოვაკები, ბულგარელები, რომლებიც გაფანტულად ცხოვრობენ ჩვენს ქვეყანაში და ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულებს არ წარმოქმნიან.

დიდი რაოდენობით ცხოვრობენ საბჭოთა კავშირში თურქული ეთნიკური ჯგუფის ხალხები. მათ ეკუთვნიან: უზბეკები, ყაზახები, თათრები, აზერბაიჯანელები, თურქმენები, ყირგიზები, ჩუვაშები, ბაშკირები, იაკუტები, ყარაჩაელები, ბალყარელები და სხვ. ისინი დიდ ტერიტორიაზე არიან განლაგებულნი კომპაქტურ ჯგუფებად.

მეტად მრავალფეროვანია ეთნიკური შემადგენლობით კავკასიის მოსახლეობა. აქ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კავკასიური ენობრივი ოჯახის ხალხებს, რომლებსაც ეკუთვნიან: ქართველები, აფხაზები, ყაბარდოელები, ჩერქეზები, ჩაჩნები, ინგუშები, აგრეთვე დაღესტნის ხალხები. სომხები და ოსები ინდოევროპული ოჯახის ხალხებია, კერძოდ ოსები ირანულ ჯგუფს ეკუთვნიან; ამავე ჯგუფს ეკუთვნიან შუა აზიაში მცხოვრები ტაჯიკები.

ბალტიისპირეთში ცხოვრობენ ინდოევროპული ოჯახის ლეტოლიტვურ ჯგუფში შემავალი ლიტველები და ლატვიელები. აქვე მცხოვრები ესტონელები ფინური ენების ჯგუფს ეკუთვნიან. ამავე ჯგუფში შედიან სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ჩრდილოეთში მცხოვრები მცირერიცხოვანი ხალხები—კარელები, კომი, უდმურტები, მორდველები, მარები და სხვ.

მოკლედ განვიხილოთ საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ძველთაგანვე ხელს უწყობდა ადგილობრივი მოსახლეობის გვერდით მოსული ეთნიკური ელემენტის დამკვიდრებას. შუა საუკუნეების მძიმე ვითარებაში საქართველოს ზოგიერთი მხარე აგრესიული ძალების შემოსევების შედეგად სრულიად გაუკაცრიელდა. ხშირად ამ მხარეებში მტერი უცხო ტო-

მებს ასახლებდა. ზოგჯერ თვით ქართველი მეფეები ასახლებდნენ დაცარიელებულ მიწებზე გარედან მოსულ არაქართველებს. შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან თანდათან ჩამოსახლდნენ ოსები აღმოსავლეთ საქართველოში. ამავე დროს, გვიან ფეოდალურ ეპოქაში მოძალადე მტერს არაერთხელ აუყრია და უცხო ქვეყნებში გადუსახლებია ქართველები. ადგილობრივი ფეოდალებიც ყიდდნენ უცხოელებზე თავის ყმებს. ყოველივე ამის შედეგად მნიშვნელოვნად იცვლებოდა საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. არაქართველთა ჩამოსახლება კიდევ უფრო გაძლიერდა XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის დასაწყისში. 1926 წელს ქართველების ხვედრითი წონა რესპუბლიკის მოსახლეობაში შეადგენდა 68,3%-ს. ომამდელი ხუთწლედების მანძილზე დიდი რაოდენობით დამკვიდრდნენ საქართველოში სხვა რესპუბლიკებიდან მოსული არაქართველები, რის შედეგადაც 1939 წლისათვის ქართველების ხვედრითი წონა შემცირდა 61,4%-მდე.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოში შეიქმნა ორი ავტონომიური რესპუბლიკა და ერთი ავტონომიური ოლქი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრ მოსახლეობას აფხაზებთან ერთად შეადგენენ ქათველები; აქვე ცხოვრობენ რუსები, სომხები, ბერძნები, უკრაინელები, ესტონელები და რიგი სხვა ხალხის წარმომადგენლები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ძირითად მოსახლეობას ქართველები შეადგენენ. ავტონომია შეიქმნა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ეს მხარე რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მიტაცებული ჰქონდათ თურქებს. მათ ძალით მიიღებინეს აქაურ ქართველებს ისლამი. თურქების ბატონობის პერიოდში დიდად შეფერხდა აჭარის სამეურნეო და კულტურული განვითარება. ავტონომიის შექმნამ დააჩქარა წინანდელი ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, ხელი შეუწყო სახალხო მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას. ქართველები აქ შეადგენენ მთელი მოსახლეობის 80%-ზე მეტს, დანარჩენი ეროვნებებიდან ყველაზე მეტია რუსები, სომხები, ბერძნები და უკრაინელები.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 65 ათასი ოსი ცხოვრობს; მათზე მოდის ოლქის მოსახლეობის 2/3; ქართველები 1/3-ზე ნაკლებია; ცხოვრობენ აგრეთვე რუსები, სომხები, ებრაელები და უკრაინელები. ოსების უმეტესი ნაწილი გაფანტულად ცხოვრობს აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

საქართველოს მთელი მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1979 წლის აღწერით ასეთია: ქართველები — 3433 ათასი (68.8 %), აფხაზები — 85 ათასი (1,7%), ოსები — 160 ათასი (3,2%), სომხები — 448 ათასი (9,0%), რუსები — 372 ათასი (7,4%), აზერბაი-

ჯანელები — 256 ათასი (5,1%), ბერძნები —95 ათასი (1,9%). დასახელებულ ეროვნებებზე მოდის მთელი მოსახლეობის 97,1%. დანარჩენს შეადგენენ: უკრაინელები, ებრაელები (მათი დიდი ნაწილი ქართველი ებრაელებია), ქურთები, თათრები, დაღესტნის ხალხები, აისორები, პოლონელები, მოლდაველები, ესტონელები და სხვ. ეროვნული შემადგენლობით უფრო ჭრელია საქართველოს ქალაქების მოსახლეობა, ვიდრე სოფლისა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს რიგ მხარეში—უპირატესად ქართლში და კახეთში —ქართულ სოფლებს შორის განლაგებულია სომხების, ოსებისა და ბერძნების სოფლები. მათი უმრავლესობა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში დამკვიდრდა საქართველოში და მეტმა ნაწილმა ქართული გაიხადა დედაენად. ამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი განიცდის ასიმილაციას ქართველებთან. არაქართველი მოსახლეობის კომპაქტურად განსახლების ადგილებში გახსნილია სკოლები შესაბამის ეროვნებათა ენაზე და კულტურის რიგი სხვა დაწესებულება.

საკმაოდ ჭრელია რესპუბლიკის დედაქალაქის, აგრეთვე ქ. რუსთავის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. 1959 წელს ქართველები თბილისის ცხოვრებთა ნახევარზე ნაკლებს შეადგენდნენ, 1979 წლისათვის ქართველების ხვედრითი წონა გადიდდა 62,2%-მდე, სომხებზე მოდის 14,5% და რუსებზე — 12,2%.

რუსები, სომხები და ებრაელები უპირატესად საქალაქო დასახლებებში ცხოვრობენ. აზერბაიჯანელების ძირითადი ნაწილი ქვემო ქართლის სოფლის მოსახლეობას შეადგენს, ბერძნების უმრავლესობაც ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციაშია თავმოყრილი; მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს აგრეთვე აფხაზეთში და აჭარაში. სომხების დიდი ჯგუფი მესხეთ-ჯავახეთში ჩასახლდა გასული საუკუნის 20-იანი წლების მიწურულში. იმავე საუკუნის 40-იან წლებში ჯავახეთში შეიქმნა ჩამოსახლებული რუსი სექტანტების რამდენიმე სოფელი.

თავი მეხუთე

ეოსახლეობის მიგრაცია

მოსახლეობის მიგრაციის არსი, ფაქტორები და სახეობანი

მოსახლეობის მიგრაცია უძველესი დროიდან ფართოდ გავრცელებულ სოციალურ მოვლენას წარმოადგენს და დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუმცა დღემდე არ არსებობს ერთიანი აზრი მის განსაზღვრაში. თუ სხვადასხვა ავტორის მიერ მიგრაციის შინაარსის შესახებ გამონათქვამებს გავითვალისწინებთ და მოვახდენთ მათ განზოგადებას, შეიძლება-დავასკვნათ, რომ არსებობს მიგრაციის ვიწრო და ფართო გაგება. ვიწრო გაგებით მოსახლეობის მიგრაცია ნიშნავს ადამიანების გადასვლას საცხოვრებლად ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორე დასახლებულ პუნქტში მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი დროით, მიუხედავად იმისა, ერთნაანეთის შეზობლად მდებარეობენ ეს პუნქტები, თუ დიდი მანძილით არიან დაცილებულნი. უფრო ფართო გაგებით კი აუცილებელ პირობას არ წარმოადგენს საცხოვრებლად სხვა დასახლებულ პუნქტში გადასვლა და მიგრაციას განეკუთვნება აგრეთვე მოსახლეობის სეზონური ან ყოველდღიური ტერიტორიული გადაადგილება საცხოვრებელ და საშუშაო ადგილებს შორის — ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორეში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყოველდღიურად სხვა დასახლებულ პუნქტში სამუშაოდ წასვლას განასხვავებენ ჩვეულებრივი მიგრაციისაგან და მას ქანქარისებურ (ან მაქოსებურ) მიგრაციას უწოდებენ.

მიგრაციული პროცესების მთავარი ნიშანი მაინც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი იცვლის საცხოვრებელ ადგილს. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის გარემოება, ქვეყნის შიგნით ხდება მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილება, თუ მის ფარგლებს გარეთ. შესაბამისად განასხვავებენ შიგა და გარე მიგრაციებს. ერთი ქვეყნიდან (სახელმწიფოდან) მეორე ქვეყანაში საცხოვრებლად წასვლას ემიგრაცია ეწოდება; რომელიმე ქვეყანაში საცხოვრებლად უცხოელების შემო-

სვლას კი ი მ ი გ რ ა ც ი ა ს უწოდებენ. ამისდა შესაბამისად ე მ ი-
გ რ ა ნ ტ ი ის პიროვნებაა, ვინც გადასახლდა თავის ქვეყნიდან სხვა
სახელმწიფოში, ხოლო ი მ ი გ რ ა ნ ტ ი იქნება იგივე პიროვნება იმ
ქვეყნისათვის, სადაც ის ჩასახლდა. ყველა ეს ტერმინი ასახავს
გარე მიგრაციულ პროცესებს. იმის მიხედვით, თუ რა ტერიტორიაზე
ვსწავლობთ ადამიანის სივრცობრივ გადაადგილებას, ერთი სახელ-
მწიფოს შიგნითაც შეიძლება დავყოთ იგი „შიგა" და „გარე" მიგრა-
ციებად. მაგალითად, საქართველოსათვის ან სხვა რომელიმე მოკავ-
შირე რესპუბლიკისათვის გარე მიგრაცია იქნება მოსახლეობის წასვლა
საცხოვრებლად სხვა რესპუბლიკებში ან იქიდან მოსვლა. ამრიგად,
მოსახლეობის მიგრაციის სივრცობრივი დიაპაზონი დიდ ფარგლებში
შეიძლება რხევადობდეს: არსებობს შ ი გ ა სა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ებ რი-
ვ ი, ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო თ ა შ ო რ ი ს ი და კ ო ნ ტ ი ნ ე ნ ტ თ ა-
შ ო რ ი ს ი მიგრაციები. ყველა ამ მიგრაციაში ჩაბმულ პირს მ ი გ რ ა ნ-
ტ ი ეწოდება.

თითოეული სახის მიგრაციას თავისი კონკრეტული მიზეზი აქვს,
მაგრამ ზოგადად მიგრაციულ პროცესებს საფუძვლად უდევს ფართო
ხასიათის ბ უ ნ ებ რ ივ-გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი და ს ა ზ ო გ ა დ ო-
ებ რ ი ვ ი მ ო ვ ლ ე ნ ებ ი, რომლებსაც მ ი გ რ ა ც ი ი ს ფ ა ქ ტ ო-
რ ებ ს ვუწოდებთ. ისინი გამოვლინდებიან გარკვეულ ისტორიულ
პირობებში და თავისი ზემოქმედების ძალითაც ერთმანეთისაგან გან-
სხვავებულნი არიან. მიგრაციაზე მოქმედი საზოგადოებრივი მოვლე-
ნებიდან აღსანიშნავია სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, სამ-
ხედრო და ბევრი სხვა ფაქტორი; მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი ფაქ-
ტორია თანამედროვე ურბანიზაცია.

ბ უ ნ ებ რ ივ-გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი გ ა რ ე მ ო მოსახლეობის
მიგრაციაზე მოქმედი ყველაზე ადრინდელი ფაქტორია. თავისი წარ-
მოშობის საწყის ეტაპებზე ადამიანი თანდათან იკავებდა ახალ ტერი-
ტორიებს. ოიკუმენის გაფართოება თავისთავად ნიშნავდა მოსახლეო-
ბის მიგრაციას. ვიდრე ადამიანი სურსათის წარმოებას ისწავლიდა, ის
თავისებური შემგროვებლის როლში გვევლინებოდა: საზრდოობდა ყო-
ველივე იმით, რასაც მზა სახით პოულობდა ბუნებაში. ეს გარემოება
მას აიძულებდა დიდი მანძილები გადაელახა საკვების ძებნაში. შე-
მდგომშიაც, როცა ჩაისახა სოფლის მეურნეობის უძველესი ფორმა—
მეცხოველეობა, საჭირო იყო ახალი ტერიტორიების გამოყენება საძო-
ვრებად, ხოლო უფრო გვიან — ახალი ფართობების ათვისება დამუ-
შავებისათვის. ბუნებრივი პირობები ამჟამადაც წარმოადგენენ მიგ-
რაციის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზს. იშვიათი როდია ისეთი შემთხვე-
ვა, როცა ადამიანი ეძებს უკეთეს ბუნებრივ პირობებს და ამ მიზნით
იცვლის საცხოვრებელ ადგილს, მაგრამ თანამედროვე ვითარებაში

ბუნებრივი გარემო უფრო ხშირად გამეშვეობითებული გზით მოქმედებს მიგრაციაზე. ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ამა თუ იმ ტერიტორიაზე არ არის ხელსაყრელი ნიადაგები და ჰავა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის და მოსახლეობა გადადის საცხოვრებლად უფრო კარგი ბუნებრივი პირობების მქონე ადგილებში. ამის თვალსაჩინო მაგალითია მთიდან ბარში მოსახლეობის გადასელა.

ხეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე ადგილის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. მოსახლეობას დიდი რაოდენობით იზიდავს, მაგალითად, ზღვების და მდინარეების ნაპირები, რომლებიც გამოირჩევიან მოხერხებული მდებარეობით. მაგრამ აქაც ნათლად ჩანს ბუნებრივი ფაქტორის მიერ განპირობებული ეკონომიკური წანამძღვარი: ადამიანი უხსოვარი დროიდან სარგებლობს წყლის ტრანსპორტით, როგორც ეკონომიკური კავშირის მძლავრი საშუალებით; იგივე სანაპიროები მოხერხებულია სახმელეთო კომუნიკაციების შექმნისათვის.

დიდ გავლენას ახდენენ მიგრაციაზე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. ისინი გამოირჩევიან მრავალფეროვნებით და ზემოქმედების ძალით. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, როგორც ზოგადი კანონზომიერება, მჭიდრო კავშირის არსებობა წარმოების განვითარებასა და მიგრაციულ პროცესებს შორის. ცნობილია, რომ წარმოება არათანაბრად ვითარდება სხვადასხვა ქვეყნებში და ქვეყნებს შიგნითაც. წარმოების განვითარება ამავე დროს ნიშნავს შრომის გამოყენების სფეროს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ ზრდას, ხშირია შემთხვევა, როცა ადგილობრივი შრომითი რესურსები ვერ აკმაყოფილებენ მუშახელზე გაზრდილ მოთხოვნილებას და აუცილებელია მოსახლეობის მიზიდვა სხვა ადგილებიდან. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად მჭიდროდაა დასახლებული მოცემული ტერიტორია და რა შეფარდებაშია წარმოების ზრდა მოსახლეობის ზრდის ტემპებთან. ამასთან დაკავშირებით მიგრაციული ნაკადების სიმძლავრე და მიმართულება შეიძლება სრულიად სხვადასხვაგვარი იყოს. ახალ ადგილებში გადასახლების ერთ-ერთი მძლავრი სტიმულია ადამიანის მისწრაფება უკეთესი სოციალური და ეკონომიკური პირობებისაკენ. კლასობრივ საზოგადოებაში მიგრაციის მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლება. მაგალითად, ცნობილია, რომ ფეოდალიზმის პირობებში ბატონყმური ურთიერთობიდან თავის დაღწევის მიზნით გლეხები მასობრივად მიდიოდნენ სხვა ადგილებში.

მოსახლეობის მიგრაციას ხშირად საფუძვლად უდევს პოლიტიკური მოტივი. ამ მიზეზით მცხოვრებთა გადასახლება შეიძ-

ლება გამოწვეული იყოს სახელმწიფოებს შორის საზღვრების შეცვლით, ცალკეულ პიროვნებათა პოლიტიკური რწმენით და რიგი სხვა მოტივით. ცნობილია ს ა მ ხ ე დ რ ო-ს ტ რ ა ტ ე გ ი უ ლ ი მოსაზრებებით გამოწვეული საკმაოდ ფართო ხასიათის მიგრაციები. ბრძოლებში გამარჯვებული მხარე ხშირად ატყვევებს დამარცხებული მხარის ჯარს და ადამიანთა დიდი რაოდენობა ამის შედეგად უცხო მხარეში აღმოჩნდება ხოლმე, ომის დამთავრების შემდეგ კი ხდება ტყვეთა რეპატრიაცია (დაბრუნება სამშობლოში). ისტორიაში არაერთი ფაქტია ცნობილი, როცა შემოსეულ აგრესორებს ტყვედ მიჰყავდათ მშვიდობიანი მოსახლეობა და თავის ქვეყანაში ასახლებდნენ. რიგ შემთხვევაში ომის დროს საომარი მოქმედების რაიონებიდან ხდება მოსახლეობის ევაკუაცია, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზედმეტი მსხვერპლი.

მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილების მძლავრი ფაქტორია ურ ბ ა ნ ი ზ ა ც ი ა ანუ ქალაქების როლის ზრდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. თანამედროვე ურბანიზაციამ ღრმად გაიდგა ფესვები როგორც სოციალისტურ, ისე კაპიტალისტურ ქვეყნებში. ქალაქების სწრაფი ზრდა მიმდინარეობს სოფლის მოსახლეობის მიზიდვის ხარჯზე. ყოველწლიურად მთელ მსოფლიოში მრავალი მილიონი ადამიანი ტოვებს სასოფლო ადგილებს და სახლდება ქალაქად. ეს პროცესი მნიშვნელოვნად დააჩქარა, ერთი მხრივ, საწარმოო ძალების სწრაფმა აღმავლობამ და, მეორე მხრივ, უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე სოფლად მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალმა ტემპებმა. ბევრ ისეთ განვითარებად ქვეყანაში, სადაც შრომის გამოყენების სფეროს გაფართოება ჩამორჩება მოსახლეობის ზრდის ტემპებს, ქალაქებს დიდი რაოდენობით მიაწყდა სოფლის მოსახლეობა და ამის შედეგად არაერთი ქალაქი ჰიპერტროფიულად იზრდება. მთელ რიგ ქვეყნებში მეტისმეტად გაძნელდა შრომითი კონტინგენტების დასაქმება და მოსახლეობის დაკმაყოფილება არსებობის საშუალებებით. ამან გამოიწვია არა მარტო ქვეყნებს შიგნით, არამედ სახელმწიფოთაშორისო მიგრაციების გაძლიერებაც. ბევრი განვითარებული ქვეყნიდან მუშახელი სისტემატურად მიდის სამუშაოდ ინდუსტრიულად დაწინაურებულ სახელმწიფოებში, სადაც იმიგრანტი მუშები უპირატესად მძიმე სამუშაოებს ასრულებენ. საწარმოო ძალების განვითარების პარალელურად თანდათან ძლიერდება საზოგადოებრივი ფაქტორების გავლენა მიგრაციულ პროცესებზე.

მიგრაციის სხვადასხვა სახეობანი შეიძლება დაჯგუფდეს მსგავსი ნიშნების მიხედვით. შ ი გ ა დ ა გ ა რ ე მ ი გ რ ა ც ი ე ბ ი ს გამოყოფისას სივრცობრივ მასშტაბებთან ერთად მხედველობაშია მიღებული ადმინისტრაციული და პოლიტიკური საზღვრები. დროის ფაქ-

ტორის გათვალისწინებით კი გამოიყოფა მ უ დ მ ი ვ ი, დ რ ო ე ბ ი თ ი და ს ე ზ ო ნ უ რ ი მ ი გ რ ა ც ი ე ბ ი. მუდმივი მიგრაცია, როგორც თვით ტერმინი გვიჩვენებს, გულისხმობს განუსაზღვრელი ვადით ჩასახლებას სხვა დასახლებულ პუნქტში. დროებითი ბიგრაცია ნიშნავს ჩასახლებას განსაზღვრული ვადით. როგორც წესი, ეს ვადა არ არის რამდენიმე თვეზე ნაკლები, მაგრამ შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე წელიც. ჩვეულებრივ, დროებით მიგრაციას მიეკუთვნება ახალგაზრდოების სწავლის ბიზნით გადასვლა სხვა დასახლებულ პუნქტში, ან ვარე სამუშაოებზე წასვლა გარკვეული ვადით. სამსახურებრივი მივლინებები კი, რომელთა ხანგრძლივობა არ აღემატება რამდენიმე კვირას, საერთოდ არ განეკუთვნება მიგრაციას. ს ე ზ ო ნ უ რ ი მ ი გ რ ა ც ი ი ს გავრცელებული ფორმაა პერიოდულად სხვა ადგილას წასვლა გარკვეული სეზონის დროს (მაგალითად, სეზონური საძოვრების გამოყენებისას ან სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად). დროის ფაქტორითაა გამოყოფილი აგრეთვე ქ ა ნ ქ ა რ ი ს ე ბ უ რ ი მ ი გ რ ა ც ი ა, თუმცა აქ ტერიტორიაც გარკვეულ როლს ასრულებს. მიგრაციის ეს სახე უპირატესად ქალაქების მიწიდულობის შედეგად წარმოიქმნა. ხშირ შემთხვევაში ადამიანი ცხოვრობს ქალაქგარეთ და სამუშაოდ ყოველდღე დადის ქალაქში (ზოგჯერ პირიქითაც არის). მაქოსებურ მიგრაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს აგრეთვე ორ სოფელს ან ორ ქალაქს შორისაც. მისი ერთ-ერთი პირობა ისაა, რომ მგზავრობას ერთი მიმართულებით არ უნდა ჭირდებოდეს 1—1,5 საათზე მეტი დრო.

მოსახლეობის გადასვლა ახალ საცხოვრებელ ადგილას ყოველთვის როდი ხდება საკუთარი სურვილით. ნ ე ბ ა ყ ო ფ ლ ო ბ ი თ მ ი გ რ ა ც ი ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ ა რ ს ე ბ ობ ს ი ძ უ ლ ე ბ ი თ ი და ძ ა ლ დ ა ტ ა ნ ე ბ ი თ ი მ ი გ რ ა ც ი ე ბ ი ც. უფრო გავრცელებულია პირველი მათგანი, მაგრამ დანარჩენი ორი სახის მიგრაციაც არ არის იშვიათი. არის შემთხვევები, როცა მოსახლეობის გარკვეული ჯგუფი ან ცალკეული პიროვნება რაიმე გარემოების გამო იძულებულია დატოვოს თავისი საცხოვრებელი ადგილი, მიუხედავად იმისა, რომ ძალის პირდაპირ გამოყენებას შეიძლება არ ჰქონდეს ადგილი. მაგალითად, რუსეთ-თურქეთის 1828—1829 წლების ომის დროს რუსეთის ჯარმა დაიკავა თურქეთის სახელმწიფოს ის ტერიტორია, სადაც ცხოვრობდნენ სომხები და რომლებიც მხარს უჭერდნენ რუსეთის არმიას თურქი მჩაგვრელების წინააღმდეგ. 1829 წლის ადრიანოპოლის ზავის თანახმად აღნიშნული ტერიტორია კვლავ დაუბრუნდა თურქეთს, რის გამოც აქაური სომხები იძულებულნი გახდნენ დატოვებინათ თავისი საცხოვრებელი ადგილები და რუსეთის დახმარებით საქართველოს ტერიტორიაზე — მესხეთ-ჯავახეთში გადმოსახლებუ-

ლიყვნენ. მეფის მთავრობის რეაქციული პოლიტიკით შევიწროებული აფხაზების მეტი ნაწილი XIX საუკუნის მეორე ნახევარში იძულებული გახდა თურქეთში გადასახლებულიყო. ძალდატანებით მიგრაციის ფაქტებიც უხვად შემოუნახავს ისტორიას. XVII საუკუნეში სპარსეთის შაჰმა აბას პირველმა ათეული ათასობით ქართველი ძალით გადაასახლა სპარსეთში. XVII—XVIII საუკუნეებში ფართოდ იყო გავრცელებული თურქების მიერ კავკასიელების და. ბალკანელების მოტაცება და გაყიდვა ასლო აღმოსავლეთის მონათა ბაზრებზე. ძალდატანებითი მიგრაციის ყველაზე მასობრივი მოვლენა იყო ევროპელების მიერ მილიონობით აფრიკელი ზანგის დატყვევება და ამერიკაში მონებად გაყიდვა.

ერთმანეთისაგან განსხვავდება ორგანიზაციული დასტიქიური მიგრაციები. პირველი მათგანი ცნობილია აგრეთვე როგორც გეგმიური მიგრაცია და უმთავრესად სახელმწიფო ორგანოების ინიციატივით ორგანიზდება. იგი რომელიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სამხედრო ან სოციალურ-ეკონომიკური მიზეზითაა განპირობებული. ორგანიზებულ მიგრაციას განეკუთვნება ახალგაზრდა სპეციალისტების გაგზავნა სამუშაოდ, აგრეთვე მუშახელის შეგროვება მსხვილ მშენებლობაზე ან რომელიმე სამრეწველო საწარმოში გამოყენების მიზნით. ასეთი მიგრაციები უმთავრესად ჯგუფურ ხასიათს ატარებენ, ხოლო სტიქიური მიგრაციები, როგორც წესი, ინდივიდუალურია. ორგანიზებული მიგრაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დიდი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაჭრაში. ასეთი იყო, მაგალითად, საბჭოთა ქვეყანაში ყამირი მიწების ათვისება ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში, როცა ჩრდილოეთ ყაზახეთის და დასავლეთ ციმბირის რაიონებში ათეული ათასობით ადამიანი ჩასახლდა.

მოსახლეობის გადასვლა სხვა საცხოვრებელ პუნქტში თუმცა თავისთავად მიგრაციას წარმოადგენს, მაგრამ ამ პროცესის სრული განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია მიგრანტთა ადაპტაცია ახალ ადგილას; ჩასახლებულთა ნაწილი ვერ ეგუება მისთვის შეფასებულ პირობებს და ბრუნდება წინანდელ საცხოვრებელ ადგილას. ამასთან დაკავშირებით მიგრაციაში მიღებულია დამკვიდრების კოეფიციენტი. იგი გვიჩვენებს, თუ მიგრანტთა რა ნაწილი დამკვიდრდა ახალ ადგილას და გამოისახება პროცენტებში მთელი მოსული მოსახლეობის მიმართ. ჩასახლებულთა ადაპტაციაზე გავლენას ახდენს როგორც ახალი სოციალურ-ეკონომიკური გარემო, ისე ბუნებრივი პირობები. შეუჩვეველ ბუნებრივ გარემოში მოხვედრილი მიგრანტები ხშირად ტოვებენ ჩასახლების ადგილს.

ჩვენ დროში ფართო ხასიათი მიიღო სტიქიურმა მიგრაციებმა. ბევრი დასახლებული პუნქტიდან დიდი რაოდენობით მიდის ბოსახლეობა სხვა ადგილებში, ამიტომ მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენად ინტენსიურია წასვლა მოცემული სოფლიდან თუ ქალაქიდან (რაიონიდან, სახელმწიფოდან). ამის შესახებ წარმოდგენას მ ი გ ვ ც ე მ ს მ ი გ რ ა ც ი უ ლ ი გ ა ნ ზ ი დ ვ ი ს კ ო ე ფ ი ც ი ე ნ ტ ი, ა ნ უ რომელიმე დასახლებული პუნქტიდან ან ადმინისტრაციული ერთეულიდან ერთი წლის მანძილზე წასულთა რაოდენობა ყოველ ათას მცხოვრებზე. ეს კოეფიციენტი შემდეგი მარტივი ფორმულით შეგვიძლია გამოვითვალოთ:

$$K_3 = \frac{M_3 \cdot 1000}{P}, \text{ სადაც}$$

K_3—მიგრაციული განზიდვის კოეფიციენტი,
M_3—წასულ მიგრანტთა რაოდენობა,
P—მოსახლეობის საშუალოწლიური რაოდენობა.

ანალოგიურად შეგვიძლია გამოვთვალოთ მ ი გ რ ა ც ი უ ლ ი მ ი ზ ი დ ვ ი ს კ ო ე ფ ი ც ი ე ნ ტ ი, ანუ გარკვეულ დასახლებულ პუნქტში (რაიონში, სახელმწიფოში) ერთი წლის მანძილზე ყოველ ათას მცხოვრებზე მოსულთა რაოდენობა.

$$K_8 = \frac{M_8 \cdot 1000}{P}. \text{ სადაც}$$

K_8 — მიგრაციული მიზიდვის კოეფიციენტი,
M_8 — მოსულ მიგრანტთა რაოდენობა,
P — მოსახლეობის საშუალოწლიური რაოდენობა.

ყოველწლიურად მოსულთა და წასულთა ჯამი გვიჩვენებს მიგრაციის ინტენსივობას, რაც შეიძლება გამოისახოს მ ი გ რ ა ც ი უ ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს კ ო ე ფ ი ც ი ე ნ ტ ი თ:

$$K_n = \frac{(M_3 + M_8) \cdot 1000}{P}$$

ამრიგად, მუდმივად მიმდინარეობს მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილება ანუ მექანიკური მოძრაობა, რაც შეადგენს მიგრაციის მთავარ შინაარსს. იშვიათია ისეთი დასახლებული პუნქტი, მითუმეტეს უფრო მსხვილი ტერიტორიული ერთეული, რომ ადგილი არ ჰქონდეს მისი მოსახლეობის მექანიკურ მოძრაობას. მიგრაციის თვალსაზრისით დასახლებული პუნქტები იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ზოგი მათგანი განიზიდავს მოსახლეობას, ზოგი კი მიიზიდავს, ანუ ზოგან ჭარბობს წასულთა რაოდენობა, ზოგან კი მოსულთა რაო-

დენობა. ეს ეხება არა მარტო ცალკე აღებულ დასახლებულ პუნქტებს, არამედ პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ერთეულებსაც (სახელმწიფოს მთლიანად და მის შემადგენელ ნაწილებს). ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა შეფარდებაშია ყოველწლიურად წასულთა და მოსულთა რაოდენობა, ანუ როგორია მ ი გ რ ა ც ი ი ს ს ა ლ დ ო. როდესაც მოსულთა რაოდენობა ჭარბობს წასულთა რაოდენობას, მიგრაციის სალდო დ ა დ ე ბ ი თ ი ა, ხოლო წასულთა სიჭარბის შემთხვევაში სალდოს უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ნიშანი აქვს. როგორც წესი, კარგად განვითარებულ ქალაქებს, აგრეთვე იმ რეგიონებს, სადაც ადგილი აქვს მეურნეობისა და კულტურის სწრაფ აღმავლობას, ახასიათებთ მიგრაციის დადებითი სალდო, ხოლო სასოფლო ადგილები და მცირე ქალაქები უმეტეს შემთხვევაში მიგრაციის უარყოფითი სალდოთი გამოირჩევიან.

მ ი გ რ ა ც ი უ ლ ი პ რ ო ც ე ს ე ბ ი დ ი დ გ ა ვ ლ ე ნ ა ს ახ დ ე ნ ე ნ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა მ ხ ა რ ე ზ ე. მთლიანად მოსახლეობის მიგრაცია პროგრესული მოვლენაა, რადგან ხელს უწყობს უმნიშვნელოვანესი საწარმოო ძალის — შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, აძლიერებს ადამიანთა ურთიერთკავშირს, აჩქარებს სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების ტერიტორიულ გავრცელებას, ქმნის ოიკუმენის გაფართოებისა და ახალი მიწების ათვისების, აგრეთვე მთელი რიგი ბუნებრივი რესურსების სამეურნეო ბრუნვაში ჩაყენების შესაძლებლობას. დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, კვალიფიციური მუშახელის და სპეციალისტების ჩასახლებას ძვირფასი წიაღისეულის დამუშავების რაიონებში. მრავალი მსხვილი სამრეწველო ობიექტის და ახალი ქალაქების მშენებლობა შეუძლებელი იქნებოდა მოსახლეობის სხვა ადგილებიდან მიზიდვის გარეშე. მიგრაციის ასეთი შეფასება არ ვრცელდება მოსახლეობის ძალდატანებით გადასახლებაზე, რომელიც არ ითვალისწინებს მიგრანტთა ინტერესებს და დიდ სოციალურ და ეროვნულ უბედურებას წარმოადგენს ცალკეული ხალხისათვის. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მილიონობით ადამიანი შეეწირა ძალდატანებით მიგრაციებს, ხოლო ზოგიერთმა ხალხმა საერთოდ შეწყვიტა არსებობა.

მიგრაციულ პროცესებს დიდი ცვლილებები შეაქვთ მოსახლეობის ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ გ ა ა დ გ ი ლ ე ბ ა შ ი. მსოფლიოს ბევრი ქვეყანა და ზოგიერთი კონტინენტი არც თუ ისე შორეულ წარსულში სუსტად იყო დასახლებული და ოკეანისკენელი სალიკონიების მანძილზე მომხდარ გადასახლებათა გამო ამ რეგიონებში ბევრად გაიზარდა მოსახლეობის სიმჭიდროვე. ეს პირველ რიგში ეხება ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას, ავსტრალიას, ციმბირის სამხრეთ რაიონებს და

რიგ სხვა ადგილს. მასობრივი გადასახლებანი უმეტეს შემთხვევებში მიმდინარეობს შედარებით მჭიდრო დასახლებული ადგილებიდან სუსტად დასახლებულ ადგილებში, მაგრამ ხდება პირიქითაც. თუ სუსტად დასახლებული ადგილები არ არის ხელსაყრელი ბუნებრივი განვითარებისათვის, მოსახლეობა შეიძლება მიდიოდეს უფრო მჭიდროდ დასახლებულ, მაგრამ მეურნეობრივად კარგად ათვისებულ რაიონებში.

მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილების რაციონალურად წარმართვაში დიდი ნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მარეგულირებელ როლს. ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, თუ რამდენად მიზანშეწონილია მოსახლეობის ნაწილის წასვლა მიგრანტთა გამოსვლის ადგილებიდან. ეკონომიკურად გამართლებულია შრომითი რესურსების გადასვლა ჭარბი მუშახელის მქონე რაიონებიდან ისეთ რაიონებში, სადაც წარმოება არაა უზრუნველყოფილი სამუშაო ძალით. ამავე დროს მოსახლეობის მიგრაციის შედეგად მიღწეული სოციალური და ეკონომიკური ეფექტი ბევრადაა დამოკიდებული ჩასახლების ადგილებში მიგრანტთა ადაპტაციაზე. ახალ საცხოვრებელ ადგილას მოსახლეობის დამკვიდრების გარეშე მიგრაციას მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოყვება. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ითვალისწინებენ ჩასახლებულთათვის მატერიალური სტიმულისა და ცხოვრების კარგი პირობების შექმნას. ასეთ მოთხოვნათა გათვალისწინებით დაგეგმილი მიგრაციების განხორციელება აჩქარებს საწარმოო ძალების განვითარებას, ხელს უწყობს მოსახლეობის რაციონალურ ტერიტორიულ განლაგებას.

მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილებისას მხედველობაშია მისაღები მიგრანტთა სქესობრივ-ასაკობრივი, პროფესიული და ეთნიკური შემადგენლობა. თანამედროვე პირობებში ფართოდ გავრცელებულ, სტიქიურად მიმდინარე ინდივიდუალურ მიგრაციებში ჩაბმულია უპირატესად ორივე სქესის ახალგაზრდობა. მათი ერთი ნაწილი სწავლის მიზნით მიდის კულტურისა და განათლების მნიშვნელოვან ცენტრებში; ბევრის სურვილია გარკვეული პროფესიის ათვისება, შრომის პროგრესულ დარგებში ჩაბმა, რაც მათთვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საწინდარია. ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც გარკვეული პროფესიის მუშახელი თავისი სპეციალობის მაქსიმალური ეფექტით გამოყენების მიზნით ტოვებს საცხოვრებელ ადგილს და სამუშაოდ მიდის ახალი სამრეწველო ობიექტების ან სხვა სახის მშენებლობაზე. რომელიმე რაიონში განხორციელებული ჩასახლებისას, ახლად მოსულ მოსახლეობას თუ უფრო

მაღალი შრომის კულტურა აქვს, ეს დადებითად მოქმედებს ამ რაიონის მეურნეობრივ აღმავლობაზე.

მიგრაციული ნაკადების სიმძლავრესა და მიმართულებაზე გავლენას ახდენს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა. წარსულ ისტორიულ ეპოქებში არაერთი შემთხვევა იყო ერთი ეთნიკური შემადგენლობის ტომთა გადასახლებისა ახალ ადგილებში. ამჟამადაც საკმაოდ ხშირად ამა თუ იმ ეროვნების მიგრანტები ისწრაფვიან ჩასახლდნენ თავისი ერის განსახლების ადგილებში. ასეთ შემთხვევებში თავს იჩენს ეროვნული კულტურის, ტრადიციების, დედაენის ერთობლიობა და სხვა ეროვნული ნიშნები. ჩვეულებრივ, ადამიანი უნდა ფლობდეს იმ კუთხის ენას, სადაც გადადის საცხოვრებლად. მაგალითად, „ენობრივი ბარიერი" ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია იმისა, რომ შუა აზიისა და კავკასიის მკვიდრი მოსახლეობა უფრო ნაკლებად გადადის სსრ კავშირის სხვა რაიონებში საცხოვრებლად, ვიდრე ის ხალხები, ვისთვისაც ასეთი დაბრკოლება არ არსებობს. მიგრაციულ პროცესებს არსებითი ცვლილებები შეაქვთ ბევრი ქვეყნისა და მათი ცალკეული ნაწილების მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში. დიდი ეროვნული სიჭრელით გამოირჩევიან მსხვილი ქალაქები და ქვეყნის ის ნაწილები, სადაც მასიურად მოდის მოსახლეობა სხვა რაიონებიდან. საბჭოთა კავშირში ამის ნათელი მაგალითია მილიონიანი ქალაქები, აგრეთვე ყაზახეთის, ყირგიზეთის და ზოგი სხვა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკა. დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან სხვადასხვა ეროვნებანი მიგრაციული პროცესების ინტენსივობით. მაგალითად, რუსებს შორის მიგრაციული მოძრაობის კოეფიციენტი რამდენჯერმე მაღალია, ვიდრე შუა აზიის ხალხებში და აზერბაიჯანელებში.

არსებობს კავშირი მოსახლეობის მიგრაციასა და დემოგრაფიულ პროცესებს შორის. მაღალი ბუნებრივი მატება, როგორც წესი, ხელს უწყობს ჭარბი მოშახელის წარმოქმნას, რის შედეგადაც რთულდება შრომითი კონტინგენტების ადგილზე დასაქმება და ძლიერდება მათი გადანაცვლება სხვა რაიონებში. იმასთან დაკავშირებით, რომ წასულთა შორის უმრავლესობას შეადგენენ ახალგაზრდები, მიგრანტთა გამოსვლის ადგილებში მცირდება მათი ხვედრითი წონა მოსახლეობაში, რაც იწვევს ნორმალური ასაკობრივი სტრუქტურის დარღვევას და შობადობის შემცირებას; სიკვდილიანობა კი, პირიქით, იზრდება. რადგან მატულობს ხანდაზმულთა ფარდობითი რაოდენობა. ჩასახლების ადგილებში ახალგაზრდების სიჭარბე მიგრანტთა შორის იწვევს მათი ხვედრითი წონის ზრდას, მაგრამ ეს არ აჩქარებს ქალაქად ბუნებრივი მატების კოეფიციენტს იმავე პროპორციით, რა პროპორციითაც ეს მაჩვენებელი მცირდება სოფლად, რადგან ახლად ჩასახლებულები ჯერ კიდევ ვერ ქმნიან ოჯახს და ქორ-

წინდებიან ბევრად უფრო გვიან, რაც უარყოფითად მოქმედებს შობადობის საერთო დონეზე.

მოსახლეობის მიგრაცია დიდ ცვლილებებს განიცდის როგორც ტერიტორიულ ერთეულებსა და სხვადასხვა ხალხებში, ისე დროის მანძილზე, რადგან მეტად მრავალფეროვანი და ცვალებადია მასზე მოქმედი ფაქტორები. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიგრაციული პროცესების ინტენსივობის დასადგენად საჭიროა ვისარგებლოთ სტატისტიკური მონაცემებით. თუმცა დასახლებულ პუნქტებში წარმოებს მოსულთა და წასულთა აღნუსხვა, მაგრამ მიმდინარე სტატისტიკის ეს მონაცემები არ არის სრული. მიგრაციის დასადგენი კითხვა შეაქვთ მოსახლეობის აღწერის ბლანკშიც, მაგრამ ვერც ამ გზით ხერხდება მექანიკური მოძრაობის საიმედო მონაცემების დადგენა. საკმაო სიზუსტით შეიძლება განვსაზღვროთ მიგრაციის სალდო ამა თუ იმ ტერიტორიაზე მოსახლეობის ორ აღწერათა შორის პერიოდში შემდეგი მეთოდით: ასეთი პერიოდისათვის ცნობილია მოსახლეობის ფაქტიური ნამატი, ვიცით აგრეთვე რამდენია მთელი პერიოდის მანძილზე ბუნებრივი ნამატი. სხვაობა ამ ორ ციფრს შორის იქნება მიგრაციის სალდო. თუ პირველი ციფრი მეტია მეორეზე, სალდო დადებითია, ეებრუნებულ შემთხვევაში კი სალდო უარყოფითი იქნება. მაგალითად, საქართველოს მოსახლეობა 1970 წ. 15 იანვრის აღწერით შეადგენდა 4686,4 ათასს, ხოლო 1979 წ. 17 იანვრის აღწერით — 5014,8 ათასს, ანუ 9 წლის მანძილზე ფაქტიური ნამატია 328,4 ათასი. იმავე პერიოდში ბუნებრივი ნამატი, რომლის აღრიცხვა ზუსტად წარმოებს, შეადგენდა 465,8 ათასს, ანუ მიგრაციის უარყოფითი სალდო 9 წლის მანძილზე უდრის 137,4 ათასს.

საერთაშორისო მიგრაციების მოკლე მიმოხილვა

ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების დროს გავრცელებული იყო ადამიანთა ტერიტორიული გადაადგილება საკმაოდ დიდ მანძილზე. ცალკეული ტომების გადასახლების მიზეზი შეიძლება გამხდარიყო ბუნების სტიქიური მოვლენები, არსებობის უკეთესი პირობების შექმნის სურვილი, მეზობელ ტომებს შორის მომხდარი განხეთქილება და ა. შ.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მრავალი ათასეული წლის წინათ მოხდა ინდიელების წინაპრების გადასვლა აზიიდან ამერიკაში — ბერინგის სრუტის გავლით. საუკუნეების მანძილზე ხდებოდა მიგრაციული პროცესების შედეგად სხვადასხვა ეთნიკურ დაჯგუფებათა ერთმანეთთან შერევა და ახალი ხალხების წარმოქმნა. ფართო ხასიათი მიიღო მოსახლეობის ტერიტორიულმა გადანაცვლებამ

აზიისა და ევროპის ფარგლებში მონათმფლობელური წყობის დაშლისა და ფეოდალიზმის დამკვიდრების ხანაში. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში მოხდა გერმანელთა ტომების განსახლება ევროპის ცენტრალურ და დასავლეთ რაიონებში, ბრიტანეთის კუნძულებზე, სადაც ისინი შეერიენენ ადგილობრივ ხალხებს. დაახლოებით იმავე პერიოდს განეკუთვნება სლავების გამოჩენა აღმოსავლეთ ევროპაში, აგრეთვე თურქული მოდგმის ხალხების განსახლება ჯერ შუა აზიაში, ხოლო XI საუკუნიდან — მცირე აზიაში. VI—VIII საუკუნეებში წარმოებდა არაბების მიერ ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის მიწების დაპყრობა. ცოტა უფრო გვიან უნგრული ტომები სამხრეთ ურალის სტეპებიდან გადმოსახლდნენ ცენტრალურ ევროპაში — დუნაისპირა რაიონებში. XIII—XIV საუკუნეებში ადგილი ჰქონდა მონგოლ-თათართა შემოსევებს შუა აზიაში, კავკასიაში და აღმოსავლეთ ევროპის რაიონებში.

ფართო მიგრაციული პროცესები გამოიწვია ა მ ე რ ი კ ი ს ა ღ მ ო ჩ ე ნ ა მ. XVI საუკუნიდან მოყოლებული სისტემატურად ხდებოდა ჩასახლება ევროპის ქვეყნებიდან ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში. ევროპელმა კოლონიზატორებმა მილიონობით აფრიკელი ზანგი მონებად აქციეს და გადაასახლეს ამერიკაში, სადაც მოხდა თეთრკანიანთა ნაწილის შერევა ზანგებთან და ადგილობრივ ინდიელებთან. ევროპიდან ამერიკაში გადასახლება განსაკუთრებით გაძლიერდა XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის დასაწყისში. 1800 წლიდან 1914 წლამდე დაახლოებით 35 მლნ. კაცი გადასახლდა ევროპიდან ამერიკაში, ავსტრალიაში და რიგ სხვა მხარეში (აქ შედის მილიონობით მიგრანტი, ვინც უკან დაბრუნდა).

კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს ე პ ო ქ ა ში მოსახლეობის მიგრაციის გაძლიერება გამოწვეული იყო საწარმოო ძალების განვითარების დაჩქარებით და შრომის ტერიტორიული დანაწილების გაღრმავებით. ამასთან დაკავშირებით უფრო რთული და მრავალფეროვანი გახდა მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური შინაარსი. კერძოდ, შეიქმნა ფარდობითი ჭარბი მუშახელი, რამაც წარმოების არათანაბრად განვითარებასთან ერთად გამოიწვია მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილების დაჩქარება. მშრომელთა ფართო მასებს უხდებოდათ ეძებნათ სამუშაო არა მარტო თავისი ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამის შედეგად მილიონობით ადამიანმა გადალახა კონტინენტები და ოკეანეები.

მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილების გაძლიერებას კაპიტალიზმის ვითარებაში ხელი შეუწყო აგრეთვე ბ ა ტ ო ნ ყ მ უ რ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა თ ა გ ა დ ა ვ ა რ დ ნ ა მ. იურიდიულად თავისუფალ მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცა თავისი შეხედულების მი-

ხედვით გამოეცვალა საცხოვრებელი ადგილი. ვარკვეული ბიძგი მისცა მიგრაციულ პროცესებს მიმოსვლის საშუალებათა მკვეთრად გაუმჯობესებამ — ორთქლის ძალით მომუშავე გემების ვაძოყენებამ და რკინიგზის ტრანსპორტის გავრცელებამ. მოსახლეობის მიზიდულობის მთავარ ცენტრად გადაიქცა ის ქვეყნები, სადაც მცხოვრებთა სიმჭიდროვე არ იყო მაღალი, წარმოება კი საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა. ასეთ ქვეყნებს პირველ რიგში მიეკუთვნებოდა ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა, ამიტომ აქეთ იყო მიმართული მიგრაციის მთავარი ნაკადი XIX—XX საუკუნეებში. მარტო მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოსახლებულ იმიგრანტთა რაოდენობა შეადგენდა 20,2 მლნ., ხოლო კანადაში 1851—1963 წლებში ჩასახლდა 9, 3 მლნ. მიგრანტი[1]. საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო იმიგრაციამ ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში.

სოციალ-ეკონომიკური წყობის გავლენა მოსახლეობის ტერიტორიულ გადაადგილებაზე იმაშიც მეღავნდება, რომ გარე მიგრაციულ ნაკადებში მოსახლეობის მასობრივი ჩაბმა ევროპის სახელმწიფოებში ფეხს იკიდებდა წარმოების კაპიტალისტური წესის დამკვიდრების პარალელურად. ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ევროპიდან ამერიკაში მოსახლეობის გადასვლის გაძლიერება გამოწვეული იყო სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კაპიტალიზმის განვითარებით. აღნიშნულ პერიოდში მიგრაციაში მასობრივად ჩაება ავსტრო-უნგრეთის, იტალიის და რუსეთის მოსახლეობა. ამ სახელმწიფოებიდან მოსახლეობის ნაწილის წასვლას ვ. ი. ლენინმა უწოდა „ახალი ემიგრაცია“, განსხვავებით „ძველი ემიგრაციისა“ იმ ქვეყნებიდან, სადაც კაპიტალიზმი უფრო ადრე განვითარდა და ემიგრაცია გაძლიერებით მიმდინარეობდა 1880-იან წლებამდე. ასეთ ქვეყნებს ვ. ი. ლენინი აკუთვნებდა ინგლისს, გერმანიას და ნაწილობრივ შვედეთს. სტატიაში — „კაპიტალიზმი და მუშების იმიგრაცია“, რომელიც 1913 წელს გამოქვეყნდა, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ადრე გერმანიიდან მუშახელი მიდიოდა საზღვარგარეთ, ხოლო 1880-იანი წლებიდან ამ ქვეყანამ თვითონ მიიზიდა შრომითი რესურსები სხვა სახელმწიფოებიდან და, კერძოდ, რუსეთიდან, რადგან კაპიტალიზმის განვითარებამ გერმანიაში მიაღწია მაღალ დონეს და დიდად გაიზარდა მოთხოვნილება მუშახელზე[2]. საყურადღებოა ისიც, რომ ვ. ი. ლენინი მიგრაციულ პროცე-

[1] В. В. Покшишевский. География населения зарубежных стран. «Просвещение», 1971, стр. 42—43.

[2] ვ. ი. ლენინი. კაპიტალიზმი და მუშების იმიგრაცია. თხზულებანი, ტ. 19, გვ. 539—543.



ნახ. 8. მსოფლიოს მოსახლეობის მიგრაციის ძირითადი ნაკადები XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში (ვ. ვ. პოკშიშევსკის მიხედვით)

სებს პროგრესულ მოვლენად მიიჩნევდა, ანიჭებდა რა უდიდეს მნიშვნელობას შრომითი კონტინგენტების მრეწველობაში ჩაბმას, მაგრამ ამავე დროს უარყოფით შეფასებას აძლევდა კვალიფიციური მუშახელის წასვლას რომელიმე ქვეყნიდან, რადგან ეს ხელს უშლიდა ამ ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას, აფერხებდა ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს.

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში გადასახლებასთან ერთად, XX საუკუნეში საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო ზოგიერთი მეტიდროდ დასახლებული ქვეყნიდან ი ა ფ ი მ უ შ ა ხ ე ლ ი ს მ ი ზ ი დ ვ ა მ იმ ქვეყნებში, სადაც სასაქონლო დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო კულტურების პლანტაციები გაშენდა. პლანტატორებს ხელშეკრულებით მიჰყავდათ ასეული ათასობით მუშა ჩინეთიდან და ინდოეთიდან ტაილანდში, ინდონეზიაში, მალაიზიაში, ნაწილობრივ ამერიკის და აფრიკის სანაპირო რაიონებში, წყნარი ოკეანის კუნძულებსა და ავსტრალიაში. დროებით დაქირავებული მუშები სასტიკ ექსპლუატაციას განიცდიდნენ, ბევრი მათგანი პლანტატორის მოვალეც ხდებოდა და მუდმივად მკვიდრდებოდა ახალ საცხოვრებელ ადგილას. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით დამკვიდრდა ჩინური წარმოშობის მოსახლეობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში.

XIX—XX საუკუნეებში მიგრაციის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა მეტროპოლიიდან კოლონიებში ჩასახლება. ყველაზე მეტად ასეთი ჩასახლება ჰოხდა ბრიტანეთის კუნძულიდან ინგლისის კოლონიებში. ამ სახის მიგრაციებში ჩაბმული იყვნენ კოლონიების ადმინისტრაციაში მომუშავენი, კომერსანტები, სამხედრო მოსამსახურეები, სხვადასხვა კვალიფიკაციის სპეციალისტები (ექიმები, ინჟინრები და სხვა), რომლებიც დამკვიდრდნენ დაპყრობილ ქვეყნებში. კოლონიური რეჟიმის დარღვევის შემდეგ მათი ნაწილი დაბრუნდა მეტროპოლიაში, ნაწილი კი დარჩა საცხოვრებლად ახლად შექმნილ სახელმწიფოებში. ცნობილია, რომ ალჟირის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მილიონამდე ფრანგი დაბრუნდა თავის ქვეყანაში.

მეოცე საუკუნის მანძილზე ორი მსოფლიო ომისა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების გამო ადგილი ჰქონდა პოლიტიკური ხასიათის მასობრივ მიგრაციებს. ასეთი მიგრაციების ძირითადი მიზეზი იყო ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა ან სახელმწიფოებს შორის საზღვრების შეცვლა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საბერძნეთის ახალ საზღვრებს შიგნით მოქცეული ასი ათასობით თურქი გადასახლდა თურქეთში, ხოლო ბევრად უფრო მეტმა ბერძენმა დატოვა თურქეთი და გადასახლდა საბერძნეთში. 1933—1939 წლებში ფაშისტური ხელისუფლების მიერ დევნილი ბევრი ებრაელი წავიდა გერმანიიდან.

ფართო ხასიათი მიიღო საერთაშორისო მიგრაციებმა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. პოლონეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან 10 მილიონამდე გერმანელი ჩასახლდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. თავის მხრივ ორ მილიონამდე პოლონელი დაბრუნდა სამშობლოში. ასეული ათასობით ებრაელი სხვადასხვა ქვეყნებიდან გადასახლდა ისრაელის ახლად შექმნილ სახელმწიფოში, ხოლო ამ ქვეყნის აგრესიული პოლიტიკის შედეგად არაბების დიდმა ნაწილმა დატოვა პალესტინა. ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის დაშლის შედეგად ახალი სახელმწიფოების წარმოქმნამ გამოიწვია ინდოეთიდან პაკისტანში მრავალი მილიონი მუსლიმანის გადასვლა და პაკისტანიდან ინდოეთში ასევე მილიონობით ინდუისტთა ჩასახლება. მეორე მსოფლიო ომში იაპონიის დამარცხების შედეგად 6 მილიონზე მეტი იაპონელი დაბრუნდა თავის ქვეყანაში ჩინეთიდან, კორეიიდან, სახალინიდან და რიგი სხვა აღგილიდან, სადაც ისინი იმყოფებოდნენ იაპონიის მხედრიონის დაპყრობითი პოლიტიკის შედეგად.

კაპიტალისტური სამყაროს არათანაბარი განვითარების გამო წარმოიშვა საერთაშორისო მიგრაციის კიდევ ერთი სახე. დასავლეთ ევროპის ინდუსტრიულად დაწინაურებულ ქვეყნებში სამრეწველო და სამშენებლო ფირმები ხშირად მიმართავენ გარედან იაფი მუშახელის შემოყვანას. მათ იყენებენ არაკვალიფიციურ, მძიმე და დაბალხელფასიან სამუშაოებზე. ასეთ სამუშაოზე მიდიან მუშები იმ ქვეყნებიდან, სადაც ნელი ტემპით მიმდინარეობს წარმოება და მასთან ერთად შრომის გამოყენების სფეროც. ამ ქვეყნებში არსებობს ჭარბი მუშახელი, რომელიც მიისწრაფვის დროებით იმუშაოს სხვა სახელმწიფოში, რათა თავი დააღწიოს მძიმე მატერიალურ მდგომარეობას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში, ინგლისში, შვეიცარიაში, ბელგიაში და რიგ სხვა ქვეყანაში დროებით სამუშაოზე დიდი რაოდენობით ჩავიდა მუშახელი იტალიიდან, საბერძნეთიდან, იუგოსლავიიდან, ესპანეთიდან, პორტუგალიიდან, აგრეთვე თურქეთიდან, ალჟირიდან და მაროკოდან. ამ მუშებს იყენებენ უმთავრესად მშენებლობაზე, მიწისქვეშა სამუშაოებზე, სოფლის მეურნეობაში და მომსახურების ზოგიერთ დარგში. გარედან მოსული მუშები ბევრად უფრო მძიმე პირობებში შრომობენ, ვიდრე ადგილობრივი მუშები; მათ ხელშეკრულებით ქირაობენ, უპირატესად დროებით ან სეზონურ სამუშაოზე. გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ მუშები თავის სამშობლოში ბრუნდებიან, თუმცა ნაწილი რჩება ახალ საცხოვრებელ ადგილზე. უკანასკნელ წლებში ეკონომიკურ სიძნელეთა გამო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გარედან მუშახელის მიზიდვა მნიშვნელოვნად შემცირდა, რადგან იზრდება უმუშევ-

რობა თვით ამ ქვეყნებში. დროებით ან სეზონურ სამუშაოებზე ფართოდ იყენებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში მექსიკელებს. ამავე სახელმწიფოში საკმაოდ ბევრი მუშა მოდის ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებიდან, უპირატესად — პუერტო-რიკოდან.

მოსახლეობის ტერიტორიულ გადაადგილებას საკმაოდ ფართო ხასიათი აქვს სოციალისტურ ქვეყნებშიც, მაგრამ კაპიტალისტური სამყაროსაგან განსხვავებით, სოციალისტურ სახელმწიფოებში უპირატესად გავრცელებულია შიგა მიგრაციები, რომლებიც განპირობებული არიან უმეტეს შემთხვევაში ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების მოთხოვნებით. საერთაშორისო მიგრაციის ძირითადი სახე იყო ჩვენი ქვეყნისათვის პირველ და მეორე მსოფლიო ომების დროს ტყვედ ჩავარდნილთა რეპატრიაცია თავიანთ სამშობლოში. ორივე ომის შემდეგ მოხდა გერმანიის და მისი მოკავშირეების ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა დაბრუნება თავიანთ ქვეყნებში, ისევე როგორც ტყვედ ჩავარდნილი ან ძალით საზღვარგარეთ სამუშაოზე წაყვანილი საბჭოთა მოქალაქეებიც დაბრუნდნენ სამშობლოში. საბჭოთა კავშირში დაბრუნდა აგრეთვე რევოლუციამდელ პერიოდში ემიგრირებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ასი ათასზე მეტი სომეხი. აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნების მრავალი მოქალაქე, რომლებიც სხვადასხვა დროს საბჭოთა კავშირში ჩამოსახლდა, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, თავისი სურვილის თანახმად, დაბრუნდა ამ ქვეყნებში.

მოსახლეობის შიგა მიგრაცია სსრ კავშირში

სსრ კავშირის მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებაზე დიდი გავლენა მოახდინეს ასეული წლების მანძილზე მიმდინარე მიგრაციულმა პროცესებმა. შუა საუკუნეებიდან დაწყებული, ფართო ხასიათი მიიღო რუსების ჩასახლებებმა ვოლგასა და ურალს შუა მდებარე რაიონებში. XVII საუკუნიდან დაიწყო ჩასახლებები ციმბირში. დაახლოებით იმავე პერიოდს მიეკუთვნება მძლავრი მიგრაციული ნაკადის წარმოქმნა რუსეთის ცენტრალური რაიონებიდან სამხრეთისაკენ — დონის, ყუბანისა და თერგის აუზებში. მიგრაციის ეს ორი ძირითადი მიმართულება გაბატონებული იყო რუსეთის მოსახლეობის ტერიტორიულ გადაადგილებაში არა მარტო ფეოდალიზმის ეპოქაში, არამეო რეფორმისშემდგომ პერიოდშიც — XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში. ციმბირის თვალუწვდენი სივრცეების, დონისპირეთის, ჩრდილოეთ კავკასიისა და შავი ზღვისპირეთის ვრცელი ველების ათვისება რუსი და უკრაინელი კაზაკების მიერ

გრძელდებოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში და ახალ ტერიტორიებს მატებდა იმპერიას, რომლის საზღვრები ენერგიულად ფართოვდებოდა როგორც აღმოსავლეთით და სამხრეთით, ისე სამხრეთ-აღმოსავლეთით — ყაზახეთისა და შუა აზიისაკენ.

განსაკუთრებით დიდი ბიძგი მისცა მიგრაციული პროცესების გაძლიერებას 1861 წლის ს ა გ ლ ე ხ ო რ ე ფ ო რ მ ა მ, სარკინიგზო მშენებლობამ და ქალაქების დაჩქარებულმა განვითარებამ. ახალ ვითარებაში მიგრაციის გაფართოებას ხელი შეუწყო აგრეთვე სოფლის მოსახლეობაში ქონებრივი დიფერენციაციის გაძლიერებამ, რამაც გამოიწვია გლეხების ერთი ნაწილის გაღატაკება და სოფლის პროლეტარიატის წარმოქმნა, ეს კი თავის მხრივ მუშახელის ქალაქისაკენ სწრაფვას იწვევდა. სოფლიდან მოსული მუშახელი ქალაქად ფაბრიკა-ქარხნებში ან სხვა სახის საწარმოებში იწყებდა შრომას. ამ პროცესს ვ. ი. ლენინი უწოდებდა „კაპიტალიზმის გაღრმავებას". მეორე მხრივ ადგილი ჰქონდა „კაპიტალიზმის გაფართოებას" ანუ მის ახალ ტერიტორიებზე გავრცელებას, რაც შედეგი იყო რუსეთის განაპირა მხარეების კოლონიზაციისა[3]. მეფის რუსეთი ამ გზით ცდილობდა ეკონომიკურად დაეპყრო ახლად შემოერთებული ტერიტორიები და მეტროპოლიის ფარგლებში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის გასაღების ბაზრად ექცია ისინი, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა იქ წარმოების კაპიტალისტური წესის დამკვიდრებას. პროფ. ვ. ვ. პოკშიშევსკის გამოთვლით, XVI საუკუნის ბოლოდან XX საუკუნის დასაწყისამდე რუსეთის შიგასახელმწიფოებრივ მიგრაციებში ჩაბმულთა საერთო რაოდენობა 25—30 მლნ. კაცს შეადგენდა, ამ მასობრივ ჩასახლებათა უდიდესი ნაწილი XIX საუკუნის მანძილზე განხორციელდა. აქედან ჩანს, თუ რამდენად ფართო ხასიათი ჰქონდა მიგრაციას ფეოდალიზმის დაშლისა და კაპიტალიზმის დამკვიდრების ხანაში, როცა დაჩქარდა საწარმოო ძალების განვითარება და წარსულს ჩაბარდა ადრინდელი კარჩაკეტილობა.

რეფორმისშემდგომი პერიოდის მიგრაციულ პროცესებში სულ უფრო დიდ ადგილს იკავებდა სოფლის მოსახლეობის ქალაქად გადასელა, რაც გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში აგრარული კრიზისის გაღრმავებით და, მეორე მხრივ, ქალაქების სამრეწველო განვითარებით. თავის მხრივ გაშინდელი გლეხების ჩაბმა ინდუსტრიულ შრომაში დადებით უკუმოქმედებას ახდენდა ქალაქების დაჩქარებულ ზრდაზე, ხელს უწყობდა მშრომელთა თვითშეგნების ამაღლებას. XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხე-

---

3 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში. თხზულებანი, ტომი 3. გვ. 665.

დიდან რუსეთში ყალიბდებოდა მუშათა კლასის მძლავრი არმია, რომელიც შემდგომში ქვეყნის პროგრესული ძალების მოწინავე რაზმად გადაიქცა.

საბჭოთა პერიოდში მიგრაციული პროცესების მნიშვნელობა იმაში გამოისახება, რომ ისინი აჩქარებენ საწარმოო ძალების განვითარებას, ხელს უწყობენ მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების ათვისებას და შრომითი კონტინენტების რაციონალურ გაბოყენებას. წარწოების სოციალიტური წესის ვითარებაში მიგრაციული პროცესების ერთ-ერთი დანიშნულებაა მუშახელის ტერიტორიული გადანაწილება მისი მაქსიმალურად დასაქმების მიზნით. ასეთ გადანაწილებას ჩვენს პირობებში იწვევს უმთავრესად ის გარემოება, რომ შრომის გამოყენების სფერო არაიშვიათად ფართოვდება ისეთ ადგილებში, სადაც მოსახლეობა არ ცხოვრობს საკმარისი რაოდენობით და საჭირო ხდება მუშახელის სხვა ადგილებიდან მიყვანა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ყოველთვის არ ემთხვევა ტერიტორიულად წარმოების განვითარება და მოსახლეობის განლაგება. ამის საუკეთესო მაგალითია ნავთობის მდიდარი საბადოების დამუშავება ციმბირის ჩრდილოეთ-დასავლეთ რაიონებში, ძვირფასი მინერალური ნედლეულის მოპოვება შორეულ ჩრდილოეთში, ყამირი მიწების ათვისება ყაზახეთში, აგრეთვე მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ქვეყნის სუსტად დასახლებულ მხარეებში და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ სუსტად დასახლებულ რაიონებში ბუნებრივი რესურსების ათვისება იწვევს წარმოების განვითარებას და ამასთან დაკავშირებით ქვეყნის სხვა რაიონებიდან შრომითი რესურსების მიზიდვას, თანამედროვე მიგრაციული პროცესების მთავარ ნაკადს მაინც სოფლის მოსახლეობის ქალაქად გადასვლა შეადგენს. ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ჩვენ ქვეყანაშიაც მოსახლეობის ასეთი ტერიტორიული გადანაცვლების შედეგად სწრაფად იზრდება ქალაქის მოსახლეობა და შესაბამისად მცირდება სოფლის მცხოვრებთა აბსოლუტური და ხვედრითი რაოდენობა. 1913 წელს რუსეთის ქალაქებში ცხოვრობდა 28,5 მლნ. კაცი ანუ მთელი მოსახლეობის 18%; 1979 წლის დასაწყისში კი სსრ კავშირის ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 163,6 მლნ. კაცს ანუ მთელი მოსახლეობის 62%-ს. აღნიშნულ პერიოდში ქალაქის მოსახლეობა გადიდდა თითქმის 6-ჯერ, ხოლო სოფლის მოსახლეობა არამც თუ არ გადიდებულა, არამედ შემცირდა 31,9 მლნ. კაცით ანუ 24,4%-ით. სულ საბჭოთა პერიოდში სოფლებიდან ქალაქებში გადასახლდა დაახლოებით 74 მლნ. კაცი (1979 წლამდე). უკანასკნელ ხანებში ყოველწლიურად სოფლებიდან ქალაქებში გადადის საცხოვრებლად დაახლოებით



ნახ. 9.

2 მლნ. ადამიანი, რაც შეადგენს ქალაქის მოსახლეობის ყოველწლიური მატების 56%-ს (44% მოდის ბუნებრივ მატებაზე). ჩვენი ქვეყნის ქალაქის მოსახლეობა ყოველწლიურად მექანიკური მატების ხარჯზე იზრდება საშუალოდ 1,25%-ით. ზოგ რესპუბლიკაში (მაგალითად, ბელორუსიაში, მოლდავეთში) ეს მაჩვენებელი 2%-საც კი აღემატება. ქალაქების ასეთი დაჩქარებული ზრდა ზოგადად პროგრესულ მოვლენას წარმოადგენს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ რესპუბლიკებსა და ოლქებში სოფლის მოსახლეობის ქალაქად გადასვლა იმდენად გაძლიერდა, რომ გამოიწვია სოფლად შრომითი კონტინგენტების ჭკვეთრი შემცირება, რაც უარყოფითად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაზე.

მოსახლეობის მიგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკადია მცირე ქალაქებიდან უფრო განვითარებულ ქალაქებში მცხოვრებთა თანდათან გადაადგილება. ასეთი გადაადგილების უმთავრესი მიზეზია განვითარებულ ქალაქებში შრომის გამოყენების სფეროს მეტი მრავალფეროვნება, რაც საშუალებას აძლევს ადამიანს მოეწყოს ისეთ საშუშაოზე, რომელიც მისთვის უფრო შესაფერია. დიდი ქალაქები გამოირჩევიან აგრეთვე

ნახ. 9. მოსახლეობის მიგრაციის უმთავრესი ნაკადები რუსეთსა და სსრ კავშირში (ე. ვ. პოკშიშევსკის მიხედვით)

XVI—XVIII საუკუნეები. 1 — ტყესტეპებისა და სტეპების ხელახალი დასახლება; 2 — ჩრდილოეთის კოლონიზაცია მონასტრების, ეკლესიისა და გლეხების მიერ; 3 — სავაჭრო და გამაგრებული ცენტრების წაწევა სამხრეთ ურალამდე; 4 — ურალის სამთო-საქარხნო დასახლება; 5 — მოგზაურები ციმბირში ბეწვეულის შესაძენად; 6 — ციმბირის სამიწათმოქმედო კოლონიზაცია.

XIX საუკუნე და XX საუკ. დასაწყისი. 1 — სტეპების დასახლების გაგრძელება; 2 — ისეთივე ჩასახლებანი იმიერკოლგეთში; 3 — გლეხების ჩასახლება ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში; 4 — რუსების შეღწევა შუა აზიაში; 5 — კაზაკების შეღწევა შიდადინარეთში; 6 — საკატორღო დასახლებანი კუნძულ სახალინზე; 7 — მოსახლეობის მიზიდვა დედაქალაქებსა და მათ ინდუსტრიულ გარემოცვაში.

საბჭოთა პერიოდი. 1 — მიგრაციის გენერალური მიმართულება, დაკავშირებული საწარმოო ძალების აღმოსავლეთით გადაადგილებასთან; 2 — მიგრაცია უმთავრესად ქალაქებში, დაკავშირებული შუა აზიის ინდუსტრიალიზაციასთან; 3 — ციმბირისა და შორეულ აღმოსავლეთის პიონერულ ათვისებასთან დაკავშირებული მიგრაციები; — 4 კომის ასსრ-ის ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისებასთან დაკავშირებული მიგრაციები; 5 — ივნივე კარელიასა და კოლის ნახევარკუნძულზე; 6 — სამხრეთ სახალინის დასახლება; 7 — კალინინგრადის ოლქის დასახლება; 8 — ციმბირის მოსახლეობის ნაწილის გადასვლა უპირატესად უკრაინასა და ჩრდილოეთ კავკასიაში.

კეთილმოწყობის უფრო მაღალი დონით და კულტურის განვითარებით, აბის შედეგად კი იზრდება მათი მიზიდულობის ძალა. კერძოდ, ასეთი ქალაქებისაკენ ისწრაფვის ახალგაზრდობა უმაღლესი განათლების მიღების ან თავის სპეციალობაში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით; ზოგადად, დიდ ქალაქებს ბევრად მეტი შესაძლებლობა აქვთ უფრო სრულად დააკმაყოფილონ ახალგაზრდობის ძუდმივად მზარდი კულტურული ძოთხოვნილებანი. სოფლის ბევრი მცხოვრები დასაწყისში გადადის უახლოეს ძცირე ქალაქში და შემდეგ გადაინაცვლებს ხოლმე უფრო დიდ ქალაქში. ასეთი მიგრაციის ერთ-ერთი შედეგია ის გარეშოება, რომ ძცირე და საშუალო სიდიდის საქალაქო დასახლებათა რიცხვი სსრ კავშირში 1926—1977 წლებში გაიზარდა 2, 9-ჯერ, ხოლო დიდი ქალაქების რაოდენობა (თითოეული 100 ათასზე მეტი მცხოვრებით) იმავე პერიოდში 7, 4-ჯერ გადიდდა. თუ რამდენად ძლიერია ქალაქიდან ქალაქში მოსახლეობის გადასვლა ჩანს იქიდან, რომ ქალაქებში ჩასახლებული მოსახლეობის დაახლოებით 55%-ს შეადგენენ სხვა ქალაქებიდან (უმთავრესად მცირე ქალაქებიდან) მოსულნი, ხოლო სოფლიდან მოსულებზე ხოდის 40%.

უდიდესი გავლენა მოახდინა მოსახლეობის მიგრაციაზე 1941 — 1945 წლების დიდმა სამამულო ომმა. ომის პირველ ეტაპზე ფაშისტურმა არმიებმა შეძლეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკავება. ამასთან დაკავშირებით განხორციელდა არანაკლები 25 მლნ. ადამიანის ევაკუაცია აღმოსავლეთ რაიონებში. მტრის მიერ დაკავებული ტერიტორიის განთავისუფლების შედეგად ევაკუირებული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დაუბრუნდა წინანდელ საცხოვრებელ ადგილებს. მშობლიურ ადგილებში დაბრუნდნენ აგრეთვე ისინი, ვინც ოკუპირებული ტერიტორიიდან ძალით წაიყვანეს გერმანიაში და გადაურჩნენ მონურ შრომას.

მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ს დიდი რაოდენობით ი ზ ი დ ა ვ ე ნ მ ს ხ ვ ი ლ ი მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა ნ ი, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როცა მშენებლობა ინიდინარეობს სუსტად დასახლებულ ან ბეეურნეოსრივად აუთვისებელ ადგილებში. არაიშვიათად მსხვილი სამშენებლო ობიექტის ბაზაზე იქმნება ახალი 'დასახლებული პუნქტი და, თუ ძას განვითარების კარგი პერსპექტივები გააჩნია, გარეედან მოსახლეობის მიზიდვის შედეგად, იგი დიდ ქალაქად იქცევა. ამ გზით წარმოიქმნენ მოკლე დროის მანძილზე ისეთი სამრეწველო ქალაქები, როგორიცაა ამურის კომსომოლსკი, ბრატსკი, რუსთავი, სუმგაითი და ბევრი სხვა ქალაქი. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოსახლეობის მიგრაციაში მ უ შ ა ხ ე ლ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ე ბ უ ლ შ ე გ რ ო ვ ე ბ ა ს რომელიმე სახალხო-სამეურნეო ამოცანის გადასაწყვეტად. 1950-იან წლებში ფართო ხასიათი ჰქონდა ახალგაზრდობის წასვლას დასავლეთ ციმბი-

რისა და ჩრდილოეთ ყაზახეთის ყამირი მიწების ასათვისებლად. ასევე მასობრივად ძიდიან ახალგაზრდები ბაიკალ-ამურის რკინიგზის მშენებლობაზე, აგრეთვე ციმბირისა და შორეულ აღმოსავლეთის სხვა დიდ მშენებლობებზე.

მიგრაციული პროცესების შედეგად რესპუბლიკებსა და ოლქებს შორის, აგრეთვე თითოეული მსხვილი ადმინისტრაციული ერთეულის შიგნით მიმდინარეობს ბოსახლეობის მუდმივი მექანიკური გადაადგილება. იმის მიხედვით, თუ როგორია მიგრაციის საალდო, მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში საკმაოდ განსხვავებულია. რიგ შემთხვევაში მექანიკური გადაადგილება მეტ გავლენას ახდენს მოსახლეობის დინამიკაზე, ვიდრე ბუნებრივი მოძრაობა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სსრ კავშირის მოსახლეობის მძლავრი მიგრაციული ნაკადები საბჭოთა პერიოდში, ისევე როგორც რევოლუციამდელ რუსეთში, კვლავ ქვეყნის ევროპული ნაწილის ცენტრიდან აღმოსავლეთით და სამხრეთით იყო მიმართული. დამახასიათებელია ამ მხრივ შემდეგი ბონაცემები: 1926—1939 წლებში აღმოსავლეთ ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 57,2%-ით, შუა აზიაში—36,8%-ით, ხოლო ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქში, გადიდების ნაცვლად, მცხოვრებთა რიცხვი შემცირდა 6,3%-ით. ეს ცვლილებანი გამოწვეულია მოსახლეობის მექანიკური გადაადგილებით, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ იყო არსებითი სხვაობანი დასახლებული რეგიონების მცხოვრებთა ბუნებრივ მოძრაობაში. მიახლოებითი გამოთვლით, ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში საბჭოთა პერიოდში ჩასახლდა 15—16 მლნ. ადამიანი. მიგრანტთა გამოსვლის უმთავრესი რაიონები იყო რუსეთის ფედერაციის დასავლეთი და ცენტრალური ოლქები, უკრაინისა და ბელორუსიის რესპუბლიკები. ნაწილი მიგრანტებისა ჩასახლდა სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ჩრდილოეთ რაიონებში და კალინინგრადის ოლქში, რომელიც დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ შეიქმნა ყოფილი აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორიაზე.

* *

მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილებანი უძველესი დროიდანაა ცნობილი საქართველოში. ფეოდალიზმის ეპოქაში გარე მიგრაციული პროცესები უპირატესად ძალდატანებითი ხასიათისა იყო და ხშირად სამხედრო-პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა. ერთი მხრივ საქართველოში მკვიდრდებოდნენ ჩამოსახლებული არაქართველები, მეორე მხრივ, ადგილი ჰქონდა ქართველების ძალით გადასახლებას სპარსეთსა და თურქეთში, აგრეთვე ტყვედ გაყიდვას. ეს მიგრაციული

პროცესები უაღრესად მძიმე იყო ჩვენი სამშობლოსათვის, რადგან ანადგურებდა ეროსახლეობას და აუკაცრიელებდა ოდესღაც აყვავებულ ქართულ პროვინციებს. მაშინდელ პირობებში უმნიშვნელო იყო შიგა მიგრაციული პროცესები, რაც აიხსნება ბატონყმური ურთიერთობით და ეპოქისათვის დამახასიათებელი კარჩაკეტილობით. შიგა მიგრაციებსაც მაშინ მნიშვნელოვანწილად იგივე სამხედრო ვითარება განაპირობებდა: ომიანობის დროს ბარის მოსახლეობა ხშირად თავს აფარებდა მთიან მხარეებს.

რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოს გარე მიგრაციები უმთავრესად დაკავშირებული იყო ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკასთან. მეფის მთავრობა საქართველოს მიწებს ურიგებდა რუს, სომეხ, ბერძენ და გერმანელ კოლონისტებს. რეფორმამდელ პერიოდში ჭარბობდა ორგანიზებული ჩასახლებანი სოფლად, 70-იანი წლებიდან კი საკმაოდ ძლიერი იყო სტიქიური მიგრანტების ნაკადები, რომლებიც მეტწილად ქალაქებში მკვიდრდებოდნენ. ჩვენი გამოთვლით XVIII საუკუნის ბოლოდან 1921 წლამდე საქართველოში ჩამოსახლდა 325 ათასი არაქართველი, სამშობლოდან კი იძულებით გადასახლდა 30 ათასი აფხაზი და 25—27 ათასი ქართველი. ვ. ი. ლენინი უაღრესად უარყოფით შეფასებას აძლევდა კოლონისტების ჩასახლებას ისეთ მცირემიწიან ქვეყანაში, როგორიც საქართველო იყო და მოითხოვდა თავისუფალი მიწების ადგილობრივი მოსახლეობისათვის დარიგებას[4]. საკმაოდ გაძლიერდა კაპიტალიზმის ეპოქაში შიგა მიგრაციები. XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის დასაწყისში (1921 წლამდე) საქართველოს სოფლებიდან ქალაქებში ჩასახლდა 160—165 ათასი მიგრანტი, ხოლო სოფლებიდან სოფლებში გადასახლებულთა რიცხვი არ აღემატება 30 ათას კაცს.

საბჭოთა პერიოდში, კერძოდ, ომისწინა ხუთწლედების მანძილზე რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა სამრეწველო მშენებლობა და განხორციელდა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია; ამან გამოიწვია მუშახელის გარედან მოზიდვა. 1926—1940 წლებში საქართველოში დამკვიდრდა სხვა რესპუბლიკებიდან მოსული ღიახლოებით 240 ათასი კაცი. შიგა მიგრაციები ამ პერიოდში შედარებით შეზღუდული იყო და უმთავრესად გამოისახებოდა სოფლიდან ქალაქად მოსახლეობის გადასვლაში.

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოში ჩამოვიდა ევაკუირებული მოსახლეობა სსრ კავშირის სამხრეთ-დასავლეთ ოლქებიდან, მაგრამ შემდგომში უმეტესობა დაუბრუნდა თავის ადრინდელ საცხოვ-

---

[4] ვ. ი. ლენინი. გადასახლების საკითხი. თხზულებანი, ტ. 18, გვ. 95—108.

რებელ ადგილებს და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი დამკვიდრდა ჩვენს რესპუბლიკაში.

ომის შემდგომ პერიოდში, სამეურნეო მშენებლობის ღართოდ გაშლასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი იყო ჩამოსახლებულთა რაოდენობა; 1946—1956 წლებში მათი რიცხვი შეადგენდა დაახლოებით 127 ათასს, მაგრამ ომისწინა პერიოდთან შედარებით მიგრანტთა გარედან მოსვლა თანდათან კლებულობდა.

მოსახლეობის გარე მიგრაციების ზოგადი სურათი საქართველოში არსებითად შეიცვალა 1957 წლიდან, როცა მანამდე არსებული მიგრაციის დადებითი სალდოს ადგილი უარყოფითმა სალდომ დაიკავა. აღნიშნული წლიდან დაწყებული, მოსულთა რიცხვი ყოველწლიურად ნაკლებია წასულთა რაოდენობაზე. ამის შედეგად მოსახლეობის ფაქტიური ყოველწლიური ნამატი ნაკლებია ბუნებრივ ნამატზე. მარტო 10 წლის მანძილზე —1959—1969 წლებში — რესპუბლიკიდან წაეიდა დაახლოებით 78 ათასი კაცით მეტი, ვიდრე მოვიდა. აღსანიშნავია, რომ გარე მიგრაციული პროცესები ამყღავნებენ შემცირების საერთო ტენდენციას, რადგან რესპუბლიკის მოსახლეობა აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს მუშახელზე და საჭირო არ ხდება გარედან შრომითი კონტინგენტების შემოყვანა, მაგრამ თანდათან იზრდება მიგრაციის უარყოფითი სალდო.

ზრდის ტენდენცია ახასიათებს შიგა მიგრაციულ პროცესებს, რომლებსაც ამჟამად აქვს სამი ძირითადი მიმართულება: სოფლიდან ქალაქისაკენ, მცირე ქალაქებიდან განვითარებული ქალაქებისაკენ და მთის რაიონებიდან ბარისაკენ. ყოველწლიურად სოფლიდან ქალაქად გადადის 15—18 ათასი კაცი, უმეტესად ახალგაზრდობა. ომის შემდგომ პერიოდში განხორციელდა მთის სოფლებიდან ორგანიზებული ჯგუფური ჩასახლებანი ბარში. უკანასკნელი 30 წლის მანძილზე კი მიმდინარეობს ინდივიდუალური სტიქიური გადასახლებანი მთიდან ბარში. ამის შედეგად ათეულ ათასობით მცხოვრებმა დატოვა მთიანი ზონა და ჩასახლდა ბარის ქალაქებსა და სოფლებში, რის გამოც მთელი რიგი სოფლები მთაში დაიცალა, ხოლო ბევრი სოფლის მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა. მართალია, ჭარბი მუშახელი უნდა მიდიოდეს მთიდან ბარში, მაგრამ უარყოფით შეფასებას იმსახურებს სოფლების დაცლა. მთიან ზონაში არ უნდა მცირდებოდეს მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა, რისთვისაც საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მთის რაიონების განვითარებას, მეურნეობისა და კულტურის სისტემატურ აღმავლობას, მომსახურების სფეროს მკვეთრად გაუმჯობესებას, რათა მთის მოსახლეობა ცხოვრების პირობებით არ ჩამორჩებოდეს ბარის მოსახლეობას.

თავი მეექვსე

შრომითი რესურსები და მათი გამოყენება

შრომითი რესურსები ძირითადი სანარმოო ძალაა

მოსახლეობა რომ მთავარი საწარმოო ძალაა, ამის შესახებ წიგნის პირველსავე თავში იყო ნათქვამი. ახლა შეგვიძლია დავაზუსტოთ ხსენებული განსაზღვრა და აღვნიშნოთ, რომ მთავარ საწარმოო ძალას წარმოადგენს საზოგადოებრივ შრომაში უშუალოდ ჩაბმული კონტინგენტები და ისინი, ვისაც პოტენციურად აქვს ამის შესაძლებლობა. სწორედ მოსახლეობის ეს ნაწილია შრომითი რესურსები, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, შრომით რესურსებს მიეკუთვნება სამუშაო ასაკში მყოფი მოსახლეობა (ინვალიდების გამოკლებით) და ის კონტინგენტები, ვინც ჯერ არ შესულა სამუშაო ასაკში ან გადასცილდა მას, მაგრამ ფაქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ შრომაში. როგორც ვხედავთ, შრომითი რესურსები სამ არათანაბარ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1) შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა (მიუხედავად იმისა ფაქტიურად მუშაობს თუ არა თითოეული მათგანი); 2) მოზარდები, ვინც ჯერ არ შესულა სამუშაო ასაკში, მაგრამ ფაქტიურად ჩაბმულია საზოგადოებრივ შრომაში; 3) საზოგადოებრივ შრომაში მონაწილე საპენსიო ასაკის მოსახლეობა.

განმარტებას მოითხოვს „სამუშაო ასაკის" ცნება. ამ ასაკის განსაზღვრა ხდება ყველა ქვეყანაში არსებული შრომითი კანონმდებლობის საფუძველზე და იგულისხმება, რომ აღნიშნული ასაკის ადამიანები შრომისუნარიანი არიან, თუ მათ სხვა რაიმე მიზეზის გამო არა აქვთ დაკარგული ასეთი უნარი, ამიტომ მას სხვანაირად „შრომისუნარიან ასაკსაც" უწოდებენ. სსრ კავშირში შრომისუნარიანად ითვლებიან კაცები 16-დან 59 წლამდე და ქალები 16-დან 54 წლამდე. მიღებულია მხედველობაში ის გარემოება, რომ აღნიშნულ ასაკებში მყოფ ადამიანებს თავისი ფიზიოლოგიური მონაცემებით შესაძლებლობა აქვთ ჩაებან ფიზიკურ ან გონებრივ შრომაში. რიგ სახელმწიფოში შრომის ასაკის ზედა ზღვარი უფრო მაღალია და აღწევს ზოგ-

ჯერ 65 და 70 წელს. სამუშაო ასაკს გადაცილებულნი ეკუთვნიან აგრეთვე „საპენსიო ასაკს“, რადგან ამ ხნის ადამიანს უფლება აქვს მიიღოს პენსია და აღარ იმუშაოს. ცოტა როდია ისეთი, ვისაც პენსია ენიშნება უფრო ადრე, ვიდრე მიაღწევს საპენსიო ასაკს. მათ ეკუთვნიან მიწისქვეშა სამუშაოებზე ან შრომის მძიმე პირობებში მომუშავენი, რასთან დაკავშირებითაც სარგებლობენ შეღავათებით პენსიის დანიშვნისას. ბევრი მათგანი, ვინც პენსიას ღებულობს, თუ ჯანმრთელობა ხელს უწყობს, მუშაობას აგრძელებს და კვლავ შრომითი რესურსების შემადგენლობაში რჩება.

შრომითი რესურსები უდიდეს როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ საწარმოო ძალების განვითარების საერთო დონეს. მათი რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები წარმოდგენას გვაძლევენ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შესახებ. იმისდა შესაბამისად, თუ შრომის რა დარგებშია ჩაბმული მუშახელი და რამდენად აქტიურად გამოიყენება იგი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებაზე, მის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. საზოგადოებრივი პროგრესისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად სრულად გამოიყენება არსებული მუშახელი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში და კვალიფიციურია თუ არა შრომის დარგები, ანუ რამდენად მაღალია მომუშავეთა ტექნიკური შეიარაღება. საბოლოო ჯამში ამაზეა დამოკიდებული საშუალოდ ერთი მომუშავის მიერ შექმნილი მატერიალური დოვლათის რაოდენობა ანუ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება. სოციალისტური წყობის ერთ-ერთი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი უზრუნველყოფს შრომითი რესურსების მაქსიმალურ დასაქმებას. ცნობილია, რომ მომუშავეთა ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში უფრო მაღალია სოციალისტურ ქვეყნებში, ვიდრე კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, სადაც უმუშევრობა შეადგენს შშრომელთა ერთ-ერთ მძიმე ხვედრს.

ყველა შრომისუნარიანი პირი შრომით რესურსებში შედის, მაგრამ შეიძლება იგი არ იყოს ჩაბმული საზოგადოებრივ შრომაში. შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილი, მეტწილად ქალები, მონაწილეობას ღებულობენ საოჯახო საქმიანობაში, ერთი ნაწილი სწავლობს (16 წელზე უხნესები), ამიტომ ისინი არ ეკუთვნიან მომუშავე მოსახლეობას. ამრიგად, შრომით რესურსებთან შედარებით, მომუშავე მოსახლეობა რაოდენობით ნაკლებია. კაპიტალისტურ ქვეყნებში მომუშავეთა რიცხვს აკუთვნებენ კაპიტალისტებს, მიწათმფლობელებს და სხვა უძრავი ქონების მეპატრონეებს, ვინც ამ ქონების შემოსავლით ცხოვრობს. ამასთან დაკავშირებით ქვეყნებში, სადაც

წარმოების საშუალებები კერძო მესაკუთრეთა ხელშია, არსებობს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, რომელსაც გარდა მომუშავეებისა აკუთვნებენ მათ, ვისაც სურს მუშაობა და ეძებს სამუშაოს, ანუ უმუშევრებს. სოციალისტურ ქვეყნებში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა იგივე მომუშავე მოსახლეობაა, რადგან ყველა მსურველს შეუძლია იშოვოს სამუშაო. სსრ კავშირის კონსტიტუცია უზრუნველყოფს შრომის უფლებას ყველასათვის, ვისაც აქვს სურვილი იმუშაოს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტების განსაზღვრით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა მთელ მსოფლიოში 1950 წელს შეადგენდა 1067 მილიონს, 1960 წ.—1277 მლნ., 1970 წ.—1501 მლნ., 1980 წ. — 1785 მლნ. 30 წლის მანძილზე (1950—1980 წწ.) ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა მსოფლიოში გადიდდა 718 მლნ.-ით ანუ 67,3%. იმავე პერიოდში მსოფლიოს მთელი მოსახლეობა გადიდდა 80%-ით. 1970 წელს მსოფლიოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 36% მოდიოდა სოციალისტურ ქვეყნებზე, მათ შორის 12% — სსრ კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებზე; 20% — ინდუსტრიულად დაწინაურებულ კაპიტალისტურ ქვეყნებზე და 44% — განვითარებად ქვეყნებზე. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა ბევრად სწრაფად იზრდება განვითარებად ქვეყნებში, რადგან უფრო მაღალი ბუნებრივი მატების შედეგად აქ დაჩქარებულია შრომის ასაკის კონტინგენტების შევსება.

იმასთან დაკავშირებით, რომ შრომითი რესურსების ან ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენს შრომით ასაკში მყოფი მოსახლეობა, შრომითი კონტინგენტების რაოდენობა ბევრადაა დამოკიდებული ასაკობრივ სტრუქტურაზე, რომელიც თავის მხრივ განიცდის სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლების გავლენას. ცხადია, რაც უფრო მეტი იქნება მოსახლეობა შრომისუნარიან ასაკში, მით უფრო მეტი იქნება შრომითი რესურსების რაოდენობა, ხოლო მოსახლეობის უფრო მაღალი ბუნებრივი მატების დროს ბევრად სწრაფად მოხდება შრომისუნარიანი ასაკის შევსება ახალ-ახალი კონტინგენტებით. ეჭვს გარეშეა ისიც, რომ დაბალი სიკვდილიანობის ვითარებაში, იზრდება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და ადამიანი შრომის ასაკში უფრო დიდხანს რჩება.

შრომითი რესურსების შესწავლის დროს მოსახლეობა შეგვიძლია სამ ძირითად ასაკობრივ ჯგუფად დავყოთ: 1) შრომისუნარამდელი ასაკის, ანუ ვაჟები და ქალები 16 წლამდე; 2) შრომისუნარიანი ასაკის — ვაჟები 16—59 წლის და ქალები 16—54 წლის; 3) შრომისუნარიან ასაკს გადაცილებულნი — კაცები 60 წლის და

უხნესი, ქალები 55 წლის და უხნესი. ამ ასაკობრივ ჯგუფებს შორის შეთანაწყობა არ არის მუდმივი და მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესაბამისად საკმაოდ დიდ ფარგლებში რხევადობს. შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა თუმცა ქმნის შრომითი რესურსების დასაქმების შესაძლებლობას, მაგრამ თავისთავად წარმოდგენას არ გვაძლევს შრომითი რესურსების გამოყენების დონეზე. ამ მხრივ ბევრად უფრო რეალურ სურათს იძლევა მომუშავე მოსახლეობის აბსოლუტური და ფარდობითი რაოდენობა. 1959—1979 წლებში სსრ კავშირში მომუშავე მოსახლეობის რაოდენობა (პირად საკარმიდამო მეურნეობაში დასაქმებულთა გარეშე) გადიდდა 99130 ათასიდან 134860 ათასამდე ანუ 36%-ით. იმავე პერიოდში მომუშავეთა ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში გადიდდა 47,5%-დან 51,5%-მდე. ცხადია, სხვა დანარჩენ თანაბარ პირობებში, რაც უფრო მაღალია მოსახლეობის დასაქმების დონე ანუ მომუშავეთა ხვედრითი წონა მთელი მოსახლეობის მიმართ, მით უფრო მეტი შეიძლება შეიქმნას მატერიალური ფასეულობანი დროის გარკვეულ მონაკვეთში. ამრიგად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომითი რესურსების დასაქმების დონეს. ამ მხრივაც სოციალისტურ წყობას დიდი უპირატესობა აქვს კაპიტალისტური სისტემის წინაშე. ასე მაგალითად, 1970 წლის მონაცემებით ამერიკის შეერთებული შტატების შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ 60,3% იყო დასაქმებული, მაშინ როდესაც ანალოგიური მონაცემი სსრ კავშირში შეადგენდა 92%-ს. ასევე მაღალია დასაქმების დონე აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სსრ კავშირში მომუშავე მოსახლეობის თითქმის ნახევარს ქალები შეადგენენ, მაშინ როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში მომუშავეთა შორის ქალების ხვედრითი წონა დაახლოებით ერთი მესამედია. ასეთი სხვაობა ბევრი იმ უპირატესობის შედეგია, რაც ქალთა შრომის გამოყენებას ენიჭება სოციალისტურ ქვეყნებში, კერძოდ, შექმნილია ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის ფართო სისტემა, ქალები თანაბარი შრომისათვის მამაკაცებთან თანაბარ ხელფასს ღებულობენ, მათთვის შექმნილია ყველა პირობა კვალიფიკაციის ამაღლებისა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფართო მონაწილეობისა და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ბევრად უფრო მაღალია შრომითი რესურსების დასაქმების დონე, საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ყველა შრომისუნარიანი ჩაბმული უნდა იყოს საზოგადოებრივ შრომაში. სრული დასაქმება იმას ნიშნავს, რომ ყველა მსურველს შეუძლია იშოვოს სამუშაო, მაგრამ არ არის სავალდებულო, რომ ყველა აუცილებლად მონაწილეობდეს საზოგადოებრივ შრომაში. ბევრი შრომისუნარიანი ადამიანი დაკავებუ-

ლია პირადი საკარმიდამო მეურნეობით, ბავშვების აღზრდით ან სხვა საოჯახო საქმიანობით. ასეთი საქმიანობაც სასარგებლო შრომაა და აღიარებულია სოციალისტურ საზოგადოებაში. სრული დასაქმების ერთ-ერთი პირობაა წარმოების მუდმივი განვითარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რაც გარკვეულ კაპიტალურ დანახარჯებს მოითხოვს. ამავე დროს, რაც უფრო მაღალკვალიფიციურია შრომა, მით მეტია დანახარჯები ასეთი სამუშაო ადგილის შექმნისათვის და მეტია ხარჯები თვით კვალიფიციური სპეციალისტის მომზადებისა. მაგრამ ასეთი შრომის ეფექტიც ბევრად მაღალია. ამრიგად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო შრომითი რესურსების სრულ დასაქმებას, არამედ აგრეთვე მათ კვალიფიკაციას.

სახალხო მეურნეობის თითოეულ დარგს ჭირდება გარკვეული რაოდენობის და კვალიფიკაციის მომუშავენი. მომუშავეთა რიცხოვნობა და შემადგენლობა დამოკიდებულია დარგის ხასიათზე, მისი განვითარების ტემპებზე, ტექნიკურ აღჭურვილობაზე. იმის შესაბამისად, თუ რამდენი და როგორი კვალიფიკაციის კადრებია საჭირო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში, უნდა შედგეს შ რ ო მ ის ბ ა ლ ა ნ ს ი. მის საშემოსავლო ნაწილში იქნება ნაჩვენები კადრების მომზადების მონაცემები ცალკეული სპეციალობის მიხედვით, ხოლო გასავალ ნაწილში — სახალხო მეურნეობის დარგების მოთხოვნილება კადრებზე ასევე სპეციალობების მიხედვით. შრომითი ბალანსი სახალხო-სამეურნეო გეგმების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და გვიჩვენებს, თუ რამდენად შეესატყვისება ერთმანეთს მოთხოვნილება კადრებზე და მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა. შრომის ბალანსი შეიძლება შედგეს როგორც მთელი სახელმწიფოსათვის, ისე მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილებისათვის. ამის შესაბამისად, შრომის ბალანსი გამოავლენს მუშახელის და ზოგადად კადრების დეფიციტს ან სიჭარბეს. ამასთან დაკავშირებით ხშირად ხდება კადრების გადანაწილება ქვეყნის ცალკეულ რეგიონებს შორის, ხოლო რიგ შემთხვევაში მუშახელის შემოყვანა სხვა ქვეყნებიდან. ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორია შეთანაწყობა მეურნეობისა და მოსახლეობის ზრდის ტემპებში. თუ რამდენად აზრუნველყოფს კადრების მომზადების მთელი სისტემა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სპეციალისტებზე. მეურნეობისა და კულტურის დარგებში კვალიფიციური კადრების არსებობა თავისთავად დიდი ეროვნული სიმდიდრეა და დაჩქარებული საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა. ამიტომაა, რომ ინდუსტრიულად დაწინაურებულ სოციალისტურ ქვეყნებში სხვადასხვა სპეციალობის კვალიფიციური კადრების მომზადებას დიდი ყურადღება ექცევა; ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა პროფესიის მუშათა კადრების მომზადება თვით წარმოების პროცესში.

სახალხო მეურნეობისათვის კადრების მომზადების არსებული სისტემა სსრ კავშირში შემდეგი სახით წარმოგვიდგება: 1. უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება სახალხო მეურნეობის დარგებისათვის უნივერსიტეტებში და დარგობრივ უმაღლეს სასწავლებლებში (ინსტიტუტებში);

2. საშუალო კვალიფიკაციის კადრების მომზადება საშუალო სპეციალური განათლების სასწავლებლებში (ტექნიკუმებში);

3. კვალიფიციური მუშათა კადრების მოამზადება პროფესიონალურ-ტექნიკურ განათლების სასწავლებლებში;

4. სხვადასხვა პროფესიის მუშათა კადრების მომზადება თვით წარმოების პროცესში, აგრეთვე მოკლევადიან კურსებზე.

შრომითი რესურსების ზოგადი კულტურის ამაღლებას უზრუნველყოფს საყოველთაო-სავალდებულო განათლების გავრცელება საშუალო სკოლის ფარგლებში.

მოსახლეობის სრული დასაქმება და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება გულისხმობს არა მარტო შესაბამისი კადრების არსებობას, არამედ თითოეული მშრომელისათვის სამუშაო ადგილის შექმნას შრომის საზოგადოებრივ დარგებში; მომსახურების სფეროს განვითარებას, რამაც საშუალება უნდა მისცეს ქალს განთავისუფლდეს ოჯახის ძირითადი საქმიანობისაგან, კერძოდ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბავშვო დაწესებულებების ფართო ქსელის არსებობას, საყოფაცხოვრებო მომსახურების უზრუნველყოფას და ა. შ. მოსახლეობის სრული დასაქმების განხორციელება და მომუშავეთა მაღალი კვალიფიკაცია უზრუნველყოფს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას, რაც საწარმოო ძალების განვითარების ძირითადი მაჩვენებელია და სოციალ-ეკონომიკური წინსვლის საფუძველია.

შრომითი რესურსების რიცხოვნობის დინამიკა

შრომითი რესურსების რაოდენობა არ არის მუდმივი სიდიდე. იგი განიცდის ცვალებადობას ძირითადი დემოგრაფიული პროცესების ზეგავლენით, პირველ რიგში მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის შედეგად. შრომით რესურსებს სისტემატურად ემატება სამუშაო ასაკში შესული ახალგაზრდა კონტინგენტები და აკლდება ის კონტინგენტები, ვინც გადადის საპენსიო ასაკში და ტოვებს სამუშაოს. როგორც წესი, შრომითი რესურსების ყოველწლიური შევსება ჭარბობს სამუშაოდან ხანდაზმულობის გამო განთავისუფლებულთა რაოდენობას, თუმცა გამორიცხული არ არის ცალკეულ წლებში პირიქითაც რომ მოხდეს. შრომითი რესურსების ცვალებადობა იწვევს მომუშავეთა რაოდენობის ცვალებადობას, მაგრამ მომუშავეთა რაოდენობა

ჰეიძლება იზრდებოდეს არა მარტო სამუშაო ასაკში შესული კონტინგენტების შევსების გზით, არამედ იმის შედეგადაც, რომ იზრდება მოსახლეობის შრომითი აქტივობა, ანუ საზოგადოებრივ შრომაში უფრო ფართოდ ებმება ის შრომისუნარიანი კონტინგენტები, ვინც ადრე მხოლოდ პირად საკარმიდამო მეურნეობაში ან საოჯახო საქმიანობაში იყო დასაქმებული.

ცხრილი 10

შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის დინამიკა 1960—1970 წლებში

	შრომისუნარამდელი ასაკის (15 წლამდე)		შრომისუნარიანი ასაკის (კაცები 16—59 წლის, ქალები 16—54 წლის)		შრომისუნარიან ასაკს გადაცილებული (კაცები 60 წლის და უხნესი, ქალები 55 წლის და უხნესი)	
	ათასობით	%-ით	ათასობით	%-ით	ათასობით	%-ით
სსრ კავშირი						
1959 წელი	63496	30,4	119822	57,4	25501	12,2
1970 „	74979	31,0	130486	54,0	36255	15,0
საქართველოს სსრ						
1959 წელი	1221	30,2	2269	56,1	554	13,7
1970 „	1632	24,8	2466	52,6	588	12,6

მოსახლეობის განაწილება სამ ძირითად ასაკობრივ ჯგუფში და ცვლილებები 11 წლის მანძილზე (1959—1970 წლები) ამ ჯგუფებს შორის შეთანაწყობაში საკმაოდ მსგავსია როგორც საშუალოდ სსრ კავშირში, ისე საქართველოში. ასეთი დამთხვევა ძირითადად იმის შედეგია, რომ საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები ახლოს დგას საშუალო საკავშირო ანალოგიურ მაჩვენებლებთან. აღსანიშნავია, რომ ხსენებული 11 წლის მანძილზე (1959—1970 წლები) შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის შევსება საკმაოდ შენელებული ტემპით ხდებოდა, რადგან ასეთი შევსება წარმოებდა 1943—1953 წლებში დაბადებულთა ხარჯზე, როცა ბუნებრივი მატება ომისა და მის მომდევნო წლებში ჯერ კიდევ დაბალ დონეზე იდგა. ამიტომ 1970 წელს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა ბევრად ნაკლები იყო როგორც სსრ კავშირში საშუალოდ, ისე საქართველოში, ვიდრე 1959 წელს. შემდგომ პერიოდში კი (1970—1979 წლები) შრომითი კონტინგენტების შევსება ხდებოდა 1954—1962 წლებში დაბადებულების ხარჯზე, როცა ბუნებრივი მატება ბევრად უფრო მაღალი იყო წინა ათწლეულთან შედარებით,

ამიტომ კვლავ ამაღლდა შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა — სსრ კავშირში 54%-დან 57,9%-მდე და საქართველოში 52,6%-დან 56,6%-მდე. 1970-იან წლებში დაბალი იყო ბუნებრივი მატება და ამან გამოიწვია შრომისუნარაქმდელი ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდების ხვედრითი წონის ბევრად შემცირება. შობადობის შემცირება 1962—1978 წლებში იმდენად შესამჩნევი გახდა, რომ მას მოჰყვა სერიოზული ცვლილებები სხვადასხვა ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობათა შეფარდებაში. ეს ფაქტი ნათლად გვიჩვენებს შობადობის დონესა და ასაკობრივ სტრუქტურას შორის არსებულ კავშირს. მეათე ცხრილში მოტანილი ციფრობრივი მასალა საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ გვიჩვენებს საპენსიო ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონის ზრდის ტენდენციას. ამრიგად, როგორც სსრ კავშირში მთლიანად, ისე საქართველოში ბუნებრივი მატების შემცირებამ 1960-იანი წლების დასაწყისიდან მნიშვნელოვნად შეანელა 1970-იანი წლების მეორე ნახევრიდან შრომისუნარიანი ასაკის კონტინგენტების შევსება. რაც შეეხება შრომისუნარიან ასაკს გადაცილებულთა მონაწილეობას საზოგადოებრივ შრომაში, აქ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენცია მოქმედებს. ერთი მხრივ, საპენსიო ასაკის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შედეგად ინარჩუნებს თავის ჯანმრთელობას და შრომის უნარს, ამიტომ ხშირ შემთხვევაში პენსიასაც იღებს და კვლავ აგრძელებს მუშაობას. მეორე მხრივ, უკანასკნელ წლებში პენსიების გადიდებამ და იმავე ცხოვრების პირობების გაუმჯობესებამ შექმნა ისეთი სიტუაცია, როცა პენსიონერი აღარ არის დაინტერესებული გააგრძელოს მუშაობა და მხოლოდ საოჯახო საქმიანობაში ან პირად საკარმიდამო მეურნეობაში მონაწილეობს. ეს უკანასკნელი ტენდენცია განსაკუთრებით იჩენს თავს სოფლად ან ისეთ ოჯახებში, სადაც ხანდაზმული ქალები დასაქმებულნი არიან შვილიშვილების აღზრდით. ყველა ეს ცვლილება მოსახლეობის ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებს შორის შეთანაწყობაში ერთხელ კიდევ გვიჩვენებს მჭიდრო კავშირს შრომით რესურსებსა და სხვა მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებს შორის.

შრომისუნარიანი კონტინგენტების აბსოლუტური და ფარდობითი ოდენობა უშუალო კავშირშია აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მიგრაციულ პროცესებთან. ეს ვლინდება პირველ ყოვლისა იმაში, რომ ქალაქის მოსახლეობაში ბევრად მაღალია შრომისუნარიანი ასაკის მქონეთა ხვედრითი წონა, ვიდრე სოფლის მოსახლეობაში, რადგან ადგილი აქვს სოფლიდან ქალაქად უპირატესად ამ ასაკის მოსახლეობის გადასვლას. 1979 წლის მონაცემებით, შრომისუნარიანი ასაკის მქონეთა ხვედრითი წონა საქართველოს ქალაქის მოსახლეობაში შეადგენდა 60,1%-ს, ხოლო სოფლის მოსახლეობაში — 53,4%-ს.

ასეთი სხვაობის წარმოქმნაში, კერძოდ, დიდ როლს ასრულებს ის გარემოება, რომ ქალაქების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის 16 წელზე უხნეს მოსწავლე ახალგაზრდობაზე — უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტებზე. ამიტომაა, რომ ქალაქის შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში უფრო დაბალია შრომაში ჩაბმულთა ხვედრითი წონა სოფელთან შედარებით; საქართველოს ქალაქების სამუშაო ასაკის მოსახლეობაში მომუშავეთა ხვედრითი წონა 1979 წელს შეადგენდა 80%-ს, სოფლად კი ანალოგიური მაჩვენებელი იყო 85,8%, საშუალოდ რესპუბლიკაში — 82.7%.

ქვემოთ მოგვყავს, როგორც ნიმუში, საქართველოს შრომითი რესურსების გამოთვლა 1959 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით.

შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას უნდა გამოაკლდეს ინვალიდები. პროფ. ბ. ურლანისის მონაცემებით ინვალიდები შეადგენენ სსრ კავშირის შრომით ასაკში მყოფი მოსახლეობის 2,8%-ს[1]. თუ ინვალიდობის ანალოგიურ მაჩვენებელს მივიჩნევთ საქართველოსთვის, მაშინ შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა 1959 წ. იქნებოდა 2205,2 ათასი. არასამუშაო ასაკის მოსახლეობიდან იმავე წელს შრომის საზოგადოებრივ დარგებში ჩაბმული იყო 243,6 ათასი კაცი[2]. გარდა ამისა, არაშრომისუნარიანი ასაკის ოჯახის წევრები — 111,5 ათასი კაცი — მუშაობდნენ პირად საკარმიდამო მეურნეობაში. ამრიგად, სულ შრომითი რესურსები შეადგენდა 2560,3 ათასს, ანუ მთელი მოსახლეობის 63,3%-ს. პროფ. ბ. ურლანისის გამოთვლით იმავე 1959 წელს სსრ კავშირის შრომითი რესურსების საერთო რაოდენობა იყო 127,8 მლნ. კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის 61,2%. რამდენადმე უფრო მაღალი ხვედრითი წონა შრომითი რესურსებისა საქართველოში აიხსნება შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის უფრო მაღალი ფარდობითი ოდენობით და არასამუშაო ასაკის მქონეთა შედარებით ფართოდ ჩაბმით როგორც საზოგადოებრივ შრომაში, ისე პირად დამხმარე მეურნეობაში, რადგან ეს უკანასკნელი რესპუბლიკაში წარმოდგენილია უფრო შრომატევადი მრავალწლიანი კულტურებით (ვაზი, ციტრუსოვნები და სხვ.). ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ შრომითი რესურსების ძირითადი ნაწილი — დაახლოებით 85—90% როგორც სსრ კავშირში, ისე საქართველოში მოდის შრომისუნარიანი ასაკის კონტინგენტზე და მხოლოდ 10—15%—ამ ასაკის ფარგლებს გარე მო-

---

[1] Б. Ц. Урланис. Динамика и структура населения СССР и США. Изд. «Наука», М., 1964, стр. 26, 27.

[2] Итоги всесоюзной переписи населения 1959 года. Грузинская ССР, изд. «Статистика», М., 1963, табл. 30, 32.

სახლეობაზე. განსაკუთრებით უმნიშვნელოა 16 წლამდე ახალგაზრდების მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის შრომით რესურსებში, რადგან ამ ასაკის ბავშვები ჩაბმულნი არიან საყოველთაო-სავალდებულო სწავლაში. ამ მხრივ სოციალისტური ქვეყნების შრომითი რესურსების სტრუქტურა მკვეთრად განსხვავდება კაპიტალისტური და განვითარებადი სახელმწიფოების შრომითი რესურსების სტრუქტურისაგან. ამ ქვეყნებში ფართოდაა გამოყენებული ბავშვთა შრომა, რაც ცუდად მოქმედებს მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდაზე, გზას უღობავს მათ განათლების მიღებისაკენ. იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა ახალგაზრდობისათვის შექმნილია უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მიღების დიდი შესაძლებლობანი, 16—24 წლის ასაკის კონტინგენტებიც შედარებით ნაკლებად მონაწილეობენ შრომით დარგებში და მხოლოდ გარკვეული სპეციალობის მიღების შემდეგ ებმებიან ისინი საზოგადოებრივ შრომაში.

აღსანიშნავია, რომ შრომითი რესურსების ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში უფრო მაღალია ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში (მათ შორის სოციალისტურ ქვეყნებში), სადაც ეს მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 60—64%-ს, ხოლო განვითარებად ქვეყნებში შრომითი რესურსების ხვედრითი წონა არ აღემატება მთელი მოსახლეობის 55%-ს, რადგან იქ მაღალია ბუნებრივი მატება, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა კი ბევრად ნაკლებია.

იმასთან დაკავშირებით, რომ დემოგრაფიული სიტუაცია ერთგვაროვანი არ არის ბევრი ქვეყნის შიგნითაც, ცვალებადობას განიცდიან შრომითი რესურსების რიცხოვნობა და შედგენილობა. ამ მხრივ საყურადღებო ცვლილებებს აქვს ადგილი საბჭოთა კავშირშიც. იმ რესპუბლიკებში, სადაც ჯერ კიდევ მაღალ დონეზეა მოსახლეობის ბუნებრივი მატება, დიდი ხვედრითი წონა აქვთ შრომამდელი ასაკის ბავშვებსა და ახალგაზრდებს და შესაბამისად მცირეა შრომისუნარიანი ასაკის მქონეთა ფარდობითი რაოდენობა. ამ მხრივ პირველ რიგში გამოირჩევიან შუა აზიის რესპუბლიკები. 1979 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა უზბეკეთში შეადგენდა მთელი მოსახლეობის 42,2%-ს, თურქმენეთში — 43,8%-ს, ტაჯიკეთში — 42,2%-ს და ყირგიზეთში — 45,2%-ს, მაშინ როდესაც ანალოგიური მონაცემი რუსეთის ფედერაციაში 60,4% იყო, უკრაინაში — 55,6%, ლატვიაში — 56,2% და ა. შ. რაც შეეხება უახლოეს პერსპექტიულ პერიოდს, ჩვენი საუკუნის ორ უკანასკნელ ათწლეულში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა ბევრად ამაღლდება შუა აზიის რესპუბლიკებში, რადგან ასეთ ასაკში გადავლენ 1960-იან და 1970-იან წლებში დაბადებულნი, როცა ამ რესპუბლიკებში მაღალ დონეზე იდგა ბუნებრივი მატება. ხოლო იმ

რესპუბლიკებში, სადაც ბუნებრივი მატება ბევრად შემცირდა 1960-იანი წლების დასაწყისიდან, მოხდება შრომითი ასაკის კონტინგენტების ხვედრითი წილის შემცირება. შრომისუნარიანი ასაკის კონტინგენტების ხვედრითი წონა შემცირდება საქართველოშიც, რადგან 1962 წლიდან აქაც მკვეთრად მოიკლო ბუნებრივმა მატებამ.

მეტად მნიშვნელოვანია შრომითი რესურსების დასაქმების პირობების შექმნა, რაც დამოკიდებულია მეურნეობრივი განვითარების საერთო დონეზე და სოციალურ-ეკონომიკური წყობის ხასიათზე. მოსახლეობის დასაქმებისათვის აუცილებელია პირველ ყოვლისა სამუშაო სფეროს სისტემატური გაფართოება, ანუ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რაც უფრო პროგრესულია სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, მით უფრო სწრაფად ვითარდება მეურნეობა და შესაბამისად ფართოვდება შრომის გამოყენების სფერო. იქ, სადაც წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება არსებობს და მეურნეობა არ ვითარდება გეგმაზომიერად, ხშირია ეკონომიკური კრიზისები, ფართოდაა გავრცელებული უმუშევრობა. ამასთან დაკავშირებით კაპიტალისტურ ქვეყნებში მუდმივად არსებობს ეგრეთ წოდებული „შრომის სარეზერვო არმია", რომელიც არ მონაწილეობს წარმოებაში. განვითარებადი ქვეყნებიც ვერ უზრუნველყოფენ შრომითი რესურსების სრულ დატვირთვას, რადგან სწრაფად იზრდება მუშახელის რაოდენობა და ნელა მიმდინარეობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ამიტომ ამ ქვეყნებშიაც მაღალ დონეზეა უმუშევრობა.

უმუშევრობა წარმოადგენს თანამედროვე კაპიტალისტური სამყაროს მშრომელთა მძიმე ხვედრს. განსაკუთრებით მაღალ დონეზეა უმუშევრობა ახალგაზრდებს შორის, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების შავკანიან მოსახლეობაში. კაპიტალისტური სახელმწიფოების უმეტეს ნაწილში უმუშევრობა აღწევს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 10—15%-ს. ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე მუშახელის ნაწილობრივი დატვირთვა, როცა მომუშავეთა მნიშვნელოვანი ნაწილი მუშაობს მხოლოდ არასრულ სამუშაო საათებს და შესაბამისად ხელფასსაც ნაკლებს ღებულობს. ბურჟუაზიული ქვეყნების სტატისტიკა არ აქვეყნებს სრულ ცნობებს მომუშავეთა შესახებ და შეგნებულად ფარავს უმუშევრობის ფართოდ გავრცელებას. ტექნიკის განვითარებამ და წარმოებაში ავტომატიზაციის დანერგვამ გამოიწვია კაპიტალისტურ ქვეყნებში ბევრი ტრადიციული პროფესიის გადავარდნა და მუშების მასობრივი დათხოვნა სამრეწველო და სხვა სახის საწარმოებიდან. განსაკუთრებით მწვავდება უმუშევრობა ეკონომიკური კრიზისების დროს, როცა იხურება მთელი რიგი საწარმოები და მუშებს მასობრივად ითხოვენ. ასეთმა დათხოვნებმა ფართო ხასიათი

მიიღო 1979—1980 წლებში, რადგან მნიშვნელოვანმა ეკონომიკურმა სიძნელეებმა იჩინა თავი ევროპისა და ამერიკის წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორც ინდუსტრიულად დაწინაურებულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, ისე განვითარებად ქვეყნებში ყოველწლიურად ადგილი აქვს წვრილი მწარმოებლების (ფერმერების, გლეხების, ხელოსნების) გაღატაკებას. უმიწაწყლოდ დარჩენილი სოფლის მცხოვრებლები გადადიან ქალაქებში და უერთდებიან უმუშევართა მრავალმილიონიან არმიას.

შრომითი რესურსების გამოყენება

შრომითი რესურსების გამოყენებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენენ სოციალურ-ეკონომიკური პირობები და მათ შორის საწარმოო ძალების განვითარების დონე. გარკვეულ როლს ასრულებენ აგრეთვე ბუნებრივი პირობები, რომლებიც ძირითადად წარმოების საშუალებით ახდენენ ზემოქმედებას შრომითი რესურსების დასაქმებაზე. ასე მაგალითად, მთიან ზონაში უფრო მკაცრი ბუნებრივი პირობების ზეგავლენით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ბევრად უფრო სეზონურია ბართან შედარებით და ამასთან დაკავშირებით არათანაბარია შრომითი რესურსების გამოყენება წლის სეზონების მიხედვით. საერთოდ, სასოფლო-სამეურნეო წარმოება სეზონური ხასიათისაა და ამიტომ სოფლად შრომითი კონტინგენტების დატვირთვა ცვალებადია წლის მანძილზე. ამ მხრივ დიდი განსხვავებაა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო შრომის ხასიათში. მკაცრი ბუნებრივი პირობების მქონე მხარეებში სეზონურ ხასიათს ატარებს აგრეთვე მშენებელთა შრომა.

თანამედროვე პირობებში შრომითი რესურსების გამოყენების ერთ-ერთი თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ თანდათან მცირდება ცოცხალი შრომის გამოყენება სოფლის მეურნეობაში, რაც იწვევს შრომითი რესურსების სტრუქტურაში მეურნეობის ამ დარგის ხვედრითი წონის სისტემატურად კლებას, ინდუსტრიულად დაწინაურებულ ქვეყნებში კი საკმაოდ სწრაფად მცირდება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა აბსოლუტური რაოდენობაც. განსაკუთრებით მწვავედ მოქმედებს ეს გარემოება განვითარებადი ქვეყნების შრომითი რესურსების გამოყენებაზე. ამ ქვეყნებში სოფლის მოსახლეობაში მაღალი ბუნებრივი მატების გამო სწრაფად იზრდება ეგრეთ წოდებული აგრარული ჭარბი მოსახლეობა, რომელსაც ვერ იყენებენ სოფლად, ქალაქებსაც არ შეუძლიათ აითვისონ დიდი რაოდენობით ეს შრომითი კონტინგენტები. მაგალითად, ინდოეთის სოფლის მეურნეობაში მუშახელის 25—30%

„ზედმეტად“ ითვლება. ანალოგიური მონაცემები ინდონეზიაში შეადგენს 35%-ს, შრი-ლანკაში — 45%-ს, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში — 30—50%-ს და ა. შ[3].

დიდი ცვლილებები შეაქვს შრომის ხასიათში ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარებას. უმთავრესი ტენდენცია იმაში გამოისახება, რომ ადამიანის კუნთოვანი ენერგიის გამოყენება თანდათან ადგილს უთმობს სხვადასხვა მანქანა-დანადგარების მიერ შრომითი პროცესების შესრულებას. ამ საყოველთაო ცვლილებას შრომის ხასიათში სათავე დაუდო ჯერ კიდევ XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში ორთქლის მანქანის გამოგონებამ, შემდგომში შიდაწვის ძრავების შექმნამ და ელექტროენერგიის გამოყენებამ. თანამედროვე ეპოქა, რომელსაც სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქასაც უწოდებენ, გამოირჩევა ენერგიის ფართო დანერგვით შრომის ყოველგვარ პროცესში, რამაც ნამდვილი რევოლუცია მოახდინა შრომის ხასიათში, გარდაქმნა მისი არსი. შრომის პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია იმდენად გაფართოვდა და გაღრმავდა, რომ დიდად დაუახლოვა ერთმანეთს ფიზიკური და გონებრივი შრომა. ბევრ საწარმოო პროცესში მომუშავე უშუალოდ კი არ ასრულებს შრომით ოპერაციებს, არამედ მართავს მათ რთული მანქანებისა და ხელსაწყოების საშუალებით. ამასთან დაკავშირებით მომუშავეს ხშირ შემთხვევაში აღარ ჭირდება ფიზიკური ძალის გამოყენება და ნაცვლად ამისა უნდა შეეძლოს რთული ტექნიკის მართვა. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომუშავის კვალიფიკაციას, მას ჭირდება გარკვეული ზოგადი და სპეციალური განათლება, პროფესიაში დაოსტატება, შრომის ახალი ჩვევების დამკვიდრება, რაც ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

გარკვეული კორექტივები შეაქვს შრომითი რესურსების გამოყენებაში მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას. სსრ კავშირში ქალთა შრომის გამოყენება შეზღუდულია მთელ რიგ დარგებში. ასე მაგალითად, აკრძალულია ქალების მონაწილეობა მიწისქვეშა სამუშაოებში, ნაკლებად მუშაობენ ქალები აგრეთვე ისეთ დარგებში, როგორიცაა შავი მეტალურგია, მძიმე მანქანათმშენებლობა, ზოგიერთი სახის მშენებლობანი და სხვა. ფართოდაა გამოყენებული ქალთა შრომა მსუბუქ მრეწველობაში, ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების სფეროში. რიგი თავისებურება ახასიათებს სხვადასხვა ასაკის შრომითი კონტინგენტების გამოყენებას. ყველაზე აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ შრომაში 30—40 წლის

---

[3] Народонаселение стран мира. Справочник. «Статистика», М., 1974, стр. 268.

მოქალაქენი, რადგან ამ ასაკში უკვე მუშაკი დაუფლებულია გარკვეულ პროფესიას და შეძენილი აქვს შრომის ჩვევები. უფრო ახალგაზრდა ასაკის შრომით კონტინგენტებში ადგილი აქვს სამუშაოს გამოცელას და მეტ მიდრეკილებას მიგრაციულ პროცესებში მონაწილეობისაკენ. მაღალი კვალიფიკაციით და შრომის დიდი გამოცდილებით გამოირჩევიან 40—59 წლის მუშაკები, რომლებიც ხშირად წარმოების წამყვან ბირთვს ქმნიან სამრეწველო თუ სხვა სახის საწარმოებში.

შრომითი რესურსების დასაქმების თვალსაზრისით სახალხო მეურნეობის დარგები განიხილება როგორც შ რ ო მ ი ს დ ა რ გ ე ბ ი, ხოლო მომუშავეთა განაწილება ამ დარგებში მიღებულია როგორც შ რ ო მ ი ს ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარება უშუალო კავშირშია შრომითი რესურსების გამოყენებასთან, რაც იმაში გამოიხატება, რომ ცელილებანი მეურნეობისა და კულტურის სფეროში იწვევს რაოდენობრივ და თვისებრივ ძვრებს შრომის სტრუქტურაში. ამიტომ დინამიკაში განხილული მომუშავე მოსახლეობის რაოდენობა, შედგენილობა და განაწილება შრომით დარგებში, ასახავს რა ცვლილებებს სახალხო მეურნეობაში, ამავე დროს წარმოდგენას გვაძლევს სოციალ-ეკონომიკურ პროცესებზე, საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ მხარეზე.

როგორ იცვლება სსრ კავშირის შრომის საზოგადოებრივ დარგებში დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა?

1939 წელს მომუშავე მოსახლეობა (პირად საკარმიდამო მეურნეობაში დასაქმებულთა გარეშე) სსრ კავშირში შეადგენდა 78,8 მლნ. კაცს, 1959 წელს — 99,1 მლნ., 1970 წელს — 115,2 მლნ. საყურადღებოა, რომ აღნიშნულ პერიოდში ბევრად უფრო სწრაფად იზრდებოდა მომუშავეთა რაოდენობა, ვიდრე მთელი მოსახლეობა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გადიდდა მოსახლეობის შრომითი აქტივობა. 1939 წელს მომუშავეთა რაოდენობა შეადგენდა მთელი მოსახლეობის 46, 2%-ს, ხოლო 1970 წელს — 47, 7%-ს. 1939 წ. საქართველოს შრომის საზოგადოებრივ დარგებში დასაქმებული იყო 1519, 5 ათასი კაცი; 1970 წ. —2101, 7 ათასი კაცი; მომუშავეთა ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში გაიზარდა 42, 9%-დან 44, 8%-მდე. მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა როგორც სსრ კავშირის, ისე საქართველოს მომუშავე მოსახლეობაში, იმაში მდგომარეობს, რომ ბევრად გადიდდა მომუშავე მოსახლეობაში ქალების ხვედრითი წონა. ეს გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, მამაკაცების დანაკარგით დიდი სამამულო ომის წლებში და, მეორე მხრივ, ქალების უფრო აქტიური ჩაბმით საზოგადოებრივ შრომაში. 1939 წელს ქალები შეადგენდნენ სსრ კავშირის მომუშავე მოსახლეობის 43,3 %-ს. ხოლო 1970 წელს — 49,8%-ს. ანალოგიური მონაცემები საქართველოში იყო 38,5% და

48,1%. მესამე მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებაა გონებრივ შრომაში ჩაბმულთა ბევრად უფრო სწრაფი ზრდა და ფიზიკური და გონებრივი შრომის თანდათან დაახლოება. 1939 წელს უპირატესად გონებრივ შრომაში მონაწილეობდა სსრ კავშირში მომუშავეთა მთელი რაოდენობის 17,5%, ხოლო 1970 წელს — 27,3%; საქართველოში ანალოგიური მაჩვენებლები იყო 17,4% და 29,7%. ეს უკანასკნელი მონაცემები გვიჩვენებენ არა მარტო რაოდენობრივ ცვლილებებს მომუშავე ხოსახლეობაში, არამედ მნიშვნელოვან თვისებრივ ძვრებსაც შრომით სტრუქტურაში, რადგან ასახავენ შრომითი კონტინგენტების პროფესიულ დაოსტატებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც თავის მხრივ წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მაჩვენებელიც არის.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომუშავე მოსახლეობის განაწილებას შრომის სხვადასხვა სფეროში და მეურნეობის დარგებში, რადგან ამ მაჩვენებლების მიხედვით შეგვიძლია წარმოდგენა მივიღოთ საწარმოო ძალების განვითარების ტონუზე. მეურნეობის დარგებში მომუშავეთა განაწილების ზუსტი აღრიცხვა ყველა ქვეყანაში არ წარმოებს, მაგრამ მეტად მიახლოებით გამოთვლით დადგენილია, რომ 1970-იანი წლების დასაწყისში მსოფლიოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის თითქმის 3/5 დაკავებული იყო სოფლის მეურნეობაში და მის მომიჯნავე დარგებში (სატყეო მეურნეობა, თევზჭერა, ნადირობა), 1/5 — მრეწველობაში და 1/5-ზე ცოტა მეტი — ვაჭრობაში, ტრანსპორტში, კავშირგაბმულობაში და მომსახურების სფეროში. მაგრამ მომუშავეთა განაწილება შრომის დარგებში ცვალებადია როგორც დროში, ისე, განსაკუთრებით, სივრცეში. მაგალითად, არის ქვეყნები, სადაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წონა არ აღემატება მთელი მომუშავე კონტინგენტების 4—5%-ს (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი) და ქვეყნები, სადაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 60—70% მეურნეობის ამ დარგშია ჩაბმული (ინდოეთი, სირია, ბანგლადეში, აფრიკის ქვეყნები და სხვ.). ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მრეწველობაში ჩაბმული მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წონა, მაგრამ უკანასკნელი 10—15 წლის მანძილზე დაისახა ამ ქვეყნებში არასაწარმოო სფეროს მუშაკების როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი ოდენობის დაჩქარებული ზრდა. განსაკუთრებით სწრაფად ფართოვდება დასაქმების ისეთი დარგები, როგორიცაა ვაჭრობა, საფინანსო დაწესებულებები და მომსახურების სხვა სფეროები. კერძოდ, ამ დარგებშია დასაქმებული ამერიკის შეერთებული შტატების მომუშავე მოსახლეობის ნახევარზე მეტი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კი 38%.

სოციალისტურ ქვეყნებში დიდ ცვლილებებს განიცდის მომუშავე მოსახლეობის განაწილება მატერიალური წარმოების და არამწარმოებლურ სფეროში. 1940—1976 წლებში სსრ კავშირის მატერიალური წარმოების სფეროში მომუშავეთა საერთო რაოდენობის ხვედრითი წონა შემცირდა 88,3%-დან 75,4%-მდე, ხოლო არასაწარმოო სფეროში მომუშავეთა ხვედრითი წონა შესაბამისად გადიდდა 11,7%-დან 24,6%-მდე. ეს ცვლილებები მიმდინარეობდა მატერიალური წარმოების დარგების განუხრელი აღმავლობის ვითარებაში და შესაძლებელი გახდა საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შედეგად შრომის ნაყოფიერების მუდმივ ზრდასთან ერთად.

ცხრილი 11

სსრ კავშირისა და საქართველოს მომუშავე მოსახლეობის განაწილება სახალხო მეურნეობის დარგებში (%%)

მეურნეობის დარგები	სსრ კავშირი		საქართველოს სსრ	
	1960 წ.	1976 წ.	1960 წ.	1976 წ.
სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მომუშავეები	100,0	100,0	100,0	100,0
მრეწველობაში და მშენებლობაში	32	38	23	26
სასოფლო და სატყეო მეურნეობაში (პირად საკარმიდამო მეურნეობის ჩათვლით)	39	23	48	34
ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში	7	9	6	8
ვაჭრობაში, საზოგ. კვებაში, მატერ. ტექნიკ. მომარაგებაში, გასაღებასა და დამზადებაში	6	8	5	7
ჯანმრთელობის დაცვაში, ფიზკულტურასა და სოციუზრუნველყოფაში, განათლებასა და კულტურაში, მეცნიერებაში და მეცნ. მომსახურებაში	11	16	12	18
სახელმწიფო მართვის აპარატში, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, საკრედიტო და დამზღვევ სახ. ორგანიზაციებში	2	2	2	2
სახალხო მეურნეობის დანარჩენ დარგებში (კომ. და საყოფაცხოვრებო მომსახ.)	3	4	4	5

როგორც სსრ კავშირის, ისე საქართველოს მოსახლეობის შრომით სტრუქტურებში ნათლადაა გამოსახული მრეწველობასა და მშენებლობაში დასაქმებულთა ხვედრითი წონის თანდათანობითი გადი-

დება და სოფლის მეურნეობაში მომუშავეთა შესაბამისი შემცირება. ამ საერთო ნიშანთან ერთად ორ სტრუქტურას განმასხვავებელი მაჩვენებლებიც აქვს. კერძოდ, საქართველოში ბევრად უფრო მაღალია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წონა საშუალო საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით და შესაბამისად ნაკლებია მრეწველობასა და მშენებლობაში მომუშავეთა ფარდობითი ოდენობა. საქმე ისაა, რომ 1960-იან წლებში საქართველოში უფრო ნაკლები იყო სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპები, ვიდრე საშუალოდ სსრ კავშირში. ამავე დროს საქართველოს სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია უფრო შრომატევადი დარგებით, რომლებიც ნაკლებად არიან მექანიზებული და მოითხოვენ მეტი რაოდენობით ცოცხალ შრომას, რის გამოც უფრო ნელა წარმოებს სოფლის მეურნეობიდან მუშახელის გამონთავისუფლება და მისი გადასვლა შრომის სხვა დარგებში. უკანასკნელ წლებში დაჩქარდა სამრეწველო განვითარების ტემპები საქართველოში და ამავე დროს დაისახა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მანქანური შრომის გამოყენების ფართო პროგრამა, რაც მომავალში უფრო ინტენსიურად გამოანთავისუფლებს შრომით კონტინგენტებს ამ დარგიდან და რესპუბლიკის შრომის სტრუქტურას დაუახლოვებს საშუალო საკავშირო ანალოგიურ მაჩვენებლებს. საერთოდ, მეტად მწვავედ დგას სოფლის მეურნეობაში მუშახელის დამაგრების საკითხი და ამ დარგში შრომის ნაყოფიერების გადიდების პრობლემა. შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით აუცილებელია შემდგომშიაც გრძელდებოდეს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშახელის აბსოლუტური და ფარდობითი რაოდენობის შემცირება და გამონთავისუფლებული კადრების შრომის სხვა დარგებში ჩაბმა. ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ სოფლის მეურნეობაში მელიორაციის, ქიმიზაციისა და მექანიზაციის ფართოდ დანერგვისა და შრომის ნაყოფიერების მკვეთრად გადიდების შედეგად; ჯერჯერობით კი სოფლის მეურნეობაში ბევრად დაბალია შრომის ნაყოფიერება, ვიდრე მრეწველობაში. 1976 წლის მონაცემებით, მრეწველობასა და მშენებლობაზე მოდის საქართველოს ეროვნული შემოსავლის 52%, მაშინ, როდესაც ამ დარგებში დასაქმებულია მომუშავე მოსახლეობის 26%. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშახელი თუმცა შეადგენს მომუშავეთა საერთო რაოდენობის 33%-ს, მაგრამ ქმნის მთელი ეროვნული შემოსავლის 29%-ს. აქედან ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის შემდგომ ინტენსიფიკაციას, მის ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანას, რაშიაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს მრეწველობის ისეთმა დარგებმა, როგორიცაა ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრე-

წველობა. ამის შედეგად უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების დაჩქარებული ზრდა, მეურნეობის ამ დარგიდან შრომითი კონტინგენტების შემდგომი გამონთავისუფლება.

სახალხო მეურნეობის განვითარების პარალელურად მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის შრომის სხვადასხვა დარგებში დასაქმებულთა პროფესიული შემადგენლობა. ბევრად უფრო სწრაფად იზრდება მეურნეობის პროგრესულ დარგებში ჩაბმული კვალიფიციური კადრების რაოდენობა. 11 წლის მანძილზე (1959—1970 წლები) უპირატესად ფიზიკურ შრომაში ჩაბმულთა საერთო რაოდენობა სსრ კავშირში გადიდდა მხოლოდ 5%-ით, უპირატესად გონებრივ შრომაში დასაქმებულთა რაოდენობა კი 63%-ით. დამახასიათებელია, რომ ისეთ დარგებში, სადაც ადრე ხელით შრომა ჭარბობდა, შემდგომში კი დაინერგა მექანიზაცია და ავტომატიზაცია, შემცირდა მომუშავეთა აბსოლუტური რაოდენობა. მაგალითად, აღნიშნულ პერიოდში მოპოვებით მრეწველობაში მომუშავე სამთოელთა რიცხვი შემცირდა 15%-ით, მტვირთავების — 33%-ით, მჭედლების — 35%-ით და ა. შ. ნაცვლად ამისა ბევრად გაიზარდა მანქანათმშენებელი მუშახელის რაოდენობა — 70%-ით, ქიმიკოსების—76%-ით, საავტომობილო ტრანსპორტის და ქალაქების ელექტროტრანსპორტის მუშაკების —84 %-ით. საყურადღებოა, რომ მთლიანად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში დასაქმებულთა რიცხვი იმავე პერიოდში შემცირდა 33%-ით, მაგრამ კვალიფიცირებული სპეციალისტების — აგრონომების, ზოოტექნიკოსების და მეტყევეთა რიცხვი გადიდდა 31%-ით. სწრაფად იზრდებოდა ისეთ დარგებში დასაქმებულთა რიცხვი, როგორიცაა მეცნიერება, კულტურა, განათლება, სამედიცინო მომსახურება. ორჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა ინჟინერ-ტექნიკური კადრების რაოდენობა. ამ პროგრესულმა ძვრებმა შრომითი რესურსების პროფესიულ შემადგენლობაში უზრუნველყვეს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების შკვეთრად ამაღლება მეურნეობის ყველა დარგში. მარტო 1960—1972 წლებში საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება სსრ კავშირში გაიზარდა 89%-ით[4]. ეს მაჩვენებელი მრეწველობაში საშუალოდ ყოველწლიურად იზრდება 6—8%-ით.

მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის არა მარტო შრომითი რესურსების პროფესიული შემადგენლობა და განაწილება მეურნეობის დარგებში, არამედ შრომითი კონტინგენტების ტერიტორიული განლა-

---

4 Народное хозяйство СССР в 1972 году. Статистический ежегодник, М., 1973, стр. 73.

გებაც. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მთელი რიგი რეგიონები, სადაც სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ეფექტიანობა არ არის მაღალი, დიდი რაოდენობით კარგავს მეურნეობის ამ დარგში ჩაბმულ მუშახელს. ამის შედეგად ბევრ სასოფლო რაიონში შრომითი კონტინგენტები მინიმუმამდე შემცირდა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე. ასეთმა გარემოებამ საჭირო გახადა რიგი ღონისძიების განხორციელება სოფლად მუშახელის დამაგრებისათვის, კერძოდ, სოფლის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისა და ცხოვრების პირობებით ქალაქის მოსახლეობასთან დაახლოებისათვის.

იმასთან დაკავშირებით, რომ მოსახლეობის ბუნებრივი მატება სსრ კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაში მეტად მაღალია, ბევრგან წარმოიქმნა ჭარბი მუშახელი. ასეთ რეგიონებს ეკუთვნის შუა აზიის რესპუბლიკები და ნაწილობრივ ამიერკავკასიის რეგიონი. ამიტომ უკანასკნელი 20—25 წლის მანძილზე ამ რეგიონებიდან შრომითი კონტინგენტების ნაწილი მიდის სხვა რესპუბლიკებში, სადაც შეიმჩნევა შრომითი რესურსების დეფიციტი.

შრომითი რესურსების ტერიტორიული გადანაცვლება მჭიდრო კავშირშია მეურნეობის განვითარების ტემპებთან. იმასთან დაკავშირებით, რომ ციმბირის და ყაზახეთის რაიონებში არსებობს უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსები და მათ ჩაყენებას სახალხო-სამეურნეო ბრუნვაში დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, ამ რეგიონებმა მიიზიდეს შრომითი კონტინგენტები ქვეყნის სხვა ადგილებიდან. მთელი რიგი ახალი დასახლებები წარმოიქმნა ნავთობის მოპოვების ადგილებში, მსხვილი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობებთან (მაგ., ბრატსკი, უსტ-ილიმსკი, სამოტლორი, დიენოგორსკი და სხვ.), ყამირი მიწების ათვისების რაიონებში და ა. შ. ეკონომიკური სტიმული წარმოადგენს მუშახელის მიზიდვის ერთ-ერთ თვალსაჩინო ფაქტორს. ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოს რიგი სასოფლო რაიონიდან ზაფხულის თვეებში მშენებელი მუშების წასვლა სეზონურ სამუშაოებზე რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ოლქში, სადაც მათ გარანტირებული აქვთ კარგი მატერიალური ანაზღაურება.

მართალია, ჩვენი ქვეყნის შრომითი რესურსები აკმაყოფილებენ სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს კადრებზე, მაგრამ დაჩქარებული ეკონომიკური აღმავლობის ვითარებაში აუცილებელია შრომითი კონტინგენტების შემდგომი რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდა. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება მეურნეობის ყველა დარგში

შრომის ეფექტიანობის განუხრელი ზრდა. ეს საკითხი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი გახდა 1980-იანი წლებიდან, რადგან წინა პერიოდში შობადობის შემცირებასთან დაკავშირებით შეიზღუდა შრომითი რესურსების ახალგაზრდა კონტინგენტებით შევსება და წარმოების ზრდის ძირითად ფაქტორად წარმოგვიდგება შრომის ნაყოფიერების სისტემატური ამაღლება, რაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს წარმოების ტექნიკური აღჭურვის შემდგომი გაძლიერებით.

თავი მეშვიდე

მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება

მოსახლეობის ტერიტორიული განლაგების უმთავრესი ფაქტორები

მოსახლეობა მეტად არათანაბრადაა განლაგებული ჩვენს პლანეტაზე. დედამიწის ცალკეული რეგიონები უაღრესად მჭიდრო დასახლებით გამოირჩევიან, ტერიტორიის მეტ ნაწილზე კი შედარებით ცოტაა მცხოვრებთა რიცხვი; მნიშვნელოვანი ფართობები სრულიად დაუსახლებელია. ანტარქტიდის გამოკლებით, რომელიც მუდმივი ყინულითაა დაფარული, დედამიწის ხმელეთის ფართობი უდრის 135,8 მლნ კმ², მოსახლეობა 1981 წლის დამდეგს შეადგენდა 4430 მლნ.; ასე რომ, პლანეტის მცხოვრებთა სიმჭიდროვე 32,6 კაცია ერთ კმ². ეს საშუალო მაჩვენებელი დიდ ფარგლებში რხევადობს ცალკეული კონტინენტებისა და ქვეყნების მიხედვით.

უძველესი დროიდან დღემდე სამი ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავს მოსახლეობის სივრცობრივ განლაგებას, მის სიმჭიდროვეს ტერიტორიის გარკვეულ ფართზე: ბუნებრივი გარემო, ისტორიული ვითარება და სოციალ-ეკონომიკური პირობები. ყველაზე ადრინდელ ეტაპზე, როცა საწარმოო ძალების განვითარება დაბალ საფეხურზე იდგა, ბუნებრივი გარემო ასრულებდა გადამწყვეტ როლს, რადგან ადამიანს ჯერ კიდევ არ შეეძლო სერიოზული გავლენა მოეხდინა გარემოზე და ჩაეყენებინა ბუნების ძალები თავის სამსახურში. ამ ეტაპზე ადამიანი მოიხმარდა იმას, რასაც მზამზარეული სახით აგროვებდა ბუნების წიაღში, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების არსებობას. ცხადია, დედამიწის სხვადასხვა სარტყელში გეოგრაფიული გარემო განსხვავებული იყო და მოსახლეობის ცხოვრების პირობებიც არ შეიძლება ყოფილიყო ერთნაირი, რამაც წარმოქმნა დიდი სხვაობანი ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანის ტერიტორიულ განლაგებაში, მიუხედავად იმისა, რომ საწარმოო ძალების განვითარების პარალელურად თანდათან სუსტდებოდა ბუნებრივი პირობების გადამწყვეტი როლი დასახლების სიმჭიდროვეში, საზოგადოებრივი პროგრესის

შემდგომ ეტაპებზეც გეოგრაფიულ გარემოს არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებაში ბუნებრივი პირობების როლის შეფასებისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ბუნება მხოლოდ ქმნის ნაირსახოვან გეოგრაფიულ გარემოში ადამიანისათვის სხვადასხვა შესაძლებლობებს, მათი გამოყენება კი დამოკიდებულია საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების ხარისხზე"[1].

ადამიანი არჩევს ბუნებრივი გარემოს ძირითადი კომპონენტების — რელიეფის, კლიმატის, ნიადაგების, წყლისა და მცენარეული რესურსების ყველაზე უფრო ხელსაყრელ შეთანაწყობას. ასეთი შერჩევა ყოველთვის ხდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში და ამ გზით ყალიბდებოდა განსახლების ძირითადი არეალები. ცხადია, შრომის იარაღების თანდათან გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობის პროგრესი, ხელოსნობის და ვაჭრობის განვითარება, მიმოსვლის საშუალებების სრულყოფა ზოგადი კულტურის ამაღლების ვითარებაში სამეურნეო ბრუნვაში აქცევდა ახალ რესურსებს, რაც საშუალებას აძლევდა ადამიანს არა მარტო ტერიტორიულად გაეფართოებინა განსახლების არეალი, არამედ უფრო ინტენსიური გაეხადა უკვე ათვისებული მიწების გამოყენება; მეურნეობრივი წინსვლა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება შესაძლებლობას ქმნიდა თანდათან გაზრდილიყო მოსახლეობის სიმჭიდროვე. ეს პროცესი მიმდინარეობდა წარმოების უშუალო გავლენით, რომელიც მოწოდებული იყო დაეკმაყოფილებინა საზოგადოების მუდმივად მზარდი მოთხოვნები. წარმოების მიზიდულობის ძალა, მისი გადამწყვეტი გავლენა მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებაზე მკაფიოდაა გამოსახული ახალი და უახლესი ისტორიის მანძილზე, როდესაც სამრეწველო განვითარების შედეგად წარმოქმნილ სოციალ-ეკონომიკურ ვითარებაში მოსახლეობამ უდიდესი რაოდენობით მოიყარა თავი ქალაქებში. მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ იმისა, თუ რა სისწრაფით იზრდება ქალაქები არა მარტო კარგად ათვისებულ რაიონებში, არამედ ისეთ ადგილებშიც, სადაც ცხოვრების ბუნებრივი პირობები არც ისე ხელსაყრელია. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენით ადამიანი ზოგჯერ უგულებელყოფს კომფორტულ გეოგრაფიულ გარემოს და გადადის შედარებით მკაცრი ბუნების მქონე დასახლებაში.

ერთი სოციალ-ეკონომიკური წყობიდან მეორე, უფრო პროგრესულ წყობაზე გადასვლა ხელს უწყობდა მოსახლეობის სიმჭიდრო-

---

1 В. В. Покшишевский. География населения зарубежных стран. «Просвещение», М., 1971, стр. 97.

ვის ზრდას, რადგან ბევრად სრულყოფილი ხდებოდა წარმოების ხასიათი. მიწათმოქმედების პირველდაწყებითი, ყველაზე პრიმიტიული ფორმა მრავალჯერ ნაკლებ პროდუქციას იძლეოდა ფართობის ერთეულზე, ვიდრე თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო წარმოება. მიწათმოქმედების თანდათანობითი განვითარება შესაძლებელს ხდიდა სულ უფრო მეტი ადამიანებისათვის მიგვეღო სურსათი. ამის საფუძველზე მეცნიერებმა შექმნეს მოსახლეობის სიმჭიდროვის სქემა მეურნეობის ფორმების შესაბამისად - ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე: ფართოდაა ცნობილი ლევასერისა და რატცელის ასეთი სქემები. საბჭოთა დემოგრაფმა ბ. ურლანისმა შეიმუშავა ცალკე სქემა ევროპის კაპიტალიზმამდელი მეურნეობის პირობებში მოსახლეობის სიმჭიდროვის ცვალებადობისა.

დასავლეთის მეცნიერულ წრეებში იყო იმის ცდები, რომ მოსახლეობის სიმჭიდროვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭებინათ საზოგადოებრივ განვითარებაში. თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობის სიმჭიდროვის ანალიზი არ ადასტურებს ამ მოსაზრებას. ასე მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები ბევრად სუსტადაა დასახლებული, ვიდრე სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნები, მაგრამ პირველი მაღალგანვითარებული კაპიტალისტური ქვეყანაა, მეორენი კი ბევრად ჩამორჩებიან მას საწარმოო ძალების განვითარების მიღწეული დონით.

თუ შორეულ წარსულში მოსახლეობის სიმჭიდროვეს გარკვეული კავშირი ჰქონდა კვების პროდუქტების რესურსებთან, დღევანდელ ვითარებაში ეს მაჩვენებელი ბევრად უფრო რთულ სოციალ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფაქტორებს უკავშირდება. მეტად მნიშვნელოვანია თუნდაც ის ფაქტი, რომ „დემოგრაფიული აფეთქების" შედეგად ჩვენს ეპოქაში, სულ რაღაც 35 წლის მანძილზე მსოფლიოს მოსახლეობის სიმჭიდროვე ორჯერ გადიდდა. აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში ასეთ გაორკეცებას უფრო ნაკლები დროც დაჭირდა. იგივე ლევასერი და ზოგი სხვა მეცნიერი ამტკიცებდა, რომ ტერიტორიას აქვს თავისი „ტევადობა", რომ გარკვეულ ფართზე მოსახლეობის მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა შეიძლება ცხოვრობდეს. უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი „ტევადობა" მეტად ცვალებადი სიდიდეა და დამოკიდებულია არა იმდენად ტერიტორიის ბუნებრივ მონაცემებზე, რამდენადაც საწარმოო ძალების განვითარების დონეზე და თვით მცხოვრებთა მოთხოვნილებებზე, იმ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე, რომლებიც ყალიბდება კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში. მაგალითად, დაახლოებით ერთნაირია მოსახლეობის სიმჭიდროვე ინგლისსა და ინდონეზიაში, მაგრამ სხვადასხვაგვარია

ამ ქვეყნებში ცხოვრების დონე, ამავე დროს სრულიად განსხვავებული სიმჭიდროვის ქვეყნები საკმაოდ ახლოს არიან ერთმანეთთან ცხოვრების დონით.

საინტერესოა ამ მხრივ ის გარემოებაც, რომ ტერიტორიის „ტევადობა" ყოველთვის არაა პირდაპირ კავშირში რეალურად არსებულ მოსახლეობის სიმჭიდროვესთან. ამის საუკეთესო მაგალითია ინდუსტრიულად დაწინაურებული ქვეყნები, სადაც სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციამ მაღალ დონეს მიაღწია და ფართობის ერთეულზე გაიზარდა აღებული სურსათის ოდენობა. ასე რომ, იმავე ფართობზე ბევრად მეტმა ადამიანმა შეიძლება იცხოვროს და მოიპოვოს თავისთვის საჭირო სურსათი, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, გაიზარდა ტერიტორიის „ტევადობა". სინამდვილეში მეურნეობის ინტენსიფიკაციას თან მოჰყვა სოფლის მოსახლეობის შემცირება, რადგან ტექნიკურმა პროგრესმა გამოანთავისუფლა დიდი რაოდენობით მუშახელი სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან. ამის გამო ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში კი არ იზრდება სოფლის მოსახლეობა, არამედ მცირდება კიდეც — ჭარბი მუშახელი გადადის ქალაქებში, სადაც სისტემატურად ფართოვდება შრომის გამოყენების სფერო. ამრიგად, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგად სოფელს შეუძლია „დაიტიოს" მეტი მოსახლეობა, მაგრამ იმავე პროგრესის გავლენით მოსახლეობა ტოვებს სოფელს. აქედან ჩანს, თუ რამდენად რთული და მრავალფეროვანია კავშირი მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებასა და სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებს შორის. მკაფიოდაა გამოხატული შემდეგი კანონზომიერება: მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ს ი მ ჭ ი დ რ ო ვ ე პ ი რ დ ა-პ ი რ კ ა ვ შ ი რ შ ი ა შ რ ო მ ი ს გამოყენების სფეროსთან. ასეთ კავშირს ის გარემოება ადევს საფუძვლად, რომ შ რ ო მ ა ა რ ი ს ა დ ა-მ ი ა ნ ი ს ა რ ს ებ ო ბ ი ს მ თ ა ვ ა რ ი ს ა წ ყ ი ს ი. ადამიანი ცდილობს, რაც შეიძლება ნაყოფიერი გახადოს თავისი შრომა და ასეთი მისწრაფებისას საცხოვრებელ ადგილსაც შესაბამისად ირჩევს, რა თქმა უნდა, თუ სხვა გარემოებათა გამო არ არის შეზღუდული თავისი სურვილის განხორციელებაში (მაგალითად, ბატონყმობის პირობებში ყმას არ შეეძლო თავისი სურვილით აერჩია საცხოვრებელი ადგილი).

თუმცა მოსახლეობის სიმჭიდროვეზე წარმოდგენას გვაძლევს მცხოვრებთა რაოდენობა ტერიტორიის გარკვეულ ფართზე, მაგრამ ეს სტატისტიკური მონაცემი სრულად ვერ ასახავს ცნების შინაარსს, რადგან რეალური სიმჭიდროვე ტერიტორიის ათვისებასაც უკავშირდება ვარკვეული გაგებით. კერძოდ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შიგაკავშირების განვითარებას. კ. მარქსი წერდა: „მოსახლეობის სიმჭიდროვე პირობითი რამ არის. შედარებით სუსტად დასახლებული

ქვეყანა, მაგრამ მიმოსვლის განვითარებული საშუალებებით უფრო მჭიდრო მოსახლეობის მქონეა, ვიდრე უკეთ დასახლებული ქვეყანა მიმოსვლის განუვითარებელი საშუალებებით"[2].

მოსახლეობის სიმჭიდროვის სტატისტიკური მაჩვენებლის პირობითობა იქიდანაც ჩანს, რომ იგი იცვლება იმის მიხედვით, თუ რა ფართობზე ხდება სიმჭიდროვის გამოთვლა. მსოფლიოს მრავალ რეგიონში არის დასახლებისათვის უვარგისი ტერიტორიები, სადაც მოსახლეობა არ ცხოვრობს, მაგრამ ეს ფართობები არ გამოგვითიშავს ჩვენი პლანეტის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვის გამოთვლის დროს. უფრო რეალური იქნებოდა სიმჭიდროვის გამოთვლა დასახლებულ ტერიტორიებზე, ანუ იმ მიწებზე, რომლებსაც ადამიანი იყენებს თავის ყოველდღიურ საქმიანობაში. მაგრამ აქ უკვე აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა სახის მიწები შეიძლება მიეკუთვნოს დასახლებულ ტერიტორიებს. უნდა აღინიშნოს, რომ ერთნაირი აზრი მეცნიერებაში არ არსებობს ამ საკითხზე. სადაო არ არის ის გარემოება, რომ არიდული კლიმატის მქონე უდაბნოები, ან მაღალმთიანი, მუდმივი თოვლითა და ყინულით დაფარული ტერიტორიები არ მიეკუთვნება დასახლებულ მიწებს. ბევრი თვლის, რომ ტყის ვრცელი მასივები, ეპიზოდურად ან სეზონურად გამოყენებული საძოვრები, სადაც არ არის დასახლებული პუნქტები ასევე არ უნდა მივაკუთვნოთ დასახლებულ ტერიტორიებს. პროფ. ვ. პოკშიშევსკი კი იმ აზრისაა, რომ ასეთი მიწები დასახლებულად შეიძლება ჩაითვალოს[3]. უფრო სწორად მიგვაჩნია დასახლებულად ჩავთვალოთ ის ფართობები, რომლებსაც ადამიანი აქტიურად და სისტემატურად იყენებს სამეურნეო საქმიანობაში, ანუ ის მიწები, რომლებიც საწარმოო ძალების მიღწეული დონის ვითარებაში ვარგისია დასახლებისა და მეურნეობრივი საქმიანობისათვის[4].

გარკვეულ ინტერესს შეადგენს სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვის გამოთვლა სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ან დამუშავებისათვის ვარგის ფართობებზე. ასეთი სიმჭიდროვე გვიჩვენებს, თუ რამდენადაა ესა თუ ის ტერიტორია „დატვირთული" ან რამდენადაა უზრუნველყოფილი ვარგისი მიწებით სოფლის მოსახლეობა ამა თუ იმ რეგიონში, ცალკე აღებულ ქვეყანაში ან მის ნაწილებში. სოფლის მოსახლეობის გამოყოფა სიმჭიდროვის განსაზღვრისას, ჯერ ერთი, იმითაა განპი-

---

[2] К. Маркс, Ф. Энгельс. Сочинения, том. 23, стр. 365.

[3] В. В. Покшишевский. География населения зарубежных стран. М., 1971, стр. 96.

[4] უფრო დეტალურად ამ საკითხზე იხ. В. Ш. Джаошвили. Население Грузии. Экономико-географическое исследование. «Мецниереба», Тбилиси, 1968, стр. 143—155.

რობებული, რომ დასახლებული მიწებით უშუალოდ სოფლად მცხოვრებლები სარგებლობენ და, მეორეც, არსებითი კორექტივები შეაქვთ სიმჭიდროვეში ქალაქებს, განსაკუთრებით დიდ ქალაქებს. თუ რომელიმე ქვეყნის შიგნით, მის ცალკეულ ნაწილებში ესაზღვრავთ მოსახლეობის სიმჭიდროვეს, ბევრად მაღალი გამოვა ეს მაჩვენებელი იმ რეგიონებში, სადაც მნიშვნელოვანი ქალაქებია განლაგებული. სიმჭიდროვის ყველა აღნიშნული სახეობანი ამა თუ იმ მიახლოებით წარმოდგენას გვაძლევს მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებაზე, გვიჩვენებენ ქვეყნის დასახლებულობის დონეს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა სიმჭიდროვის კარტოგრაფიული გამოსახვა. მაგალითად, მსოფლიოს მოსახლეობის სიმჭიდროვის ფერადი რუკა, რომელზედაც მაღალი სიმჭიდროვის მქონე რეგიონები მუქი საღებავითაა აღნიშნული, თვალის ერთი გადავლებით გვიქმნის წარმოდგენას ჩვენი პლანეტის დასახლებულობაზე. უფრო მსხვილმასშტაბიანი რუკები კი შედარებით დეტალურად ასახავენ განსახლების თავისებურებებს, გვიჩვენებენ მოსახლეობის სიმჭიდროვის რეგიონალურ სხვაობებს.

დედამიწის მოსახლეობის ტერიტორიული განლაგების ძირითადი ნიშნები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსოფლიოს მოსახლეობა მეტად არათანაბრადაა განლაგებული. დედამიწის მოსახლეობის სიმჭიდროვის რუკას თუ გადავხედავთ, შეიძლება გამოიყოს მოსახლეობის თავმოყრის მრავალი რეგიონი. ერთ-ერთი ასეთი უდიდესი და მჭიდროდ დასახლებული რეგიონია აღმოსავლეთი, სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია. მას მიეკუთვნება ინდოსტანის ნახევარკუნძული, ჩინეთის აღმოსავლეთი ნაწილი, კორეა, იაპონიის კუნძულები, ინდოჩინეთის ნახევარკუნძულისა და მალაის არქიპელაგის მნიშვნელოვანი ტერიტორიები. აქ საშუალო სიმჭიდროვე 200 კაცზე მეტია ერთ კმ²-ზე და ზოგ ადგილებში 500—800 კაცსაც კი აღწევს. მთლიანად ამ რეგიონში ცხოვრობს დაახლოებით 2,3 მლრდ კაცი ანუ მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი. მეორე მნიშვნელოვანი რეგიონია ევროპა მისი ჩრდილოეთ ნაწილის გამოკლებით. აქ შედის დასავლეთ და სამხრეთ ევროპის ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები, ევროპის სოციალისტური სახელმწიფოები, საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილი (ჩრდილოეთის გამოკლებით) კავკასიითურთ. საშუალო სიმჭიდროვე 100—150 კაცია და ზოგ ადგილებში 400—500 კაცს შეადგენს. რეგიონში ცხოვრობს დაახლოებით 664 მლნ. კაცი ანუ მსოფლიოს მოსახლეობის 15%-ზე მეტი. მესამე რეგიონს ქმნის ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და კანადის სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონები — ატლანტის ოკეანესა და დიდ ტბებს შო-

რის. ეს რეგიონი ბევრად ჩამორჩება ორ პირველ რეგიონს მოსახლეობის რაოდენობით (დაახლოებით 160 ძლნ. კაცი), ბაგრამ სიმჭიდროვე 100—150 კაცს შეადგენს. თუ ორი პირველი რეგიონი განსახლების უძველეს კერებს წარმოადგენენ, ესსამე რეგიონი უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა და უპირატესად მრეწველობის განვითარების შედეგად მიიზიდა მოსახლეობა ძირითადად ევროპიდან, ნაწილობრივ — აფრიკიდან.

გარდა განსახლების აღნიშნული ძირითადი რეგიონებისა, მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვეა შედარებით მცირე ტერიტორიებზე ამერიკის, აფრიკის, აზიისა და ოკეანიის ბევრ რაიონში. ასე მაგალითად, მაღალი სიმჭიდროვით გამოირჩევა ცენტრალური ამერიკის ზოგიერთი პატარა ქვეყანა, მათ შორის კარიბის ზღვის აუზში, სამხრეთ სანაპიროს ცალკეული ნაწილები, წყნარი ოკეანის კუნძულები, აფრიკის ზოგიერთი რაიონი (მაგალითად, ნილოსის დელტა, ნიგერია), ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო და სხვ. მსოფლიოს ბევრ მხარეში გვხვდება ეგრეთ წოდებული ოაზისები, რომლებსაც არ უკავიათ დიდი ტერიტორიები, მაგრამ მეტად მჭიდროდ არიან დასახლებული. როგორც წესი, ოაზისები გარშემორტყმული არიან დაუსახლებელი არიდული ტერიტორიებით — უდაბნოებითა და ნახევრადუდაბნოებით. ისინი გვხვდებიან შუა აზიაში, აფრიკაში, არაბეთის ნახევარკუნძულზე და რიგ სხვა ადგილებში.

დედამიწის ხმელეთის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე. ასეთ ადგილებში ერთ კმ²-ზე მოდის 25—50 მცხოვრები. ამ რეგიონებს განეკუთვნება სამხრეთ-დასავლეთი აზია, ამერიკის კონტინენტის უმეტესი ნაწილი, ევროპის ჩრდილოეთი რაიონები, აფრიკისა და ავსტრალიის მნიშვნელოვანი ტერიტორიები. აღსანიშნავია, რომ ოიკუმენის დაახლოებით ნახევარი სუსტადაა დასახლებული; მოსახლეობის სიმჭიდროვე აქ არ შეადგენს 5—6 მცხოვრებზე მეტს 1 კმ²-ზე. სუსტად დასახლებული ტერიტორიები ხშირად ესაზღვრებიან სრულიად დაუსახლებელ ვრცელ ფართობებს. ასეთი რეგიონებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანის მოსაზღვრე ევრაზიისა და ამერიკის ტერიტორიები — ჩრდილოეთ ციმბირი, ალასკა, კანადის არქტიკული არქიპელაგი, შპიცბერგენის კუნძულები, ახალი მიწა, ტაიმირის ნახევარკუნძული, წყნარი ოკეანის ჩრდილოეთში მდებარე კუნძულები და სხვ.; სუსტადაა დასახლებული ამაზონია, ავსტრალიის მეტი ნაწილი. სრულიად დაუსახლებელია უდაბნოები აფრიკაში, აზიასა და ავსტრალიაში.

ᲔᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲭᲘᲓᲠᲝᲕᲔ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲜ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ 1970 ᲬᲚᲘᲡ

ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ	ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ (ᲛᲚᲜ. ᲙᲛ²)	ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ (ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲝᲑᲘᲗ)	ᲡᲘᲛᲭᲘᲓᲠᲝᲕᲔ (ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ 1 ᲙᲛ²)
ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ	135,8	4336,0	32
ᲔᲕᲠᲝᲠᲐ	10,5	675,0	64
ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲪᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ	5,571	194,192	35
ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲘ	0,041	14,030	342
ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ	0,549	53,499	97
ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲐ	0,387	4,070	10,5
ᲐᲖᲘᲐ	44,4	2579,0	58
ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲖᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ	16,831	70,294	4,2
ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ	3,288	650,980	198
ᲩᲘᲜᲔᲗᲘ	9,561	970,920	101
ᲑᲐᲜᲒᲚᲐᲓᲔᲨᲘ	0,144	85,650	595
ᲐᲤᲠᲘᲙᲐ	30,3	456,0	15
ᲜᲘ�გᲔᲠᲘᲐ	0,924	72,220	78
ᲐᲚᲟᲘᲠᲘ	2,382	19,130	8,0
ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔ	1,001	40,980	41
ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ	42,1	603,0	14
ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ: ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ	24,3	364,0	15
ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ	17,8	239,0	13
ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ .	9,363	220,200	23
ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ	1,973	69,380	35
ᲙᲣᲑᲐ	0,111	9,801	88
ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ, ᲝᲙᲔᲐᲜᲔᲗᲘ . .	8,5	23,0	2,7
ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ	7,687	14,420	1,9

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲮᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲜᲡ, ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲭᲘᲓᲠᲝᲕᲔ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲓᲘᲓ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲠᲮᲔᲕᲐᲓᲝᲑᲡ. ᲗᲣ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲨᲔᲕᲐᲓᲐᲠᲔᲑᲗ, ᲐᲚᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲕᲠᲝᲠᲐ ᲓᲐ ᲐᲖᲘᲐ ᲝᲗᲮᲯᲔᲠ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲭᲘᲓᲠᲝᲓᲐᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ, ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ ᲙᲘ ᲐᲛ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲔᲠ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲑᲐ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲔᲑᲡ. ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲐᲥ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲔᲜᲘᲭᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲣᲡᲢᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲔᲑᲖᲔ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ ᲣᲙᲐᲕᲘᲐᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲕᲐᲠᲒᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲡ. ᲔᲡᲐᲐ ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲔᲑᲘ, ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓᲣᲓᲐᲑᲜᲝᲔᲑᲘ, ᲐᲠᲥᲢᲘᲙᲣᲚ ᲡᲐᲠᲢᲧᲔᲚᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲘ, ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲮᲛᲔᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ. ᲘᲛᲘᲡ �გᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲑᲔᲕᲠ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲣᲕᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲘᲬᲔᲑᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ ᲣᲙᲐᲕᲘᲐᲗ, ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲖᲔ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲭᲘᲓᲠᲝᲕᲔ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲗᲔᲚ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲒᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲭᲘᲓᲠᲝᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲐᲒᲐ-

ლითია ე გ ვ ი პ ტ ე, სადაც საშუალო სიმჭიდროვე 41 კაცს შეადგენს, მაგრამ იმის შედეგად, რომ დასახლებული ფართობები არ აღემატება 36 ათას კმ²-ს, მოსახლეობის სიმჭიდროვე ამ ფართობზე მეტად მაღალია და შეადგენს 1100 კაცს 1 კმ²-ზე. აქ მხოლოდ ვიწრო ზოლია დასახლებული ნილოსის ორივე ნაპირის გასწვრივ და მდინარის დელტა, ტერიტორიის უდიდესი ნაწილი კი წარმოადგენს უდაბნოს. ბევრ რეგიონში მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე განპირობებულია ქალაქების ხშირი ქსელით. პირველ რიგში ეს შეეხება კარგად განვითარებული ქალაქების კონცენტრაციას შედარებით მცირე ტერიტორიებზე. ასეთი მაგალითები ბევრია ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რაიონში. მაგრამ არის ისეთი რეგიონებიც, სადაც მეტად მაღალია სიმჭიდროვე სოფელ ადგილებშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნები — ინდოეთი, ბანგლადეში, ინდოჩინეთი.

იმის შესაბამისად, თუ რა შეთანაწყობაში არიან დასახლებისათვის ვარგისი და უვარგისი ფართობები და როგორ მონაცვლეობენ ასეთი მიწები გარკვეული რეგიონის ან სახელმწიფოს ფარგლებში, მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება შეიძლება იყოს თანაბარი, ნაკლებად თანაბარი, არათანაბარი და მკვეთრად არათანაბარი. სხვა კონტინენტებთან შედარებით უფრო თანაბრადაა დასახლებული ევროპა, სადაც უვარგისი მიწების (უპირატესად დასახლებისათვის გამოუყენებელი მთები) ხვედრითი ფართობი მთელი ტერიტორიის მიმართ არ არის მაღალი, თუმცა მოსახლეობის სიმჭიდროვე აქაც საკმაოდ დიდ ფარგლებში რხევადობს. მეტად თუ ნაკლებად თანაბარი დასახლებით გამოირჩევიან ისეთი ქვეყნები, სადაც რელიეფი და კლიმატი არ იცვლება დიდ ფარგლებში. უმეტეს შემთხვევაში ასეთ ქვეყნებს ეკუთვნიან ზომიერ სარტყელში მდებარე პატარა სახელმწიფოები (მაგალითად, ბელგია, ჰოლანდია, დანია და სხვ.) უნდა შევნიშნოთ, რომ გარკვეული პირობითობა არსებობს ტერიტორიის დაყოფაში „ვარგის“ და „უვარგის“ მიწებად. ასეთი დაყოფა ყოველთვის შეესაბამება საწარმოო ძალების განვითარების მიღწეულ დონეს, რადგან არ არსებობს აბსოლუტურად უვარგისი მიწები; ტექნიკის მაღალ საფეხურზე დაბრკოლებანი შეიძლება გადაილახოს და დღეს უვარგისად აღიარებულ ტერიტორიაზე მომავალში დასახლდეს ადამიანი.

გარკვეული კავშირი არსებობს მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებასა და ბუნებრივი პირობების ვერტიკალურ ზონალობას შორის. მთიან მხარეებში ზღვის დონიდან სიმაღლის მატებასთან ერთად, როგორც წესი, იზრდება ფერდობების დახრილობა, მცირდება დღეღამის საშუალო ტემპერატურა. ამასთან დაკავშირებით უმეტეს შემთხვევაში 500 მ ზემოთ თანდათან უარესდება ცხოვრების პირობები

და საკმაოდ სწრაფად კლებულობს მცხოვრებთა აბსოლუტური და ფარდობითი რაოდენობა. ყველაზე მეტად დასახლებისათვის გამოყენებულია დაბლობი ზონა 200 მ სიმაღლემდე. პოლონელი გეოგრაფის ე. სტაშევსკის[5] გამოთვლით 1950-იანი წლების დასაწყისში აღნიშნულ სიმაღლემდე ცხოვრობდა მსოფლიოს მოსახლეობის 56,2%. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე ამ ზონის მოსახლეობა უფრო სწრაფად იმატებდა, ამჟამად 200 მ სიმაღლემდე მცხოვრებთა ხვედრითი წონა მსოფლიოს მოსახლეობაში არ იქნება 60%-ზე ნაკლები. მოსახლეობის დაახლოებით 25% თავმოყრილია 200—500 მ სიმაღლის ზონაში და მხოლოდ 15% ცხოვრობს 500 მეტრზე მაღლა. მსოფლიოს მოსახლეობის ასეთი განლაგება იმით აიხსნება, რომ დაბლობ ადგილებში ჭარბობს ვაკე რელიეფი და ამასთან დაკავშირებით მეტია საცხოვრებლად და სამეურნეო მიზნებისათვის გამოსაყენებელი მიწები. მსოფლიოს მოსახლეობის არათანაბარი განლაგების ნათელ სურათს ქმნიან შემდეგი მონაცემები: დედამიწის ხმელეთის საერთო ფართობის დაახლოებით 7%-ზე ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 70%[6]. მუდმივი დასახლებული პუნქტები ვრცელდება ჩრდილოეთი განედის 78°-მდე და სამხრეთი განედის 54°-მდე. ეერტიკალურად დასახლება ყველაზე მაღალ ზღვარს აღწევს ტროპიკულ ზონაში; ზოგიერთი სოფელი პერუში, ტიბეტში 5000 მ მაღლაა განლაგებული, ხოლო ახლო აღმოსავლეთში „მკვდარი ზღვის" პირას დასახლებანი მდებარეობენ ზღვის დონეზე 350 მეტრით დაბლა.

მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ზღვები, ოკეანეები, მდინარეები — უმთავრესად თავისი სატრანსპორტო დანიშნულების გამო. უძველესი დროიდან ადამიანი სარგებლობს წყლის ტრანსპორტით და რაც უფრო სრულყოფილი ხდებოდა წყალზე მიმოსვლის საშუალებანი, მით უფრო მეტი დასახლებანი ჩნდებოდა ზღვების და მდინარეების ნაპირებზე. დედამიწის ყველა კონტინენტზე ბევრი მსხვილი ნავსადგური გადაიქცა კარგად განვითარებულ ქალაქად. მიუხედავად იმისა, რომ დასახლებანი კონტინენტების სიღრმეშიაც დიდ მანძილზეა შეჭრილი, მსოფლიოს მოსახლეობის მეტი ნაწილი ცხოვრობს ოკეანეებისა და ზღვების ნაპირებიდან არა უმეტესი 200 კმ მანძილზე[7]. უკანასკნელი ათეული წლების

---

[5] Josef Staszewski. Vertical distribution of world population, Polish Academy of Sciensces, Jnstitute of Geographical Studies № 14, Warszawa, 1957.

[6] Народонаселение стран мира. Справочник. М., 1974, стр. 376.

[7] Josef Staszewski. Die Verbreitung der Beyölkerung nach dem Abstand vom Meer. Polska Akademia Nauk. Jnstytut Geografii, Prace Geograficzne №28, Warszawa, 1961.

ანმავლობაში ქვეყნებს შორის ეკონომიკური და კულტურული კავშირის გაძლიერებამ კიდევ უფრო გაზარდა ზღვის სანაპიროებზე მდებარე პუნქტების მიზიდულობის ძალა. ასევე ხელი შეუწყო მოსახლეობის მიზიდვას სანაპირო ზოლის რეკრეაციულმა დანიშნულებამ. ერთ-ერთი დადებითი ფაქტორი სანაპირო ზოლის უკეთ ათვისებისა. იმაში მდგომარეობს, რომ რელიეფი აქ ბევრად უფრო ვარგისია დასახლებისათვის.

მსოფლიოს მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მიმდინარე საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარმა დემოგრაფიულმა პროცესებმა. კერძოდ, დიდად გაიზარდა მოსახლეობის სიმჭიდროვე აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის განსახლების იმ არეალებში, სადაც თავმოყრილია დედამიწის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი და მაღალია ბუნებრივი მატება. ამის შედეგად კიდევ უფრო გაძლიერდა მოსახლეობის არათანაბარი განლაგება ჩვენს პლანეტაზე.

სსრ კავშირის მოსახლეობის სიმჭიდროვე და ტერიტორიული განლაგება

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე სსრ კავშირში შეადგენს (1979 წ.) 11,8 კაცს/კმ². ცხადია საშუალო სიმჭიდროვეს ბევრად ამცირებს მეურნეობისა და დასახლებისათვის თითქმის გამოუყენებელი ვრცელი ტერიტორიები ჩვენი ქვეყნის უკიდურეს ჩრდილოეთში, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, ყაზახეთსა და შუა აზიაში, ნაწილობრივ — კავკასიაშიც. კლიმატური პირობები და რიგ ადგილას მაღალმთიანი რელიეფი ხელს არ უწყობს ადამიანის დასახლებას აღნიშნულ რეგიონებში. ტერიტორიის მეტ ნაწილზე არსებული არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო შედარებით დაბალია სასოფლო-სამეურნეო მიწების ხვედრითი წონა. ასეთ მიწებზე მოდის ქვეყნის მთელი ფართობის მხოლოდ 24,8%, დამუშავებისათვის ვარგის მიწებზე კი 10,4%. სოფლის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე სსრ კავშირის ერთ კვ. კმ ტერიტორიაზე შეადგენს 4,4-ს, სასოფლო-სამეურნეო ფართობებზე — 18 და დამუშავებულ მიწებზე — 42,7. სიმჭიდროვის ყველა ეს მაჩვენებელი განპირობებულია ბუნებრივი გარემოს მრავალფეროვნებით, ტერიტორიის ათვისების ისტორიული პირობებით და საწარმოო ძალების განვითარების რიგი თავისებურებით. ამავე ფაქტორების გავლენით ჩამოყალიბდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის განლაგების სხვა ძირითადი ნიშნები. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს გ ა ნ ლ ა გ ე ბ ი ს ა რ ა თ ა ნ ა ბ რ ო ბ ა და ამის შესაბამისად უ დ ი დ ე ს ი ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ ი ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ნ ი მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა ს ი მ ჭ ი დ რ ო ვ ე ში სსრ კავშირში არის რეგი-

ონები, სადაც ერთ კვ. კმ-ზე ცხოვრობს რამდენიმე ასეული ადამიანი და ისეთი ვრცელი ტერიტორიები, რომლებიც სრულიად დაუსახლებელია ან მეტად სუსტადაა ათვისებული.

სსრ კავშირის მოსახლეობის ტერიტორიული განლაგების სხვადასხვა ასპექტი განხილულია ვ. ვ. პოკშიშევსკის, ო. ა. კონსტანტინოვის, ს. ა. კოვალიოვის, ნ. ი. ლიალიკოვის, ვ. გ. დავიდოვიჩის და სხვათა შრომებში. მკვლევრები გამოყოფენ განსახლების არეალებს, იხილავენ სიმჭიდროვეს რეგიონების მიხედვით და ამ მაჩვენებლის კავშირს წარმოების განვითარებასთან. თითქმის ყველა მკვლევარი გამოჰყოფს ეგრეთ წოდებულ **განსახლების მთავარ ზოლს**, რომლის ფუძე მერიდიანული მიმართულებისაა, ემთხვევა სსრ კავშირის დასავლეთ საზღვარს და გრძელდება ქ. ლენინგრადიდან შავი ზღვის ნაპირამდე. ზოლი აღმოსავლეთით თანდათან ეიწროვდება, მოიცავს ქვეყნის ევროპული ნაწილის უმეტეს ფართობს, ცენტრალურ და სამხრეთ ურალს, ციმბირის ფარგლებში მიუყვება რკინიგზის მთავარ მაგისტრალს და მთავრდება შორეულ აღმოსავლეთში ქ. ვლადივოსტოკთან. 1926 წელს განსახლების მთავარ ზოლზე მოდიოდა ქვეყნის მოსახლეობის 4/5-ზე მეტი. მაგრამ იმის გამო, რომ ზოლის ფარგლებში 1960-იანი წლების დასაწყისიდან საკმაოდ შენელდა მოსახლეობის მატების ტემპი და უფრო სწრაფად იზრდებოდა მცხოვრებთა რიცხვი ქვეყნის სამხრეთ და ჩრდილოეთ რაიონებში, 1979 წლისათვის მისი ხვედრითი წონა 70%-მდე შემცირდა. განსახლების მთავარი ზოლის სიგანე ფუძესთან დაახლოებით 1700 კმ შეადგენს, ურალის მერიდიანზე — 600 კმ, ხოლო აღმოსავლეთით ბევრად უფრო ვიწროა. ციმბირის ფარგლებში ზოლი ალაგ-ალაგ იჭრება სოლისმაგვარად სამხრეთით და ჩრდილოეთით (ალტაის მხარე, კუზბასი, ანგარის შუა დინების და ამურის ქვემო დინების რაიონები). ბაიკალ-ამურის რკინიგზის მშენებლობის დამთავრება და ციმბირის მდიდარი ბუნებრივი რესურსების ათვისება მომავალში გამოიწვევს განსახლების მთავარი ზოლის აღმოსავლეთი ნონაკვეთის შესამჩნევ გაფართოებას.

ვ. ვ. პოკშიშევსკი შემდეგნაირად განსაზღვრავს განსახლების მთავარი ზოლის დასავლეთი მონაკვეთის საზღვრებს. ჩრდილოეთით საზღვარი გადის ქალაქებზე: ლენინგრადი—ჩერეპოვეცი—ვოლოგდა—კიროვი—პერმი—სვერდლოვსკი; სამხრეთით კი ქალაქებზე: ოდესა—ხერსონი—ჟდანოვი—როსტოვი—სარატოვი—კუიბიშევი—უფა. როგორც ვხედავთ, რუსეთის ფედერაციის მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად განსახლების მთავარი ზოლი მთლიანად მოიცავს უკრაინას, ბელორუსიას, მოლდავეთს და ბალტიისპირა რესპუბლიკებს. ქვეყნის ეს რეგიონები კარგადაა მეურნეობრივად ათვისებული; აქ მდებარეობს უმნიშვნელოვანესი სამრეწველო რაიონები და უდიდესი ქალაქე-



ნახ. 10. სსრ კავშირის მოსახლეობის სიმჭიდროვე.

ბი. ამ გარემოებამ განაპირობა მოსახლეობის საკმაოდ მაღალი სიმჭიდროვე. საშუალო სიმჭიდროვე განსახლების მთავარი ზოლის დასავლეთ ნაწილში (ურალის ჩათვლით) შეადგენს 46 მცხოვრებს ერთ კმ²-ზე; აღმოსავლეთით სიმჭიდროვე მკვეთრად ეცემა და არ აღემატება რამდენიმე კაცს ერთ კვ. კმ-ზე. მოსახლეობის 2/3 ზოლის ფარგლებში ქალაქად ცხოვრობს; ურბანიზებულობის დონე აქ ბევრად მაღალია, ვიდრე ქვეყნის სხვა ნაწილებში.

განსახლების მთავარი ზოლის დასავლეთი მონაკვეთის შიგნითაც მოსახლეობის სიმჭიდროვე არ არის თანაბარი. ყველაზე უფრო მაღალი სიმჭიდროვით გამოირჩევა უკრაინა, მოლდავეთი და ცენტრალური სამრეწველო რაიონი. ერთ კვ. კმ-ზე მოლდავეთში მოდის 117 მცხოვრები (მონაცემები 1979 წლისაა), უკრაინაში — 82, სამრეწველო ცენტრში — 103. ბელორუსიაში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, ვოლგისპირეთში და ჩრდილოეთ-დასავლეთ რაიონში (ლენინგრადის, ფსკოვის და ნოვგოროდის ოლქები ქ. ლენინგრადის ჩათვლით), სიმჭიდროვე დაახლოებით თანაბარია და შეადგენს 40—50 კაცს. რაც შეეხება ზოლის დანარჩენ რეგიონებს, ისინი შედარებით მეჩხერი დასახლებით გამოირჩევიან.

სსრ კავშირის მოსახლეობის 1/4-ზე მეტი ცხოვრობს განსახლების მთავარი ზოლის სამხრეთით—ყაზახეთში, შუა აზიაში, ქვემო ვოლგისპირეთში, კავკასიაში და ციმბირის სამხრეთ მთიან ნაწილში. ამ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე (დაახლოებით 5 მლნ. კმ²) მოსახლეობა არ ქმნის განსახლების ერთიან არეალს. აქ ძხოლოდ შედარებით მცირე სივრცეებია მჭიდროდ დასახლებული; ისინი ერთმანეთისაგან იზოლირებული არიან უდაბნოებით, ნახევრადუდაბნოებით და მთიანი სისტემებით, რომლებიც მოიცავენ ტერიტორიის მეტ ნაწილს და თითქმის მოკლებული არიან მუდმივ მოსახლეობას. ტერიტორიის არათანაბარი დასახლება მკვეთრადაა გამოსახული არიდული კლიმატის გავრცელების რაიონებში. მშრალი ჰაერის გამო შუა აზიასა და სამხრეთ ყაზახეთში დასახლებულია უპირატესად ის ადგილები, რომლებიც ხელოვნურად ირწყვის. ისინი წარმოადგენენ ოაზისებს და გამოირჩევიან მაღალი სიმჭიდროვით. ასეთ ადგილებში გავრცელებულია ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოება და ეს ხელს უწყობს სოფლის მცხოვრებთა მაღალი სიმჭიდროვის შექმნას. ისეთ ოაზისებში, როგორიცაა ფერგანის ველი, მურგაბი, ტეჯენი და სხვ. მოსახლეობის სიმჭიდროვე 300—400 კაცს შეადგენს; სწრაფად იზრდება აგრეთვე ქალაქები. ყაზახეთის ჩრდილოეთ ნაწილში ყამირი მიწების ათვისებამ ხელი შეუწყო მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდას. ამ რესპუბლიკის ცენტრალურ და აღმოსავლეთ რაიონებში შეიქმნა მნიშვნელოვანი

სამრეწველო კერები, წარმოიშვა ქალაქები, რის შედეგადაც გაჩნდა განსახლების ახალი არეალები.

საკმაოდ მაღალი სიმჭიდროვეა კავკასიის უმეტეს ნაწილში. ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ზოლი უძველესი დროიდან გამოირჩევა კარგი დასახლებით, ხოლო ყუბანისა და სტავროპოლის სტეპების აწინდელი მოსახლეობა ძირითადად XIX საუკუნის მანძილზე დამკვიდრდა ამ ადგილებში (ყუბანი ამჟამადაც იზიდავს მოსახლეობას სსრ კავშირის სხვა რაიონებიდან). მჭიდროდაა დასახლებული ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკა. კავკასიონის მთიანი სისტემისა და მცირე კავკასიონის მთების ფარგლებში დასახლება მეჩხერია, მაგრამ მთათაშორის მოქცეული ბარის რაიონები განსახლების უძველეს კერებს წარმოადგენენ და კარგად არიან ათვისებული. საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის მთელი მოსახლეობა (1979 წ.) შეადგენს 14, 7 მლნ. კაცს, საშუალო სიმჭიდროვე — 75, 6. ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული სომხეთი (101 კაცი 1 კვ. კმ-ზე), შემდეგ საქართველო (73, 4) და აზერბაიჯანი (69, 6).

განსახლების მთავარი ზოლის ჩრდილოეთით ბევრად უფრო მეტია დაუსახლებელი ტერიტორიები, ვიდრე ზოლის სამხრეთით. აქ შედის ციმბირისა და შორეულ აღმოსავლეთის უდიდესი ნაწილი მათი მოსაზღვრე კუნძულებით და ნახევარკუნძულებით, აგრეთვე სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ჩრდილოეთი. იგი იწყება ლენინგრადის ჩრდილოეთით ჩვენი ქვეყნის დასავლეთ საზღვართან და მთავრდება აღმოსავლეთით კამჩატკისა და ჩუკოტკის ნახევარკუნძულებით. მთელ ამ ვრცელ ტერიტორიაზე დასახლებათა ცალკეული იზოლირებული კერებია, რომლებიც შექმნილია უპირველესად სანავსადგურო ქალაქებისა და მოპოვებითი მრეწველობის ცენტრების ირგვლივ; რიგი ასეთი ქალაქი პოლარული წრის ჩრდილოეთითაა განლაგებული და მთლიანად სამრეწველო-სატრანსპორტო ფუნქციის ბაზაზეა განვითარებული (მურმანსკი, ნორილსკი, ვორკუტა და სხვ.). საშუალო სიმჭიდროვე აქ მეტად დაბალია და ერთ კაცსაც კი არ შეადგენს; მხოლოდ ზოგ ადგილას აღწევს 2—3 კაცს. ჩრდილოეთ რაიონებში საბჭოთა ხელისუფლების წლებში რამდენჯერმე გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა. ქვეყნის სხვა რაიონებიდან მოსახლეობის მიზიდვა მომავალშიც გაგრძელდება, რადგან სულ უფრო ფართო მასშტაბით წარმოებს მდიდარი წიაღისეული რესურსების ათვისება. ამ მხრივ აღსანიშნავია დასავლეთ ციმბირის ჩრდილოეთი ნაწილი, სადაც ნავთობისა და გაზის მსხვილი საბადოების ბაზაზე წარმოიქმნა ქალაქები (სურგუტი, ნიჟნევარტოვსკი, ნეფტეიუგანსკი და სხვ.), გაყვანილია რკინიგზა, ვითარდება წარმოების სხვა დარგები.

სსრ კავშირის მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებაში მომხდარი ცვლილებები 1926—1979 წლებში

	პროცენტობით მთელი მოსახლეობის მიმართ	
	1926 წლის ბოლოს[8]	1979 წლის დასაწყისში
განსახლების მთავარი ზოლი	82,0	70,0
მათ შორის: დასავლეთი მონაკვეთი	74,0	61,9
აღმოსავლეთი მონაკვეთი	8,0	8,1
მთავარი ზოლის სამხრეთით მდებარე ტერიტორია	17,0	27,1
მთავარი ზოლის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია	1,0	2,9
ს უ ლ	100,0	100,0

ცხრილიდან ჩანს, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე სსრ კავშირში ადგილი ჰქონდა მოსახლეობის ტერიტორიული განლაგების გათანაბრების ერთგვარ ტენდენციას: შემცირდა უფრო მჭიდროდ დასახლებული მთავარი ზოლის ხვედრითი წონა ქვეყნის მთელ მოსახლეობაში და გაიზარდა მოსახლეობის ფარდობითი რაოდენობა მის ჩრდილოეთით და, განსაკუთრებით, სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე, სადაც უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მეტად მაღალია მცხოვრებთა ბუნებრივი მატება. ამ ზოგად ტენდენციას უპირისპირდებოდა განსახლების მთავარი რეგიონების შიგნით მოსახლეობის არათანაბარი განაწილების გაძლიერება, კერძოდ, მცხოვრებთა რაოდენობა ბევრად დაჩქარებულად იმატებდა წარმოების თავმოყრის ადგილებში — იქ, სადაც მაღალი ტემპებით მიმდინარეობდა მრეწველობის განვითარება და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ნათელყოფს სოციალ-ეკონომიკური ფაქტორების გადამწყვეტ როლს მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებაში.

მოსახლეობის არათანაბარი ტერიტორიული განლაგება დამახასიათებელია საქართველოსათვისაც. ყველაზე სუსტადაა დასახლებული მისი ჩრდილოეთი მთიანი რაიონები, რომლებსაც უკავიათ რესპუბლიკის ტერიტორიის მესამედზე მეტი. საერთო ფართობით ამ რაიონებს

---

8 1926 წლის მონაცემები გამოთვლილია ვ. ე. პოკშიშევსკის მიერ (იხ. В. В. Покшишевский. География населения СССР. М., «Статистика», 1971, стр. 47.

რამდენადმე ჩამორჩება რესპუბლიკის სამხრეთ მთიანეთი, ‘ბაგრამ იგი შედარებით უკეთაა დასახლებული. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, დაახლოებით 87%, ცხოვრობს მთათაშორის ბარში, სადაც მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 150—200 კაცს შეადგენს ერთ კვ. კმ-ზე. მაღალი სიმჭიდროვის წარმოქმნა ბარის ზონაში შედეგია როგორც სოფლების ხშირი ქსელის არსებობისა, ისე საქალაქო დასახლებათა ძირითადი ნაწილის ამ ზონაში თავმოყრისა.

საქართველოს ჩრდილოეთ მთიან ზონაში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცხოვრობს მდინარეთა ვიწრო ხეობებში განლაგებულ სოფლებში. თუ მოსახლეობის სიმჭიდროვეს ამ მთიანი რაიონის მთელ ტერიტორიაზე გამოვითვლით, მაშინ, რა თქმა უნდა, იგი ყველაზე მეჩხერად დასახლებულად წარმოგვიდგება — საშუალო სიმჭიდროვე არ აღემატება 8—10 კაცს. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ტერიტორიის ძირითადი ნაწილი მთიან ზონაში, რთული რელიეფისა და მკაცრი ჰავის გამო, გამოუყენებელია დასახლებისათვის, ანიტომ უფრო მართებულია სიმჭიდროვის გამოთვლა დასახლებულ ტერიტორიაზე. მაშინ მთის რაიონები უფრო მჭიდროდ დასახლებულებიც კი აღმოჩნდებიან, ვიდრე ბარის რაიონები. ასეთი შედეგი სავსებით კანონზომიერია, რადგან მეტად მცირეა ჩრდილოეთ მთიან ზონაში იმ მიწების ხვედრითი წონა, რომელთა გამოყენება შეიძლება დასახლებისა და ინტენსიური სამეურნეო საქმიანობისათვის. ამ მხრივ ბევრად უკეთესი ბუნებრივი პირობებია სამხრეთ საქართველოს მთიანეთში, სადაც მდინარეთა ვიწრო ხეობებთან ერთად შედარებით ვრცელი ტერიტორიები უკავიათ მთის პლატოებსა და ქვაბულებს (ჯავახეთის პლატო, წალკა—დმანისის ზეგანი, ახალციხის ქვაბული და სხვ.), ‘ამიტომ აქ ბევრად მეტია სასარგებლო მიწები და შესაბამისად უფრო მაღალია მოსახლეობის სიმჭიდროვე, აღწევს რა საშუალოდ 35—40 კაცს ერთ კვ. კმ-ზე. რაც შეეხება სიმჭიდროვეს დასახლებულ ტერიტორიაზე, ამ მაჩვენებლით სამხრეთ საქართველოს მთიანეთი ჩამორჩება ჩრდილოეთ მთიან ზონას, რადგან ეს რეგიონი ბევრად უკეთაა უზრუნველყოფილი დამუშავებისა და დასახლებისათვის ვარგისი მიწებით.

საქართველოს მთათაშორისი ბარი, მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით რომ გამოირჩევა, ამავე დროს წარმოადგენს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განსახლების მთავარ ზოლს; იგი გადაჭიმულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და თავისი ფუძით ებჯინება შავი ზღვის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაპირს. მთავარი ზოლის ფარგლებში დაუსახლებელია შედარებით მცირე ტერიტორია—კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული ნაწილი და ლიხის ქედის კალთები; შედარებით სუსტადაა დასახლებული ივრის ზეგნის უმეტესი ნაწი-



ნახ. 11. საქართველოს სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვე განსახლების ძირითად არეალებში.

ლი, რომლისათვისაც დამახასიათებელია მშრალი კლიმატი. მთათა-შორისი ბარი უძველესი დროიდან წარმოადგენს ქართველი ხალხის განსახლების მთავარ ტერიტორიას და თავისი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო სამეურნეო ცხოვრების ძირითად არეალს. მთელ სიგრძეზე მას ჰკვეთს სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები, აგრეთვე სხვა საკომუნიკაციო ხაზები, ხოლო მერიდიანული მიმართულების სატრანსპორტო ტრასებით უკავშირდება განსახლების ორივე მთიან ზონას. შავი ზღვის სანაპიროზე და მთავარი მაგისტრალების გასწვრივ განლაგებულია რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი ქალაქები და სამრეწველო-სატრანსპორტო ცენტრები, რომლებიც მოსახლეობის მიზიდულობის მნიშვნელოვან კერებსაც წარმოადგენენ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მცხოვრებთა ტერიტორიულ განლაგებაში არა თუ შეიმჩნევა გათანაბრების ტენდენცია, არამედ, პირიქით, მოსახლეობა სულ უფრო მეტი რაოდენობით იყრის თავს ბარის ზონაში. ორივე მთიანი ზონის მოსახლეობის თარდობითი რაოდენობა კი თანდათან მცირდება. ასე მაგალითად, 1959 წელს ბარის რაიონებში ცხოვრობდა მთელი მოსახლეობის 81,3%, სამხრეთ მთიან ზონაში — 10,2% და ჩრდილოეთ მთიან ზონაში — 8,5%[9]. 1979 წლისათვის კი შესაბამისი მონაცემები იყო 87%, 8% და 5%. ასეთი ცვლილებები შედეგია მთიდან ბარისაკენ მოსახლეობის მუდმივი გადანაცვლებისა.

რესპუბლიკის მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებაზე დიდ გავლენას ახდენს ბუნებრივი პირობების ცვალებადობა ვერტიკალური ზონების მიხედვით. ზღვის დონიდან სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება ტერიტორიის მთიანობა, მეურნეობისათვის ნაკლებად ხელსაყრელი ხდება ტემპერატურული რეჟიმი, რის შედეგადაც 600—800 მ ზემოთ საკმაოდ სწრაფად მცირდება დასახლების სიხშირე. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სამხრეთ საქართველოს მთის პლატოები და ქვაბულები, რომლებიც უკეთ არიან დასახლებული, ვიდრე მათზე უფრო დაბლა მდებარე მთის ვიწრო ხეობები. მუდმივი დასახლებული პუნქტები საქართველოში ვრცელდება ზღვის დონიდან 2400 მ სიმაღლემდე. ყველაზე მაღალი მდებარეობა აქვთ მდ. თერგის და მდ. ენგურის ზემო დინებათა ხეობებში მდებარე სოფლებს. თუ დასახლებული პუნქტების განლაგებას სიმაღლის მიხედვით 4 ძირითად ზონად დავყოფთ, მაშინ თითოეულ 600-მეტრიან ზონაში მოსახლეობა ასე განაწილდება: ზღვის დონიდან 600 მეტრამდე ცხოვრობს მთელი მოსახლეობის დაახლოებით 77%, 600—1200 მეტრამდე — 17%, 1200—1800 მეტრამდე — 5% და 1800—2400 მეტრამდე —

---

[9] В. Ш. Джаошвили. Население Грузии. Экономико-географическое исследование. Тбилиси, «Мецниереба», 1968, стр. 157.

1%. როგორც ვხედავთ, განსაკუთრებით მცირეა მცხოვრებთა რაოდენობა 1800 მ ზემოთ, რადგან ამ ზონაში მკაცრი კლიმატია და მეურნეობრივი საქმიანობის პირობები არახელსაყრელია. აღსანიშნავია, რომ მთიანი ზონის ბევრი წვრილი სოფელი უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში მთლიანად დაიცალა. საჭიროა გაძლიერდეს ყურადღება მთიანი რაიონების მეურნეობრივი განვითარებისადმი; მაქსიმალურად უნდა დაუახლოვდეს ერთმანეთს ცხოვრების პირობებით მოისა და ბარის რაიონები.

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე

განსახლების ზოგადი დახასიათება

განსახლება და დასახლებული პუნქტები

მოსახლეობის გეოგრაფიის საგნის განსაზღვრისას აღნიშნული იყო, რომ მეცნიერების ეს დარგი სხვა საკითხებთან ერთად შეისწავლის მოსახლეობის ტერიტორიულ ორგანიზაციას ანუ განსახლებას (დასახლებული პუნქტების ერთობლიობას). განსახლება ისტორიული კატეგორიაა; მისი ჩამოყალიბება და განვითარება მიმდინარეობს კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში, გეოგრაფიული გარემოს გავლენით. ეკონომიკისა და კულტურის სფეროში მომხდარი ძვრები დიდ ცვლილებებს იწვევს დასახლებული პუნქტების განვითარებაში. იცვლება არა მარტო დასახლებათა გარეგანი სახე და მცხოვრებთა რაოდენობა, არამედ სოფლებისა და ქალაქების ფუნქციებიც, მოსახლეობის საქმიანობა, იქმნება ახალი დასახლებანი და ა. შ. სამეურნეო-კულტურული წინსვლა და განსახლების სრულყოფა ურთიერთდაკავშირებული რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესია. მისი შესწავლა ხელს უწყობს ქვეყნის მთელი ეკონომიკის განვითარებას, ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

ადგილს, სადაც ადამიანი ცხოვრობს დ ა ს ა ხ ლ ე ბ უ ლ ი პ უ ნ ქ ტ ი ანუ დ ა ს ა ხ ლ ე ბ ა ეწოდება. ნებისმიერ დასახლებას აქვია კონკრეტული ტერიტორია მეტად თუ ნაკლებად ლოკალიზებულ საზღვრებში, რომლებიც მას გამოყოფენ დანარჩენი ტერიტორიიდან. დასახლებული პუნქტების ერთობლიობა წარმოქმნის გ ა ნ ს ა ხ ლ ე ბ ა ს. როგორც „დასახლებული პუნქტის", ისე „განსახლების" ეს ლაკონიური განსაზღვრება მეტად ზოგადია და მოითხოვს რამდენადმე გავრცობილ ჩამოყალიბებას, რათა უფრო სრული წარმოდგენა მივიღოთ მოსახლეობის ტერიტორიულ ორგანიზაციაზე. ეს აუცილებელია იმიტომაც, რომ ტერმინ „განსახლებას" ხმარობენ ისეთ შემთხვევაშიც, როცა უნდათ აღნიშნონ ამა თუ იმ ტერიტორიაზე მოსახლეობის მოსვლა და განსახლება (განლაგება, დასახლება). განსახლების ასეთი

გაგება ასახავს მოსახლეობის დასახლების პროცესს, მაგრამ არ გვაძლევს წარმოდგენას მის შედეგზე, ჩასახულ დასახლებათა ერთობლიობის თუნდაც ზოგად ნიშნებზე.

პროფ. ვ. პოკშიშევსკის განმარტებით „განსახლება არის მოსახლეობის განაწილება მოცემულ ადგილას და მისი ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმები დასახლებული ადგილების სისტემის სახით (მისი განლაგება ქალაქებში, დაბებში, სოფლებში, ხუტორებში და ა. შ.)"[1].

ამ განსაზღვრის უპირატესობა ისაა, რომ მიგვითითებს მცხოვრებთა ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმებზე, წარმოგვიდგენს მათ როგორც დასახლებული პუნქტების გარკვეულ სისტემას. ვიდრე დასახლებათა სისტემას განვმარტავდეთ, უფრო დეტალურად უნდა გავეცნოთ დასახლებული პუნქტის ცნებას. ყველაზე უფრო სრულად მისი არსი გახსნილი აქვს პროფ. ს. ა. კოვალიოვს: „ცნება „დასახლებული პუნქტი" (დასახლებული ადგილი, დასახლება), გულისხმობს ადამიანთა ჯგუფს, მოცემული ადგილის მცხოვრებლებს, გარკვეულ მატერიალურ ფორმებს (შენობებს, ნაგებობებს) და ადამიანის მიერ ამა თუ იმ ზომით სახეშეცვლილ ტერიტორიას, რომელზედაც განლაგებულია დასახლების მატერიალური ელემენტები"[2]. როგორც ვხედავთ, დასახლებული პუნქტი სამი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება: ადამიანთა ჯგუფი, გარკვეული ტერიტორია და მატერიალური ელემენტები (შენობები, ნაგებობები). ამ განმარტების შესაბამისად დასახლებულ პუნქტად ითვლება პატარა სოფელიც, სადაც სულ რამდენიმე ოჯახი შეიძლება ცხოვრობდეს და მსოფლიოს უმსხვილესი ქალაქიც 5—10 მილიონი მცხოვრებით. რა თქმა უნდა, პატარა სოფელს და მილიონიან ქალაქს ცხოვრების სხვადასხვა წესი აქვთ და ამ მონაცემებით მათი ერთმანეთთან შედარებაც შეუძლებელია, მაგრამ მათ აქვთ საერთო ნიშნებიც, რომელთა უგულებელყოფა გეოგრაფს არ შეუძლია. დასახლებული პუნქტის მთავარი ნიშანი ის არის, რომ ადამიანთა ჯგუფი (მიუხედავად მისი სიდიდისა) დამკვიდრებულია და ცხოვრობს გარკვეულ ადგილას, უკავია კონკრეტული ტერიტორია, შრომობს და აქვს მეურნეობა, რომელიც თავისი მასშტაბითა და ხასიათით სრულიად სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. შეუძლებელია გამოინახოს თუნდაც ორი ისეთი დასახლება, რომ ისინი ყველა თავისი ელემენტით სავსებით იდენტური იყვნენ, მაგრამ ასევე შეუძლებელია არსებობდეს თუნდაც ერთი დასახლებული პუნქტი, რომ

---

1 Краткая географическая энциклопедия, т. 3, М., 1962, стр. 338.

2 С. А. Ковалев. Сельское расселение (географическое исследование). Изд. Моск. универ., М., 1963, стр. 9.

მას არ ჰქონდეს დასახლებათა ძირითადი, ზოგადი ნიშნები და ამ მხრივ არ ემსგავსებოდეს სხვა დასახლებებს. აქედან ცხადია, რომ ნებისმიერ დასახლებულ პუნქტს აქვს ზოგადი ნიშნები, რომლის გამო მას ეწოდება დასახლება და ამავე დროს გააჩნია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნები, რომლებსაც მიეკუთვნება, მაგალითად, ამა თუ იმ დასახლების გეოგრაფიული მდებარეობა, ფუნქციური დანიშნულება, მცხოვრებთა რაოდენობა და შემადგენლობა, ჩასახვისა და განვითარების პირობები (გენეზისი), გარეგანი სახე (მორფოლოგია) და რიგი სხვა ნიშანი, რომელთა ერთობლიობა ქმნის კონკრეტული დასახლებული პუნქტის რეალურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სახეს.

მოსახლეობის გეოგრაფიის შესწავლის საგანს წარმოადგენს დასახლებათა როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული ნიშნები, რადგან ისინი შერწყმულია ყველა დასახლებაში. ზოგადი ნიშნების საფუძველზე ყალიბდება დასახლებული პუნქტების ერთობლიობა, რაც ჩვენ უფლებას გვაძლევს განვიხილოთ ისინი როგორც ერთიანი განსახლების სისტემის შემადგენელი ელემენტები. ინდივიდუალური ნიშნები წარმოქმნიან დასახლებათა მრავალფეროვნებას, მაგრამ ამ ნიშნების შეცნობაშიაც საჭიროა შევიტანოთ გარკვეული სისტემატიზაცია, დავაჯგუფოთ ისინი მსგავსი ან მიახლოებით მსგავსი მონაცემების მიხედვით. ასეთ ჯგუფებად წარმოგვიდგება სხვადასხვა კატეგორიის დასახლებული პუნქტები, რომელთა წარმოქმნა და არსებობა განპირობებულია საზოგადოების შიგნით არსებულ შრომის დანაწილებით. ფართოდაა ცნობილი ფ. ენგელსის აზრი, რომ „საზოგადოებრივი შრომის პირველი დიდი დანაწილება იყო ქალაქის გამოყოფა სოფლისაგან". თუმცა ტერმინი „ქალაქი" სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ყოველთვის ერთნაირი შინაარსის არ იყო, მაგრამ ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავება ყოველთვის გამომდინარეობდა მათი ფუნქციური დანიშნულებიდან, ამავე დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა საწარმოო ფუნქციას. ამიტომ სრულიად კანონზომიერია, რომ დასახლებული პუნქტების ორ ძირითად კატეგორიას — ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავება პირველ ყოვლისა ემყარება წარმოების ხასიათს. მოსახლეობის გეოგრაფიის ცნობილმა სპეციალისტებმა გ. დავიდოვიჩმა, ს. კოვალიოვმა და ვ. პოკშიშევსკიმ შემდეგი უმთავრესი პრინციპები დაუდეს დასახლებული პუნქტების კლასიფიკაციას[3]: ა) წარმოების ხასიათი და სხვადასხვა ფუნქციათა

---

[3] В. Г. Давидович, С. А. Ковалев, В. В. Покшишевский. Об основах классификации населенных пунктов СССР (в связи с задачами экономической географии). Изд. АН СССР, Серия географическая, 1959, № 4.

შეთანაწყობა; ბ) რაოდენობრივ მაჩვენებლებთან ერთად თვისებრივი მხარის გათვალისწინება; გ) დასახლების მატერიალური ელემენტები (საბინაო-კომუნალური მეურნეობა და სხვ.) მეორადი ნიშანია და არა განმსაზღვრელი; დ) გათვალისწინებული უნდა იქნას სოციალისტური ბშენებლობის პრაქტიკა და „გარდამავალი" ტიპის დასახლებათა არსებობა.

უნდა შევნიშნოთ, რომ მიუხედავად კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპების არსებობისა, დასახლებული პუნქტის გამოყოფა გარკვეული გაგებით პირობითია. უმეტეს შემთხვევაში დასახლებული პუნქტები კომპაქტურად არიან განაშენიანებული და მკვეთრად გამოიყოფიან ერთმანეთისაგან დაუსახლებელი მიწებით ან რომელიმე ბუნებრივი ზღუდით (მდინარე, ხევი და სხვ.), მაგრამ მთელ რიგ შემთხვევაში საზღვარი დასახლებათა შორის მხოლოდ წარმოსახვითია. ბევრ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, გვხვდება ერთმანეთზე წაბმული სოფლები და საქალაქო დასახლებანი, რომელთა შორის არ არსებობს რაიმე ბუნებრივი ზღუდე ან დაუსახლებელი ტერიტორია. არაიშვიათად ასეთ ჯაჭვს წარმოქმნიან ათობით სოფელი და მათ შორის ჩართული ქალაქები, რომელთა ერთობლიობა წარმოგვიდგება, როგორც ერთი გიგანტური დასახლებული პუნქტი. მეორე მხრივ, არსებობენ შედარებით დიდ ტერიტორიაზე გაფანტული სოფლები, ერთმანეთისაგან ასეული მეტრობით დაცილებული კარმიდამოებით. გვხვდება ისეთი დასახლებანიც, რომლებსაც ქმნიან იზოლირებულად განლაგებული დასახლებული უბნები; ჩვეულებრივ ასეთი უბანი ითვლის რამდენიმე ან რამდენიმე ათეულ კომლს და თითოეული მათგანი არსებითად შეიძლება ჩაითვალოს ცალკე დასახლებულ პუნქტად. ეს მაგალითები გვიჩვენებენ, რომ საზღვარი დასახლებულ პუნქტებს შორის ყოველთვის არ არის მკაფიოდ გამოსახული და ამასთან დაკავშირებით პირობითი შეიძლება იყოს დასახლებული პუნქტების სიდიდეც მათი მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით. ასეთი პირობითობა რომ სხვადასხვანაირად არ იქნეს გაგებული, დასახლებული პუნქტების დადგენა ხდება საკანონმდებლო ორგანოების მიერ და თითოეული სოფელი თუ საქალაქო დასახლება შეტანილია ოფიციალურ ადმინისტრაციულ დაყოფაში.

დასახლებული პუნქტების კლასიფიკაციის ზემოთ მოხსენებული პრინციპები ზოგად საფუძველს ქმნიან დასახლებათა ძირითადი ფორმების დადგენისათვის, თითოეული ქვეყნის საკანონმდებლო აქტებში კი ეს პრინციპები აისახება საწარმოო ძალების განვითარებისა და სოციალურ-ეკონომიკური წყობის შესაბამისად. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს სხვაობანი განსახლების სახეობათა შორის, ყველგან და ყოველთვის წარმოების განმსაზღვრელი როლი მკაფიოდაა

გამოსახული ძირითადი ფორმების ჩამოყალიბებაში. უძველესი დროიდან დღემდე სოფლისათვის დამახასიათებელია უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ქალაქისათვის კი მეურნეობის სხვა დარგები— მრეწველობა, ვაჭრობა, კულტურა და სხვ.

შრომის გეოგრაფიული დანაწილების შედეგად წარმოქმნილი ადრიხდელი ქალაქები ითავითვე წარმოადგენდნენ ხელოსნობისა და ვაჭრობის თავმოყრის ადგილს. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ხშირად ისინი ციხე-სიმაგრის ფუნქციასაც ასრულებდნენ, მაგრამ გარკვეული სამეურნეო ფუნქციის გარეშე ქალაქები არ წარმოიქმნებოდნენ. დროთა განმავლობაში ქალაქების ფუნქციები ფართოვდებოდა და რთულდებოდა, პარალელურად სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა მათი როლი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ეს კი აძლიერებდა კავშირურთიერთობას ქალაქსა და სოფელს შორის; ამასთან ერთად მწვავდებოდა კონკურენცია და წინააღმდეგობა მათ შორის. ქალაქების გაძლიერებასთან ერთად ვითარდებოდა სასაქონლო მეურნეობა, რომელიც თავის მხრივ დადებით უკუგავლენას ახდენდა საქალაქო ცხოვრების წინსვლაზე და შრომის ტერიტორიულ დანაწილებაზე. ეს რთული და მრავალმხრივი პროცესი ნიშნავდა სახალხო მეურნეობის ჩამოყალიბებას, მისი სტრუქტურის შევსებას ახალი დარგებით, რომელთა შექმნაში მკაფიოდ იყო გამოსახული ქალაქების წამყვანი როლი. წარმოების განვითარების პროცესი ამავე დროს წარმოადგენდა საქალაქო ცხოვრების აღმავლობას და განსახლების სერიოზულ გარდაქმნასთან იყო დაკავშირებული. სახეს იცვლიდა არა მარტო საქალაქო დასახლებანი, არამედ სერიოზულ ძვრებს განიცდიდნენ სასოფლო ადგილებიც.

წ ა რ მ ო ე ბ ა ს ა დ ა გ ა ნ ს ა ხ ლ ე ბ ა ს შ ო რ ი ს კ ა ვ შ ი რ ი მ ჭ ი დ რ ო ვ დ ე ბ ა მ ა თ ი ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ ი გ ა ნ ლ ა გ ე ბ ი ს თ ა ვ ი ს ებ ურ ებ ებ შ ი ც. საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობას ახასიათებს კომპაქტური განლაგება, საწარმოო პროცესების და მაშასადამე მომუშავეთა თავმოყრა შედარებით მცირე ფართობზე — „ერთ ჭერქვეშ". სხვა საქალაქო დარგებიც — სავაჭრო-სასაწყობო და სატრანსპორტო ობიექტები, ადმინისტრაციული და კულტურის დაწესებულებები ასევე კომპაქტურად არიან განლაგებული, რაც თავის მხრივ განაპირობებს მცხოვრებთა დასახლებას სამუშაო ადგილის მეზობლად, თითოეულმა მუშაკმა ნაკლები დრო რომ დახარჯოს ყოველდღიურად სამუშაო და საცხოვრებელ ადგილებს შორის სიარულზე. ბევრად განსხვავებული სურათია სოფლად, რადგან აქ წარმოება გაშლილია საკმაოდ ერცელ სივრცეებზე. სამუშაო ადგილთან საცხოვრებელი ადგილის მიახლოება აქაც ძალაშია, რის გამო განსახლება ბევრად უფრო გაფანტულია, ხშირად დისპერსიული სახე აქვს და უფ-

რო მეტად განიცდის ბუნებრივი გარემოს უშუალო გავლენას, ვიდრე ქალაქები. სხვადასხვა ისტორიულ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში შექმნილი სასოფლო განსახლებანი განსხვავებული არიან. ამერიკის შეერთებულ შტატებში სოფელ ადგილებში განსახლების დისპერსიულობა განაპირობა XVIII—XIX საუკუნეებში სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისების თავისებურებებმა: მომავალ ფერმერს ეძლეოდა მიწის გარკვეული ფართობი, რომელზედაც ის უნდა დასახლებულიყო და შეექმნა სას. სამ. წარმოება. ასე წარმოიშვა ამ ქვეყანაში დისპერსიული ტიპის სასოფლო განსასლება, რომელსაც სხვანაირად ფერმერტულ ტიპსაც უწოდებენ. თანამედროვე მსოფლიოს მეტწილ ქვეყნებში არსებობს მეტად თუ ნაკლებად ჯგუფური დასახლებანი — ს ო ფ ლ ე ბ ი. მათი ხალხმრავლობა დიდ ფარგლებში რხევადობს; ზოგ სოფელში რამდენიმე ათეულ ადამიანსაც ვერ დაითვლი, ზოგჯერ კი სოფელი ათასობით მცხოვრებისაგან შედგება.

ბევრ ქვეყანაში მოქმედებს კანონი, რომლის საფუძველზეც ხდება დასახლებული პუნქტების შექმნა, გაუქმება ან გარდაქმნა საქალაქო დასახლებად. ოფიციალურად სსრ კავშირის ყველა დასახლებული პუნქტი იყოფა ორ ჯგუფად — საქალაქო და სასოფლო დასახლებად; საქალაქო დასახლებანი თავის მხრივ იყოფიან ქალაქებად და ქალაქის ტიპის დაბებად. ასეთი დაყოფის საფუძვლად მიღებულია მოსახლეობის საქმიანობის ხასიათი და დასახლებათა სიდიდე (მცხოვრებთა რიცხვი). თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას განსაზღვრული აქვს, თუ რა მონაცემებს უნდა პასუხობდეს სოფელი, რომ გარდაიქმნას საქალაქო დასახლებად. მაგალითად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სოფელი ან დაბა მიიღებს ქალაქის სტატუსს, თუ მისი მოსახლეობა შეადგენს 5 ათას კაცს და მუშა-მოსამსახურეების ხვედრითი წონა მთელ მომუშავე მოსახლეობაში აღწევს 75%-ს; სოფლის დაბად გარდაქმნისათვის კი რაოდენობრივი ცენზი 2 ათას კაცს შეადგენს[4]. საქართველოში კურორტების გარდაქმნაც არის გათვალისწინებული საქალაქო დასახლებად, თუ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხვი არ აღემატება 60%-ს, ხოლო ყოველწლიურად მოსულ დამსვენებელთა რიცხვი არ იქნება მუდმივი მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები.

სოფლის მიერ ქალაქის სტატუსის მიღების დასახელებული კრიტერიუმები მეტად თუ ნაკლებად უახლოვდება სხვა მოკავშირე რეს-

---

[4] თუმცა საქალაქო დასახლებისათვის არ არის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მაგრამ საქართველოში არსებობს რამდენიმე დაბა, შექმნილი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე (ლაითური, ურეკი, ოჩხამური და სხვ.), რადგან ამ პუნქტების მოსახლეობა მუშა-მოსამსახურეებისაგან შედგება და თავისი კეთილმოწყობით ისინი უახლოვდებიან საქალაქო დასახლებებს.

პუბლიკების ანალოგიურ დებულებას. რაც შეეხება საზღვარგარეთის ქვეყნებს, იქ უმეტეს შემთხვევაში სოფლის ქალაქად გარდაქმნას საფუძვლად უდევს მოსახლეობის რაოდენობა, რადგან მსხვილ დასახლებულ პუნქტებში სასოფლო-სამეურნეო წარმოებას არ უკავია წამყვანი ადგილი. მაგრამ როგორი სტატისტიკური მონაცემებიც არ უნდა მოვიშველიოთ, სოფლისა და ქალაქის გამიჯვნის მთავარი ნიშანი მაინც წარმოების სფეროშია მოქცეული: ის დასახლებული პუნქტები, სადაც სასოფლო-სამეურნეო შრომას წამყვანი ადგილი უკავია, არსებითად ქალაქებს არ მიეკუთვნებიან.

ქალაქი და სოფელი დასახლებული პუნქტების ორ ძირითად ფორმას ქმნიან, თუცა ისინი არ ფოიცავენ დასახლებათა ყველა სახეს, მათ შორის არსებობს გარდამავალი სახის დასახლებანი, რომლებსაც ამა თუ იმ შეთანაწყობით აქვთ როგორც ქალაქის, ისე სოფლის ნიშნები. ასეთ დასახლებათა რიცხვს მიეკუთვნებიან: ა) სასოფლო ადგილებში არსებული წვრილი დასახლებანი, სადაც დაახლოებით თანაბრად შეიძლება იყოს წარმოდგენილი როგორც საქალაქო, ისე სასოფლო დარგები; ასეთი პუნქტები თანდათან უახლოვდებიან საქალაქო ტიპის დაბებს, მაგრამ ჯერ მაინც სოფლად ითვლებიან; ბ) აგრარულ-ინდუსტრიული ტიპის დასახლებანი; მათში შერწყმულია სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული შრომა; ისინი არსებობენ, მაგალითად, საბჭოთა მეურნეობებთან, სადაც ადგილზეევ ხდება სოფლის მეურნეობის ნაწარმის სამრეწველო გადამუშავება (მევენახეობის, მეჩაიეობის მეურნეობანი, მეფრინველეობის ფაბრიკები); გ) სასოფლო ადგილებში მდებარე სამრეწველო დასახლებანი, რომლებიც არ გამოირჩევიან თავისი სიდიდით და კეთილმოწყობის მაღალი დონით; მათ უწოდებენ, ჩვეულებრივ, მუშათა დასახლებებს და მცხოვრებლებიც ქალაქის მოსახლეობაში შეჰყავთ; დ) ქალაქის ტიპის დაბები, რომლებიც ფორმალურად საქალაქო დასახლებებს მიეკუთვნებიან, რადგან ქალაქთან უფრო ახლო არიან; სინამდვილეში დაბებში სოფლის მეურნეობას ჯერ კიდევ დიდი ადგილი უკავია; ისინი კეთილმოწყობითაც ჩამორჩებიან ქალაქებს, თუმცა ბევრი მათგანი საკმაოდ დაჩქარებულად იძენს ქალაქის იერს. ამ პროცესს ბევრად უწყობს ხელს რომელიმე მნიშვნელოვანი სამრეწველო საწარმოს მწყობრში ჩადგომა და, ზოგადად, შრომის ინდუსტრიული მეთოდის გავრცელება საწარმოო სფეროში.

დასახლების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება

მოსახლეობის ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმები წარმოგვიდგება დ ა ს ა ხ ლ ე ბ უ ლ ი პ უ ნ ქ ტ ე ბ ი ს ს ი ს ტ ე მ ი ს ს ა-

ხ ი თ და არა როგორც უბრალო ჯამი განცალკევებულად არსებული სოფლებისა და ქალაქებისა. თუმცა თითოეულ დასახლების ახასიათებს გარკვეული დაბოუკიდებლობა, მაგრამ ისინი არ ფუნქციონირებენ იზოლირებულად. საწარმოო ძალების განვითარების პარალელურად ძლიერდება კავშირი არა მარტო მეზობელ დასახლებათა შორის, არამედ ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ სოფლებსა და ქალაქებს შორისაც. მკაფიოდ გამოიკვეთა დასახლებათა ურთიერთკავშირი საფაბრიკო-საქარხნო წარმოების ჩასახვასა და გავრცელებასთან ერთად, განსაკუთრებით ფართო ხასიათი სიიღო მან სოციალისტურ საზოგადოებაში, როდესაც დიდად გაიზარდა სახელმწიფოთა სარეგულირებელი როლი საწარმოო ძალების განვითარებასა და ტერიტორიულ გახლაგებაში. თუ წარსულში კავშირი განსასლების ელემენტებს შორის ეპიზოდური ხასიათისა იყო, თანამედროვე ვითარებაში იგი მრავალფეროვანი და სისტემატურია.

მაინც, რა არის „სისტემა“ და რით განსხვავდება იგი სიმრავლეთა უბრალო ჯამისაგან? რაში გამოიხატება მოვლენათა შესწავლისას „სისტემური მიდგომის“ უპირატესობა?

თუ სხვადასხვა ავტორის მიერ სისტემის ბევრნაირ განმარტებას გავითვალისწინებთ, მისი მთავარი ნიშნები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

— სისტემა შედგება ელემენტების (ობიექტების, კომპონენტების) კომპლექსისაგან;

— სისტემაში შემავალი ელემენტები მჭიდრო ურთიერთკავშირშია და წარმოქმნიან მის ზოგად თვისებებსა და ფუნქციებს;

— კავშირი ელემენტებს შორის სისტემას ანიჭებს ახალ თვისებებს, რომლებიც განსხვავდებიან შემადგენელი ელემენტების თვისებებისაგან მასშტაბებით და მოქმედების ხასიათით;

— სისტემა მთლიანი წარმონაქმნია და ატარებს ერთგვარად დასრულებულ სახეს.

რა თქმა უნდა, ამ ზოგად ნიშნებთან ერთად თითოეულ სისტემას აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნები, რომლებიც გამოსახულია გარკვეული რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლებით და განპირობებულია სისტემის შექმნის ისტორიული პირობებით, მისი კომპონენტების მასშტაბურობით, ფუნქციური დანიშნულებით, გარე კავშირებით და ა. შ. მეტად მნიშვნელოვანია სისტემის მთლიანი მასშტაბი, მისი ადგილი სოციალ-ეკონომიკური წყობის ერთიან სისტემაში, ურთიერთობა სხვა რანგისა და ხასიათის სისტემებთან. ერთი სისტემა შეიძლება წარმოადგენდეს მეორე, უფრო ფართო მასშტაბის სისტემის შემადგენელ კომპონენტს; სისტემის შიგნით შეიძლება გამოიყოს სხვა სისტემები ან ქვესისტემები. ასე

რომ, სისტემისათვის სავსებით კანონზომიერია იერარქიული წყობა— მარტივი და მცირე მასშტაბის ერთიანობიდან თანდათანობითი გადასვლა უფრო რთულსა და ფართომასშტაბიან ერთიანობაში. ასეთ გადასვლას საფუძვლად უდევს შიგაკავშირების გაძლიერება, რაოდენობრივი ელემენტების დაგროვების შედეგად მომხდარი თვისებრივი ცვლილებების გამოვლენა, ახალ მასშტაბებში გადასვლა და ა. შ.

განსახლების ერთიანი სისტემა შეიძლება არსებობდეს როგორც სახელმწიფოს მასშტაბით, ისე მის ცალკეულ რეგიონებში. სისტემის გენეზისი მჭიდრო კავშირშია სოციალურ-ეკონომიკურ წყობასთან, საწარმოო ძალების განვითარების ტემპებთან და ხასიათთან. ისევე როგორც საზოგადოებრივი განვითარების მრავალ სხვა სფეროში, განსახლების სისტემის ჩამოყალიბებაშიც არსებითი ძვრები გამოიწვია შრომის ხასიათში მომხდარმა დიდმა გარდატეხამ — წარმოებაში ინდუსტრიული მეთოდის საყოველთაოდ გავრცელებამ. კაპიტალიზმამდელი საზოგადოებრივი წყობილებანი ხელს არ უწყობდნენ დასახლებათა შორის ურთიერთკავშირის გაძლიერებას ანუ სისტემაწარმომქმნელი ელემენტების დაგროვებას. ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ნატურალური მეურნეობა და კარჩაკეტილობა არ ქმნიდა წანამძღვრებს განსახლების ერთიან სისტემაზე გადასვლისათვის; ჯერ კიდევ სუსტი იყო ქალაქების გავლენა სოფელზე, არ არსებობდა განვითარებული საკომუნიკაციო არხები და ა. შ. ამიტომ სრულიად კანონზომიერია, რომ განსახლების სისტემის ჩამოყალიბება წარმოების შედარებით მაღალი ტემპებით განვითარების ეპოქაში განხორციელდა. განსაკუთრებით დაჩქარდა ეს პროცესი ურბანიზებულ საზოგადოებაში, როცა დიდად გაიზარდა ქალაქების როლი ეკონომიკისა და კულტურის ყველა სფეროში.

განსახლების ერთიანი სისტემა მ რ ა ვ ა ლ კ ო მ პ ო ნ ე ნ ტ ი ა ნ ი წ ა რ მ ო ნ ა ქ მ ნ ი ა. იგი მოიცავს როგორც სასოფლო და საქალაქო დასახლებებს, ისე მათ შორის არსებულ გარდამავალ ფორმებს. მის შემადგენლობაშია სულ პატარა სოფელიც და მილიონნიანი ქალაქიც, საკურორტო დასახლებაც და ინდუსტრიული კერაც, კომუნიკაციების უმსხვილესი კვანძიც და ძნელად მისადგომი მთის უმნიშვნელო დასახლებაც. მათი მრავალფეროვნება კი არ ანელებს, არამედ ხელს უწყობს უხილავი თუ ხილული ძაფებით დასახლებათა ურთიერთკავშირს. თითოეული მათგანი განსახლების ელემენტია, მისი „ცოცხალი უჯრედია" და ამდენად ფუნქციონირებს მთელ სისტემასთან ორგანულ კავშირში. ყველაზე მნიშვნელოვანია საწარმოო კავშირურთიერთობანი — ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, მზა პროდუქციის ურთიერთშორის გაცვლა; სულ უფრო ძლიერდება „შრომითი" კავშირიც.

უდიდესი სისტემაწარმომქმნელი მნიშვნელობა აქვთ სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებს — მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას; მათი მრავალფეროვანი პროდუქციის გაცვლა დასახლებათა შორის არსებული ეკონომიკური კავშირების უმთავრესი რგოლია.

ინტენსიური კავშირურთიერთობის დამყარება განსახლების შიგნით წარმოუდგენელია თანამედროვე კომუნიკაციების გარეშე. XIX—XX საუკუნეების მანძილზე უდიდესი ცვლილებები მოხდა ამ სფეროში: რკინიგზის, საავტომობილო, საჰაერო და მილსადენმა ტრანსპორტმა ნამდვილი გარდატეხა მოახდინა ეკონომიკური კავშირების განვითარებაში. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საფოსტო, სატელეგრაფო-სატელეფონო კავშირების დაწესებას, ელექტროენერგიის დიდ მანძილზე გადაცემას, რადიოსა და ტელევიზიის საყოველთაო გავრცელებას. კომუნიკაციების ამ თანამედროვე მძლავრმა საშუალებებმა ერთმანეთს დაუახლოვეს ასობით და ათასობით კილომეტრზე დაშორებული დასახლებული პუნქტები და უდიდესი როლი შეასრულეს განსახლების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებაში.

წარმოების განვითარების პარალელურად მიმდინარეობს შრომის ტერიტორიული დანაწილების შემდგომი გაღრმავება, ცალკეული დასახლებული პუნქტებისა და მათი ჯგუფების სპეციალიზაცია მეურნეობის ამა თუ იმ დარგში, რაც თავისთავად ნიშნავს დასახლებათა შორის საწარმოო-ეკონომიკური და შრომითი კავშირების გაძლიერებას. მეურნეობრივად და კულტურულად განვითარებულ ქვეყნებში დღეს უკვე წარმოუდგენელია დასახლებათა არსებობა და ნორმალური ფუნქციონირება ასეთი კავშირების გარეშე.

განსახლების ერთიანი სისტემის შექმნაში დიდი როლი შეასრულა ურბანიზაციის პროცესმა, ქალაქური ცხოვრების წესის თანდათანობით გავრცელებამ, ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის მკვეთრად გაფართოებამ. საწარმოო ძალების განვითარების პარალელურად სულ უფრო იჩინა თავი ქალაქის მარეგულირებელმა ფუნქციებმა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. თვით სოფლებშიაც ქალაქისათვის დამახასიათებელი ფუნქციების ჩასახვამ და თანდათანობით გაძლიერებამ გამოიწვია ბევრი სოფლის საქალაქო დასახლებად გარდაქმნა. რიგი ფუნქციის განვითარებამ ხელი შეუწყო განსახლების შიგნით სპეციალიზაციის გაღრმავებას და გარკვეული ტიპის დასახლებათა ჩამოყალიბებას.

აღნიშნული ცვლილებები, რა თქმა უნდა, ერთნაირად არ შეეხო ყველა დასახლებას. განსახლების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების პროცესი კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში მიმდინარეობს და არათანაბარია დროსა და სივრცეში. რიგ დასახლებას

განვითარების მეტი შესაძლებლობა გააჩნია, რიგს კი ნაკლები. ასეთ შესაძლებლობათა შორის ძხიშვსელოვანია გეოგრაფიული ძდებარეობა. ბევრი დასახლებული პუნქტი ხელსაყრელი გეოგრაფიული ძდებარეობის წყალობით უფრო სწრაფად განვითარდა, დაიმკვიდრა წამყვანი ადგილი დასახლებათა ამა თუ იძ ჯგუფის მიძართ. ეს შეეხო როგორც საქალაქო, ისე სასოფლო დასახლებებს; წარმოიქმნა დასახლებული პუნქტების გარკვეული იერარქია, რამაც გახსახლების ერთიან სისტემაში შეიტანა საფეხურიანი დაქვეძდებარების პრინციპი არა ძარტო ადაძინისტრაციულ სფეროში, არაძედ მეურნეობის ძართვაშიც.

საერთოდ მართვის ფუნქცია გადაიქცა სისტემის ერთ-ერთ ნიშანდობლივ ხხარედ. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო თითოეული დასახლებული პუნქტის განვითარებას და ძთლიანად განსახლების გარდაქხხას ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ ორგახიზძად, ოაიაც გააააქტიურა მისი ზემოქმედება სისტემის შემადგენელ ელემენტებზე — როგორც მეურნეობის და კულტურის დარგებზე, ისე დასახლებულ პუნქტებზე. დღეანდელი დასახლებული პუნქტი თავისი ფუნქციური დახიშხულებით, გარეგანი სახით, ძოსახლეობის კულტურული დონით და ცხოვრების პირობებით მკვეთრად განსხვავებულია თუნდაც რამდენიძე ათეული წლის წინათ არსებული დასახლებიდან. ეს პროგრესული ძვრები შეინიშნება მსოფლიოს ბევრ რეგიონში, პირველ რიგში სსრ კავშირში და აღძოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში, სადაც საწარმოო ძალების განვითარება დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდაქმნები სოციალურ სფეროში, რაძაც კიდევ უფრო გააძლიერა დასახლებათა ურთიერთკავშირი და ხელი შეუწყო სისტემის მთლიანობას, მისი შემადგენელი ელემენტების კომპლექსად ჩამოყალიბებას და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემად გადაქცევას. რაც უფრო განვითარებულია დასახლებული პუნქტი, მით უფრო მნიშვნელოვანია მისი ადგილი ერთიან სისტემაში. ცხადია, ამ მხრივ ქალაქები ასრულებენ წამყვან როლს, გვევლინებიან რა დასახლებათა გარკვეული ჯგუფის მოთავე ცენტრებად. სისტემაწარმომქმნელი დანიშნულებით გამოირჩევიან დედაქალაქები. რეგიონული ცენტრების მოვალეობას ასრულებენ „მეორე ეშალონის“ საქალაქო დასახლებანი, რომელთა გავლენის სფერო ხშირად საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ვრცელდება. შედარებით მცირე ქალაქების მიზიდულობის არეალი, როგორც წესი, შემოიფარგლება ადძინისტრაციული რაიონების საზღვრებით ან მათი ტოლფასოვანი რეგიონებით. საქალაქო დასახლებათა ამ იერარქიაში ყველაზე დაბალ საფეხურზეა ადგილობრივი ცენტრები, რომელთა გავლენის სფერო ბევრად უფრო მცირე ტერიტორიაზე ვრცელდება.

განსახლების ერთიან სისტემაში შერწყმულია, ერთი მხრივ, სხვადასხვა რანგის საქალაქო დასახლებანი და სოფლები, მეორე მხრივ, სახალხო მეურნეობის საწარმოო და არასაწარმოო დარგები, რომლებიც ქმნიან სისტემის დამახასიათებელ ფუნქციას. განსახლებისა და მეურნეობის ურთიერთშერწყმა ასახავს საწარმოო ძალების ტერიტორიულ ორგანიზაციას მათ მთლიანობასა და მრავალფეროვნობაში. ასეთ მთლიანობას აძლიერებს საწარმოო-ტერიტორიული კომპლექსის ჩასახვა და განვითარება ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონში. კომპლექსის ჩამოყალიბების პროცესი ნიშნავს ამავე დროს განსახლების სრულყოფას. თავის მხრივ განსახლება უკუგავლენას ახდენს კომპლექსწარმომქმნელი დარგების ტერიტორიულ ორგანიზაციაზე.

დასახლებული პუნქტების ურთიერთდაკავშირებაში დიდ როლს ასრულებს საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა. საწარმოო სფეროს განვითარება შეუძლებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურული მომსახურების გარეშე. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მომუშავეთა ენერგოშეიარაღებას, რასაც თანამედროვე პირობებში ბევრად უწყობს ხელს ერთიანი ენერგოსისტემის შექმნა. ასევე დიდ როლს ასრულებს სატრანსპორტო მეურნეობა, დასახლებათა წყალმომარაგება, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ობიექტები, განათლების და კულტურის დაწესებულებათა ქსელი. მომსახურების სფეროს განვითარების გარეშე შეუძლებელია შეიქმნას ცხოვრების ნორმალური პირობები და დამყარდეს სოფლისა და ქალაქის განვითარების წანამძღვრები. ინფრასტრუქტურული მომსახურების პრობლემების გადაწყვეტა ხშირად მოითხოვს ფართო მასშტაბის ღონისძიებათა განხორციელებას; მათი დანიშნულებაა განსახლების ერთიანი სისტემის შიგნით მოხდეს არსებული მატერიალური რესურსების გადანაწილება და მაქსიმალური ეფექტით გამოყენება.

განსახლების ანალიზი როგორც ერთიანი სისტემისა, გვავალებს ყურადღება გავამახვილოთ დასახლებათა ურთიერთკავშირზე, მოვლენათა მთელი ციკლიდან უპირატესობა მივანიჭოთ იმ ფაქტებს, რომლებიც დადებით ზემოქმედებას ახდენენ მთლიანად სისტემის განვითარებაზე. თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვანი ცვლილებანი ერთ დასახლებულ პუნქტში ამა თუ იმ სახით აირეკლება მეზობელ პუნქტებშიც. მრავალი მნიშვნელოვანი სამეურნეო თუ სხვა სახის პრობლემა ყოველთვის სცილდება მცხოვრებთა ვიწრო წრეს, როგორც წესი, მოითხოვს ფართო მასშტაბის ღონისძიებათა განხორციელებას, ეს კი თავისთავად გულისხმობს არა ერთი რომელიმე დასახლების ჩაბმას პრობლემის გადაჭრაში, არამედ ბევრად უფრო ვრცელ ტერიტორიაზე ღონისძიებათა მთელი კომპლექსის განხორციელებას.

გარდა იმისა, რომ დასახლებანი იყოფა ორ ძირითად ჯგუფად — საქალაქო და სასოფლო დასახლებულ პუნქტებად, არსებობს მსგავსი ნიშნების მიხედვით მათი სხვაგვარი დაყოფაც. ეს ნიშნები საკმაოდ მრავალფეროვანია და მეტად თუ ნაკლებად მონაწილეობენ გარკვეული ტიპის დასახლებათა ჩამოყალიბებაში. ასეთ ნიშნად პირველ რიგში უნდა მივიჩნიოთ დასახლებული პუნქტის ფ უ ნ ქ ცი ა, ა ნ უ მ ი ს ი დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა. საწარმოო ძალების განვითარების ადრინდელ ეტაპებზე, ნატურალური მეურნეობის პირობებში დიდი სხვაობანი დასახლებული პუნქტების დანიშნულებაში არ შეიმჩნეოდა: თითოეულ დასახლებაში ადგილზევე მზადდებოდა მოსახლეობისათვის საჭირო მოხმარების საგნები და კვების პროდუქტები, რაც არ წარმოქმნიდა არსებით სხვაობას მათ ფუნქციონალურ დანიშნულებაში. მნიშვნელოვანი განსხვავებანი დასახლებათა შორის გაჩნდა შრომის ტერიტორიული დანაწილების შედეგად, როდესაც სასაქონლო მეურნეობის განვითარებამ გამოიწვია მათი სპეციალიზაცია ერთი ან რამდენიმე სახის პროდუქციის წარმოებაზე. ფ უ ნ ქ ც ი ი ს ა რ ს ი ი მ ა შ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ს, რ ო მ ა მ ა თ უ ი მ დ ა ს ა ხ ლ ე ბ ა ს ა ქ ვ ს გ ა რ კ ვ ე უ ლ ი დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა ს ხ ვ ა დ ა ს ა ხ ლ ე ბ უ ლ ი პ უ ნ ქ ტ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს; მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის განკუთვნილი პროდუქცია არ ასახავს ფუნქციურ დანიშნულებას.

ჩვენ დროში შრომის ტერიტორიული დანაწილება იმდენად განვითარდა, რომ იშვიათია დასახლებული პუნქტი, სადაც არ მზადდებოდეს პროდუქცია სხვა დასახლებაში გატანის მიზნით ან ამ პუნქტს არ ჰქონდეს რაიმე განსხვავებული დანიშნულება გარე ფუნქციის შესასრულებლად (მაგალითად, ადმინისტრაციული, საკურორტო). როდესაც დასახლებათა დანიშნულებაზე ვმსჯელობთ, პირველ რიგში მხედველობაშია მისაღები ს ა წ ა რ მ ო ო ფ უ ნ ქ ც ი ა, რადგან იგი ყველაზე მნიშვნელოვანი და ფართოდ გავრცელებულია; მისი მეშვეობით დასახლება ყველაზე აქტიურად მონაწილეობს შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში, ჩაბმულია ურთიერთკავშირში სხვა დასახლებულ პუნქტებთან. საწარმოო ფუნქცია აისახება მოცემულ დასახლებაში მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის ამა თუ იმ დარგის უპირატესი განვითარებით; ამავე კატეგორიას მიეკუთვნება ვაჭრობა-მომარაგება-გასაღების ფუნქცია.

ბევრი დასახლებული პუნქტი ასრულებს ა რ ა ს ა წ ა რ მ ო ო ფ უ ნ ქ ც ი ა ს. ასეთი დანიშნულებისაა, მაგალითად, მეცნიერების, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ადმინისტრაციული, საკურორტო ობიექტები, როცა ისინი მომსახურებას უწევენ არა მარ-

ტო თავისი განლაგების პუნქტს, არამედ სხვა დასახლებებსაც. როგორც საწარმოო, ისე არასაწარმოო ფუნქციების შესრულება ნიშნავს მოცემულ დასახლებაში შესაბამისი მატერიალური ობიექტების, წარმოებადაწესებულებების განლაგებას და შრომის სათანადო დარგებში მომუშავე პერსონალის განაწილებას. იმის გამო, რომ სხვა მაჩვენებლებს არ აქვთ შესადარისი გამოსახვა, თითოეული ასეთი დარგის ადგილი დასახლებული პუნქტის ფუნქციურ სტრუქტურაში შეიძლება განისაზღვროს მომუშავეთა რაოდენობით, რათა დადგინდეს დარგთა შეთანაწყობა თვით დასახლების შიგნით, ასევე შესაბამისი ფუნქციების მიხედვით განხორციელდეს შედარება სხვა დასახლებულ პუნქტებთან. ამგვარი შესწავლის შედეგად გაირკვევა, თუ რა ადგილი უკავია თითოეულ ფუნქციას დასახლების შ რ ო მ ი ს სტ რ უ ქ ტ უ რ ა შ ი და თვით დასახლებულ პუნქტს განსახლების ერთიან სისტემაში. ამის შესაბამისად, კერძოდ, დადგინდება დასახლება მ ო ნ ო ფ უ ნ ქ ც ი უ რ ი ა თუ პ ო ლ ი ფ უ ნ ქ ც ი უ რ ი. რაც უფრო განვითარებულია დასახლებული პუნქტი, მით უფრო ხშირია მისი პოლიფუნქციური დანიშნულება, თუმცა პატარა ქალაქიც შეიძლება ასრულებდეს რამდენიმე ფუნქციას, მაგალითად, რაიონული ცენტრები — ადმინისტრაციულ და სამრეწველო ფუნქციას; საერთოდ შეიმჩნევა შემდეგი კანონზომიერება: საქალაქო დასახლებანი უმეტეს შემთხვევაში პოლიფუნქციური არიან, სასოფლო დასახლებანი კი მონოფუნქციური. დასახლების პოლიფუნქციურობა ყველაზე მკაფიოდ გამოსახულია დედაქალაქებში, რომლებიც ერთდროულად ასრულებენ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ, კულტურულ-საგანმანათლებლო და მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფუნქციებს.

უნდა შევნიშნოთ, რომ პოლიფუნქციურობა ყოველთვის არ არის დასახლებული პუნქტის განვითარების დონის განმსაზღვრელი. არცთუ იშვიათად მონოფუნქციური ქალაქი წარმოადგენს მსხვილ სამრეწველო ცენტრს (მაგალითად, მაგნიტოგორსკი, ჩერეპოვეცი, ბრატსკი, რუსთავი და სხვ.), ასრულებს მეტად მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფუნქციას და თავისი მნიშვნელობით მრავალჯერ აღემატება ბევრ ნაკლებად განვითარებულ, მაგრამ პოლიფუნქციურ ქალაქს. სოფლად ასეთი შემთხვევები იშვიათია, რადგან მსხვილი სასოფლო დასახლებანი, როგორც წესი, აღჭურვილი არიან ადმინისტრაციული, კულტურულ-საგანმანათლებლო და ეკონომიკური ფუნქციებით.

დასახლებული პუნქტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ი თ, იმ ნიშნით, თუ როგორი განლაგება აქვთ სხვა დასახლებული პუნქტების, სატრანსპორტო მაგისტრალების ან ბუნების უმნიშვნელოვანესი კომპონენტების მიმართ.

განსხვავებულია, მაგალითად, ადამიანის ცხოვრების პირობები ტროპიკულ და პოლარულ ზონებში. აგრეთვე მათ შორის არსებულ სხვადასხვა განედურ სარტყელში. მნიშვნელოვანია დასახლების მდებარეობა ბუნების ისეთი კომპონენტების მიმართ, როგორიცაა ზღვა (ოკეანე), ხდინარე, ‘ითა და ა. შ. დიდ გავლენას ახდენს დასახლებულ პუნქტებზე განლაგება განვითარებული ქალაქის ან სატრანსპორტო კვანძის მიმართ, რადგან ასეთი ნიშნის საშუალებით ყალიბდება დასახლების სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა, ეს კი მნიშვნელოვანი ფაქტორია დასახლებული პუნქტის განვითარების თვალსაზრისით. საერთოდ შეიძლება განვასხვავოთ დასახლებული პუნქტის ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა; პირველ შემთხვევაში იგულისხმება დასახლების განლაგება ბუნების ძირითადი კომპონენტების მიმართ, ხოლო მეორე შემთხვევაში — ეკონომიკურ-გეოგრაფიული ობიექტების მიმართ.

ნებისმიერი დასახლების ადგილი განსახლების ერთიან სისტემაში ბევრადაა დამოკიდებული მის ხ ა ლ ხ მ რ ა ვ ლ ო ბ ა ზ ე. დასახლებული პუნქტის მცხოვრებთა რიცხვის ცვალებადობა გარკვეულ კავშირშია მისი განვითარების ტემპებთან. მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა ოავის ნხრივ იწვევს დასახლების თვისობრივი მხარის გარდაქმნას (გავიხსენოთ დიალექტიკის ერთ-ერთი კანონი — რაოდენობრივი ცვლილების გადასვლა თვისებრივ მხარეში). ბევრის მთქმელია ის ფაქტი, რომ დასახლებული პუნქტის სიდიდე მცხოვრებთა რიცხვით გაიზომება. როგორც წესი, რაც უფრო დიდია დასახლება, მით უფრო მნიშვნელოვანია მისი ადგილი არა მარტო განსახლების ერთიან სისტემაში, არამედ მთლიანად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამასთან დაკავშირებით მოსახლეობის გეოგრაფიაში მტკიცედ დამკვიდრდა დასახლებათა დაყოფა გრადაციებად — წვრილი, პატარა, საშუალო, დიდი, უდიდესი (მსხვილი) დასახლებანი. ასეთი დაყოფა გამოყენებულია როგორც საქალაქო, ისე სასოფლო დასახლებების შესწავლისას. ორივე შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დაყოფის გრადაციები განსხვავებულია. ასე მაგალითად, „დიდი“ ეწოდება ქალაქს, სადაც 100 ათას მცხოვრებზე მეტია, ხოლო „დიდი“ სოფლისათვის საკმარისია 1000 მცხოვრები. აღსანიშნავია ისიც, რომ სიდიდის მიხედვით დაყოფაშიც არის გარკვეული პირობითობა. საქართველოსათვის დიდ სოფლად შეიძლება ჩავთვალოთ დასახლება 1000 მცხოვრებით, მაგრამ ყუბანისათვის, სადაც გავრცელებულია მეტად მსხვილი სოფლები („სტანიცები“), ასეთი სოფელი არ იქნება დიდი.

დასახლებული პუნქტების ჩასახვა და განვითარება არ ხდებოდა ერთნაირ ვითარებაში. თითოეული დასახლების გ ე ნ ე ზ ი ს ი მარტო

იმ გაგებით კი არ იწვევს ინტერესს, თუ რა ისტორიულმა და სოციალურ-ეკონომიკურმა წანამძღვრებმა განაპირობეს მისი წარმოქმნა და შემდგომში წინსვლა, არამედ იმიტომაც, რომ წარსულის არაერთი დამახასიათებელი მხარე ამა თუ იმ სახით ვლინდება დასახლების თანამედროვე მდგომარეობაშიც. თითოეული ისტორიული ეპოქა საკმაოდ მნიშვნელოვან კვალს ტოვებს ქალაქის თუ სოფლის ცხოვრებაში — მის გარეგან სახეში, არქიტექტურაში, დამკვიდრებულ ტრადიციებში, მცხოვრებთა საქმიანობაში, ფუნქციურ დანიშნულებაში და ა. შ. ბევრი ასეთი ნიშანი თაობიდან თაობას გადაეცემა, განიცდის დახვეწას, ეგუება თანამედროვეობას და ხშირად წარმოგვიდგება მეტად საინტერესო სახით (გავიხსენოთ თუნდაც თბილისის ძველი უბნების აღდგენის ფაქტი). წარსულის ამსახველია არა მარტო ქაღალდზე გადატანილი ისტორიული მოვლენები, არამედ ის უდიდესი მნიშვნელობის მატერიალური კულტურის ძეგლებიც, რომლებიც შემორჩა უძველეს დროში ჩასახულ დასახლებებს და ბევრი მათგანი თავისი სამშენებლო ხელოვნებით და ესთეტიკური სრულყოფით განცვიფრებას რომ იწვევს თანამედროეე ადამიანში. შემთხვევითი როდია ის ვარეემოება, რომ მომთაბარე ტომებმა, ვისაც არ ჰქონდა მუდმივი დასახლებანი და ვინც დაკავშირებული არ იყო დედა-სამშობლოსთან, ვერ შეინარჩუნეს თავისი ეროვნული სახე, ვერ დატოვეს მნიშვნელოვანი კვალი მსოფლიოს ცივილიზაციის ისტორიაში, მიუხედავად იმისა, რომ მათ შექმნეს ვეებერთელა სახელმწიფოები.

დასახლებათა შესწავლისას ყურადღების გამახვილება გენეზისზე იმითაც არის განპირობებული, რომ თითოეული დ ა ს ა ხ ლ ე ბ უ ლ ი პ უ ნ ქ ტ ი ი ს ტ ო რ ი უ ლ ი კ ა ტ ე გ ო რ ი ა. ნებისმიერი დასახლების ჩასახვა და არსებობა უკავშირდება კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას. ამის მაჩვენებელია, მაგალითად, ის ფაქტიც, რომ ჩვენი დროის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში არ აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი მეტად წვრილი სასოფლო დასახლებანი და ბევრმა მათგანმა შეწყვიტა თავისი არსებობა. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ შექმნილი ვითარება ზოგჯერ მოითხოვს დასახლების შექმნას დროებით. ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს ხე-ტყის დამზადების ადგილებში, საგზაო მშენებლობაში ან სხვა სახის დროებითი სამუშაოს შესრულების დროს. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მუდმივ დასახლებებში ცხოვრობს, მაგრამ არსებობენ დ რ ო ე ბ ი თ ი და ს ე ზ ო ნ უ რ ი დ ა ს ა ხ ლ ე ბ ა ნ ი ც. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან სეზონურად მოქმედი კურორტები, მწყემსების დასახლებანი და ა. შ. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მუდმივ დასახლებას ჰყავს ცვალებადი მცხოვრებლები. ამის მაგალითია კურორტები, არქტიკასა და ანტარქ-

ტიკაში შექმნილი სამეცნიერო ექსპედიციების დასახლებანი, ზოგიერთი მეტეოროლოგიური სადგური. გარკვეული გაგებით დროებით ხასიათისაა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან წარმოქმნილი დასახლებანი, რომლებშიაც ზოგჯერ ათასობით ადამიანი ცხოვრობს, მშენებლობის დამთავრების შემდეგ კი მოსახლეობას შეადგენს სადგურის მომსახურე მცირერიცხოვანი პერსონალი. დროებითი და სეზონური დასახლებანი ხშირად დაკავშირებულია გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებთან, მეცხოველეობაში საზამთრო და საგაზაფხულო საძოვრების გამოყენებასთან და, საერთოდ, ყველა იმ სახის მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულებასთან, რომლებიც ხორციელდება არსებული დასახლებული პუნქტებიდან საკმაოდ დაშორებით — დროებით ან სეზონურად.

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში არსებული დასახლებული პუნქტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მრავალი ნიშნით, მაგრამ ყველა დასახლებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას. მართალია, „ცხოვრების ნორმალური პირობები" თავისთავად განპირობებულია საწარმოო ძალების განვითარების დონით და სრულიად განსხვავებული შეიძლება იყოს სხვადასხვა ეპოქისა და ხალხისათვის, მაგრამ თანამედროვე ცივილიზაციას მაინც აქვს გამომუშავებული გარკვეული მინიმუმი ასეთი პირობებისა; მათ შორის აღსანიშნავია ჯანსაღი ჰავა, წყლით უზრუნველყოფა, შრომის გამოყენების სფერო (იგულისხმება შესაბამისი მიწის ფართობი ან სხვა სახის ძირითადი საწარმოო საშუალებანი), რომელთა გარეშე დასახლებული პუნქტი ვერ იარსებებს. იმასთან დაკავშირებით, რომ იზრდება ადამიანის მოთხოვნილება და არსებობს მუდმივი მისწრაფება ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნისაკენ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასახლებულ პუნქტებში მომსახურების სფეროს განვითარებას. შეტად წვრილი დასახლებული პუნქტების დაცლა იმითაა უმთავრესად გამოწვეული, რომ ასეთ პუნქტებში არ ხერხდება მოსახლეობის მომსახურე ობიექტების შექმნა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე. ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა ყველა სახეობის დასახლებულ პუნქტებში ადამიანის ცხოვრების ნორმალურ პირობების შექმნას. სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ნათქვამია: „საწარმოო ძალების განვითარების

დონითა და შრომის ხასიათით, საწარმოო ურთიერთობის ფორმებით, საყოფაცხოვრებო პირობებით, მოსახლეობის კეთილდღეობის დონით სოფელი ქალაქის დონეს მიაღწევს"[5]. სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკა მთლიანად პასუხობს პარტიის პროგრამის მოთხოვნებს. დღევანდელი საბჭოთა სოფელი განვითარების ფართო გზაზეა გამოსული და უდიდეს განახლებას განიცდის როგორც მატერიალური, ისე კულტურული ცხოვრების სფეროში.

---

5 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა. თბილისი, 1967, გვ. 7

თავი მეცხრე

ქალაქების განვითარება და თანამედროვე ურბანიზაცია

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და ურბანიზაცია

თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია ქალაქების უდიდესი როლი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. საყოველთაო მოვლენად იქცა დიდი ქალაქების სწრაფად მზარდი გავლენა ადამიანის საქმიანობაზე და ქალაქური ცხოვრების წესის ფართოდ გავრცელება. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ვითარებაში მკვეთრად დაჩქარდა ურბანიზაციის პროცესი; მან მოიცვა საწარმოო ძალების განვითარების სრულიად სხვადასხვა დონეზე მდგომი ქვეყნები. თავისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგებით და გავრცელების მასშტაბებით ურბანიზაცია ამჟამად ყოვლისმომცველი, გლობალური მოვლენაა.

ქალაქები, როგორც მოსახლეობის სივრცობრივი ორგანიზაციის განსაკუთრებული ფორმა, შრომის ტერიტორიული დანაწილების შედეგად ჩაისახნენ უძველეს დროში. ათასეული წლების მანძილზე თანდათან რთულდებოდა მათი ფუნქციები, მაგრამ საწარმოო ძალების ნელი ზრდის ვითარებაში, მონათმფლობელური და ფეოდალური წარმოების წესის ბატონობის დროს მაინც შეზღუდული იყო ქალაქების პროგრესული მისია. უძველესი ქალაქები, თუმცა სავაჭრო-სახელოსნო და საშინაურო-პოლიტიკურ ფუნქციებს ასრულებდნენ, მაგრამ ბევრი მათგანი მიწათმოქმედებითაც იყო ცნობილი, რაც მათ აახლოებდა სასოფლო დასახლებებთან. შედარებით უმნიშვნელო იყო ქალაქების ზემოქმედება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ფეოდალიზმის ეპოქაში, რადგან ნატურალური, კარჩაკეტილი მეურნეობის პირობებში ბევრი ქვეყნის ქალაქებმა შესამჩნევი დაქვეითება განიცადა. ამ ეპოქაში მათი უმნიშვნელო როლის შესახებ მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ XVIII საუკუნის ბოლოს მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 3% ცხოვრობდა ქალაქად.

ძირეული ძვრები ქალაქების განვითარებაში მოხდა კაპიტალიზმის დროს. ახალმა საწარმოო ურთიერთობებმა ხელსაყრელი წანამ-

ძღვრები შექმნეს ქალაქების მიზიდულობის გაძლიერებისათვის. დასავლეთ ევროპაში განხორციელებულ სამრეწველო გადატრიალებასთან დაკავშირებით, XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე ფართოდ გავრცელდა მანქანური შრომა; მანუფაქტურული და ხელოსნური საწარმოების ნაცვლად გაჩნდნენ ფაბრიკები და ქარხნები. ტექნიკური პროგრესის შედეგად დაჩქარებით განვითარდა სამრეწველო წარმოება, რომელმაც თითქმის მთლიანად ქალაქებში მოიყარა თავი. ქალაქების საწარმოო ფუნქციის მკვეთრად გაფართოებამ ხელი შეუწყო მათი პროგრესული როლის გაძლიერებას ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში. დაჩქარებულად განვითარებადი ქალაქები გამოირჩეოდნენ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით და თანდათან ფართოდ ებმებოდნენ მსოფლიო სასაქონლო ბრუნვაში. სავაჭრო-განმანაწილებელი ფუნქციები ფართოვდებოდა ტრანსპორტის ახალი სახეობების განვითარების პარალელურად; ქალაქები კომუნიკაციების უმნიშვნელოვანეს ცენტრებად ყალიბდებოდნენ, რაც აძლიერებდა მათ საწარმოო-ეკონომიკურ კავშირებს და ერთდროულად — გაელენას სასოფლო ადგილებზე.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქების კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულების მუდმივ ზრდას. ახალ ვითარებაში მეცნიერების, განათლების, ხელოვნების, ლიტერატურის და, ზოგადად, ინტელექტუალური ძალების განვითარებამ პროგრესული როლი შეასრულა დიდი ქალაქების ჩამოყალიბებაში, ბევრად უფრო სრულყოფილი გახადა მათი ფუნქციური დანიშნულება; ვითარდებოდა აგრეთვე საქალაქო დასახლებათა ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ფუნქციები. ყველა ამ გარდაქმნათა შედეგად ქალაქებმა დაიმკვიდრეს წამყვანი ადგილი საზოგადოების მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაში. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებში მოცემულია ქალაქების როლის შეფასება საზოგადოების განვითარებაში. „ქალაქები — წერდა ვ. ი. ლენინი, — წარმოადგენენ ხალხის ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების ცენტრებს და პროგრესის მთავარი მამოძრავებელი არიან"[1]. აღნიშნავდა რა ქალაქების პროგრესულ დანიშნულებას, ვ. ი. ლენინი ამავე დროს მიუთითებდა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე.

ქალაქი, როგორც განსახლების ერთ-ერთი ფორმა, ზედნაშენი მოვლენაა და განიცდის საწარმოო ძალების და საწარმოო ურთიერთობათა განმსაზღვრელ გაელენას. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებანი ურბანიზაციის პროცესში განპირობებულია საწარმოო ძალების მიღწეული დონით. კერძოდ, ურბანიზაციის თანამედროვე ეტაპი

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, ტომი 19, გვ. 315.

ᲨᲭიდრო კავშირშია სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციასთან, რომელსაც რიგი საერთო ნიშანი აქვს ორი საუკუნის წინათ ჩასახულ სამრეწველო გადატრიალებასთან, მაგრამ მიმდინარეობს საწარმოო ძალების ბევრად უფრო მაღალ დონეზე, მათი ინტენსიური განვითარების პირობებში. ორივე შემთხვევაში სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების დაჩქარებული ზრდა, შეცვალა თვით შრომის ხასიათი. ეს განსაკუთრებით ეხება თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას, როდესაც საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცა შრომის პროცესების ავტომატიზაცია და საწარმოო საქმიანობა ღებულობს შემოქმედებითი გონებრივი შრომის ფორმას. ამრიგად, ახალ ვითარებაში უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ცოდნის დაუფლება, რათა შეუჩერებლად ვითარდებოდეს სამეცნიერო-ტექნიკური აზრი. სხვანაირად ამ პროცესს უწოდებენ „ცოდნის წარმოებას". არ შეიძლება არ გავიხსენოთ კ. მარქსის სიტყვები: „ქვეყნის სიმდიდრე მეღავნდება არა იმდენად უკვე შექმნილ და ათვისებულ საგნებში, არამედ უნარსა და ცოდნაში (შეძენილი ხანგრძლივი ჩვევებითა და გამოცდილებით), რათა გამოიგონო და გააკეთო მეტი"[2]. ანალოგიურ შეფასებას აძლევს ცოდნას ფილოსოფოსი ჯონ ბერნალი: „... ᲨᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ სიმდიდრე — ცოდნაა და არა მატერიალური ობიექტები. ძირითადი ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ სიმდიდრეა ადამიანის ტვინი"[3]. ეყრდნობა რა მეცნიერების ფუნდამენტურ აღმოჩენებს, ადამიანი სულ უფრო ღრმად ეუფლება ბუნების საიდუმლოებებს და ფართოდ იყენებს შეძენილ ცოდნას პრაქტიკული მიზნებისათვის. მეცნიერებასთან ერთად ვითარდება ინფორმაციის სხვა წყაროები — რადიო, ტელევიზია, პერიოდული პრესა და სხვა, რომლებიც თავმოყრილი არიან ქალაქებში. ყოველივე ეს ბევრად უფრო მრავალფეროვანს ხდის ქალაქების საქმიანობას, ხელს უწყობს დიდი ქალაქების როლის ზრდას.

ᲯᲔᲠ კიდევ სამრეწველო გადატრიალების დასაწყის სტადიაში მრეწველობა თავს იყრიდა ძირითადად ქალაქებში, განსაკუთრებით ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის მქონე დასახლებებში, იქმნებოდა ახალი ქალაქები, ყალიბდებოდა მათი სპეციალიზაცია გარკვეული სახის პროდუქციის წარმოებაზე. ამის შედეგად იზრდებოდა ქალაქების მიზიდულობის ძალა და სწრაფად მატულობდა ქალაქის მოსახლეობის როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი რაოდენობა. უკვე XIX საუკუნის ბოლოს ევროპისა და ამერიკის ინდუსტრიუ-

---

2 Материалы ЦПА, ИМЭЛ, фонд I, опись I.

3 ჯ ო ნ ბ ე რ ნ ა ლ ი. მეცნიერება და ტექნიკა მომავალ მსოფლიოში. გაზეთი «Правда», 1962 წლის 12 სექტემბერი, № 255.

ლად განვითარებულ ქვეყნებში ქალაქის მცხოვრებთა ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში შეადგენდა 45—50%-ს. ქალაქებმა მტკიცედ დაიმკვიდრეს წამყვანი მდგომარეობა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ქალაქებში ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში უკვე ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 70—80%. თუმცა თანამედროვე პირობებში ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა მთლიანად არ ასახავს ქალაქების როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ მაინც გვაძლევს ზოგად წარმოდგენას ქვეყნის ურბანიზებულობის დონეზე. ზოგიერთი კარგად განვითარებული ქალაქის მოსახლეობის რაოდენობამ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გადააჭარბა მილიონიან ზღვარს, ხოლო 1970 წლისათვის ასეთი ქალაქების რაოდენობა 151-ს შეადგენდა. სწრაფად იზრდება დიდი ქალაქების რაოდენობა; 1970 წლისათვის მათი რიცხვი მსოფლიოში 2000-ზე მეტი იყო. 1920 წელს ქალაქებში ცხოვრობდა მსოფლიოს მოსახლეობის 19%, ხოლო 1974 წელს ამ მაჩვენებელმა 40%-ს მიაღწია. თანამედროვე ურბანიზაციისათვის დამახასიათებელია დიდი და უდიდესი ქალაქების უფრო დაჩქარებული ზრდა და საქალაქო აგლომერაციების წარმოქმნა; აგლომერაციათა ბირთვს ყველაზე განვითარებული ქალაქები წარმოადგენენ. სწორედ მათ ირგვლივ წარმოიქმნება ხოლმე სხვადასხვა სიდიდის საქალაქო დასახლებანი, რომლებიც მჭიდრო საწარმოო-ეკონომიკურ და კულტურულ კავშირს ამყარებენ ცენტრალურ ქალაქთან.

განსახლების ახალი ფორმების წარმოქმნაში მკაფიოდ გამოიკვეთა საწარმოო ძალების კონცენტრაციის ტენდენცია; ეს პროცესი მნიშვნელოვნად დაჩქარდა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ვითარებაში. დიდი და უდიდესი ქალაქების სწრაფი აღმავლობა დაკავშირებულია, სამრეწველო საწარმოებთან ერთად, შრომის სხვა დარგების ასეთ ქალაქებში თავმოყრასთან. ისინი იქცევიან უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო კვანძებად, სავაჭრო-განმანაწილებელ ცენტრებად; ამ ქალაქებში არსდება სამეცნიერო და საპროექტო დაწესებულებები, შემოქმედებითი კავშირები, უმაღლესი სასწავლებლები და კულტურის სხვა კერები. ყველაფერი ეს აჩქარებს ურბანიზაციის პროცესს და ბევრად ზრდის ქალაქების მნიშვნელობას: ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა ს ა ქ ა ლ ა ქ ო ა გ ლ ო მ ე რ ა ც ი ე ბ შ ი და კარგად განვითარებულ ქალაქებში ადამიანის სხვადასხვა სახის საქმიანობის შერწყმა. ასეთი ინტეგრაცია თავის მხრივ ხელსაყრელ წანამძღვრებს ქმნის საზოგადოებრივი შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერების მიღწევისათვის, ანუ აჩქარებს საყოველთაო პროგრესს. განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მიმდინარეობს აგლომერაციების შერწყმა და

წარმოიქმნება საქალაქო დასახლებათა უდიდესი თავმოყრა; მათ უწოდებენ მეგალოპოლისებს.

სამეცნიეერო-ტექნიკურ პროგრესსა და ურბანიზაციას შორის არსებული კავშირის ერთ-ერთი გაძოვლენაა კომუნიკაციების საშუალებათა გაძლიერება და ადამიანთა შორის კონტაქტების აქტივიზაცია. ეს პროცესი უშუალო კავშირშია აგრეთვე ქალაქების ძიერ ინფორმაციის (ცოდნის) დაგროვებასა და გავრცელებასთან. მეცნიერებისა და კულტურის სხვა დარგების დაჩქარებული განვითარება ამავე დროს ნიშნავს „ინფორმაციის წარმოების" გაფართოებას, ხოლო ინფორმაციის გაცვლა გულისხმობს ადამიანების ურთიერთკავშირის გაძლიერებას. კარგად განვითარებულ ქალაქებში ყველაზე უფრო რელიეფურადაა გამოსახული ურბანიზაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ურთიერთკავშირი.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია სოციალისტურ საზოგადოებაში არა მარტო ხელს უწყობს საზოგადოებრივი ცხოვრების კონცენტრაციას დიდსა და უდიდეს ქალაქებში და ამით აღრმავებს ურბანიზაციის პროცესს, არამედ ერთდროულად ქმნის პირობებს განსახლების არსებული ფორმების განვითარებისათვის. ამრიგად, საწარმოო ძალების დაჩქარებულმა განვითარებამ უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე — სამრეწველო გადატრიალებიდან დაწყებული სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქამდე — გადამწყვეტი როლი შეასრულა მრავალმხრივი და მეტად რთული ურბანიზაციის პროცესის მუდმივ აღმავლობაში. ამ პერიოდში შეუჩერებლად ღრმავდებოდა და ფართოვდებოდა ქალაქების მნიშვნელობა მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში, რაც თავის მხრივ დადებით უკუგავლენას ახდენდა საზოგადოებრივი საწარმოო ძალების ზრდაზე.

ურბანიზაციის ძირითადი ნიშნები და ფაქტორები

ქალაქები, როგორც ისტორიული კატეგორია, განიცდიან დიდ ცვლილებებს დროსა და სივრცეში. თითოეული სოციალ-ეკონომიკური წყობის ხასიათი და კონკრეტული ისტორიული ვითარება დიდ გავლენას ახდენს ქალაქების ფუნქციურ სტრუქტურაზე, ხალხმრავლობაზე, გარეგან სახეზე და, რაც მთავარია, მათ როლზე საზოგადოებრივი ცხოვრების ერთიან სისტემაში. ამავე დროს ქალაქში ყოველთვის აისახება საწარმოო ძალების განვითარების დონე. უფრო მეტიც, ქალაქების მიერ შექმნილი გარემო განაპირობებს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მისი შემადგენელი ელემენტების განვითარებას. სწორედ ქალაქების როლის ცვლილებანი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე საფუძველად დაედო ურბანიზაციის ამა თუ იმ განსაზღვრას. ქალაქების განვითარების ადრინდელ ეტაპზე ურბანიზაციის

პროცესი ნიშნავდა მოსახლეობისა და მეურნეობის ნელი ტემპით გადაადგილებას საქალაქო დასახლებებში; ეს ჯერ კიდევ არ იყო წარმოების კონცენტრაცია ქალაქებში, რადგან ხელოსნობას და ვაჭრობას არ ეკავა წამყვანი ადგილი ეკონომიკაში. ეს უკანასკნელი წარმოდგენილი იყო ძირითადად სასოფლო-სამეურნეო წარმოებით და ნატურალურ, მომხმარებლობით ხასიათს ატარებდა. მაგრამ აღნიშნული გარემოება არ ეწინააღმდეგება ქალაქების პროგრესულ მისიას მონათმფლობელურ და ფეოდალურ ეპოქაში, მით უმეტეს, რომ ათობით მაშინდელი ქალაქი წარმოადგენდა ვაჭრობა-ხელოსნობის ცნობილ ცენტრს, თუმცა მთლიანად ქალაქური ცხოვრების წესი ჯერ კიდევ სუსტად იყო გამოსახული და ვერ ახდენდა დიდ გავლენას საწარმოო ძალების განვითარებაზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მაშინდელი ქალაქების განვითარება ან დაქვეითება ხშირად დამოკიდებული იყო სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაზე. სხვა მიზეზებიან ერთად, ქალაქების ეკონომიკური ბაზის სისუსტე ხშირად აჩქარებდა მათ დაქვეითებას, ზოგ შემთხვევაში კი სრულ გაქრობას.

ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ კაპიტალიზმამდელი ურბანიზაცია მეტად სუსტად იყო გამოსახული, კერძოდ, ის არ ემყარებოდა განვითარებულ საწარმოო ძალებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქალაქების ხელში არ იყო სამეურნეო ცხოვრების სადავეები და ისინი ხშირად სამხედრო-პოლიტიკური დანიშნულებით (როგორც ციხესიმაგრეები) უფრო იყვნენ ცნობილი, ვიდრე ეკონომიკური ფუნქციებით. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში შეზღუდული იყო ქალაქების პროგრესული როლი; მეტად ვიწრო ფარგლებში იყო მოქცეული მათი გავლენა სოფელზე. ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია ძირითადად კაპიტალიზმის განვითარების საწყისი პერიოდისათვისაც.

ყოველივე ზემოთ თქმული საფუძველს გვაძლევს ურბანიზაციის ისტორიული პროცესი გავყოთ ორ ძირითად პერიოდად: ინდუსტრიამდელი და ინდუსტრიული. პირველი მათგანი თანხვდენილია მონათმფლობელურ, ფეოდალურ და კაპიტალიზმის საწყის ეპოქებთან და წარმოადგენს თანამედროვე ურბანიზაციის წინაისტორიულ ხანას, მეორე კი იწყება XIX საუკუნიდან და გრძელდება დღემდე. პირველ პერიოდში არსებითად მიმდინარეობდა საქალაქო ცხოვრების ექსტენსიური განვითარება ანუ ურბანიზაციის ცალკეული ელემენტების დაგროვება. მრავალი საუკუნის მანძილზე სავაჭრო-სახელოსნო დანიშნულება რჩებოდა ქალაქების მთავარ სამეურნეო ფუნქციად, ხოლო ახალ საქალაქო დასახლებათა წარმოქმნა ხშირად ნაკარნახევი იყო სამხედრო-პოლიტიკური მოსაზრებებით და არა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ინტერესებით.

ურბანიზაციის სრულიად სხვაგვარი პირობები შეიქმნა მეორე პერიოდში. სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, პირველ ყოვლისა საშრეწველო წარმოების ინტენსიური განვითარება ნიშნავდა ქალაქების ყოველმხრივი დაწინაურების მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას. თუ ადრე ქალაქების საწარმოო ფუნქციები ემყარებოდა შრომის პრიმიტიულ იარაღებს, ინდუსტრიალიზაციის პირობებში სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა უზრუნველყო ქალაქებში მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება. არა მარტო ძირეულად შეიცვალა წარმოების ტექნიკა, არამედ დიდად ამაღლდა ზოგადი კულტურის დონე და თვით მწარმოებელთა სპეციალური ცოდნა, რამაც უდიდესი ძვრები გამოიწვია ურბანიზაციაში.

თანამედროვე ურბანიზაციის ყველაზე დამახასიათებელი ნიშნების განხილვისას ყურადღებას იქცევს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სირთულე ურბანიზაციის ძირითად ნიშნებსა და ფაქტორებს შორის. ურბანიზაციის წარმომქმნელი ბევრი ფაქტორი თვითონ პოულობს განვითარების ხელშემწყობ პირობებს საქალაქო ცხოვრების გარემოში, გარდაიქმნება რა მიზეზიდან შედეგად.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ვითარებაში თუმცა გაძლიერდა რიგი სხვა ფაქტორის მნიშვნელობა, მაგრამ ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო წ ა რ მ ო ე ბ ა მაინც რჩება ურბანიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. საქმე მარტო ის კი არაა, რომ მრეწველობაში მკაფიოდაა გამოსახული წარმოების კონცენტრაცია, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის თავმოყრას გარკვეულ პუნქტებში, არამედ მრეწველობა მოწოდებულია შექმნას სხვა საწარმოო დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მრეწველობის გარეშე შეუძლებელია აგრეთვე ინდუსტრიულ საწყისებზე გადაიყვანოთ მომსახურების სფერო, რომელიც ურბანიზებული გარემოს ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია. მრეწველობა წარმოადგენს ყველაზე პროგრესულ მატერიალური წარმოების დარგს. მეცნიერულ-ტექნიკური აზრი პირველ ყოვლისა მრეწველობაში პოულობს თავის „მატერიალიზაციას"; იგი უზრუნველყოფს წარმოების საშუალებათა მუდმივ განახლებასა და სრულყოფას მთლიანად სახალხო მეურნეობაში. მრეწველობა მატერიალური წარმოების სხვა დარგებთან შედარებით ყველაზე მეტადაა თავმოყრილი ქალაქებში, რითაც ხელს უწყობს ქალაქების ტერიტორიულ ზრდას და მოსახლეობის მატებას.

უდიდესი ქალაქები გამოირჩევიან სამრეწველო ობიექტების განლაგების ხელსაყრელი პირობებით; ისინი პირველ რიგში იზიდავენ კვალიფიციური დარგების საწარმოებს, რითაც ხელს უწყობენ მაღალი საწარმოო კულტურის შექმნას. ხშირად ასეთ ქალაქებში განლაგებულია მონათესავე საწარმოებისაგან შექმნილი ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო კ ო მ-

პ ლ ე ქ ს ე ბ ი, მათთვის დამახასიათებელი მჭიდრო საწარმოო-ეკონომიკური კავშირებით. მაგრამ ყველა სახის სამრეწველო დარგი ერთნაირად არ მონაწილეობს ურბანიზაციის პროცესში. როგორც წესი, მოპოვებითი მრეწველობის ბაზაზე ვითარდებიან არცთუ ისე დიდი ქალაქები. მათთვის დამახასიათებელია მონოფუნქციურობა და მასთან დაკავშირებული შრომის გამოყენების სფეროს ერთფეროვნება. თუ ასეთ ქალაქში არ ვითარდება დამუშავებითი მრეწველობა, ხდება მისი სტაგნაცია ან მეტად ნელი ზრდა, ზოგ შემთხვევაში კი სასარგებლო წიაღისეულის მარაგის გამოლევის გამო, ქალაქი ქვეითდება. განსხვავებული მდგომარეობაა დამუშავებითი მრეწველობის ცენტრებში; ისინი გამოირჩევიან მეურნეობის რთული სტრუქტურით, დარგებისა და საწარმოო კავშირების მრავალფეროვნებით. კარგად განვითარებულ ქალაქებში ხშირად ყალიბდება სპეციალიზაციისა და კოოპერირების შედეგად წარმოქმნილი მსხვილი წარმოების ერთი ან რამდენიმე კომპლექსი. საწარმოო კავშირების გაძლიერება იძლევა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს და საბოლოოდ ხელს უწყობს როგორც თვით მრეწველობის, ისე ქალაქების ზრდას.

დიდ როლს ასრულებენ ქალაქების განვითარებაში მატერიალური წარმოების ისეთი დარგები, როგორიცაა მ შ ე ნ ებ ლ ობ ა, ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი და კ ა ვ შ ი რ გ ა ბ მ უ ლ ო ბ ა, ვ ა ჭ რ ო ბ ა და მ ო მ ა რ ა გ ე ბ ა. თითოეული ქალაქის მატერიალური ობიექტები — საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების შენობები, საცხოვრებელი სახლები, კომუნალური დანიშნულების მრავალფეროვანი ნაგებობანი მშენებლობის უშუალო „პროდუქციაა". ქალაქები წარმოადგენენ მეტად თუ ნაკლებად განვითარებული საგზაო ქსელის კვანძებს. რაც უფრო განვითარებულია ქალაქი, როგორც წესი, მით უფრო მნიშვნელოვანია მისი სატრანსპორტო დანიშნულება. თანამედროვე ქალაქებში განლაგებულია მსხვილი სატრანსპორტო ბაზები, რკინიგზის საკვანძო სადგურები, კავშირგაბმულობის დაწესებულებები; ბევრი ქალაქი წარმოადგენს საავიაციო ტრასების კვანძს. ქალაქების სატრანსპორტო ფუნქციასთან მჭიდრო კავშირშია მათი სავაჭრო-განმანაწილებელი დანიშნულება.

განვითარებულ ქალაქებს აქვთ მნიშვნელოვანი ა რ ა ს ა წ ა რ მ ო ო დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა. ასეთ ქალაქებში განლაგებულია მეცნიერების, უმაღლესი განათლების, კულტურის, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მრავალრიცხოვანი დაწესებულებები. აღსანიშნავია, რომ ურბანიზაციის თანამედროვე ეტაპზე ქალაქებში მთლიანად უფრო სწრაფად ვითარდება არასაწარმოო დარგები, ვიდრე საწარმოო. ასევე სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ქალაქებში იმ დარგების განვითარება, რომლებიც მატერიალურ-ტექნი-

კურ მომსახურებას უწევენ როგორც წარმოებას, ისე მოსახლეობას; მათ ერთობლიობას უწოდებენ ინფრასტრუქტურას. მას მიეკუთვნება ენერგომომარაგება, წყალმომარაგება, კომუნალური მეურნეობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება; აქვე შედის განათლების და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები. იმის მიხედვით, წარმოებას ეესახურება, თუ მოსახლეობას, გამოყოფენ საწარმოო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურას. ქალაქებში ჩასახული სოციალურ-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურა თანდათან მოიცავს სოფელსაც. სოფლების ურბანიზებულობის დონე მნიშვნელოვანწილად განპირობებულია სწორედ ინფრასტრუქტურული მომსახურების გავრცელების მასშტაბით. კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა ბევრად ასუსტებს უდიდესი ქალაქების რიგ უარყოფით მხარეს და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების არსებითი ფაქტორია.

ქალაქების შიგა და გარე ფუნქციების გამიჯვნისათვის მიღებულია ქალაქში წარმოებული პროდუქცია და მომსახურების სახეობანი დაიყოს ორ ნაწილად: ქალაქწარმომქმნელ და ქალაქმომსახურე ჯგუფად. პირველს მიეკუთვნებიან პროდუქციის და მომსახურების ის სახეობანი, რომლებსაც ქალაქი აწარმოებს გარე სამყაროსათვის, მეორეს — თვით ქალაქისათვის განკუთვნილი პროდუქცია და მომსახურება. აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთი გამიჯვნა არც ისე იოლია, რადგან მთელი რიგი დარგები ერთდროულად ემსახურებიან როგორც თვით ქალაქს, ისე სხვა დასახლებებს. მაგალითად, ასეთი დანიშნულებისაა საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ან კიდევ, ქალაქში შექმნილ მეცნიერულ ან ხელოვნების ფასეულობებს საყოველთაო-სახალხო ღირებულება აქვთ და შეუძლებელია მათი დაყოფა „შიგა" და „გარე" დანიშნულებად. ასევე პირობითია ზოგიერთი საწარმოო დარგის პროდუქციის მიკუთვნება რომელიმე ჯგუფისადმი. მიუხედავად ასეთი პირობითობისა, მაინც დამკვიდრდა ქალაქის მთელი სახალხო მეურნეობის უპირატესად ქალაქწარმომქმნელ და ქალაქმომსახურე ანუ გარე და შიგა დანიშნულების დარგებად დაყოფა.

დიდი ქალაქებისათვის დამახასიათებელია საქმიანობის მრავალფეროვნება, რაც ხელს უწყობს სამუშაოზე მოწყობას და შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას. ქალაქის პირობები საშუალებას აძლევს ადამიანს უფრო თავისუფლად აირჩიოს პროფესია და შეიძინოს ცოდნა, შინაარსიანად გამოიყენოს თავისუფალი დრო; საბოლოოდ ეს ხელს უწყობს მისი კულტურის ამაღლებას, აჩქარებს საზოგადოებრივ პროგრესს.

ურბანიზაციის ერთ-ერთი ნიშანია ქალაქების შიგა და გარე კავშირების გაძლიერება; განსაკუთრებით დიდ როლს

ასრულებს გარე კავშირების ინტენსიფიკაცია, რადგან იგი უშუალოდ ასახავს ქალაქის ფუნქციურ დანიშნულებას. ამ მხრივ დიდი უპირატესობა აქვთ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის მქონე პუნქტებს, მათ შორის სანაპიროზე ქალაქებს, რომლებსაც გასასვლელი აქვთ საერთაშორისო სანაოსნო გზებზე, აგრეთვე მსხვილ საკომუნიკაციო ცენტრებს; ისინი რამდენიმე სახეობის სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტის კვანძებს წარმოადგენენ. ქალაქების გავლენა პირველ რიგში ვრცელდება მათ უახლეს გარემოცვაზე; ამასთანაა დაკავშირებული ს ა გ ა რ ე უ ბ ნ ო ზ ო ნ ი ს წარმოქმნა. ეს ზონა გამოირჩევა მეურნეობის თავისებური სტრუქტურით, რომელიც ყალიბდება ქალაქის უშუალო გავლენით და მჭიდრო საწარმოო და შრომით კავშირშია მასთან, კერძოდ, აქედან მარაგდება ქალაქის მოსახლეობა რიგი სახეობის ახალ-ახალი პროდუქტებით (ბოსტნეული, ხილი, რძე, ფრინველის ხორცი და სხვ.), ხოლო ზონის მუშახელის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაბმულია ქალაქის მეურნეობაში და ყოველდღიურად მოგზაურობს სამუშაო და საცხოვრებელ ადგილებს შორის. ამავე ზონაშია ხშირად განლაგებული ქალაქის მოსახლეობის დასვენების პუნქტები.

გარკვეული კავშირი არსებობს ურბანიზაციასა და დ ე მ ო გ რ ა ფ ი უ ლ პ რ ო ც ე ს ებ ს შორის. ურბანიზაცია და საერთოდ ქალაქური ცხოვრების წესი გავლენას ახდენს ისეთ მნიშვნელოვან დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე, როგორიცაა—შობადობა, სიკვდილიანობა, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, მიგრაცია. თავის მხრივ, შექმნილი დემოგრაფიული სიტუაცია მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ მიგრაციულ კავშირს. შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ გასული საუკუნის დასაწყისიდან ევროპაში მოსახლეობის ბუნებრივი მატების დაჩქარება დაემთხვა ურბანიზაციის პროცესის გაძლიერებას. უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე სიკვდილიანობის მკვეთრად შემცირება, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მოსახლეობის მატების დაჩქარებაში, დაიწყო ქალაქებში, სადაც მიაღწიეს დიდ წარმატებას ბევრი დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ სფეროში მოპოვებული წარმატებანი თანდათან ვრცელდებოდა სოფლადაც. მიუხედავად იმისა, რომ იმავე ურბანიზაციის გავლენით მცირდებოდა შობადობა, სიკვდილიანობა უფრო სწრაფად მცირდებოდა და იზრდებოდა მოსახლეობის ბუნებრივი მატება. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სოფლად მაღალმა ბუნებრივმა მატებამ გამოიწვია ფარდობითი ჭარბმოსახლეობა, რამაც ბიძგი მისცა მიგრანტთა ნაკადის გაძლიერებას სოფლიდან ქალაქისაკენ, ამას კი მოჰყვა ქალაქის მოსახლეობის დაჩქარებული შევსება და ბევრ შემთხვევაში ქალაქების ჰიპერტროფიული ზრდა.

მეტად დიდი სხვაობანი ურბანიზებულობის დონეში როგორც მსოფლიოს რეგიონებს შორის, ისე ცალკეული კონტინენტებისა და ქვეყნების შიგნით მიგვითითებს გეოგრაფიული ფაქტორების არსებით როლზე ასეთ სხვაობათა წარმოქმნაში. ურბანიზაციის ყველა ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქების ეკონომიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობას, ადამიანის ცხოვრების ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს, ტერიტორიის სამეურნეო ათვისების დონეს ქალაქების მიზიდულობის არეალში, ბუნებრივი და შრომითი რესურსების არსებობას. ეს ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაქტორები როგორც უშუალოდ, ასევე წარმოების საშუალებით მონაწილეობენ ურბანიზაციაზე მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური პირობების ჩამოყალიბებაში. გეოგრაფიული ფაქტორები სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან ერთად გავლენას ახდენენ ურბანიზებული არეალების წარმოქმნაზე განსაზღვრულ ადგილებში, სადაც არსებობს კარგი წანამძღვრები წარმოების კონცენტრაციისა და სხვადასხვა რანგის ქალაქების, აგრეთვე აგლომერაციების წარმოქმნისათვის.

მაღალი ტემპებით ფართოვდება დიდი ქალაქებისა და აგლომერაციების ტერიტორია; ქალაქების მიერ დაკავებული ფართობი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მათი მოსახლეობა. შენობები და ნაგებობანი ხშირად იკავებენ მეტად ძვირფას სასოფლო-სამეურნეო მიწებს, რის შედეგადაც დიდი ცვლილებები ხდება გარემოში. განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენენ ბუნებრივ ლანდშაფტებზე მოპოვებითი მრეწველობის ცენტრები. წიაღისეულის ღია წესით მოპოვების დროს მწყობრიდან გამოდის სასარგებლო მიწების ვრცელი ფართობები, რომელთა რეკულტივაცია ყოველთვის არ ხორციელდება. მწვავე პრობლემად გადაიქცა დიდი ქალაქების საჰაერო სივრცის დაცვა წარმოების ნარჩენებისა და ავტომანქანების გამონაბოლქვი გაზებისაგან. ასეთივე დაცვას საჭიროებენ მდინარეები და წყალსატევები, რომლებშიაც ჩაედინება მრეწველობის და კომუნალური მეურნეობის მიერ მოხმარებული დაჭუჭყიანებული წყლები. საერთოდ, ქალაქების მომარაგება სუფთა წყლით დაკავშირებულია ბევრ სიძნელესთან, რომელთა გადალახვა ხშირად მოითხოვს რთული ტექნიკური საკითხების გადაჭრას და დიდ მატერიალურ დანახარჯებს.

ურბანიზაციის ძირითადი ნიშნების და ფაქტორების მოკლე მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ დაჩქარებული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ვითარებაში ბევრად გაფართოვდა მისი შინაარსი. თანამედროვე ურბანიზაცია წარმოადგენს ურთიერთ დაკავშირებულ და ურთიერთგანპირობებულ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენათა რთულ შეთანაწყობას, გამოწვეულს ქალაქების,

განსაკუთრებით მსხვილი საქალაქო ცენტრების, მუდმივად მზარდი როლით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მისი ძირითადი ნიშნებია: ადამიანის საქმიანობის კონცენტრაცია ქალაქებში, მოსახლეობაში ურთიერთკავშირისა და სოციალური მობილურობის გაძლიერება; ინდუსტრიულ (შემდგომში კი ავტომატიზებულ) წარმოებაზე გადასვლა; „ინფორმაციის წარმოების" მუდმივი გაფართოება და გაღრმავება, ამასთან დაკავშირებით არასაწარმოო სფეროს დაჩქარებული განვითარება; მაღალგანვითარებული საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება; საქალაქო აგლომერაციების და განსახლების ერთიანი სისტემის შექმნა, რასაც თან სდევს ყველა სახის დასახლებათა შორის კავშირის გაძლიერება.

საქალაქო აგლომერაციები

თანამედროვე ურბანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია საქალაქო აგლომერაციების წარმოქმნა. კარგად განვითარებული ქალაქები თანდათან აძლიერებენ გავლენას უახლოეს გარემოცვაზე. ურბანიზებული არეალის სივრცობრივ გაფართოებასთან ერთად, დიდი ქალაქის ირგვლივ მიმდინარეობს ამ პროცესის კონცენტრაცია გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში, რაც იწვევს ახალ საქალაქო დასახლებათა წარმოქმნას დიდი ქალაქის მეზობლად. თავდაპირველად ისინი ჩაისახებიან როგორც დიდი ქალაქის თანამგზავრები, თანდათან აძლიერებენ საწარმოო-ეკონომიკურ კავშირს ცენტრალურ ქალაქთან, აგრეთვე ახლოს მდებარე სხვა ქალაქებთან და სოფლებთან.

ისეთ შემთხვევაში, როცა ქალაქების ჯგუფი ჩაისახება რომელიმე მსხვილი წიაღისეულის ბაზაზე, დასაწყისში აგლომერაციის წარმოქმნა შეიძლება მოხდეს ქალაქი-ლიდერის გარეშეც. მაგრამ შემდგომში, როგორც წესი, ის ქალაქი, რომელსაც უკეთესი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს ამ ჯგუფში, იძენს ახალ ფუნქციებს, ეითარდება უფრო დაჩქარებულად და თანდათან ეუფლება აგლომერაციაში ლიდერის პოზიციებს; გამორიცხული არაა, რომ ასეთ როლს ორი ან სამი ქალაქი ასრულებდეს და აგლომერაცია იყოს პოლიცენტრული.

საქალაქო აგლომერაციები ასახავენ შრომის ტერიტორიულ კონცენტრაციას ურბანიზაციის გარკვეულ დონეზე, როდესაც წარმოების სივრცობრივი ორგანიზაცია ერთ განცალკევებულ ქალაქში კი არ ხორციელდება, არამედ შედარებით მცირე ტერიტორიაზე მდებარე ქალაქების ჯგუფში, რომლებიც ყოველდღიური საწარმოო-

ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ურთიერთობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული.

დიდი საქალაქო აგლომერაციების წარმოქმნა თავისთავად გულისხმობს ურბანიზაციის საკმაოდ მაღალ დონეს, რადგან ყველაზე ნათლად სწორედ აგლომერაციებშია გამოსახული ურბანიზაციის დამახასიათებელი ნიშნები. ფლობენ რა უდიდეს პოტენციალს საზოგადოებრივი წარმოების წამყვან დარგებში, მათ უჭირავთ გადამწყვეტი პოზიციები მთელ სახალხო-სამეურნეო კომპლექსში. „აგლომერაციები წარმოადგენენ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ლაბორატორიებს, სიახლეთა ჩასახვის კერებს ტექნიკაში, მეცნიერებაში, წარმოებაში, კულტურაში, ადამიანის ცხოვრების წესში"[4]. აძლევს რა ასეთ შეფასებას აგლომერაციებს გ. მ. ლაპო, ამავე დროს საჭიროდ მიიჩნევს აგლომერაციების განვითარების რეგულირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შეუძლიათ გამოიწვიონ ადამიანის ცხოვრების პირობების გაუარესება.

საქალაქო აგლომერაციების ჩასახვა და განვითარება შემდეგი ფაქტორებითაა განპირობებული.

1. აგლომერაციების ფორმირებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს საწარმოო ძალების განვითარება, რაც ვლინდება ურბანიზებულობის მიღწეულ დონეში. საქალაქო განსახლების ჯგუფური ფორმების წარმოქმნა დაკავშირებულია წარმოების ინდუსტრიალიზაციასთან, მრეწველობის კონცენტრაციასთან კარგად განვითარებულ საქალაქო დასახლებათა ჯგუფში. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ხელს უწყობს მრეწველობის მრავალ დარგში წარმოების სპეციალიზაციას და კოოპერირებას. მიმდინარეობს წარმოების ტერიტორიული და დარგობრივი სტრუქტურის მუდმივი სრულყოფა მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტის მიღწევის მიზნით: იქმნება საწარმოო-ტერიტორიული კომპლექსები, რომლებშიაც რაციონალურადაა შერწყმული ლოკალურ ტერიტორიაზე განლაგებული გარკვეული პროფილის საწარმოები. განვითარების ასეთი ტენდენცია ხელს უწყობს სამრეწველო საწარმოთა კომპაქტურად თავმოყრას მცირე რეგიონებში, რომლებსაც გარკვეული ეკონომიკური უპირატესობანი გააჩნიათ.

2. საქალაქო აგლომერაციების წარმოქმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წანამძღვარია ხელსაყრელი ეკონომიკურ-გეოგ-

---

[4] Г. М. Лаппо. Экономико-географические проблемы развития крупных городских агломераций СССР. Автореферат докторской диссертации. М., 1975, стр. 4.

რ ა ფ ი უ ლ ი მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა არა ერთი რომელიმე ცალკე აღებული დასახლებისა, არამედ კონკრეტული ტერიტორიისა, რომელიც საქალაქო განსახლებათა მთელი ჯგუფის განლაგების ადგილად იქცევა. ცენტრალური მდებარეობა მთელ ქვეყანაში ან მის მსხვილ რეგიონში, გარე კომუნიკაციების განვითარებული ქსელი, ნედლეულის ძირითადი წყაროების და პროდუქტების გასაღების სიახლოვე, საერთაშორისო კავშირების დამყარების შესაძლებლობანი და ეკონომიკურ-გეოგრაფიული ხასიათის სხვა დადებითი მხარეები განაპირობებენ შედარებით მცირე ტერიტორიაზე ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფი საქალაქო დასახლებების წარმოქმნას. მრეწველობის ზრდასთან ერთად მიმდინარეობს ერთიანი საწარმოო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის ფორმირება, ვითარდება შიგა და გარე კომუნიკაციები, კეთილმოწყობის ელემენტები და ყოველივე ეს დაჩქარებულად იზიდავს საწარმოო და არასაწარმოო საქმიანობის სფეროში ახალ შრომით კონტინგენტებს; მიმდინარეობს მუშაძალის თანდათანობით გადასვლა შრომის უფრო პროგრესულ დარგებში.

3. დიდი ქალაქის უშუალო მიზიდულობის არეალში თანდათან გროვდება ურ ბ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი. კარგად განვითარებულ ქალაქს სულ უფრო მეტი რაოდენობით ჭირდება ისეთი სამრეწველო ნაწარმი და ნახევარფაბრიკატები, რომელთა წარმოება მიზანშეწონილია განვითარდეს უპირატესად საგარეუბნო ზონაში. ასეთი საწარმოო კერების შექმნა არაიშვიათად იწვევს ახალ დასახლებათა წარმოქმნას, ზოგი მათგანი კი თანდათან გარდაიქმნება ქალაქად. დასაწყისში ისინი დიდი ქალაქის თანამგზავრად გვეელინებიან, შემდგომში კი ბევრად ფართოვდება მათი ფუნქციები და კავშირი ახლო მდებარე სხვა დასახლებებთან, რის შედეგადაც ცენტრალური ქალაქის ფუნქციების ნაწილს ისინი თავისთავზე იღებენ და მისი მნიშვნელოვანი პარტნიორები ხდებიან. არცთუ იშვიათად ურბანიზებულ არეალში წარმოიქმნებიან ეგრეთ წოდებული „საძილე ქალაქები“, რომლებიც თანდათან ზოგიერთ საწარმოო ფუნქციასაც იძენენ.

4. მიმდინარეობს წ ა რ მ ო ე ბ ი ს კ ო ნ ც ე ნ ტ რ ა ც ი ი ს ა და მისი გაშლის (განლაგების) თავისებური შერწყმა გარკვეულ სივრცეში ურბანიზებული ტერიტორიის ფარგლებში. საწარმოთა ასეთი ტერიტორიული ორგანიზაციის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ვზღუდავთ დიდი ქალაქის ჰიპერტროფიულ განვითარებას და ამავე დროს ვიყენებთ მის დადებით გავლენას უშუალო მიზიდულობის სფეროში წარმოების განლაგებაზე. ახლად წარმოქმნილი ქალაქები ფართოდ იყენებენ ცენტრალური ქალაქის სამეცნიერო-ტექნიკურ და საპროექტო-საძიებო შესაძლებლობებს, მის მაღალკვალიფიციურ კად-

რებს. დიდი ქალაქი არის აგრეთვე აგლომერაციის ფარგლებში წარმოებული მრავალფეროვანი პროდუქციის გასაღების ბაზარი. ზოგჯერ საჭირო ხდება დიდი ქალაქიდან სამრეწველო ან სატრანსპორტო საწარმოთა გატანა ქალაქგარეთ და მათი განლაგება აგლომერაციის ფარგლებში, რაც შესაძლებელს ხდის არ დაირღვეს ყოველდღიური კავშირები საწარმოო-ტერიტორიული კომპლექსის შიგნით.

5. საქალაქო აგლომერაციების განვითარების ერთ-ერთი ფაქტორია სასარგებლო წიაღისეულის მსხვილი საბადოს დამუშავება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა პირველადი პროდუქციის გადამუშავება ხდება ადგილზეევ და წარმოიქმნება მთელი რიგი საწარმოები უფრო ძვირფასი საბოლოო პროდუქციის მისაღებად.

6. მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ საქალაქო აგლომერაციების განვითარებაში არასაწარმოო სფეროს ქალაქწარმომქმნელ ფაქტორებს. სამეცნიერო და საპროექტო-საძიებო ორგანიზაციები ქმნიან თაეის ფილიალებსა და საცდელ ბაზებს ურბანიზებულ არეალში. მეტად თუ ნაკლებად განვითარებული აგლომერაციები წარმოიქმნებიან აგრეთვე რეკრეაციული რესურსების გამოყენების ბაზაზე, უფრო ხშირად ეს ხდება ზღვის სანაპიროზე ან მინერალური წყაროების განლაგების ადგილებში. ასეთი ჯგუფური ქალაქების ტიპიური მაგალითია სოჭისა და მინერალური წყლების საკურორტო აგლომერაციები.

აგლომერაციებში შედის აგრეთვე ურბანიზებული არეალის ფარგლებში მდებარე სოფლები; ძათი Ბოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაბმულია სხვადასხვა საქალაქო დარგებში. ხშირად თვით ამ სოფლებშიაც განლაგებულია სამრეწველო, სატრანსპორტო ან სხვა ისეთი სახის საწარმოები, რომლებიც მჭიდრო კავშირში არიან აგლომერაციის ქალაქების ანალოგიურ ობიექტებთან.

საქალაქო აგლომერაციებისათვის დამახასიათებელია შიგაკომუნიკაციების ხშირი ქსელი. ასეთი კომუნიკაციების ცენტრს წარმოადგენს ქალაქი-ლიდერი. ღასახლებული პუნქტებს შორის კარგი სატრანსპორტო კავშირი აახლოებს მათ ერთმანეთთან, განამტკიცებს მათ შორის ურთიერთობას, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს აგლომერაციის მატერიალური და შრომითი რესურსების სრულ გამოყენებას. კარგად განვითარებული კომუნიკაციები ხელს უწყობს საჭირო შემთხვევაში მუშაძალის გადანაწილებას აგლომერაციის ფარგლებში, რათა მიღწეულ იქნას საზოგადოებრივი შრომის უფრო მაღალი ეფექტი.

აგლომერაციების განვითარების პარალელურად მიმდინარეობს მთელი ურბანიზებული არეალისათვის ერთიანი საგარეუბნო ტიპის

სასოფლო-სამეურნეო ბაზის ჩამოყალიბება. მისი დანიშნულებაა მთელი წლის მანძილზე მოამარაგოს მოსახლეობა ნაკლებადტრანსპორტაბელური ახალ-ახალი სასურსათო პროდუქტებით. დიდი ქალაქების ირგვლივ იქმნება რძის, კვერცხის, ფრინველის ხორცის, ბოსტნეულის და ხილის წარმოების ინდუსტრიული ტიპის საწარმოები. როგორც წესი, აგლომერაციის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო მიწები გამოიყენება მეტად ინტენსიურად.

საქალაქო აგლომერაციების ფორმირების ძირითადი ეტაპების სქემა

არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კერების ჩასახვა შედარებით განეითარებული ქალაქის უშუალო მიზიდულობის არეალში
↓
საქალაქო დასახლებათა ქსელის ფორმირება, დიდი ქალაქის წარმოქმნა, რომელსაც ცენტრალური მდებარეობა აქვს ქსელში
↓
სპეციალიზებული ფუნქციების გამოყოფა ცალკეულ საქალაქო დასახლებებში და კავშირის გაძლიერება ცენტრალურ ქალაქთან
↓
საქალაქო და სასოფლო დასახლებათა შორის კავშირის გართულება და ურბანიზებული არეალის წარმოქმნა
↓
ყველა რანგის დასახლებათა შემდგომი განეითარება აგლომერაციის შიგნით და მათ შორის მრავალფეროვანი კავშირის განმტკიცება

აგლომერაციის მასშტაბზე და აგლომერირების დონეზე წარმოდგენა რომ მივიღოთ, აუცილებელია ვისარგებლოთ გარკვეული რაოდენობრივი მაჩვენებლებით. საბჭოთა ეკონომიკურ გეოგრაფიაში აგლომერაციების შესწავლას საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა. გამომუშავებულია დიდი საქალაქო აგლომერაციების გამოყოფის შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები[5]:

---

5 Ф. М. Листенгурт. Критерии выделения больших городских агломераций СССР; в сборнике: «Урбанизация как мировой процесс и его география». М., 1974, стр. 48—60.

— ცენტრალური ქალაქის მოსახლეობის მინიმალური რაოდენობა — 100 ათასი მცხოვრები;

— მთავარ ქალაქში მისვლისათვის საჭირო დრო — არა უმეტესი 2 საათისა;

— ცენტრალური ქალაქის გამოკლებით, დანარჩენი ქალაქების მოსახლეობის ხვედრითი წონა მთლიანად ქალაქის მოსახლეობაში უნდა იყოს არა ნაკლები 10%-სა.

გარდა ამისა, მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის სიმჭიდროვეს მთელ ურბანიზებულ არეალში ანუ აგლომერაციის ფარგლებში და დასახლებათა სიხშირეს, რომლებიც გავლენას ახდენენ აგლომერირების დონეზე. ასეთი დონის განსაზღვრისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია აგლომერირების კოეფიციენტის გამოთვლა შემდეგი ემპირიული ფორმულით:

$$K_ა = \frac{P \cdot B}{R \cdot 1000}, \text{ სადაც}$$

P — მთელი მოსახლეობის სიმჭიდროვე აგლომერაციის საზღვრებში (მცხოვრებნი 1 კვ. კმ-ზე);

B — აგლომერაციის ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში (%);

R — საშუალო მანძილი ცენტრალურ ქალაქსა და დანარჩენ ქალაქებს შორის (კმ).

მოტანილი ფორმულიდან ჩანს, რომ აგლომერირების დონე პირდაპირ პროპორციულია მოსახლეობის სიმჭიდროვისა მთელ ფართობზე, აგრეთვე ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონისა და უკუპროპორციულია საშუალო მანძილისა ცენტრალურ და დანარჩენ ქალაქებს შორის.

თუ ვიხელმძღვანელებთ ზემოთ მოტანილი კრიტერიუმებით, საქართველოში შეიძლება გამოიყოს ოთხი დიდი საქალაქო აგლომერაცია: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და სოხუმის, რომელთა აგლომერირების კოეფიციენტები შესაბამისად იქნება: 0,79; 0,27; 0,61 და 0,3 (1974 წლის მონაცემებით). მთლიანად სსრ კავშირისათვის გ. მ. ლაპო მიზანშეწონილად თვლის გამოიყოს 63 მსხვილი საქალაქო აგლომერაცია, რომელთაგან თითოეულის ცენტრალური ქალაქის მოსახლეობა შეადგენს არა ნაკლები 250 ათასისა[6]. ამ აგლომერაციებს გ. მ ლაპო ჰყოფს ხუთ ჯგუფად: მეტად ძლიერ განვითარებული (3 აგლომერაცია — მოსკოვის, დონბასის და ლენინგრადის), ძლიერ განვითარებული

---

6 Г. М. Лаппо. Развитие городских агломераций в СССР. Изд. «Наука», М., 1978, стр. 30—31.

(10), განვითარებული (8), სუსტად განვითარებული (17) და განვითარებადი (25). ასეთი მიდგომით საქართველოში გაერთიანდა ძველად თბილისის აგლომერაცია, რომელიც შედის ხუთამეტ ჯგუფში (განვითარებული აგლომერაციები).

1970 წლის მონაცემებით სსრ კავშირის მსხვილი საქალაქო აგლომერაციები აერთიანებდნენ 456 ქალაქს და 811 ქალაქის ტიპის დაბას; მსხვილ აგლომერაციებში ცხოვრობდა 71,1 მლნ. კაცი, ანუ ქვეყნის ქალაქის მოსახლეობის 52,3%. თითოეული ასეთი აგლომერაციის საშუალო ხალხმრავლობა შეადგენდა 1,12 მლნ. ერთ მილიონზე მეტი მცხოვრები იყო 22 აგლომერაციაში[7]. 1974 წლის მონაცემებით, ზემოთ დასახელებულ საქართველოს ოთხ აგლომერაციაში გაერთიანებული იყო 19 ქალაქი და ამდენივე ქალაქის ტიპის დაბა, ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 1,87 მლნ კაცს ანუ რესპუბლიკის ქალაქის მოსახლეობის 74,7%-ს[8].

საქალაქო აგლომერაციები ფართოდაა გავრცელებული ინდუსტრიულად განვითარებულ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში. კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1970 წელს გამოყოფდნენ 240-მდე საქალაქო აგლომერაციას. 1969 წელს ევროპაში იყო 26 ისეთი საქალაქო აგლომერაცია, რომელთაგან თითოეულის მოსახლეობა აღემატებოდა ერთ მლნ. კაცს. დასავლეთ ევროპის მილიონიან აგლომერაციებში გაერთიანებული იყო მთელი მოსახლეობის 18%, ხოლო აშშ—35%. უკანასკნელი 10—12 წლის მანძილზე როგორც სსრ კავშირში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში საკმაოდ სწრაფად იზრდება აგლომერაციების რიცხვი და მათში თავმოყრილი მოსახლეობა.

ურბანიზაციის მსოფლიო პროცესის ნოკლე მიმოხილვა

ურბანიზაციის განვითარების ისტორიული და სოციალ-ეკონომიკური პირობები მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტებსა და ქვეყნებში არ იყო ერთნაირი და ამან გამოიწვია საქალაქო ცხოვრების განვითარების დიდი რეგიონული სხვაობანი. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პირველ ყოვლისა საწარმოო ძალების განვითარების დონეს და საწარმოო ურთიერთობათა ხასიათს. ურბანიზირების დონეთა სხვაობის ანალიზი გვიჩვენებს: რაც უფრო განვითარებულია საზოგადოებრივი საწარმოო ძალები, მით უფრო მნიშვნელოვან როლს

---

[7] იქვე, გვ. 32.

[8] В. Ш. Джаошвили. Урбанизация Грузии. Генезис, процессы, проблемы. Изд. «Мецниереба», Тб., 1978, стр. 185.

ასრულებენ ქალაქები მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში.

ურბანიზაციის დონის განმსაზღვრელად სხვა უფრო საიმედო მონაცემების უქონლობის გამო, ვიყენებთ ქალაქის მოსახლეობის ხვედრით წონას მთელ მოსახლეობაში, აგრეთვე დიდი ქალაქების მოსახლეობის (100 ათასზე მეტი ᲪᲪსოვრებით) აბსოლუტურ და ფარდობით მონაცემებს, რადგან სწორედ დიდი ქალაქები ასრულებენ მთავარ როლს თანამედროვე ურბანიზაციის პროცესში.

ცხრილი 14

მსოფლიოს ქალაქის მოსახლეობის დინამიკა 1800—1970 წლებში

წლები	მსოფლიოს მთელი მოსახლეობა (მლნ. კაცი)	მათ შორის ქალაქის მოსახლეობა			
		5 ათასზე მეტი მცხოვრების მქონე საქალაქო დასახლებებში		ქალაქებში, სადაც 100 ათასზე მეტი მცხოვრებია	
		მლნ. კაცი	%-ში მთელი მოსახლეობის მიმართ	მლნ. კაცი	%-ში მთელი მოსახლეობის მიმართ
1800	906	27.2	3,0	15,6	1,7
1850	1171	74,9	6,0	27,5	2,3
1900	1608	218,7	13,6	88,6	5,5
1950	2400	716,7	29,8	313,7	13,1
1960	2995	984,4	33,0	602,0	20,0
1970	3635	1358,3	37,4	690,0	19,0

ყურადღებას იქცევს ქალაქის მოსახლეობის როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი რაოდენობის სწრაფი ზრდა. 170 წლის მანძილზე (1800—1970 წ. წ.) მსოფლიოს მთელი მოსახლეობა გადიდდა 4-ჯერ, ქალაქის მოსახლეობა კი 50-ჯერ. ქალაქის მოსახლეობის ასეთ სწრაფ ზრდაში უდიდესი როლი შეასრულა ᲩᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐᲛ სოფლებიდან, საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე თვით ქალაქის მოსახლეობის ბუნებრივი მატება და ბევრი ახალი ქალაქის შექმნა (ხშირად არსებული სოფლების ბაზაზე). თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქალაქის მოსახლეობის საშუალოწლიური მატების ტემპი შეადგენდა 2%-ს, XX საუკუნის მეორე ნახევრის ორ პირველ ათწლეულში (1950—1970 წ. წ.) ანალოგიური მაჩვენებელი გადიდდა 3,2%-მდე.

ქალაქის მოსახლეობის ზრდის ტემპების დაჩქარებასთან ერთად იზრდებოდა დიდი ქალაქების მოსახლეობის ხვედრითი წონა. ორივე ეს მოვლენა ნიშნავდა ქალაქების გავლენის ზრდას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რაც ასახავს თანამედროვე ურბანიზაციის ერთ-ერთ არსებით ნიშანს. ასეთი ძვრები ქალაქების განვითარე-

ბაში შედეგია ცხოვრების ქალაქური წესის და იმ სახეობის საქმიანობის უპირატესობისა, რომლებიც ძირითადად ქალაქებშია გავრცელებული, უმთავრესად კი მსხვილ საქალაქო ცენტრებში. სამეცნიერო-ტექნიკური აზრის ჩასახვა და ხორცშესხმა („მატერიალიზაცია") ხდება ქალაქის გარემოში. აქ იწყებს თავის გზას ტექნიკისა და ტექნოლოგიის ყოველგვარი სიახლე, რომელსაც მივყავართ შრომის ნაყოფიერების ზრდისაკენ. კვების პროდუქტების წარმოებაც კი, თუმცა ნამდვილ „სასოფლო" დარგად ითვლება, ემყარება ქალაქად შექმნილ ტექნიკურ ბაზას.

ქალაქების მიზიდულობის ძალა იზრდება შრომის გამოყენების სფეროს გაფართოებისა და გართულების პარალელურად. როდესაც ქალაქი ქმნის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის წანამძღვრებს, უზრუნველყოფს მის ტექნიკურ შეიარაღებას, ამით ის ხელს უწყობს მეურნეობის ამ დარგიდან მუშახელის სისტემატურ გამონთავისუფლებას, ანუ ქმნის ქალაქის მოსახლეობის შევსების რეზერვს. ამიტომ, რაც უფრო განვითარებულია ესა თუ ის ქვეყანა ინდუსტრიულად, მით უფრო მაღალია ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა. ამითაა განპირობებული ის დიდი სხვაობანი, რომელიც არსებობს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის ურბანიზირებაში.

ცხრილი 15

ქალაქის მოსახლეობის დინამიკა მსოფლიოს რეგიონების მიხედვით

მსოფლიოს რეგიონები	ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა (მლნ. კაცი)				ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში (%)			
	1920 წ.	1940 წ.	1950 წ.	1970 წ.	1920 წ.	1940 წ.	1950 წ.	1970 წ.
მთელი მსოფლიო	360	570	716,7	1358,3	19	25	29,8	37,4
სსრ კავშირი	25	60	71,2	138,6	15	32	39,5	57,1
საზღვარგარეთი ევროპა	150	200	208,9	293,7	46	53	53,3	64,3
საზღვარგარეთი აზია	90	160	226,8	507,9	9	13	15,4	24,7
აფრიკა	10	20	30,5	76,7	7	11	14,0	22,3
ჩრდილოეთი ამერიკა	60	85	105,8	169,1	52	59	63,7	74,3
ლათინური ამერიკა	20	40	65,7	159,2	22	31	40,5	56,2
ავსტრალია და ოკეანეთი	5	5	7,8	13,1	47	53	61,8	67,9

საშუალოდ მთელ მსოფლიოში ნახევარი საუკუნის მანძილზ (1920—1970 წ. წ.) ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა დაახლოებით გაორკეცდა, ხოლო სსრ კავშირში ეს მონაცემი თითქმის ოთ

ჯერ გადიდდა. ყველაზე მაღალია ურბანიზაციის დონე დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, აგრეთვე ავსტრალიაში. სწრაფი ტემპით მატულობს ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა სსრ კავშირში 1970 წლის შესდეგაც. 1979 წელს ქალაქად ცხოვრობდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 62%. საზღვარგარეთი აზიისა და აფრიკის ქვეყნებში უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე თუმცა ქალაქის მოსახლეობა სწრაფად იზრდება, მაგრამ ურბანიზაციის საშუალო დონე ჯერ საინც დაბალია. აზიის ქვეყნებს შორის გამონაკლისს შეადგენს იაპონია, სადაც 1970 წელს ქალაქად ცხოვრობდა მოსახლეობის 53,2%.

ცალკე უნდა ითქვას ლათინური ამერიკის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქად მცხოვრებთა ხვედრითი წონა აქ საკმაოდ მაღალია, ურბანიზაციის დონით ეს რეგიონი ბევრად ჩამორჩება ჩრდილოეთ ამერიკას. ლათინური ამერიკის ქვეყნებში ქალაქის მოსახლეობის 20—50% ცხოვრობს სრულიად უვარგის ბინებში, ცნობილია ეგრეთ წოდებული „მარგინალურ“ ანუ განაპირა მოსახლეობად და თითქმის არ მონაწილეობს საზოგადოებრივ შრომაში. თუმცა მოსახლეობის კონცენტრაციამ ამ რეგიონის დიდ ქალაქებში მიაღწია მაღალ დონეს, მაგრამ საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაში ჩაბმულია მთელი მომუშავე კონტინგენტების მცირე რაოდენობა, ხოლო სოფლის ნეურნეობას უკავია პირველი ადგილი დასაქმების სტრუქტურაში. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებში ბევრად უფრო მაღალია მოსახლეობის კონცენტრაციის დონე ქალაქებში, ვიდრე ურბანიზირების ფაქტიური დონე. ისევე როგორც განვითარებად ქვეყნებში, აქაც მეტად მაღალია სოფლად მოსახლეობის ბუნებრივი მატება და სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან გამონთავისუფლებული მუშახელი დიდი რაოდენობით აწყდება ქალაქებს.

კონტინენტური აზიის და აფრიკის ქვეყნების უმრავლესობა წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ძირითად ბირთვს; ისინი არც თუ დიდი ხნის წინათ განთავისუფლდნენ კოლონიური ჩაგვრისაგან. ამ ქვეყნებში ნელა ვითარდება საწარმოო ძალები, რასთანაც დაკავშირებულია აგრეთვე ურბანიზაციის დაბალი დონე. საკმარისია აღინიშნოს, რომ განვითარებადი ქვეყნების მეტი ნაწილი ეროვნული შემოსავლით საშუალოდ ერთ მცხოვრებზე 20—50-ჯერ ჩამორჩება განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს[9]. ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტემპები ბევრ განვითარებად ქვეყანაში არა თუ არ უსწრებს მოსახლეობის მატების ტემპებს, არამედ ჩამორჩება კიდევაც მათ. ასეთ ვითარებაში გასაგებია ის სიძნელეები, რომლებსაც აწყდებიან ეს ქვეყნები საარ-

---

[9] Народное хозяйство СССР за 60 лет. Юбилейный статистический ежегодник. Изд. «Статистика», М., 1977, стр. 98—100.



ნახ. 12. ურბანიზაციის დონე მსოფლიოს ქვეყნებში 1978 წელს.

სებო სოციალურ-ეკონომიკური, მათ შორის ქალაქების, განვითარების პრობლემების გადაჭრის დროს.

განვითარებადი ქვეყნების რიგი ქალაქი თუმცა სწრაფად იზრდება, მაგრამ ინდუსტრიული განვითარებით და კეთილმოწყობით დაბალ დონეზე დგას. ამ ქვეყნებში არსებული დემოგრაფიული სიტუაცია ბევრად აფერხებს საწარმოო ძალების დაჩქარებულ ზრდას და ქმნის დამატებით სიძნელეებს ურბანიზაციის სფეროში. ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში ადგილი აქვს ეგრეთ წოდებულ „ცრუ ურბანიზაციას", ანუ ქალაქების მოსახლეობა საკმაოდ სწრაფად იზრდება, მაგრამ მთლიანად ურბანიზაცია არ გამოირჩევა განვითარებული ფორმებით. რიგ განვითარებად ქვეყანაში ქალაქის მოსახლეობაში დიდი ადგილი უკავია ხელზე მოსამსახურეებს, არამწარმოებლურ შრომაში ჩაბმულ კონტინგენტებს, რაც ინფრასტრუქტურის დაბალი დონითაა განპირობებული და უარყოფითად მოქმედებს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებაზე, ბევრად აფერხებს ქალაქების ეკონომიკურ განვითარებას; პირველ რიგში ეს ეხება მცირე ქალაქებს.

ურბანიზაციის მაღალ დონეზე არიან ჩრდილოეთ ამერიკის და დასავლეთ ევროპის ქვეყნები, აგრეთვე ავსტრალია და ახალი ზელანდია, სადაც ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის 70—80%. ისინი გამოირჩევიან არა მარტო მოსახლეობის მაქსიმალური კონცენტრაციით ქალაქებში, არამედ სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის ყველაზე დაბალი ხვედრითი წონით. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს ურბანიზაციის განვითარების შესახებ.

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე აშშ-სა და დასავლეთ ევროპის მსხვილ ქალაქებში შეიმჩნევა მოსახლეობის გადაადგილების შემდეგი ტენდენცია: მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილი მთავარი ქალაქიდან გადადის სოფლად, იძენს იქ საკუთარ სახლს და ყოველდღიურად დადის სამუშაოდ ქალაქში. ეს მოვლენა გამოწვეულია დიდ ქალაქებში ჰაერის დაჭუჭყიანებით, ცხოვრების დაძაბული ტემპით და ქუჩების გადატვირთვით ავტოტრანსპორტით. ამის შედეგად გაუარესდა ქალაქების მიკროკლიმატი და გაძნელდა ქალაქის შიდა კომუნიკაციების ნორმალური ფუნქციონირება. ყოველივე ამან გაართულა ქალაქში ცხოვრების პირობები, ჩამოაცილა ადამიანი ცოცხალ ბუნებას. მოსახლეობის ნაწილის გადასვლამ საგარეუბნო ზონის სოფლებში ბევრად გააძლიერა მოძრაობა საავტომობილო გზებზე; ქალაქის ქუჩები და გარეუბნის გზები მეტისმეტად გადატვირთულია, რის შედეგადაც ადამიანს უხდება ბევრი დროს დაკარგვა მგზავრობაზე; ეს პირველ ყოვლისა ეხება უდიდესი ქალაქების მოსახლეობას.

მოსახლეობის საგარეუბნო ზონაში გადასვლას თან მოჰყვა რიგი ქალაქიდან ამ ზონაში ფაბრიკა-ქარხნების გადაადგილება. დიდი ქა-

ლაქები და მათი საგარეუბნო ზონები ვრცელ ტერიტორიას იკავებენ და ხშირად ამის შედეგად მწყობრიდან გამოდის ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო მიწები. ამავე დროს იცვლება ბუნებრივი ლანდშაფტი, იკვეცება მოსახლეობის დასვენებისათვის გამოსაყენებელი ფართობები და სულ უფრო ნათლად ჩანს დიდი ქალაქების უარყოფითი გავლენა მიმდებარე ტერიტორიების ბუნებრივ კომპლექსზე. ურბანიზაციის ეს უარყოფითი მხარეები განსაკუთრებით ვლინდება იქ, სადაც აგლომერაციების შერწყმამ გამოიწვია გიგანტური მ ე გ ა ლ ო პ ო ლ ი ს ე ბ ი ს წარმოქმნა. ამის მაგალითია აშშ ატლანტიკის სანაპიროზე ვაშინგტონსა და ბოსტონს შუა, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რურის რაიონში თავმოყრილი ერთმანეთზე წაბმული საქალაქო აგლომერაციები.

უდიდესი ქალაქების რიგი უარყოფითი მხარის თავიდან აცილების მიზნით, სპეციალისტების აზრით საჭიროა შეირჩეს ქალაქების ოპტიმალური სიდიდე და განხორციელდეს მათი ზრდის რეგულირება, მაქსიმალურად უნდა დაუახლოვდეს ერთმანეთს საცხოვრებელი და სამუშაო ადგილები, სატრანსპორტო საშუალებანი არ შეიძლება იწვევდეს ხმაურს და ატმოსფეროს დაჭუჭყიანებას, აუცილებელია ფართოდ გავრცელდეს მიწისქვეშა ტრანსპორტი; საჭიროა განხორციელდეს წარმოების „ჩაკეტილი ციკლი", რათა თავიდან ავიცილოთ ნარჩენების გარემოში მოხვედრა; ბევრად უნდა გაფართოვდეს როგორც თვით ქალაქის, ისე მისი მიდამოების გამწვანება.

ურბანიზაცია სსრ კავშირში

ჩვენი ქვეყნის არსებით სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა შორის დიდი ადგილი უკავია ურბანიზაციას. თუმცა ქალაქების განვითარებამ მნიშვნელოვნად წაიწია წინ ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ეპოქაში, მაგრამ ძირეული ცვლილებანი ამ სფეროში განხორციელდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. სოციალისტური მშენებლობის პირობებში, საწარმოო ძალების დაჩქარებულ განვითარებასთან ერთად სულ უფრო იზრდებოდა ქალაქების როლი საზოგადოების მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაში. ურბანიზაციის ტემპები განპირობებული იყო მატერიალური წარმოების ინდუსტრიალიზაციის ტემპებით და ქვეყანაში განხორციელებული კულტურული რევოლუციით. თანამედროვე მსხვილი მრეწველობის შექმნა ამავე დროს ნიშნავდა არსებული ქალაქების მიზიდულობის ზრდას და ახალი ქალაქების წარმოქმნას. ადრე არსებული დიდი ქალაქები, რომლებმაც მეტად თუ ნაკლებად შეინარჩუნეს თავისი სამრეწველო პოტენციალი, ასრულებდნენ განვითარების გზაზე დამდგარი მეურნეობის ტექნიკური აღჭურ-

ვის მნიშვნელოვან ამოცანებს, ამზადებდნენ კვალიფიციურ კადრებს მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგისათვის.

ახალი ქალაქები წარმოიქმნენ უმთავრესად მნიშვნელოვანი წიაღისეული სიმდიდრეების დამუშავებასთან დაკავშირებით; დიდ წარმატებებს მიაღწიეს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის მქონე ქალაქებმა, რომლებიც მრავალფეროვანი დამუშავებითი მრეწველობის მსხვილი ცენტრები გახდნენ. ბევრი ასეთი ქალაქი ფართო მასშტაბის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციებითაც აღიჭურვა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მათი როლი და მნიშვნელობა. ამ გზით ჩამოყალიბდა მილიონიანი ქალაქები; ბუნებრივია, რომ მათ დაიმკვიდრეს წამყვანი ადგილი სახალხო მეურნეობისა და საქალაქო განსახლების ერთიან სისტემაში. 1980 წლის დასაწყისისათვის სსრ კავშირის 20 უდიდესი ქალაქიდან თითოეულში მილიონზე მეტი მცხოვრები იყო, ხოლო ქვეყნის დედაქალაქის — მოსკოვის მოსახლეობა ამჟამად 8 მლნ. აღემატება; გარდა ამისა, რამდენიმე ქალაქის მოსახლეობა მილიონიან ზღვარს უახლოვდება.

იმავე 1980 წ. სსრ კავშირში არსებობდა 2074 ქალაქი და 3864— ქალაქის ტიპის დაბა. ყურადღებას იქცევს უდიდესი სხვაობანი საქალაქო დასახლებათა ხალხმრავლობაში. მილიონიანი ქალაქების გვერდით დიდი რაოდენობით არსებობენ წვრილი და უწვრილესი დაბები, რომელთაგან თითოეულის მოსახლეობა რამდენიმე ათას კაცს არ აღემატება. 1970 წლის მონაცემებით, იმ დასახლებებზე, რომელთა მცხოვრებთა რაოდენობა 10 ათას კაცზე მეტს არ შეადგენდა, მოდიოდა საქალაქო დასახლებათა საერთო რაოდენობის 3/5, ხოლო მათი მოსახლეობის ხვედრითი წონა მთლიანად ქალაქის მოსახლეობაში უდრიდა 12%-ს. თითოეული ასეთი პუნქტის მცხოვრებთა რიცხვი საშუალოდ არ აღემატებოდა 4536 კაცს, მაშინ, როდესაც დანარჩენ საქალაქო დასახლებათა საშუალო ხალხმრავლობა იყო 62,1 ათასი კაცი. საქალაქო დასახლებებში წვრილ დასახლებათა სიჭარბე საყოველთაო მოვლენაა, მაგრამ ეს გარემოება არ ეწინააღმდეგება იმ ჭეშმარიტებას, რომ ურბანიზაციის პროცესის განმსაზღვრელი ძალაა დიდი და უდიდესი ქალაქები.

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 1926—1980 წ. წ. საქალაქო დასახლებათა საერთო რიცხვი სსრ კავშირში გაიზარდა 1825-დან 5938-მდე, ხოლო ქალაქის მოსახლეობა 26,3 მლნ. კაციდან 166,2 მლნ. კაცამდე ანუ 6,3-ჯერ. იმავე პერიოდში ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა გადიდდა 18-დან 62,8%-მდე. მთლიანად ამ პერიოდში ქალაქის მოსახლეობის შევსების მთავარი წყარო იყო სოფლის მცხოვრებთა ქალაქად გადასვლა, მეორე ადგილზეა ქალაქის მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა და მესამეზე—სასოფლო დასახლებათა ბაზაზე ახალ

საქალაქო დასახლებათა წარმოქმნა, როდესაც სოფლის მკვიდრნი ავტომატურად გახდნენ ქალაქის მცხოვრებლებად. იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქად თავი ბოიყარა მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტმა, ამჟამად პირველ ადგილზე გადაინაცვლა ქალაქის მოსახლეობის ზრდამ ბუნებრივი მატების გზით. სოფლიდან ქალაქად მოსახლეობის გადასვლა კვლავაც გრძელდება, მაგრამ ეს პროცესი შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს, რადგან ბევრად შემცირდა სოფლის მოსახლეობაში ბუნებრივი მატება და არც თუ ისე ფართო ხასიათი აქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მუშახელის გამონთავისუფლებას. დიდად შემცირდა აგრეთვე ახალ საქალაქო დასახლებათა წარმოქმნის შედეგად ქალაქის მოსახლეობის შევსება, რადგან ამ კატეგორიის დასახლებანი არ არიან ხალხმრავალი და სწრაფადმზარდ ქალაქის მოსახლეობაში მათი ხვედრითი წონა სულ უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება.

სსრ კავშირის მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ქალაქებში თავმოყრამ და სოფლის მოსახლეობის როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი რაოდენობის თანდათან შემცირებამ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე საკმაოდ შეამცირა ქალაქის მოსახლეობის მატების ტემპი. 1959—1970 წ. წ. ეს ტემპი 2,5-ჯერ ნაკლები იყო 1926—1939 წ. წ. შედარებით, თუმცა საშუალოწლიური აბსოლუტური ნამატი ქალაქის მოსახლეობისა გადიდდა 2,8 მლნ. კაციდან 3,3 მლნ. კაცამდე.

სოფლიდან ქალაქად მოსახლეობის გადასვლას ახასიათებს შემდეგი თავისებურება: სოფლის მცხოვრებთა ნაწილი უმეტეს შემთხვევაში გადადის მახლობელ პატარა ქალაქში და შემდეგ თანდათან მიდის საცხოვრებლად უფრო განვითარებულ ქალაქებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქალაქების მიზიდულობის ძალა, სადაც უფრო მრავალფეროვანი და სწრაფად მზარდია შრომის გამოყენების სფერო და აგრეთვე, სადაც არსებობს უმაღლესი სასწავლებლები, ტექნიკუმები და სხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებები.

ურბანიზაციის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია დიდი და უდიდესი ქალაქების უფრო დაჩქარებული ზრდა; შედარებით ნელა იზრდება საშუალო და მცირე ქალაქები (თითოეული 100 ათას მცხოვრებამდე).

1926—1980 წლებში საქალაქო დასახლებათა რაოდენობა გასამკეცდა, ხოლო მათი მოსახლეობა 6-ჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. ცხრილიდან ჩანს, თუ რამდენად უფრო სწრაფად იზრდებოდა დიდი (100 ათასზე მეტი მცხოვრებით) და უდიდესი (500 ათასზე მეტი მცხოვრებით) ქალაქების როგორც რაოდენობა, ისე მათი მოსახლეობა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ ორი კატეგორიის ქალაქების რიცხვ

სსრ კავშირის საქალაქო დასახლებათა რაოდენობისა და მოსახლეობის დინამიკა

ქალაქების კატეგორიები	საქალაქო დასახლებათა რაოდენობა			ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა (ათასი კაცი)		
	1926 წ.	1980 წ.	1980 წ. 1926 წ. მიმართ (%)	1926 წ.	1980 წ.	1980 წ. 1926 წ. მიმართ (%)
მცირე საქალაქო დასახლებანი . . .	1834	5443	296,8	12656,8	52006,0	410,9
საშუალო ქალაქები	60	221	368,3	4108,7	14904,0	362,7
დიდი ქალაქები . .	28	228	814,3	5397,3	47550,0	881,0
უდიდესი ქალაქები	3	46	1533,3	4153,6	51740,0	1245,5
ს უ ლ	1925	5938	308,5	26316,4	166200,0	631,6

გაიზარდა 31-დან 274-მდე, ხოლო მათი მოსახლეობის ხვედრითი წონა ქალაქის მთელ მოსახლეობაში 36,3%-დან 59,7%-მდე. ამრიგად, ქალაქის მოსახლეობის 3/5 ცხოვრობს დიდსა და უდიდეს ქალაქებში, რაც თავისთავად მეტყველებს ამ ქალაქების როლის ზრდაზე. ეს ცვლილება მოხდა როგორც მცირე და საშუალო ქალაქების გადასვლის შედეგად დიდი და უდიდესი ქალაქების კატეგორიაში, ისე თვით ამ ქალაქების მიერ მოსახლეობის ინტენსიური მიზიდვის შედეგად. თუმცა სსრ კავშირში ხორციელდება უდიდესი ქალაქების ზრდის შეზღუდვის ღონისძიებანი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი მაინც სწრაფად იზრდებიან, რადგან ფართო ხასიათი აქვს სამრეწველო წარმოების კონცენტრაციას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობას.

სსრ კავშირში ურბანიზაციის ერთ-ერთი ნიშანია ს ა ქ ა ლ ა ქ ო ა გ ლ ო მ ე რ ა ც ი ე ბ ი ს წ ა რ მ ო ქ მ ნ ა. საქალაქო დასახლებათა ჯგუფური ფორმები ჩვენს ქვეყანაში წარმოიქმნებიან პირველ ყოვლისა დიდი ქალაქების ბაზაზე, რომლებიც მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, ეკონომიკური და კულტურული ცენტრები არიან. ასეთი ქალაქების ირგვლივ ჩაისახა არაერთი ქალაქი-თანამგზავრი; ამ უკანასკნელთაგან ბევრი შემდგომში განვითარდა საკუთარი ქალაქწარმომქმნელი ფაქტორების ბაზაზე. პარალელურად წარმოებდა საწარმოო-ეკონომიკური კავშირის გაძლიერება ცენტრალურ ქალაქთან და აგლომერაციის სხვა პუნქტებთან, მათ შორის სასოფლო დასახლებებთან. უდიდესი აგლომერაციებია მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ტაშკენტის, ხარკოვის, როსტოვის, თბილისის და რიგი სხვა ქალაქის. საქალაქო აგლომერაციები წარმოიქმნენ აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ადგილებში, როდესაც ადგილობრივი



ნახ. 13. ქალაქის ზონების გამოყენება.

ნედლეულის ბაზაზე განვითარდა დამუშავებითი მრეწველობის დარგებიც. ასეთ აგლომერაციათა სიდიდე დამოკიდებულია ნედლეულის და სათბობის მოპოვების მასშტაბებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ტიპის აგლომერაციები დონბასში, ურალში, კუზბასში, ყაზახეთში.

საბჭოთა ქალაქების გეგმაზომიერი განვითარება შესაძლებელს ხდის მნიშვნელოვანწილად შემცირდეს თანამედროვე ურბანიზაციის უარყოფითი მხარეები. კერძოდ, უდიდესი ქალაქების განყითარების გენერალური გეგმები ითვალისწინებენ ცენტრალური რაიონებიდან სამრეწველო საწარმოების გატანას, ძველი ცენტრების განტვირთვას საცხოვრებელი სახლებიდან, რათა არ გაუარესდეს ამ რაიონებში ადამიანის ცხოვრების პირობები. რეკონსტრუქცია ითვალისწინებს აგრეთვე ქალაქის რაიონებს შორის კავშირის გაუმჯობესებას, რომელთა დამაკავშირებელი კომუნიკაციები ქალაქის ცენტრზე გადის. ქალაქის ძველ ცენტრებში ტრანსპორტის მოძველებული სახეობანი იცვლება ახალი, უფრო პროგრესული ტრანსპორტით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ხმაურს და ჰაერის დაჭუჭყიანებას; ბევრ მილიონიან ქალაქში უკვე მოქმედებს ან შენდება მეტროპოლიტენი. დიდი ყურადღება ექცევა სოციალურ-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის განვითარებას. ესა და სხვა ანალოგიური ღონისძიებანი დადებით შედეგს იძლევიან, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ წყვეტენ დაჩქარებული ურბანიზაციის პრობლემას. ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა პირადი სარგებლობის მსუბუქი ავტომობილების ფართოდ გავრცელება უკანასკნელ ხანებში. ეს იწვევს ქალაქის მაგისტრალური ქუჩების მეტისმეტ გადატვირთვას და ბევრად ამცირებს იმ ღონისძიებათა ეფექტს, რომლებიც ხორციელდება ხმაურისა და ჰაერის დაჭუჭყიანების შესამცირებლად.

საბჭოთა კავშირში არსებობს ურბანიზაციის მიღწეულ დონეთა დიდი რეგიონული სხვაობანი, გამოწვეული შემდეგი ფაქტორების გავლენით: ა) ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების სიჭრელე და მასთან დაკავშირებული ტერიტორიის სამეურნეო ათვისების ხასიათი, ბ) ეკონომიკის განვითარების ისტორიულად ჩამოყალიბებული თავისებურებანი; გ) მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და ამით განპირობებული ცალკეული ხალხების სოციალურ-ფსიქიკური თავისებურებანი; დ) შრომის დარგობრივი სტრუქტურა და სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის დონე.

ქვეყანაში, სადაც დიდია ბუნებრივ-გეოგრაფიული სხვაობანი, რიგ რაიონში შეიძლება იყოს ბევრად ხელსაყრელი პირობები მრეწველობის განვითარებისა, სხვა რაიონებში კი ინტენსიური სოფლის მეურნეობის განვითარებისა. თუ ამ ნიშნების მიხედვით დავაჯგუფებთ სსრ კავშირის ტერიტორიას, აღმოჩნდება, რომ ისეთი მსხვილი რეგი-

ონები, როგორიცაა დონბასი, ურალი, დასავლეთ ციმბირი, ცენტრალური და აღმოსავლეთ ყაზახეთი მდიდარია სხვადასხვა წიაღისეულის საბადოებით და ამ რეგიონებში კარგადაა განვითარებული მრეწველობა, რომელიც წარმოადგენს მთავარ ქალაქწარმომქმნელ ფაქტორს და შესაბამისად აქ მაღალია ურბანიზაციის დონე. ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოების კარგი შესაძლებლობანია მოლდავეთში და აქ შედარებით ნაკლებია ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა, რადგან ნელა მიმდინარეობს მუშახელის გამონთავისუფლება სოფლის მეურნეობიდან. ამ მიზეზებმა განაპირობეს ის გარემოება, რომ სვერდლოვსკის ოლქში ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა შეადგენს 85%-ს, ხოლო მოლდავეთის სსრ-ში —39%-ს (მონაცემები 1979 წლისაა). ქვეყნის მსხვილი რეგიონების შიგნითაც საკმაოდ დიდი სხვაობაა ურბანიზაციის დონეებში. კემეროოს ოლქში ქალაქად ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 86%, მის გვერდით მდებარე ალტაის მხარეში კი 52%.

თუ მოკაშირე რესპუბლიკებს დავაჯგუფებთ ურბანიზაციის დონით და ასეთ დაყოფას საფუძველად დავუდებთ ქალაქის მოსახლეობის ხვედრით წონას, შეგვიძლია გამოვყოთ სამი ჯგუფი: ქალაქის მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წონით (60—70%) გამოირჩევიან: რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და სომხეთი; საშუალო დონით (50—59%): ბელორუსია, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, საქართველო; შედარებით დაბალი დონით (35—48%): უზბეკეთი, მოლდავეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და თურქმენეთი.

ურბანიზაციის მაღალი დონე რუსეთის ფედერაციის მთელ რიგ ოლქში, კერძოდ, სამრეწველო ცენტრში და ჩრდილო-დასავლეთ ეკონომიკურ რაიონში გამოწვეულია ამ რეგიონების ეკონომიკური განვითარების თავისებურებებით. ჯერ კიდევ რევოლუციამდელ დროში მოსკოვში, პეტერბურგში და მათ მიმდებარე რაიონებში შენდებოდა დამუშავებითი მრეწველობის მსხვილი საწარმოები. ომამდელი ხუთწლედების მანძილზე ორივე ეკონომიკურ რაიონში შეიქმნა მრავალდარგიანი ინდუსტრიული კომპლექსები, რომლებმაც არსებითი როლი შეასრულეს სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციაში. არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსკოვისა და ლენინგრადის უდიდესი როლი ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ყოველივე ამან დიდად გაზარდა ორივე ცენტრის მიზიდულობის ძალა და გადააქცია ისინი ქვეყნის უდიდეს ქალაქებად.

ინდუსტრიულად კარგად განვითარებულ რეგიონებში ურბანიზაციის პროცესის დაჩქარებამ გამოიწვია სოფლებიდან ახალგაზრდობის დიდი რაოდენობით მიზიდვა, რასაც შედეგად მოჰყვა სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირება, ამან თავის მხრივ ხელი

შეუწყო ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონის გადიდებას და ურბანიზაციის დონის ამაღლებას. საწინააღმდეგო ხასიათი აქვს ურბანიზაციის პროცესს იმ რეგიონებში, სადაც შედარებით ნელი ტემპით ვითარდება მრეწველობა, ხოლო სოფლად შენარჩუნებულია მრავალშვილიანობის ტრადიციები. ამის საუკეთესო მაგალითია შუა აზიის რესპუბლიკები. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მოსახლეობის ზრდის ტემპები აქ საკმაოდ მაღალია (როგორც მექანიკური, ისე ბუნებრივი ზრდის შედეგად), შედარებით ნელა იზრდება მისი ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში, რადგან მეტად სწრაფად მატულობს სოფლის მოსახლეობა მაღალი შობადობის შედეგად. აღნიშნული თავისებურებანი ნათლად ჩანს შემდეგი შედარებიდან: ოცი წლის მანძილზე (1959—1979 წ.წ) ტაჯიკეთის ქალაქის მოსახლეობა ორჯერ და კიდევ მეტად გაიზარდა (105,2%), ხოლო ქალაქად მცხოვრებთა ხვედრითი წონა უმნიშვნელოდ ამაღლდა (33%-დან 35%-მდე), რადგან ამ რესპუბლიკაში მეტად მაღალია მოსახლეობის ბუნებრივი მატება (შეადგენდა 30,1 პრომილეს 1979 წელს). დიამეტრალურად საწინააღმდეგო სურათია ლატვიაში, სადაც იმავე პერიოდში ქალაქის მოსახლეობა გაიზარდა 47%-ით, ხოლო ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში გადიდდა 56%-დან 68%-მდე ანუ 12 პუნქტით (ტაჯიკეთში კი 2 პუნქტით). საქმე ისაა, რომ ლატვიაში მოსახლეობის ბუნებრივი მატება ერთ-ერთი ყველაზე დაბალია სსრ კავშირში და შეადგენს მხოლოდ 1,0 პრომილეს (იმავე 1979 წელს).

მოტანილი მონაცემები საინტერესოა, ჯერ ერთი, იმ მხრივ, რომ გვიჩვენებს კავშირს ურბანიზაციის ტემპებსა და დემოგრაფიულ სიტუაციას შორის; მეორეც, არ შეიძლება ურბანიზაციის პროცესზე წარმოდგენა ვიქონიოთ მხოლოდ ქალაქის მოსახლეობის ზრდის ტემპებით ან მისი ხვედრითი წონით მთელ მოსახლეობაში; მესამეც, ქალაქის მოსახლეობის დაჩქარებული ზრდა შეიძლება დაემთხვეს ურბანიზაციის არცთუ მაღალ დონეს, როგორც ამას გვიჩვენებს ტაჯიკეთის მაგალითი.

ურბანიზაციის დონეზე დიდ გავლენას ახდენს მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, კერძოდ, იმ დარგების ურთიერთშეთანაწყობა, რომელიც განლაგებულია უპირატესად ქალაქად და უპირატესად სოფლად. იქ სადაც მრეწველობას, მშენებლობას, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობას უკავია წამყვანი ადგილი მეურნეობის სტრუქტურაში, ურბანიზაციის დონე ბევრად მაღალია. ყველა იმ რესპუბლიკაში, სადაც დასახელებულ დარგებზე შრომის სტრუქტურაში მოდის 40%-ზე მეტი, ქალაქად ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 50%-ზე მეტი. ეს ზოგადი კანონზომიერება ნათლადაა გამოხატული მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მონაცემების შედარებისას, მიუხედავად იმი-

სა, რომ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შეთანაწყობაზე დიდ გავლენას ახდენს მცხოვრებთა ბუნებრივი მატების ტემპები.

ურბანიზაცია საქართველოში

ურბანიზაციის ერთ-ერთი ნიშანია ქალაქების სულ უფრო მზარდი ადგილი შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში. საზოგადოებრივი წარმოების პროგრესული დარგების თანდათანობით ქალაქებში თავმოყრა და მეცნიერებისა და მმართველობის ფუნქციების მუდმივი გაძლიერება ხელს უწყობს ქალაქებში კვალიფიციური მუშახელის და სპეციალისტების დამკვიდრებას. ამის შედეგად ბევრად უფრო სწრაფად იზრდება ქალაქების ხვედრითი წონა მატერიალური წარმოების სფეროში, ვიდრე მათი მოსახლეობა. 1970 წლის მონაცემებით საქართველოს ქალაქებში შრომობდა რესპუბლიკის მომუშავე მოსახლეობის 42,2%, ხოლო მათ მიერ შექმნილი პროდუქცია შეადგენდა მთელი საზოგადოებრივი პროდუქტის 62,9%-ს. შებრუნებულ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი სოფლად, სადაც შრომობდა მომუშავე მოსახლეობის 57,8%, მათზე კი მოდიოდა მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის მხოლოდ 37,1%. აქედან ჩანს, თუ რამდენად მაღალი იყო შრომის ნაყოფიერება ქალაქად დასაქმებულთა შორის. ამასვე ადასტურებს ის ფაქტი, რომ ქალაქები იძლეოდა მთელი ეროვნული შემოსავლის (სუფთა პროდუქციის) 53,5%-ს, სოფელი კი 46,5%-ს.

ურბანიზაციის დონით საქართველო რამდენადმე ჩამორჩება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. ჯერ ერთი, საქართველოში უფრო მცირეა ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა, ვიდრე მთლიანად სსრ კავშირში (შესაბამისად 52,0% და 62,8%). მეორეც, რესპუბლიკის ქალაქები ინდუსტრიული განვითარების საერთო დონით ჩამორჩებიან საშუალო ანალოგიურ საკავშირო მაჩვენებელს, რაც ჩანს შემდეგი შედარებიდან: 1970 წლის მონაცემებით, მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში ჩაბმული იყო საქართველოს ქალაქების მომუშავე მოსახლეობის 49,6%, საშუალო ანალოგიური საკავშირო მაჩვენებელი კი შეადგენდა 61,9%. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გარემოება არ ამცირებს რესპუბლიკის კარგად განვითარებული საქალაქო ცენტრების მნიშვნელობას, ბევრი მათგანი, მართალია, არ გამოირჩევა ხალხმრავლობით, მაგრამ ასრულებენ შეტად საყურადღებო სამრეწველო-სატრანსპორტო ფუნქციებს და აქტიურად მონაწილეობენ ურბანიზაციის პროცესში.

საქართველოში ურბანიზაციის პროცესი საკმაოდ მკაფიოდ გამოისახება სასოფლო განსახლებაში. ამის ერთ-ერთი ნიშანია სოფლად ისეთი დარგების განვითარება, რომლე-

ბიც ძირითადად დამახასიათებელია ქალაქებისათვის. რესპუბლიკის მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში დასაქმებული კონტინგენტების 1/4 მოდის სოფლის საწარმოები გარდა იმისა, რომ სოფლებში შესდება სამრეწველო საწარმოები (მაგალითად, ჩაის, ყურძნის და სხვა სახის პროდუქციის პირველადი გადამუშავების ფაბრიკა-ქარხნები), სულ უფრო ფართოდ მონაწილეობს სოფლის მოსახლეობა მეზობლად მდებარე ქალაქების სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოებში. სოფლის ურბანიზაციის ერთ-ერთი ნიშანია აგრეთვე სასოფლო ადგილებში ფართოდ გაშლილი საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების მშენებლობა, ქალაქის ტიპის საცხოვრებელი სახლების მასობრივი გავრცელება, სოფლების კეთილმოწყობა, ავტოტრანსპორტის სწრაფი განვითარება და სხვა ანალოგიური ცვლილებანი, საყოველთაო ხასიათი რომ მიიღო პირველ ყოვლისა ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაიონებში.

საქალაქო დასახლებათა გავლენა რესპუბლიკის სასოფლო ადგილებზე თავს იჩენს სხვადასხვა სფეროში. კარგად განვითარებულ ქალაქებს აქვთ რ ა ი ო ნ წ ა რ მ ო მ ქ მ ნ ე ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა. რევოლუციამდელი პერიოდის ბევრი ქალაქი ითვლებოდა სამაზრო ცენტრად, მაგრამ უმნიშვნელო იყო მათი როლი მაზრის სოფლების ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. თანამედროვე ადმინისტრაციული რაიონების ცენტრები ბევრად უფრო ნაკლებ ტერიტორიას ემსახურებიან, მაგრამ დიდ ორგანიზაციულ როლს ასრულებენ სოფლად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ისინი ხელმძღვანელობენ რაიონის სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო, სატრანსპორტო და სხვა სახის საწარმოთა მუშაობას, აგრეთვე ადმინისტრაციულ და კულტურის დაწესებულებებს. სამრეწველო ქალაქები აწვდიან სოფლებს წარმოების საშუალებებს — მანქანა-დანადგარებს, საშენ მასალებს, სასუქებსა და ქიმიკატებს, საოჯახო-საყოფაცხოვრებო და პირადი მოხმარების საგნებს. ყოველივე ამან გამოიწვია ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის გაძლიერება; თანდათან გაქრა მანამდე მათ შორის არსებული წინააღმდეგობანი. სოფლად ფართოდ ინერგება ქალაქური ცხოვრების წესი: კეთილმოწყობისა და მოსახლეობის მომსახურების ბევრი სიახლე ჩვენ დროში სწრაფად ვრცელდება ქალაქად და თანდათან გადადის სოფლად.

რაც უფრო დიდია ქალაქი და მრავალფეროვანია ფუნქციური სტრუქტურა, მით უფრო დიდ ტერიტორიაზე ვრცელდება მისი გავლენა და აქტიურია მისი როლი გავლენის სფეროს ფარგლებში. დიდი ქალაქების გავლენის სფერო შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი კონცენტრიული ტერიტორიების სახით: ა) საგარეუბნო ზონა, ბ) მი-

ზიდულობის არეალი, გ) რაიონწარმომქმნელი ზონა, დ) ეკონომიკური გავლენის ზონა. როგორც წესი, ქალაქი აქტიურად ზემოქმედებს უახლოეს ტერიტორიაზე, რომელიც საგარეუბნო ზონას წარმოადგენს. ტერიტორიის დაშორების პარალელურად ქალაქის ზემოქმედება თანდათან სუსტდება. დიდი ქალაქის საგარეუბნო ზონა შეიძლება მოიცავდეს 15—20 კმ რადიუსის მქონე ტერიტორიას. კავშირი ამ ტერიტორიასთან ყველაზე უფრო მყარი და ინტენსიურია. უმეტეს შემთხვევაში საგარეუბნო ზონის ფარგლებში მდებარე სოფლების მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი, ზოგ შემთხვევაში კი უმეტესობა, ჩაბმულია ქალაქის სამეურნეო ცხოვრებაში, საგარეუბნო ზონის სოფლის მეურნეობა კი ამარაგებს ქალაქს ახალ-ახალი, მალფუჭადი პროდუქტებით. მიზიდულობის არეალი მჭიდრო ეკონომიკურ კავშირშია ქალაქთან, ამარაგებს მას სურსათით და სამრეწველო ნედლეულით, მაგრამ არეალის მოსახლეობა თითქმის არაა ჩაბმული უშუალოდ ქალაქის მეურნეობაში. რაიონწარმომქმნელი ზონა მოიცავს ეკონომიკური რაიონის ტერიტორიას. დიდი ქალაქი წარმოადგენს მისი სამეურნეო ცხოვრების ცენტრს და რაიონის ცალკეული ნაწილების შემაკავშირებელს, ახორციელებს უმნიშვნელოვანეს საწარმოო-ეკონომიკურ კავშირებს, როგორც კომუნიკაციების მსხვილი კვანძი. ბევრად უფრო მეტ ტერიტორიას მოიცავს ეკონომიკური გავლენის ზონა, რომელთანაც დიდი ქალაქი აწარმოებს თავისი პროდუქციის გაცვლას. კავშირი ზონის ყველა ნაწილთან არ არის ისეთი მჭიდრო, როგორც ეკონომიკურ რაიონთან, მაგრამ ზონის ცალკეული ნაწილები აწვდიან ქალაქს ნედლეულს და ნახევარფაბრიკატებს, სარგებლობენ მისი განათლების და კულტურის დაწესებულებებით, მარაგდებიან ქალაქიდან სხვადასხვა სახის სამრეწველო პროდუქციით და ა. შ. მაგალითად, ქუთაისი წარმოადგენს რესპუბლიკის დასავლეთ-ცენტრალური ეკონომიკური რაიონის ცენტრს, მაგრამ მისი ეკონომიკური გავლენა ვრცელდება მთელ დასავლეთ საქართველოზე და რიგ შემთხვევაში მის ფარგლებს გარეთაც.

საბჭოთა პერიოდში დიდი ცვლილებები განიცადეს საქართველოს საქალაქო დასახლებებმა. დაჩქარებული განვითარების შედეგად მრავალჯერ გადიდდა ქალაქების როლი საზოგადოებრივ წარმოებაში, რამაც მკვეთრად გაზარდა მათი ეკონომიკური მნიშვნელობა. მთლიანად გარდაიქმნა ბევრი ქალაქის სამეცნიერო-საგანმანათლებლო, ზოგად-კულტურული და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ფუნქციები. სწრაფად ვითარდებოდნენ მანამდე არსებული ქალაქები და ხდებოდა ახალი ქალაქების ჩასახვა. ურბანიზაციის პროცესი ნიშნავდა არა მარტო ძირეულ გარდაქმნებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ

სერიოზულ ცვლილებებსაც მოსახლეობის ტერიტორიულ ორგანიზაციაში. ცვლილებებმა შრომის ხასიათში, ადამიანის ცხოვრების წესში გამოიწვია არსებითი ძვრები განსახლებაში, შეცვალა დასახლებული პუნქტების გარეგანი სახე, მათი ხალხმრავლობა, კეთილმოწყობა, ფუნქციური დანიშნულება და ა. შ. ასეთი ცვლილებანი განსახლებაში წარმოადგენდა ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული უდიდესი სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნების შემადგენელ ნაწილს და თავის მხრივ მნიშვნელოვან უკუგავლენას ახდენდა ადამიანის ცხოვრების პირობებზე. ისტორიულად ჩამოყალიბებული განსახლების მატერიალური ფორმები (დასახლებანი), მართალია, საკმაოდ კონსერვატიულია, მაგრამ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ვითარებაში, საწარმოო ძალების სწრაფად განვითარების შედეგად ისინი განიცდიან ძირეულ გადახალისებას, იცვლიან თავის შინაარსსა და ფორმას.

60 წლის მანძილზე (1921—1980 წ.წ.) საქალაქო დასახლებათა რიცხვი საქართველოში გაიზარდა 77 ერთეულით და 1980 წლისათვის შეადგენდა 112-ს; აქედან 51 იყო ქალაქი და 61—ქალაქის ტიპის დაბა ან მუშათა დასახლება. იმავე პერიოდში ქალაქის მოსახლეობა გადიდდა 475 ათასიდან 2700 ათასამდე ანუ 5,6-ჯერ, ხოლო ერთი საქალაქო დასახლების საშუალო ხალხმრავლობა 13,6 ათასიდან 24 ათასამდე; ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა კი 19,7%-დან 52%-მდე. ეს მონაცემები თავისთავად მეტყველებენ ქალაქების როლის ზრდაზე და განსახლების გადახალისებაზე. ურბანიზაციის პროცესში ბევრი სოფელი გარდაიქმნა საქალაქო დასახლებად, ბევრი კი ქალაქების ტერიტორიული ზრდის შედეგად შეუერთდა არსებულ ქალაქებს. მაგრამ ერთ-ერთი მთავარი მოვლენა ურბანიზაციის პროცესში მაინც სოფლის მოსახლეობის ქალაქად გადასვლაა.

საბჭოთა პერიოდში რესპუბლიკის ქალაქის მოსახლეობის საერთო ნამატმა შეადგინა 2225 ათასი კაცი. ქალაქის მოსახლეობის შევსების წყაროები ოთხ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. ყველაზე ინტენსიურად შევსება ხდებოდა თვით ქალაქის მცხოვრებთა ბუნებრივი მატების შედეგად. ასეთი გზით მოსახლეობის ზრდა შეადგენს მთელი მატების 39%-ს; სოფლებიდან ქალაქად გადასვლის შედეგად — 33%-ს, სოფლების საქალაქო დასახლებად გარდაქმნაზე მოდის დაახლოებით 13% და რესპუბლიკის გარედან მოსულებზე — 15%. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის გარედან მოსულთა ხარჯზე ქალაქების ზრდას ადგილი აღარ აქვს 1958 წლიდან, რადგან გარე მიგრაციის სალდო აღნიშნული წლის შემდგომ პერიოდში უარყოფითი ნიშნით აღინიშნება.

საქართველოში მიგრაციული პროცესების აქტივიზაციის ერთ-ერთი ნიშანია მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს მ ზ ა რ დ ი კ ო ნ ც ე ნ ტ რ ა ც ი ა დ ი დ ს ა და უ დ ი დ ე ს ქ ა ლ ა ქ ე ბ შ ი. 1921 წელს მხოლოდ ერთი

დიდი ქალაქი იყო საქართველოში — თბილისი, რომლის მოსახლეობა 1926 წლის აღწერით შეადგენდა 294 ათას კაცს. 1979 წლისათვის დიდი და უდიდესი ქალაქების რიცხვი გადიდდა 5-მდე, მათ შორის თბილისი გახდა მილიონიანი ქალაქი. ამ ქალაქების ხვედრითი წონა ქალაქის მთელ მოსახლეობაში 1979 წელს შეადგენდა 62,5%, მაშინ როდესაც 1926 წელს ანალოგიური მაჩვენებელი უდრიდა 49,4%, ხოლო 1970 წელს — 55,9%-ს. რიცხობრივად ყველაზე მეტია წერილი საქალაქო დასახლებანი (თითოეულში 10 ათას მცხოვრებამდე), რომელთა უმრავლესობა ქალაქის ტიპის დაბებია, მაგრამ მათი ხვედრითი წონა ქალაქის მთელ მოსახლეობაში არ აღემატება 13%-ს. პატარა ქალაქებზე (10-დან 50 ათას მცხოვრებამდე) მოდის 20,5% და საშუალო სიდიდის ქალაქებზე (50—100 ათასი მცხოვრები) — 4%.

არსებული მასალების შესწავლას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ქალაქის სიდიდესა და მისი ზრდის ტემპებს შორის არსებული კავშირი დამოკიდებულია იმ ფუნქციების ხასიათზე და მასშტაბზე, რომლებსაც ის ასრულებს ქვეყნის ან მისი რომელიმე რეგიონის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. გარდა ამისა, ქალაქი როგორც ცოცხალი ორგანიზმი გამოირჩევა დინამიკურობით და მისი ზრდის ტემპები დროთა განმავლობაში შეიძლება იცვლებოდეს დიდ ფარგლებში. კარგად განვითარებული ქალაქების დაჩქარებული ზრდა გამოწვეულია მათი ფუნქციების მასშტაბურობით, შრომის გამოყენების სფეროს მრავალფეროვნებით და კეთილმოწყობის მაღალი დონით. ყოველივე ეს ადიდებს მიზიდულობის ძალას და აჩქარებს ზრდის ტემპებს. ქალაქების განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მარეგულირებელ როლს, იმ აღმშენებლობითი სამუშაოების მასშტაბებს, რომელიც ხორციელდება ამა თუ იმ ქალაქში, მშენებლობის მასშტაბები კი ბევრადაა დამოკიდებული თვით ქალაქის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობაზე. სამრეწველო ან სხვა სახის საწარმოთა განლაგება უნდა პასუხობდეს ბევრ მოთხოვნას, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს ქალაქის ზრდის ტემპებს. ყოველივე ნათქვამი არ ნიშნავს ქალაქის სიდიდის უგულებელყოფას, როცა მისი ზრდის შესაძლებლობაზე ვმსჯელობთ. საქმე ისაა, რომ ქალაქის როლი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში აისახება მის ხალხმრავლობაში; რაც უფრო დიდია ქალაქი, მით უფრო მნიშვნელოვანია მისი ადგილი სახალხო მეურნეობის ერთიან სისტემაში და, როგორც წესი, ქალაქების ხალხმრავლობაში თავისებურად კონცენტრირებულია მათი მონაწილეობა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში; სხვანაირად რომ ვთქვათ. ქალაქის სიდიდე, ფუნქციების ხასიათი და მასშტაბურობა ერთმანეთს შეესაბამებიან, ეს კი საფუძველს გვაძლევს მისი მნიშვნელობის განსაზღვრისას ვეყრდნო-

ბოდეთ ხალხმრავლობის მაჩვენებელს. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს მაჩვენებელი ქალაქის განვითარების შედეგია და, გარკვეულ პირობებში, მისი შემდგომი აღმავლობის ერთ-ერთი ფაქტორიც.

ურბანიზაციის მაღალი ტემპების დროს იზრდება ყველა კატეგორიის ქალაქების (გარდა მეტად წვრილი დასახლებებისა) უმეტესი ნაწილი, სისტემატურად ხდება მათი გადასვლა დაბალი კლასიდან უფრო მაღალ კლასში. პარალელურად მიმდინარეობს დაბალი კატეგორიის ქალაქების რიცხვის შევსება ახალი საქალაქო დასახლებების წარმოქმნის შედეგად. ურბანიზაციის პროცესში ადგილი აქვს უფრო დიდი ქალაქების ხვედრითი წონის გადიდებას ქალაქის მთელ მოსახლეობაში. ეს პროცესი გლობალური ხასიათისაა და ჩვენს ქვეყანაშიც მკაფიოდ ვლინდება; ასეთივე მდგომარეობაა საქართველოშიც. ჩვენი რესპუბლიკის მაგალითზე კარგად ჩანს წვრილი ქალაქების სუსტი მიზიდულობის ძალა. წვრილ საქალაქო დასახლებათა უმრავლესობა თითქმის არ იზრდება, ხოლო ბევრი მათგანი კიდევაც კარგავს თავის მოსახლეობას, რადგან მცხოვრებთა საგრძნობი ნაწილი გადადის უფრო განვითარებულ ქალაქებში. ეს გარემოება შედეგია წვრილი ქალაქების შრომის გამოყენების სფეროს არასაკმარისი განვითარებისა. ურბანიზაციის რეგულირების ერთ-ერთი არსებითი საკითხია მცირე ქალაქების აქტივიზაცია, მათი სამეურნეო განვითარებისა და კეთილმოწყობის დაჩქარება. მოსახლეობის ცხოვრების პირობებით ეს ქალაქები არ უნდა ჩამორჩებოდნენ სხვა საქალაქო დასახლებებს, რათა თავიდან ავიცილოთ მოსახლეობის განზიდვა ასეთი ქალაქებიდან და გავაძლიეროთ მათი როლი ურბანიზაციის პროცესში.

თავი მეათე

სასოფლო განსახლება

სასოფლო განსახლების ზოგადი ნიშნები

სასოფლო განსახლება მოსახლეობის ტერიტორიული ორგანიზაციის უძველესი ფორმაა. ადამიანის ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლამ საფუძველი ჩაუყარა დასახლებული პუნქტების პრიმიტიულ ფორმას. ასეთი დასახლებანი გარკვეულ ტერიტორიას მოიცავდნენ და თავისი ძირითადი ნიშნებით სასოფლო დასახლების საწყის სახეს წარმოადგენდნენ. ცივილიზაციის ახალ საფეხურებზე გადასვლის პარალელურად იცვლებოდა დასახლებათა ფუნქციები და გარეგანი სახე, ყალიბდებოდა დღეისათვის საყოველთაოდ გავრცელებული სოფლების გარკვეული ტიპი. თავისი გენეზისით და მორფოლოგიური სტრუქტურით სოფლები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ მათ უმრავლესობას აერთიანებს ძირითადი ფუნქციური დანიშნულება — სასოფლო-სამეურნეო წარმოება; სოფლების ერთობლიობა კი ქმნის სასოფლო განსახლებას. ამავე დროს სასოფლო განსახლებას მიეკუთვნება ყველა ის დასახლებული პუნქტი, რომლებსაც არა აქვთ მიღებული ქალაქის სტატუსი, მიუხედავად იმისა — არის თუ არა იქ სოფლის მეურნეობა წამყვანი დარგი.

სასოფლო განსახლების ჩასახვა და განვითარება, მართალია, საწარმოო ძალების განმსაზღვრელ გავლენას განიცდის, მაგრამ მისი ძირითადი ნიშნების ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს ასრულებენ ბუნებრივი გარემო, ისტორიულად დამკვიდრებული ტრადიციები და მოსახლეობის ეთნიკური თავისებურებანი. ათასეული წლების მანძილზე ადამიანი ეგუებოდა გეოგრაფიულ გარემოს, ბუნების კომპონენტების შესაბამისად მისდევდა სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ სახეს, ქმნიდა საცხოვრებელი სახლის ტიპს, ამყარებდა კავშირს სხვა დასახლებულ პუნქტებთან, იძენდა მათ გამოცდილებას და ცოდნას წარმოების თუ ყოფაცხოვრების სფეროში. სასოფლო განსახლების ჩამოყალიბების მთელი ეს პროცესი მეტად ხანგრძლივი, რთული და წინააღმდეგობრივი იყო.

იმის მიხედვით, თუ წარმოების რა წესი ბატონობს, მეურნეობის

და კულტურის რა დონეა მიღწეული, სასოფლო განსახლება განვითარების სრულიად განსხვავებულ საფეხურზეა ცალკეულ კონტინენტებსა და ქვეყნებში. განსახლების მრავალფეროვნება შეინიშნება თითოეული ქვეყნის შიგნითაც, რაც განპირობებულია ბუნებრივი გარემოს და მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის სიჭრელით, მემკვიდრეობით მიღებული ტრადიციებით. წარმოების წესის განმსაზღვრელი გავლენა არ ნიშნავს იმას, რომ სასოფლო განსახლება ასეული წლების მანძილზე უცვლელია და არ განიცდის განვითარებას. ერთი სოციალ-ეკონომიკური ფორმაციის ფარგლებში, საწარმოო ძალების წინსვლის პარალელურად, განსახლებაც იცვლება და ვითარდება. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, მატერიალური დოვლათის დაგროვება, კულტურის აღმავლობა და ადამიანების ესთეტიკური გემოვნების შეცვლა იწვევს სასოფლო განსახლების გადახალისებას, მის შემდგომ სრულყოფას, შეგუებას ადამიანის საწარმოო მოქმედებასა და ცხოვრების წესთან.

ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი სასოფლო და საქალაქო განსახლებას შორის იმაში მდგომარეობს, რომ საქალაქო დასახლებათა მეტი ნაწილი (მოპოვებითი მრეწველობის ცენტრების გამოკლებით) წარმოების პროცესში გაცილებით ნაკლებად იყენებენ ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებს, ვიდრე სასოფლო დასახლებანი, ამიტომ ბუნებრივი გარემო უფრო მეტ გავლენას ახდენს სასოფლო განსახლებაზე. სასოფლო-სამეურნეო დასახლებათა მცხოვრებნი მუდმივ მჭიდრო კონტაქტში არიან ბუნებასთან, როგორც შრომის, უშუალო ობიექტთან. აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ სოფლის არსებობის ბუნებრივი ფაქტორია სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესაძლებლობა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ტერიტორია უნდა ვარგოდეს როგორც დასახლებისა, ისე სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. მაგრამ ეს კიდევ არ გვიქმნის სრულ წარმოდგენას ტერიტორიის გამოყენების შესაძლებლობაზე სასოფლო დასახლებისათვის, რადგან არის ისეთი ფართობებიც, რომლებიც შეზღუდულ ფარგლებში გამოიყენებიან სოფლის მეურნეობისათვის, მაგრამ უვარგისი არიან დასახლებისათვის, მაგალითად — საზაფხულო საძოვრები ალპურ ზონაში მთის მკვეთრად დახრილ ფართობებზე.

სასოფლო დასახლების ნორმალური ფუნქციონირებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება რ ე ლ ი ე ფ ს ა და ჰ ა ვ ა ს. ციცაბო ფერდობები და მკაცრი კლიმატი ხელს არ უწყობს სოფლების არსებობას, ამიტომ მაღალმთიანი ზონა, ისევე როგორც პოლარული ტერიტორიები უვარგისია ან თითქმის უვარგისია სასოფლო განსახლებისათვის. ასეთი ტერიტორიები მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში და ისიც მეტწილად სეზონური დასახლებისათვის გამოიყენებიან. გარკვეული

მელიორაციული სამუშაოების ჩატარების გარეშე დასახლებისათვის ასევე უვარგისია უდაბნოები, ნახევრადუდაბნოები, ჭაობები.

იმის შესაბამისად, თუ როგორია დასახლებისათვის გამოსაყენებელი ტერიტორიების აბსოლუტური და ხვედრითი ფართობები, სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიის ვარგისიანობა სასოფლო განსახლებისათვის შესაძლოა რხევადობდეს ძალიან დიდ ფარგლებში. დასახლებისათვის გამოსაყენებელი მიწის ფართობები სხვადასხვანაირია ჯერ ერთი, ბუნებრივი ფაქტორების გავლენით — რელიეფის ფორმებისა და კლიმატური პირობების შესაბამისად; მეორეც, ადამიანის მიერ განხორციელებული ხელოვნური ზემოქმედების შედეგად. ასეთი ზემოქმედება შეიძლება იყოს უარყოფითიც და დადებითიც. პირველის მაგალითია მოპოვებითი მრეწველობის ობიექტების მიერ სასარგებლო მიწების მწყობრიდან გამოყვანა (ღია კარიერები, ტერიკონები). დადებითი ზემოქმედების მაგალითს წარმოადგენს მიწების მელიორაცია (ჭაობების ამოშრობა, სარწყავი ქსელის მოწყობა, ფერდობების დატერასება და სხვ.). დასახლებისათვის გამოიყენება უპირატესად ის მიწები, რომლებიც ვარგისია დამუშავებისათვის; ასეთი ფართობები კი დადგენილია ეგრეთ წოდებული მიწების კადასტრის გზით, რომელსაც ყოველწლიურად ადგენენ მიწათმოწყობის სამსახურის მუშაკები. ამრიგად, დამუშავებისათვის ვარგისი მიწების აბსოლუტური და ხვედრითი ფართობები წარმოდგენას გვაძლევს ამა თუ იმ ტერიტორიის ვარგისიანობის შესახებ სასოფლო დასახლებისათვის.

სოფლების შექმნისათვის, როგორც წესი, უშუალოდ არ გამოიყენება საზაფხულო და საზამთრო საძოვრების (საერთოდ სეზონური საძოვრების) ტერიტორია, მაგრამ ეს სავარგულები გარკვეული მასშტაბით გავლენას ახდენენ სასოფლო განსახლების ბუნებრივ პირობებზე, რადგან მონაწილეობენ შრომის გამოყენების სფეროს ფორმირებაში და, ამავე დროს, წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგის — მეცხოველეობის საკვებ ბაზას. ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთიან რაიონებში, სადაც მეცხოველეობა მეურნეობის წამყვანი დარგია.

სასოფლო განსახლებისათვის ვარგისი მიწების საერთო ფართობთან ერთად მნიშვნელოვანია ასეთი სავარგულების (ნაკვეთების) მასივების სიდიდე. სხვადასხვანაირია სოფლების მორფოლოგია განსახლებისათვის ვარგისი ვრცელი მასივების ან მათი დაქუცმაცების შემთხვევაში; ასევე მნიშვნელობა აქვს რელიეფის დახრილობას, ნაკვეთების ექსპოზიციას და სხვ. განსახლების კონკრეტული სახის ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ სხვა ბუნებრივი და საზოგადოებრივი ფაქტორებიც, მათ შორის აღსანიშნავია: წყალმომარაგების პირობები,

გეოგრაფიული მდებარეობა, ისტორიული განვითარების თავისებურებანი და სხვ. ბუნებრივი და საზოგადოებრივი ფაქტორების კონკრეტული შეთანაწყობის შედეგად ყალიბდება სასოფლო განსახლების შემდეგი თავისებურებანი:

1. სასოფლო დასახლებათა არათანაბარი განაწილება ტერიტორიაზე;

2. სოფლების ხალხმრავლობის დიდ ფარგლებში რხევადობა;

3. დასახლებული პუნქტების ფუნქციური სტრუქტურის დიდი სიჭრელე;

4. სოფლებს შორის შედარებით სუსტი საწარმოო-ეკონომიკური კავშირები;

5. სულ უფრო მზარდი კავშირი საქალაქო და სასოფლო დასახლებულ პუნქტებს შორის.

სასოფლო დასახლებათა ა რ ა თ ა ნ ა ბ ა რ ი ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ ი გ ა ნ ლ ა გ ე ბ ა გამოწვეულია განსახლების ბუნებრივი პირობების დიდი სიერცობრივი სხვაობებით. ამ მხრივ მეტად ხნიშვნელოვანია, თუ როგორ შეთანაწყობაში არიან და რამდენად ხშირად მონაცვლეობენ ერთმანეთთან დასახლებისათვის ვარგისი და უვარგისი მასივები. დასახლებისათვის გამოყენებული ფართობების კონფიგურაცია განსაზღვრავს დასახლებული პუნქტების საერთო იერს, მათ განლაგებას მსხვილი ფიზიკურ-გეოგრაფიული ერთეულების (ზდინარის, მთის, წყალსაცავის და სხვ.) მიმართ.

რელიეფის დამახასიათებელი ნიშნები დიდ გავლენას ახდენენ სოფლების ჯგუფურ განლაგებაზე. ფართო გავრცელება აქვთ ს ა ს ო ფ ლ ო ა გ ლ ო მ ე რ ა ც ი ე ბ ს, რომლებიც გვხვდება როგორც მთიან ადგილებში, ასევე ბარში. უფრო ხშირად სოფლების ჯგუფები არსებობს ისეთ ადგილებში, სადაც დასახლებისათვის ვარგისი ვრცელი ფართობები შემოზღუდულია მთიანი ტერიტორიით. სასოფლო აგლომერაციები გავრცელებულია მეტად თუ ნაკლებად ერთგვაროვან ტერიტორიაზე — მდინარის ან სარწყავი არხის გასწვრივ, წყალსატევების ნაპირებზე, მთიან ხეობებში, ოაზისებში, მნიშვნელოვანი ქალაქების ირგვლივ, ქვაბულებში ან მთიან ზეგნებზე და ა. შ. აგლომერაციის სოფლები ერთმანეთის მახლობლად მდებარეობენ და ხშირად მათ შორის არ არსებობს გამოკვეთილი საზღვარი. კავშირი ასეთ სოფლებს შორის შედარებით კარგადაა განვითარებული და, როგორც წესი, ისინი ერთ ადმინისტრაციულ ცენტრს ექვემდებარებიან.

ს ო ფ ლ ე ბ ი ს ი დ ი დ ე ზ ე (ხალხმრავლობაზე) ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ პირობებს და შრომის გამოყენების სფეროს. თუ სოფელს გარს არტყია დამუშავებისათვის ვარგისი მიწების ვრცელი მასივები და ისინი

გამოყენებულია ინტენსიურად, ასეთი სოფელი უმეტეს შემთხვევაში ხალხმრავალია და სხვა თანაბარ პირობებში, პატარა სოფელთან შედარებით, მას გააჩნია განვითარების კარგი პერსპექტივები. პატარა სოფლები უმთავრესად ისეთ ადგილებშია, სადაც დაქუცმაცებულია დასახლებისათვის ვარგისი ფართობები. ამ მიზეზით აიხსნება ძირითადად წვრილი სოფლების არსებობა მთიან ზონაში. სასოფლო დასახლებათა სიდიდეზე გაელენა აქვს აგრეთვე სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებს. ამის საუკეთესო მაგალითია რევოლუციამდელ რუსეთში სტოლიპინის რეფორმის განხორციელებისას ეგრეთ წოდებული ხუტორების წარმოქმნა, როცა გლეხის ოჯახი სახლდებოდა განცალკევებით, მისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე. რეალურად ასეთ ხუტორს წარმოადგენს ამერიკის შეერთებულ შტატებში თითოეული ფერმერის კარმიდამო. ხუტორები არსებობენ სსრ კავშირში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებშიც, მაგრამ მათი რიცხვი თანდათან მცირდება. ამრიგად, სასოფლო დასახლებული პუნქტი შეიძლება ითვლიდეს რამდენიმე კომლს და ათასობით მცხოვრებსაც.

სასოფლო დასახლებათა ფ უ ნ ქ ც ი ე ბ ი ს მ რ ა ვ ა ლ ფ ე რ ო ვ ნ ე ბ ა აიხსნება არა მარტო სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სირთულით, არამედ სასოფლო ადგილებში არასასოფლო-სამეურნეო ხასიათის დასახლებათა გავრცელებითაც. არსებული კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობების შესაბამისად, აგრეთვე ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მოსახლეობის საქმიანობა სხვადასხვა სოფლებში არ არის ერთგვაროვანი. სოფლების საწარმოო ფუნქცია წარმოდგენილია უმეტეს შემთხვევაში მიწათმოქმედებით, მაგრამ ერთ სოფელში შეიძლება გავრცელებული იყოს მიწათმოქმედების რამდენიმე დარგი, მაგალითად, მარცვლეულის მეურნეობა, მევენახეობა, მეხილეობა და ა. შ. შესაძლოა ერთ რომელიმე დარგს ეკავოს გაბატონებული ადგილი (მაგალითად, მებამბეობას ან მარცვლეულის მოყვანას და სხვ.); ბევრ სოფელში წამყვანი დარგია მეცხოველეობა. იმ სასოფლო დასახლებებიდან, სადაც სოფლის მეურნეობა არ წარმოადგენს განვითარებულ დარგს, შეიძლება დავასახელოთ ხე-ტყის დამამზადებელი პუნქტები, მეთევზეთა სოფლები, სხვადასხვა სამრეწველო ან სატრანსპორტო საწარმოებთან არსებული დასახლებანი, რომლებსაც მიღებული არა აქვთ ქალაქის სტატუსი და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სოფლებს შორის თანდათან ძლიერდება საწარმოო-ეკონომიკური კავშირურთიერთობა, სოფლები მაინც ბევრად უფრო ს უ ს ტ ა დ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ვიდრე ქალაქები. ნებისმიერ სოფელს უფრო მჭიდრო ეკონომიკური კავშირი აქვს მახლობელ ქალაქთან, ვიდრე მეზობლად განლაგებულ სოფელთან. რამდენადმე იზოლირებული მდებარეობა სოფ-

ლებისა შეიქმნა წარსულ ისტორიულ ეპოქებში, როცა გამეფებული იყო ფეოდალური კარჩაკეტილობა და მეურნეობის ნატურალური ფორმები. თანამედროვე სოფლებს შორის კავშირი თანდათან მტკიცდება, განსაკუთრებით, მომსახურე დარგების განვითარების პარალელურად, მაგრამ კავშირურთიერთობა ქალაქებსა და სოფლებს შორის ბევრად უფრო ფართოდაა წარმოდგენილი.

ბუნებრივი გარემო და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, მათ შორის ისტორიული ტრადიციები, ეთნიკური თავისებურებანი არსებით გავლენას ახდენენ სოფლების მორფოლოგიურ სტრუქტურაზე — გარეგან სახეზე, დაგეგმარებაზე, საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ნაგებობათა არქიტექტურაზე. კერძოდ, დიდი სხვაობები არსებობს სხვადასხვა გეოგრაფიულ სარტყელში განლაგებულ სოფლებს შორის. თითოეულ ხალხს და ქვეყნის ეთნოგრაფიული მხარის მოსახლეობას აქვს მისთვის დამახასიათებელი საცხოვრებელი სახლის ტიპი, სამეურნეო ნაგებობანი, რომელთა შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოფლების საწარმოო პროფილი. წარსულში სასოფლო დასახლებათა მატერიალური ფორმები სუსტად იყო განვითარებული და პრიმიტიულ სახეს ატარებდა, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ვითარებაში კი სოფლების მშენებლობაში არსებითი ცვლილებები ხდება. ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე დიდად შეიცვალა სოფლების გარეგანი სახე, მათი კეთილმოწყობა. ამ მხრივ დადებითი როლი შეასრულა ქალაქებთან კავშირის გაძლიერებამ, რასაც შედეგად მოჰყვა სოფლების ურბანიზაცია, იქ ქალაქური ცხოვრების წესის ბევრი ელემენტის დამკვიდრება.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სოფლის მოსახლეობა დიდი რაოდენობით გადადის ქალაქად, ხოლო თვით სოფლის მცხოვრებთა შორის თანდათან იზრდება არასასოფლო-სამეურნეო შრომაში ჩაბმულთა აბსოლუტური და ხვედრითი რიცხვი. განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობს ეს პროცესი ინდუსტრიულად დაწინაურებულ ქვეყნებში. ასე მაგალითად, ინგლისში სოფლად ცხოვრობს მთელი მოსახლეობის დაახლოებით 1/6, ხოლო სოფლის მეურნეობაში ჩაბმულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის არა უმეტესი 3%-სა. რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წონა იქ შეადგენს 70—80%-ს. სასოფლო-სამეურნეო შრომაში კი ჩაბმულია მომუშავეთა საერთო რაოდენობა 60—70%. ასეთი მკვეთრი განსხვავებანი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სოფლის მოსახლეობის ხვედრით წონაში და შრომითი კონტინგენტების დასაქმებაში უდიდეს გავლენას ახდენს სოციალური და ეკონომიკური

ყოფის ყველა მხარეზე, წარმოქმნის იმ დიდ სხვაობებს, რაც არსებობს სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების პირობებში. სოფლად მცხოვრებთა ხვედრითი წონა თანდათან მცირდება განვითარებად ქვეყნებშიც, მაგრამ ეს პროცესი საკმაოდ ნელი ტემპით მიიწევს წინ. ურბანიზაციის პროცესს განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვნად აფერხებს სოფლის მოსახლეობის დაჩქარებული ბუნებრივი ზრდა.

ამჟამად მთელ მსოფლიოში სოფლად ცხოვრობს დაახლოებით 2,6 მლრდ. ადამიანი. სოფლების რაოდენობის ზუსტი აღრიცხვა არ არსებობს, რადგან ბევრ ქვეყანაში აღრიცხვის ერთეულია სასოფლო საზოგადოებები, რომლებიც ხშირად რამდენიმე დასახლებული პუნქტისაგან შედგებიან. არ არსებობს ერთიანი აზრი საკითხში — მივიჩნიოთ თუ არა დასახლებულ პუნქტად ცალკე მდებარე საცხოვრებელი სახლი, რომელშიაც მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობს. თუ ასეთ საცხოვრებელ წერტილს არ ჩავთვლით დასახლებულ პუნქტად, მაშინ მთელ მსოფლიოში ვარაუდობენ დაახლოებით 12—15 მლნ. სასოფლო დასახლებას. აქედან ჩანს, რომ მეტად მრავალრიცხოვანია მსოფლიოში პატარა სოფლები, რომელთა სიდიდე არ აღემატება 100—150 მცხოვრებს. რაოდენობით ბევრად ნაკლებია დიდი სოფლები, რომელთაგან თითოეული 500-ზე მეტ მცხოვრებს ითვლის. კიდევ უფრო მცირეა უდიდესი (მსხვილი) სოფლების რიცხვი (თითოეული 1000-ზე მეტი მცხოვრებით). უნდა შევნიშნოთ, რომ „პატარა სოფელი", „დიდი სოფელი" და ა. შ. შედარებითია და არ არის აუცილებელი ყველა ქვეყნისათვის თითოეული ამ ცნებათაგანი გულისხმობდეს მოსახლეობის ერთ და იგივე რაოდენობას. მაგალითად, იქ სადაც მეტად დისპერსიული სასოფლო განსახლებაა გავრცელებული, შედარებით მოზრდილი დასახლება შეიძლება ჩაითვალოს დიდ სოფლად. უფრო განვითარებული სოფლები უმეტეს შემთხვევაში ასრულებენ ადგილობრივი ცენტრის როლს. ისინი გამოირჩევიან მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობით სოფლების გარკვეული ჯგუფის მიმართ, ახორციელებენ ადმინისტრაციულ ფუნქციას და წარმოადგენენ მთელი რიგი მომსახურე ობიექტების — სკოლის, მაღაზიის, ფოსტის, ჯანმრთელობის დაცვის პუნქტის და სხვა ანალოგიური დაწესებულების თავმოყრის ადგილს. პ ო ლ ი ფ უ ნ ქ ც ი უ რ ი დანიშნულება თავისთავად სოფლების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია. ასეთი სოფლები ბევრად უფრო „სიცოცხლისუნარიანი" არიან, მათი მოსახლეობის რაოდენობა შედარებით სტაბილურია, ახალგაზრდობა უფრო იშვიათად მიდის სხვა ადგილებში. ბევრად უფრო არახელსაყრელ პირობებში იმყოფებიან პატარა სოფლები, რომლებშიაც ზოგჯერ მცხოვრებთა რიცხვი რამდენიმე ათეულს არ აღემატება და მეტად ძნელია მომსახურების სრული სერვისის შექმნა. კონტინგენტის სიმცირის გამო წვრილ სოფლებში

არ ხერხდება სკოლის გახსნა; იგივე შეიძლება ითქვას სამედიცინო, სავაჭრო, კავშირგაბმულობის დაწესებულებათა შესახებ. ამასთან დაკავშირებით წვრილი სოფლები კარგავენ თავის მოსახლეობას და ბევრი მათგანი უქმდება. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურია მთიან რაიონებში, სადაც მდგომარეობას აუარესებს წვრილი სოფლების არახელსაყრელი მდებარეობა და კომუნიკაციების განვითარების დაბალი დონე.

სსრ კავშირის სასოფლო განსახლება

რევოლუციამდელი რუსეთის საწარმოო ძალების განვითარების დაბალი დონე განაპირობებდა სასოფლო განსახლების ჩამორჩენილობას, მაშინდელი სოფლის პრიმიტიულ სახეს. იმპერიაში შემავალ თითოეულ ხალხს ჰქონდა მისთვის დამახასიათებელი გარკვეული ფორმის საცხოვრებელი სახლი, წარმოქმნილი საუკუნეების მანძილზე — ისტორიული ვითარებისა და ბუნებრივი პირობების გავლენით. სახლების ჯგუფი ქმნიდა სხვადასხვა სიდიდის სასოფლო დასახლებას, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ყალიბდებოდა ერთი წინაპარი ოჯახის გამრავლების შედეგად. სასოფლო დასახლებათა მრავალფეროვნება აისახებოდა მათ სახელწოდებაშიც. საკუთრივ რუსეთში ცალკე ერთი ან რამდენიმე კომლის დასახლებას „ხუტორი" ეწოდებოდა, პატარა სოფელს — „დერევნია", დიდ სოფელს — „სელო"; ჩრდილოეთ კავკასიაში ჩამოსახლებული კაზაკების მსხვილი სოფლები „სტანიცას" სახელით იყო ცნობილი. საქართველოში საყოველთაოდ გავრცელებული იყო დასახლების სახე „სოფელი"; ისტორიულად ცნობილია აგრეთვე ქართულ სოფელსა და ქალაქს შორის გარდამავალი ტიპის დასახლება „დაბა". კავკასიის მთიანი ზონის სხვა ხალხებში სასოფლო დასახლებას „აული" ეწოდებოდა, შუა აზიაში კი უპირატესად „ყიშლაკი" სასოფლო დასახლებათა საერთო ნიშანი იმაში გამოიხატებოდა, რომ, მცირე გამონაკლისის გარდა, მათთვის დამახასიათებელი იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების უპირატესად ნატურალური ფორმა. ასევე საერთო ნიშანს წარმოადგენდა განსახლების მატერიალური ფორმების მეტად დაბალი დონე. ძირითადად გავრცელებული იყო პრიმიტიული სახის საცხოვრებელი სახლები: ხის პატარა შენობები, თიხით შელესილი ხის კარკასიანი კედლებით აშენებული „ხატა", ნახევრადმიწური ბინები და სხვა მათი მსგავსი ნაგებობანი. ძალიან ხშირად ერთ ჭერქვეშ საცხოვრებელი სახლის ნაწილი შინაურ პირუტყვს ჰქონდა დათმობილი. კიდევ უფრო პრიმიტიულად გამოიყურებოდა მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე ხალხების სეზონური დასახლებანი. სასოფლო განსახლების ასეთ ფონზე თავისებური გამონაკლისი იყო

მოსახლეობის პრივილეგიური ფენის კარმიდამო, მეტად თუ ნაკლებად გაუმჯობესებული ტიპის კაპიტალურად ნაგები საცხოვრებელი სახლებით და სამეურნეო დამხმარე შენობებით (ბოსელი, თავლა, ბეღელი, სასიმინდე, მარანი და სხვ.).

იმ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა შორის, რაც ჩვენ ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში განხორციელდა, საპატიო ადგილი უკავია სასოფლო განსახლებაში მომხდარ უდიდეს ძვრებს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სოციალისტური რეკონსტრუქცია გულისხმობს მოსახლეობის მატერიალური და კულტურული ცხოვრების განუხრელ აღმავლობას, რაც შეუძლებელი იქნებოდა სასოფლო განსახლების ძირეული გაუმჯობესების გარეშე. ერთ-ერთ სერიოზულ ნაბიჯს ამ მიმართულებით წარმოადგენდა ბიწაზე კერძო საკუთრების გაუქმება, მემამულეებისა და ეკლესია-მონასტრების კუთვნილი მიწების კონფისკაცია და ამ მიწების სოფლის მშრომელთა სარგებლობაში გადასვლა. ასეთივე პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა გვალვიან რაიონებში წყლის რესურსების სახელმწიფოს ხელში გადასვლას და მიწების მორწყვის საქმის მკეთრად გაუმჯობესებას. მიწათსარგებლობის ახალმა სისტემამ შესაძლებლობა მისცა მილიონობით სოფლის მცხოვრებს ეზრუნათ დასახლებათა მატერიალური ბაზის გარდაქმნაზე, აეგოთ ახალი საცხოვრებელი სახლები და ბყარ საფუძველზე დაეყენებინათ სოფლების კეთილმოწყობა. მასობრივად იქმნებოდა ახალი სოფლები მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე მოსახლეობისათვის. ახალი დასახლებანი ჩაისახა აგრეთვე ბევრ საბჭოთა მეურნეობასთან, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ყალიბდებოდა ყოფილი მემამულეებისა და ეკლესია-მონასტრების მიწებზე.

1926 წლის მიწურულში საბჭოთა კავშირის მაშინდელ ტერიტორიაზე სოფლად ცხოვრობდა 120,7 მლნ. კაცი, ხოლო სასოფლო დასახლებათა რიცხვი შეადგენდა 608,9 ათასს, ანუ ერთ დასახლებაზე საშუალოდ მოდიოდა 198 მცხოვრები; სოფლების საშუალო სიდიდე დიდ ფარგლებში რხევადობდა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. მეტად წვრილი დასახლებული პუნქტები (ხუტორები) ჭარბობდა ჩრდილოდასავლეთ რაიონებში, საშინ როდესაც ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებული იყო ძირითადად მსხვილი სოფლები (სტანიცები).

სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ერთ-ერთი შედეგი იყო წვრილ დასახლებათა თანდათანობითი გაუქმება. დიდი სამამულო ომისწინა ხუთწლედში უკვე მიმდინარეობდა ერთ-კომლიან დასახლებათა ლიკვიდაცია, მათი მცხოვრებლები ან ახალ დასახლებაში ერთიანდებოდნენ, ან არსებულ სოფლებში გადადიოდნენ. ხუტორების ლიკვიდაციის პროცესი ფართოდ გაიშალა ომის

შემდგომ პერიოდში, მაგრამ წვრილი დასახლებანი ჯერ კიდევ ფართოდაა გავრცელებული, რაც ნათლად ჩანს მოტანილი ცხრილიდან.

ცხრილი 17

სსრ კავშირის სასოფლო დასახლებათა კლასიფიკაცია სიდიდის მიხედვით 1970 წელს[1]

სასოფლო დასახლებათა ჯგუფები სიდიდის მიხედვით	სასოფლო დასახლებათა რაოდენობა	%%	მოსახლეობის რაოდენობა (ათასობით)	%%
უწვრილესი—10 მცხოვრებამდე	133502	28,4	577,0	0,5
„ —11—50 „	102316	21,8	2764,9	2,6
წვრილი—51—100 „	56781	12,1	4121,4	3,9
პატარა—101—200 „	55373	11,8	7989,0	7,5
საშუალო—201—500 „	64753	13,8	20815,8	19,7
დიდი—501—1000 „	33032	7,0	23116,8	21,9
მსხვილი—1001—2000 „	16677	3,6	22785,4	21,6
უმსხვილესი—2001 და მეტი	6819	1,5	23527,3	22,3
სულ სასოფლო დასახლებანი	469253	100,0	105697,6	100,0

ის გარემოება, რომ სასოფლო დასახლებათა ნახევარში ცხოვრობს თითოეულში 50 კაცზე ნაკლები, გვიჩვენებს წვრილ დასახლებათა ჯერ კიდევ საკმაოდ ფართო გავრცელებას, თუმცა ასეთ დასახლებათა რაოდენობა თანდათან კლებულობს. მთლიანად სსრ კავშირის სასოფლო განსახლებისათვის მაინც დამახასიათებელია დიდი და მსხვილი სოფლები, თითოეულში 500-ზე მეტი მცხოვრებით. ასეთ სოფლებში თავმოყრილია სოფლის მოსახლეობის თითქმის 2/3. ერთი სასოფლო დასახლების საშუალო ხალხმრავლობა 1926—1970 წლებში მნიშვნელოვნად გადიდდა, მიაღწია რა ამ პერიოდის ბოლოს 225 კაცს. თუ გამოვთიშავთ უწვრილეს სოფლებს, სადაც ცხოვრობს სოფლის მოსახლეობის მხოლოდ 3,1%, მაშინ ერთი სოფლის საშუალო ხალხმრავლობა იქნება 438 მცხოვრები. მეტად მნიშვნელოვანია უმსხვილესი სოფლების ადგილი სასოფლო განსახლებაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ასეთი სოფლების რიცხვი 7 ათასს უახლოვდება, ხოლო 1970 წლის მონაცემებით მათ შორის 868 სოფელი იყო თითოეული 5 ათასზე მეტი მცხოვრებით.

უწვრილეს დასახლებათა ლიკვიდაციასთან ერთად მიმდინარეობს ახალ სასოფლო დასახლებათა წარმოქმნა. ასეთ დასახლებათა ჩასახვა ხდება საბჭოთა მეურნეობებთან, ყამირის ათვისების ან მიწების

[1] Итоги всесоюзной переписи населения 1970 года. «Статистика», М., 1972, том I, табл. 8.

მელიორაციის შედეგად სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წარმოქმნასთან დაკავშირებით, მეფრინველეობის ფაბრიკებთან, რკინიგზის ახლად მშენებარე სადგურებთან, მოპოვებითი მრეწველობის კერებთან, სამეცნიერო-საცდელ სადგურებთან და სხვ. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით წარმოიქმნა ახალი სასოფლო დასახლებანი ყაზახეთის მოკავშირე რესპუბლიკაში, სადაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი წინათ მომთაბარეობდა, ამჟამად კი მთლიანად ბინადარ ცხოვრებაზეა გადასული. ფართო ხასიათი ჰქონდა ახალ სასოფლო დასახლებათა წარმოქმნას აგრეთვე ყირგიზეთში და რიგ სხვა რეგიონში.

სსრ კავშირის სასოფლო განსახლებაში მკვეთრადაა გამოსახული სოფლების თანდათან გამსხვილება, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად მცირდება სოფლის მოსახლეობის როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი რაოდენობა. 1959—1979 წლებში სოფლის მოსახლეობა შემცირდა 108,8 მლნ.-დან 98,8 მლნ.-დე, ანუ 9,2%-ით, ხოლო ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში 52%-დან 38%-მდე. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს უწვრილეს დასახლებათა რაოდენობის შემცირება და იზრდება მსხვილ დასახლებათა რიცხვი. მარტო 11 წლის მანძილზე (1959—1970 წწ.) სასოფლო დასახლებათა საერთო რაოდენობა სსრ კავშირში შემცირდა 704,8 ათასიდან 469,3 ათასამდე, ანუ არსებობა შეწყვიტა 235,5 ათასმა უწვრილესმა დასახლებამ. იმავე პერიოდში. დიდ, მსხვილ და უმსხვილეს დასახლებათა (თითოეულში 500-ზე მეტი მცხოვრებით) საერთო რაოდენობა გადიდდა 51,9 ათასიდან 56,5 ათასამდე, ხოლო მათი მცხოვრებთა რიცხვი — 61,5 მლნ-დან 69,4 მლნ.-დე. ამ სოფლების საშუალო ხალხმრავლობა აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა 1185-დან 1228 მცხოვრებამდე. იმასთან დაკავშირებით, რომ გაუქმდა ბევრი უწვრილესი სოფელი, რამდენადმე გაიზარდა ამ კატეგორიის სოფლების საშუალო ხალხმრავლობაც (70-დან 88 მცხოვრებამდე). რიგ შემთხვევაში დასახლება უქმდება იმის შედეგად, რომ სწრაფად მზარდი საქალაქო დასახლებანი იერთებენ მეზობლად მდებარე სოფლებს. ყველა ეს რაოდენობრივი ცვლილება სასოფლო განსახლებაში დადებით შეფასებას იმსახურებს, რადგან სხვა დანარჩენ თანაბარ პირობებში მსხვილი სოფლები უფრო უწყობენ ხელს მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

სოფლების ზრდაში არსებობს გარკვეული ზღვარიც. თანამედროვე სოფლების ზრდა უმეტეს შემთხვევაში ხდება არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარების ხარჯზე. ასეთი ტენდენციის შედეგად აღმავლობის გზაზე მდგარი სოფელი თანდათან იძენს ქალაქის ფუნქციებს და ხშირად ხდება მისი გარდაქმნა საქალაქო დასახლებად.

ახალი საქალაქო დასახლებანი უპირატესად მსხვილი სოფლების ბაზაზე წარმოიქმნებიან.

ჩვენი ქვეყნის სასოფლო დასახლებანი მრავალფეროვანია თავისი ფ უ ნ ქ ც ი უ რ ი დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი თ. პირველ ყოვლისა სასოფლო დასახლებული პუნქტებისათვის მნიშვნელოვანია ს ა წ ა რ მ ო ო ფ უ ნ ქ ც ი ე ბ ი. ბუნებრივია, რომ სასოფლო ადგილებში გავრცელების მასშტაბით და მნიშვნელობით უმთავრესია სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ხშირად თითოეულ სოფელში წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის რამდენიმე დარგი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში წამყვანი ადგილი უკავია ერთ რომელიმე დარგს. სოფლის მეურნეობის თანამედროვე ეტაპზე ფართო ხასიათი აქვს საწარმოო სპეციალიზაციას. თითოეული სოფელი აწარმოებს 1—2 სახეობის (ზოგჯერ მეტს) სასაქონლო დანიშნულების პროდუქციას და არაიშვიათად თვით სოფლის მცხოვრებთათვის საჭირო სურსათს. სპეციალიზებული დარგების გავრცელების შესაბამისად სოფლებს შეიძლება ჰქონდეთ შემდეგი საწარმოო მიმართულებანი: მარცვლეულის წარმოების, ტექნიკური კულტურების — მებამბეობის, მეჭარხლეობის, მეჩაიეობის, მევენახეობის. ბევრი სოფელი, მდებარეობს რა განვითარებული ქალაქების მახლობლად, სპეციალიზებულია ეგრეთ წოდებული „საგარეუბნო ტიპის" სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე. ასეთ სოფლებში წამყვანი ადგილი უკავია ბოსტნეულის წარმოებას, სარძეო მეცხოველეობას, მეფრინველეობას, მეხილეობას, ანუ ისეთი პროდუქციის წარმოებას, რომლის შორ მანძილზე გადატანა არ არის მიზანშეწონილი. მთიან რაიონებში და ისეთ ადგილებში, სადაც ჭარბობს ბუნებრივი საძოვრები, უპირატესი გავრცელება აქვთ მეცხოველეობის სოფლებს. მეცხოველეობის შიგნითაც არსებობს სპეციალიზაცია; რიგი სოფელი მისდევს მეცხვარეობას, მეირმეობას, რიგი კიდევ — სახორცე ან სარძეო მიმართულების მეცხოველეობას.

უპირატესად გავრცელებულია პოლიფუნქციური სოფლები. ხშირად სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან ერთად წარმოდგენილია მრეწველობის ესა თუ ის დარგი. ზოგ შემთხვევაში სოფლებში განლაგებულია კვების მრეწველობის საწარმოები, რომლებიც გადამუშავებენ ადგილობრივ წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. ბევრი სოფლის მიდამოებში წარმოებს საშენი მასალის მოპოვება (საკედლე და მოსაპირკეთებელი ქვები, კერამიკული და სხვა სახის თიხები, კვარცის სილა, ინერტული მასალები) ან სხვა რომელიმე წიაღისეულის საბადოს დამუშავება. უკანასკნელ ხანებში საკმაოდ ვრცელდება სოფელ ადგილებში მახლობელი ქალაქის სამრეწველო საწარმოთა ფილიალების დაარსება. ზოგი სასოფლო დასახლება გარკვეულ სატრანსპორტო ფუნქციას ასრულებს.

1970 წლის მონაცემებით სსრ კავშირის 38 ათასამდე სოფელში არ იყო განვითარებული სასოფლო-სამეურნეო წარმოება. მათ შორის 15 ათასი სოფელი სამრეწველო დასახლებას წარმოადგენდა, 10 ათასი სოფელი ხე-ტყის დამუშავების და ტყეების დაცვის საქმეში იყო ჩაბმული, 9 ათასი სასოფლო დასახლებისათვის მთავარი იყო სატრანსპორტო ფუნქცია, ხოლო 3 ათასი დასახლება დასასვენებლად და სამკურნალოდ ნოსულ კონტინგენტებს უწევდა მომსახურებას.

საბჭოთა სოფლის ფუნქციურ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადმინისტრაციულ და სამეურნეო ორგანოებს. 1970 წელს 13,2 ათასი სასოფლო დასახლება წარმოადგენდა საბჭოთა მეურნეობის ცენტრს, ხოლო 35,5 ათასი — კოლმეურნეობის ცენტრს, ასეთი სოფლების საშუალო სიდიდე 1000 მცხოვრებს უახლოვდება. სასოფლო საბჭოს ცენტრი იყო 41 ათას დასახლებაში; ამ სოფლების უმეტესი ნაწილი ერთდროულად ასრულებდა საბჭოთა მეურნეობის ან კოლმეურნეობის მართვის ფუნქციას.

ზღვების, ტბებისა და დიდი მდინარეების სანაპიროების გასწვრივ გავრცელებულია მეთევზეთა დასახლებანი. ზოგიერთი ასეთი სოფელი, ისევე როგორც მეტყეველთა დასახლებანი, წარმოადგენს დროებით ან სეზონურ პუნქტს. ბევრი ახალი დასახლება იქმნება ბაიკალ-ამურის მშენებარე რკინიგზის მაგისტრალის გასწვრივ.

მეურნეობის ცალკეული დარგების შეთანაწყობა ამა თუ იმ სოფლის ფუნქციურ სტრუქტურაში შეიძლება დავადგინოთ როგორც პროდუქციის ღირებულების შედარების გზით, ისე თითოეულ დარგში ჩაბმულ მომუშავეთა რაოდენობის მიხედვით. მართალია, ერთი და იგივე მუშაკი ხშირად სოფლის მეურნეობის რამდენიმე დარგში შრომობს, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო საწარმოები (კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები) აღრიცხავენ თითოეულ დარგში გაწეულ შრომით დანახარჯებს. ანგარიშგასაწევია ისიც, თუ რა დონეზეა სასოფლო-სამეურნეო დარგების მექანიზაცია. ასე მაგალითად, მარცვლეულის მეურნეობა, კერძოდ, თავთავიანი კულტურების მოყვანა, მაქსიმალურადაა მექანიზებული და ერთ ჰექტარ ნათესზე 10 კაცდღეზე მეტ შრომას არ მოითხოვს, მაშინ, როდესაც ერთი ჰექტარი ვენახის ან ჩაის პლანტაციის დამუშავება 350—400 კაცდღეს საჭიროებს. ცხადია, ასეთი დიდი სხვაობანი შრომის დანახარჯებში თავის გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის დარგთა ურთიერთშეთანაწყობაზე და შრომის გამოყენების სფეროს მოცულობაზე, მოითხოვს სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშახელს და ა. შ. ყველა ეს მოვლენა საბოლოოდ აისახება სასოფლო დასახლების ფუნქციურ დანიშნულებაში. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სოფლად სწრაფად ვითარდება არასაწარმოო სფერო. სულ უფრო მეტი შრომითი კონტინ-

გენტები მონაწილეობენ ისეთ დარგებში, როგორიცაა: განათლება, კულტურა, ჯანმრთელობის დაცვა, კომუნალური მეურნეობა. ასევე სწრაფად ფართოვდება ვაჭრობა და მომარაგება, ენერგომოხმარება, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, რომლებიც ემსახურებიან როგორც საწარმოო დარგებს, ისე მოსახლეობას. ამ დარგების განვითარებამ დიდად გაზარდა ი ნ ფ რ ა ს ტ რ უ ქ ტ უ რ ი ს როლი თანამედროვე სასოფლო განსახლებაში, მკვეთრად გააუმჯობესა სოფლების კეთილმოწყობა, ხელი შეუწყო ცხოვრების ქალაქური წესის სოფლად გავრცელებას და საბოლოოდ ბევრად დააახლოვა ერთმანეთთან სასოფ-სოფლო და საქალაქო დასახლებანი.

სსრ კავშირის სასოფლო განსახლების გარდაქმნის ერთ-ერთი მაჩვენებელია ს ო ფ ლ ე ბ ი ს კ ე თ ი ლ მ ო წ ყ ო ბ ი ს მ კ ვ ე თ რ ი გ ა უ მ ჯ ო ბ ე ს ე ბ ა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების, აგრეთვე მეურნეობის სხვა დარგების განვითარებამ ბევრად გაზარდა სოფლის მოსახლეობის შემოსავალი, შექმნა სოფლების ძირეულად გადახალისების მატერიალური ბაზა. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე სოფელსა და ქალაქს შორის კავშირის გაძლიერებას, საავტომობილო ტრანსპორტის სწრაფ აღმავლობას, მომსახურე დარგების განვითარებას და, ზოგადად, სოფლების ურბანიზაციას.

სოფლების კეთილმოწყობის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელია საცხოვრებელი ფონდის მთლიანად განახლება, წინათ არსებული პრიმიტიული ბინების ნაცვლად კაპიტალურად ნაგები, ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლების მასობრივი მშენებლობა. ჯერ კიდევ 1960 წელს სოფლის მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტი ცხოვრობდა ახლად აშენებულ საცხოვრებელ სახლებში. მარტო 27 წლის მანძილზე (1950—1976 წლები) სოფლად აშენებული ახალი საცხოვრებელი სახლების საერთო სასარგებლო ფართი შეადგენდა 942,4 მლნ კვ. მ-ს[2].

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლების სატრანსპორტო მომსახურების სრულიად გადახალისებას. საწარმოო სფეროში მანქანური შრომის თანდათან დანერგვასთან ერთად ვითარდებოდა სოფლების როგორც შიგა, ისე გარე ტრანსპორტი. ყველა სახის ტვირთების გადაზიდვაში ცოცხალი გამწევი ძალის ადგილი ავტომობილმა დაიკავა (ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ახალი საცხოვრებელი სახლების მასობრივი მშენებლობა). ამჟამად იშვიათია ისეთი სოფელი, რომ არ ჰქონდეს სამგზავრო-საავტომობილო მიმოსვლა მახლობელ ქალაქებთან ან რკინიგზის სადგურთან. მასობრივად ვრცელდება სოფ-

---

[2] С. А. К о в а л е в. Сельское расселение. Изд-во МГУ, М., 1963, стр. 127; Народное хозяйство СССР за 60 лет. Юбилейный статистический сборник. «Статистика», М., 1977, стр. 493.

ლად ინდივიდუალური საავტომობილო ტრანსპორტი. განხორციელდა სოფლების მთლიანი ელექტრიფიკაცია; ენერგიის ეს სახე გამოყენებულია არა მარტო განათებისათვის, არამედ საწარმოო პროცესებში და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. ბევრად გაუმჯობესდა მოსახლეობის წყალმომარაგება. მოსახლეობაში საყოველთაოდ ვრცელდება ისეთი საოჯახო მოხმარების საგნები, როგორიცაა მაცივარი, სარეცხი მანქანა, მტვერსასრუტი და ა. შ.

სოფლად შექმნილია სკოლების ფართო ქსელი; დიდი ხანია, რაც განხორციელდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. სოფლის ახალგაზრდობისათვის შემოღებულია საყოველთაო-სავალდებულო განათლება საშუალო სკოლის ფარგლებში. ისეთ ადგილებში, სადაც განსახლების დისპერსიულობა არ იძლევა საშუალებას ყველა სოფელში გაიხსნას სკოლა, დაარსებულია სკოლა-ინტერნატები. ყურადღება ექცევა სოფლის ახალგაზრდობის პროფესიულ მომზადებას. რაიონულ ცენტრებსა და რიგ სასოფლო ადგილში გახსნილია პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები. ყოველწლიურად ფართოვდება საბავშვო ბაღებისა და ბაგების ქსელი.

ყურადღების ცენტრში მოექცა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმე. სასოფლო ამბულატორიები დაკომპლექტებულია კვალიფიციური სამედიცინო კადრებით; ბევრ სოფელში მოქმედებს საავადმყოფო, აფთიაქი; ხორციელდება პროფილაქტიკური ღონისძიებანი სხვადასხვა დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით. სოფლებს ემსახურება თითოეული რაიონული ცენტრის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ერთიანი სისტემა.

სისტემატურად უმჯობესდება მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება. სასოფლო ადგილებში შენდება უნივერსალური ტიპის მაღაზიები, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები, პურის საცხობები და სხვა ანალოგიური ობიექტები. დიდი ძვრები მოხდა მოსახლეობის კულტურულ მომსახურებაში: ყველა მოზრდილ სოფელს აქვს კლუბი ან კულტურის სახლი, კინოდარბაზი, მასობრივი ბიბლიოთეკა; საყოველთაო გავრცელება მოიპოვა რადიომ და ტელევიზიამ.

ყველა ამ ცვლილებამ სახე უცვალა საბჭოთა სოფელს, აამაღლა მოსახლეობის კულტურა, ბევრად დაუახლოვა ერთმანეთს კეთილმოწყობით და ცხოვრების პირობებით სოფელი და ქალაქი.

შეიცვალა სოფლების გ ა რ ე გ ა ნ ი ს ა ხ ე, დაგეგმარება და ზოგადად — არქიტექტურული იერი. მიუხედავად დაგეგმარების გადახალისებისა და რაციონალური განაშენიანების ერთიანი პრინციპების თანდათან დანერგვისა, სოფლების მორფოლოგია მაინც მრავალფეროვანი რჩება, რადგან მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელით განპირობე-

ბული ტრადიციები, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და რიგი სხვა ფაქტორი დიდ გავლენას ახდენს საცხოვრებელი სახლის ტიპზე, მათ განლაგებაზე, სოფლის შიგა გზების დაგეგმარებაზე და განაშენიანების ბევრ ისეთ მხარეზე, რომელთა ერთობლიობა განსაზღვრავს სოფლების მორფოლოგიას.

ვაკე რელიეფზე განლაგებული, შედარებით ახალი სოფლები, რომლებიც წინასწარ შედგენილი გეგმით განაშენიანდნენ, გამოირჩევიან სწორკუთხოვანი კვარტალური დაგეგმარებით. ამ ტიპის სოფლებს ეკუთვნის საქართველოში ქვემო და ზემო ალვანი. არის სოფლები, რომლებსაც ერთი მთავარი ქუჩა აქვთ და მისგან განშტოებული დანარჩენი ქუჩები რამდენადმე ქაოტურ განაშენიანებას წარმოქმნიან. ძველი სოფლების უმეტესობა არ გამოირჩევა წესიერი დაგეგმარებით, მაგრამ უკანასკნელ ხანებში განხორციელებული რეკონსტრუქციის შედეგად დაგეგმარება იცვლება, გაჰყავთ ახალი ქუჩები, ყალიბდება სოფლის ცენტრი, სადაც თავს იყრის საზოგადოებრივი შენობები, ეწყობა სპორტული მოედნები და ა. შ. სოფლების დაგეგმარებაზე დიდ გავლენას ახდენს ადგილის კონფიგურაცია. ვაკე ადგილებში ხშირია სოფლები, რომელთა ცენტრიდან სხივისებურად გადის სხვადასხვა მიმართულებით ქუჩები; მდინარეთა ვიწრო ხეობებში კი სოფლის მთავარი ქუჩა ხეობის გასწვრივ გრძელდება. ბევრი სოფელი რამდენიმე უბნისაგან შედგება, რომელთაგან თითოეულს აქვს თავისი მთავარი ქუჩა და ზოგჯერ ცალკე დასახლებულ პუნქტს უფრო ემსგავსება, ვიდრე სოფლის ნაწილს. სოფლები ბევრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შ ი გ ა ს ი მ ჭ ი დ რ ო ვ ი თ. ამ ნიშნით სასოფლო დასახლებანი შეიძლება დავყოთ მჭიდროდ, საშუალო მჭიდროდ და გაფანტულად განაშენიანებულ სოფლებად.

საქართველოს სასოფლო განსახლების ძირითადი ნიშნები

ბუნებრივი გარემოს მრავალფეროვნებამ და რთულმა ისტორიულმა პირობებმა ხელი შეუწყო საქართველოს სასოფლო განსახლების დიდ სიჭრელეს. ჯერ ერთი, ბევრად განსხვავებულია სასოფლო განსახლება რესპუბლიკის ბარისა და მთის რაიონებში; მეორეც, არსებითი თავისებურებანი ახასიათებს ქართულ სოფლებს სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებში. ასეთ თავისებურებათა ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეთნო-გეოგრაფიულმა სიჭრელემ, იმ ტრადიციებმა, რომლებიც დამკვიდრდა თითოეულ ეთნოგრაფიულ მხარეში საუკუნეების მანძილზე. ჩვენი ეპოქის უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები უშუალოდ აისახა სასოფლო დასახლებათა ფუნქციურ დანიშნულებაში, კეთილმოწყობასა და გარეგან იერში. თუმცა სასოფლო განსახლების საერთო სურათი შედა-

რებით მყარია და მისი კონტურები ათეული წლების მანძილზე ბევრად არ გადაადგილებულა, მაგრამ სოფლების რაოდენობა და თითოეული მათგანის ხალხმრავლობა საკმაოდ შეიცვალა. რაც უფრო სწრაფად ვითარდებოდა წარმოება, რთულდებოდა მისი სტრუქტურა და იცვლებოდა ტერიტორიული განლაგება, მით უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა სასოფლო განსახლების გარდაქმნა.

საქართველოს სოფლის მოსახლეობის დინამიკა განსხვავებულია სსრ კავშირის მთელი სოფლის მოსახლეობის დინამიკისაგან. უკანასკნელ დრომდე რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა იზრდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მცხოვრებთა ქალაქად გადაადგილება საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს. 1959—1979 წლებში სოფლად მცხოვრებთა რიცხვი რესპუბლიკაში გადიდდა 2331,1 ათასიდან 2414,3 ათასამდე, ანუ 3,6%-ით, მაგრამ უკანასკნელ წლებში გაჩნდა სოფლის მოსახლეობის კლების ტენდენცია, თუმცა ჯერჯერობით ეს პროცესი არცთუ ისე შესამჩნევია. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში უფრო სტაბილურია სოფლის მოსახლეობა, ვიდრე სსრ კავშირის ტერიტორიის მეტ ნაწილზე, რაც გარკვეულ მდგრადობას ანიჭებს რესპუბლიკის სასოფლო განსახლებას.

საქართველოსათვის, ისე როგორც მთლიანად სსრ კავშირისათვის, დამახასიათებელია სასოფლო დასახლებათა ხალხმრავლობის დიდ ფარგლებში რხევადობა. რესპუბლიკის ბარში არსებობს სოფლები, რომელთაგან თითოეულში 5 ათასზე მეტი მცხოვრებია, ხოლო მთიან რაიონებში ბევრი სოფელი ათობით ადამიანსაც კი არ ითვლის. ისეთი სოფლების რიცხვი, სადაც თითოეულში 200-მდე მცხოვრებია, 1926-დან 1970 წლამდე შემცირდა 230 ერთეულით, მაშინ როდესაც უფრო დიდი სოფლების რაოდენობა თითქმის უცვლელი დარჩა. საერთო ტენდენცია კი ასეთია: წვრილი სოფლების მეტი ნაწილი თანდათან კარგავს ხალხის მოსახლეობას და ბევრმა ასეთმა სოფელმა შეწყვიტა არსებობა, ხოლო დიდი და, განსაკუთრებით, მსხვილი სოფლების რიცხვი იზრდება, მატულობს აგრეთვე მათი საშუალო ხალხმრავლობა. ეს პროცესი მიმდინარეობს სოფლების საერთო რაოდენობის შემცირების პარალელურად, მიუხედავად იმისა, რომ ბარის ზონაში შეიქმნა ბევრი ახალი სოფელი. 1926 წელს საქართველოში ითვლებოდა 4885 სასოფლო დასახლება, 1970 წელს — 4645[3]. ისეთი სოფლების რიცხვი, სადაც თითოეულში 200 მცხოვრებზე მეტი არ ითვლება შემცირდა იმავე პერიოდში 2062-დან 1832-მდე, ხოლო სოფლების რიცხვი, თითოეული 500-ზე მეტი მცხოვრებით, გაიზარდა 1297-დან 1565-მდე.

---

3 ცხრილები ემყარება მოსახლეობის საკავშირო აღწერების მასალებს.



ნახ. 14. სასოფლო დასახლებათა მორფოლოგიური ტიპები.

ვაკის სოფლები: 1. კვარტალური დაგეგმარების მსხვილი სოფელი. 2. მსხვილი სოფელი ერთი მთავარი სწორხაზოვანი ქუჩით. 3. მსხვილი სოფელი ერთი მთავარი ქუჩით, უსისტემო დაგეგმარებით და საშუალო სიმჭიდროვით. 4. საშუალო სიდიდის სოფელი მაღალი შიგა სიმჭიდროვით და უსისტემო დაგეგმარებით.

გორაკ-ბორცვიანი ზონის სოფლები: 5. დიდი სოფელი, ძალზე გაფანტული უსისტემო დაგეგმარებით. 6. დიდი ან საშუალო სოფელი გაფანტული დასახლებით და ქუჩების ჩანასახით. 7. საშუალო სიდიდის სოფელი; ქუჩები უპირატესად სერების თხემს გასდევს. 8. გორაკებზე შეფენილი, პატარა, კომპაქტურად განაშენიანებული სოფელი.

მთიანი ზონის სოფლები: 9. საშუალო და პატარა სოფლები, კომპაქტური განაშენიანებით, განლაგებული მდინარეთა ხეობების ფსკერზე. 10. კომპაქტურად განაშენიანებული პატარა სოფელი, შეფენილი მთის ფერდობზე. 11. დიდი და საშუალო სოფლები, გაშენებული მთის ქვაბულებსა და პლატოზე, საშუალო სიმჭიდროვით. 12. საშუალო და პატარა სოფლები, შეფენილი მთის ფერდობზე, გაფანტული და უსისტემო განაშენიანებით.

რაც შეეხება საშუალო სიდიდის სოფლებს (201-დან 500 მცხოვრებამდე), მათი საერთო რაოდენობაც შემცირდა 1526-დან 1248-მდე. ეს ცვლილებები მიგვითითებს იმაზე, რომ რაც უფრო დიდია სოფელი, მით უფრო ნაკლებად ტოვებს ასეთ სოფელს ახალგაზრდობა. განსა-

კუთრებით დიდი რაოდენობით მიდის მოსახლეობა მთის სოფლებიდან, რომლებიც ცხოვრების პირობებით ჩამორჩებიან ბარის სოფლებს. ბარში სოფლების საშუალო ხალხმრავლობა შეადგენს დაახლოებით 650-ს და სამჯერ აღემატება მთიანი ზონის სოფლების ანალოგიურ მაჩვენებელს.

ხელსაყრელი ეკონომიკური წანამძღვრებისა და ბუნებრივი პირობების გამო საქართველოში განვითარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ისეთი ინტენსიური დარგები, როგორიცაა მეჩაიეობა, მეევენახეობა, მეციტრუსეობა, მეხილეობა, მეთამბაქოეობა და სხვ., რომლებმაც შეცვალეს ჩვენი სოფლის საწარმოო სახე, დიდად გაზარდეს სოფლის მოსახლეობის შემოსავალი, გამოიწვიეს პროგრესული ძვრები სასოფლო განსახლებაში. აღნიშნული სპეციალიზებული დარგები ფართოდაა წარმოდგენილი საქართველოს ბარის გარკვეულ ნაწილებში. თუმცა ამ დარგებს ცალკეულ რაიონებში უკავია წამყვანი ადგილი, მაგრამ მათთან ერთად გავრცელებულია აგრეთვე სხვა მიმართულებანი და უმეტეს შემთხვევაში სოფლების საწარმოო პროფილი გამოსახულია 2 და ზოგჯერ 3 დარგით. საქართველოს თითქმის ყველა სოფელში საწარმოო ფუნქციებიდან გაბატონებული ადგილი უკავია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამა თუ იმ სახეს; რესპუბლიკაში იშვიათია ისეთი სასოფლო დასახლება, სადაც წამყვანი ადგილი არ ეკავოს სოფლის მეურნეობას. ქართული სოფლის ძირითადი საწარმოო ფუნქციები შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

მევენახეობა-მემინდვრეობის სოფლები (უმთავრესად კახეთში, ქართლსა და იმერეთში);

მეხილეობა-მემინდვრეობის (უმთავრესად შიდა ქართლსა და მესხეთში);

სუბტროპიკული მეურნეობის (შავი ზღვისპირა რაიონებში);

მემინდვრეობა-მეცხოველეობის (რესპუბლიკის მეტწილ რაიონებში);

მეცხოველეობის (ძირითადად მთიან რაიონებში);

საგარეუბნო მეურნეობის (ყარგად განვითარებული ქალაქების მეზობლად).

უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩაბმული კონტინგენტების რიცხვი კლებულობს, რადგან ცოცხალი შრომის ნაცვლად სულ უფრო ფართო გავრცელებას პოულობს მანქანური შრომა; ამავე დროს საკმაოდ სწრაფად იზრდება მომსახურების სფეროში დასაქმებულთა აბსოლუტური და ხვედრითი რაოდენობა. სპეციალიზებული დარგების განვითარებამ გამოიწვია საქართველოს სოფლებში კვების მრეწველობის საწარმოთა შექმნა. ასეთ საწარმოებს განეკუთვნებიან: ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკები, ღვინის ქარხნები, ხილისა და ბოსტნეულის დამხარისხებელ-შემფუთავი საწარმოები. ბევრ

სოფელში მოქმედებს მოპოვებითი მრეწველობის ობიექტები, საშენი მასალების დამამზადებელი საწარმოები, ქალაქად განლაგებული ფაბრიკა-ქარხნების ფილიალები და ა. შ.

თავისი მორფოლოგიით დიდად განსხვავებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხის სოფლები. ასეთი სხვაობანი ქართულმა სოფელმა ისტორიული მემკვიდრეობით მიიღო. აღმოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელია უპირატესად დიდი შინაგანი სიმჭიდროვის მქონე სოფლები, დასავლეთ საქართველოში კი ბევრად უფრო გაფანტულადაა სოფლები განაშენიანებული; აქ თითოეულ სახლთანაა საკარმიდამო ნაკვეთი, ამიტომ ასეთ სოფლებს „საკარმიდამო განაშენიანების" ტიპად მიიჩნევენ. აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც წესი, საკარმიდამო ნაკვეთი კოლმეურნეს ცალკე აქვს გამოყოფილი. უკანასკნელ ხანებში აქ ბევრად შემცირდა სოფლების შიგა სიმჭიდროვე, რადგან სოფლის მოსახლეობა ახალ სახლებს იშენებს უფრო გაშლილ ადგილას, იქვე გამოყოფილი აქვს საკარმიდამო ნაკვეთი.

სრულიად იცვალა სახე ქართულმა სოფელმა. საწარმოო ფუნქციების გადახალისებამ და მეურნეობის საქონლიანობის ბევრად გაზრდამ ხელი შეუწყო სოფლად აღმშენებლობითი საქმის დაჩქარებას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საცხოვრებელი სახლების მასობრივ მშენებლობას. რევოლუციამდელ პერიოდში დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო ხის სახლები, აღმოსავლეთ საქართველოს მეტწილ რაიონებში კი ნახევრად მიწური სახლები ჭარბობდა; მხოლოდ აქა-იქ თუ იყო შემორჩენილი ძველებური „დარბაზის" ტიპის სახლები. უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე საქართველოს სოფლებში ფართოდ გაიშალა ახალი, კაპიტალური საცხოვრებელი სახლების აგება, რომლებიც ხშირად ორსართულიანია და 4—8 ოთახისაგან შედგება. 1921—1979 წლებში სოფლად აშენებული სახლების საერთო სასარგებლო ფართობი აღემატება 21 მლნ. კვ. მ-ს. სოფლების ძირითადი ნაწილი სარგებლობს მომსახურების სრული კომპლექსით (იგულისხმება სასმელი წყლით და ელექტროენერგიით უზრუნველყოფა, საავტობუსო მიმოსვლა, ვაჭრობის და კავშირგაბმულობის ობიექტები, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და კულტურის დაწესებულებები). მხოლოდ მთიანი ზონის ზოგიერთი პატარა სოფელია მოკლებული მომსახურების ძირითად სახეებს, რაც ამ ზონის მოსახლეობის გაძლიერებული წასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

საქართველოს სასოფლო განსახლების შემდგომი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა მთიან რაიონებში ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, რათა თავიდან ავიცილოთ მოსახლეობის რაოდენობის შემცირება და, მით უმეტეს, — სოფლების დაცლა. მაღალმთიან ზონაში მეტად წვრილი სოფლების არსებობა არ არის გამართ-

ლებული; მიზანშეწონილია განხორციელდეს ასეთი სოფლების გამსხვილება; უნდა შეირჩეს ხელსაყრელი მდებარეობის მქონე სოფლები, რომლებიც შეიერთებენ წვრილ დასახლებებს. თითოეულ გამსხვილებულ სოფელს აუცილებელია ჰქონდეს მომსახურების სრული სერვისი. მნიშვნელოვანი საკითხია მთიან სოფლებში შრომის გამოყენების სფეროს გაფართოება, რათა მიეაღწიოთ მუშახელის სრულ დასაქმებას და მომუშავეთა შემოსავლის ზრდას. მთიანი რაიონების ბუნებრივი რესურსები ჯერ კიდევ არაა მთლიანად გამოყენებული; არც სოფლის მეურნეობის შემდგომი ინტენსიფიკაციის შესაძლებლობანია ამოწურული. მიზანშეწონილია მთიან ზონაში აღდგეს ადრე არსებული მთელი რიგი მოხმარების საგნების წარმოება, რა თქმა უნდა, ახალ ორგანიზაციულ და ტექნიკურ ბაზაზე. ასეთი საწარმოები დაამზადებენ სხვადასხვა სახის ნაწარმს, რომელთაგან ბევრს სუვენირების დანიშნულება ექნება. კარგი პერსპექტივები არსებობს ბევრ მთიან რაიონში ადგილობრივი რეკრეაციული რესურსების გამოყენებისათვის. საერთოდ, შეიძლება მნიშვნელოვნად გაძლიერდეს მთიანი სოფლების საკურორტო-ტურისტული ფუნქციები. საგზაო მშენებლობა და საავტომობილო მიმოსვლის მთელი წლის მანძილზე უზრუნველყოფა მთიანი ზონის სასოფლო განსახლების სრულყოფის ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

რეკომენდებული ლიტერატურა

ვ. ი. ლენინი. კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში. თხზულებანი, ტომი 3, თავი 8.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბილისი, 1983.

Н. Н. Баранский. Об экономико-географическом изучении городов. «Вопросы географии», сб. 2, М., 1946.

С. И. Брук. Население мира. Этнодемографический справочник. М., «Наука», 1980.

В. Ш. Джаошвили. Население Грузии. Экономико-географическое исследование. Тб., «Мецниереба», 1968.

В. Ш. Джаошвили. Урбанизация Грузии. Генезис, процессы, проблемы. Тб., «Мецниереба», 1978.

С. А. Ковалев. Сельское расселение (географическое исследование). М., Изд-во Моск. ун-та, 1963.

С. А. Ковалев, Н. Я. Ковальская. География населения СССР. Учебное пособие. М., Изд-во Моск. ун-та, 1980.

Г. М. Лаппо. Развитие городских агломераций в СССР. М., «Наука», 1978.

Народонаселение стран мира. Справочник. Под ред. Б. Ц. Урланиса. Изд. 2-ое. М., «Статистика», 1978.

Основы теории народонаселения. Под ред. Д. И. Валентея. Учебное пособие. Изд. 2-ое. М., «Высшая школа», 1977.

В. И. Переведенцев. Методы изучения миграции населения. М., «Наука», 1975.

В. В. Покшишевский. География населения СССР. М., «Просвещение», 1971.

В. В. Покшишевский. Население и география. М., «Мысль», 1978.

Современные этнические процессы в СССР. Под ред. Ю. В. Бромлея. Изд. 2-ое. М., «Наука», 1977.

Б. Ц. Урланис. Проблемы динамики населения СССР. М., «Наука», 1974.

Е. Л. Шувалов. География населения. Учебное пособие. М., «Просвещение», 1977.

შინაარსი.

ავტორისაგან 3

თავი პირველი. მოსახლეობის გეოგრაფიის საგანი და ამოცანები 5

თავი მეორე. მოსახლეობის რიცხოვნობა და კვლავწარმოება . . 24
მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა 24
მსოფლიოს მოსახლეობის კვლავწარმოება 37
მოსახლეობის კვლავწარმოება სსრ კავშირში 50

თავი მესამე. მოსახლეობის სტრუქტურა 57
მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა . . 57
სოციალური შემადგენლობა 64
განათლების დონე 67

თავი მეოთხე. რასობრივ-ეთნიკური შემადგენლობა 72
რასები და ეთნიკური პროცესები 72
სსრ კავშირის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა . . 84

თავი მეხუთე. მოსახლეობის მიგრაცია 91
მოსახლეობის მიგრაციის არსი, ფაქტორები და სახეობანი . . 91
საერთაშორისო მიგრაციების მოკლე მიმოხილვა 101
მოსახლეობის შიგა მიგრაცია სსრ კავშირში 107

თავი მეექვსე. შრომითი რესურსები და მათი გამოყენება . 116
შრომითი რესურსები ძირითადი საწარმოო ძალაა . . . 116
შრომითი რესურსების რიცხოვნობის დინამიკა 121
შრომითი რესურსების გამოყენება 127

თავი მეშვიდე. მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება . . 136
მოსახლეობის ტერიტორიული განლაგების უმთავრესი ფაქტორები 136
დედამიწის მოსახლეობის ტერიტორიული განლაგების ძირითადი ნიშნები 141
სსრ კავშირის მოსახლეობის სიმჭიდროვე და ტერიტორიული განლაგება 146

თავი მერვე. განსახლების ზოგადი დახასიათება 156
განსახლება და დასახლებული პუნქტები 156
განსახლების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება 162
დასახლებული პუნქტების ძირითადი ტიპები 168

თავი მეცხრე. ქალაქების განვითარება და თანამედროვე ურბანიზაცია 174
სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და ურბანიზაცია 174
ურბანიზაციის ძირითადი ნიშნები და ფაქტორები 178
საქალაქო აგლომერაციები 185

ურბანიზაციის მსოფლიო პროცესის მოკლე მიმოხილვა . 191
ურბანიზაცია სსრ კავშირში . . . 197
ურბანიზაცია საქართველოში . . . 205

თ ა ვ ი მ ე ა თ ე. სასოფლო განსახლება . . . . , , 211
სასოფლო განსახლების ზოგადი ნიშნები 211
სსრ კავშირის სასოფლო განსახლება 218
საქართველოს სასოფლო განსახლების ძირითადი ნიშნები . . 226
რეკომენდებული ლიტერატურა 232

შემჩნეული შეცდომების გასწორება

გვ.	სტრიქონი ზემოდან	სტრიქონი ქვემოდან	დაბეჭდილია	უნდა იყოს
16	11	—	ოიკუმენის	ოიკუმენის
17	14	—	კონტაქტები	კონტიგენტები
67	11	—	ეშად გენენ	შეადგენენ
70	—	3	ეშადგენს	შეადგენს
76	—	4	—სამხრეთი	5—სამხრეთი
86	—	18	მეხუთე	მეცხრე
122	ცხრილის სათაური	—	1979	1970
122	ცხრილის მესამე სვეტი	—	24,8	34,8
158	—	1	Изд.	Известия
161	10	—	ფერმერტულ	ფერმერულ
187	6	—	პროდუქტების	პროდუქციის
189	—	3	ალგო-	აგლо-
206	3	—	საწარმოები	მოსახლეობაზე
212	—	8	ფართობებზე	ფერდობებზე

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ბ ე რ ო ზ ა შ ვ ი ლ ი
მხატვრული რედაქტორი ი. ჩ ი ქ ვ ი ნ ი ძ ე
ტექნიკური რედაქტორი ი. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი
კორექტორი ე. თ ო ფ ჩ ი ა შ ვ ი ლ ი

სბ 863

გადაეცა წარმოებას 15.12.82; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.06.83;
უე 03870; საბეჭდი ქაღალდი 60×901/16;

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 14,75;
სააღრ.-საგამომც. თაბახი 13,53;

ტირაჟი 1000; შეკვეთის № 4074;

ფასი 1 მან. 50 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა,
თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19.
Типография АН Груз. ССР, Тбилиси,
380060, ул. Кутузова, 19

Джаошвили Вахтанг Шалвович

ГЕОГРАФИЯ НАСЕЛЕНИЯ

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси, 1983